კვირის პალიტრა

# გზა

№31 (425) 31.VII-6.
80 თეთრი

## ვივა, ჯორჯია!

ბარის მომლერლობიდან იურმალის პირველ ვარსკვლავობამდე

ვის ეკუთვნის რატი დურგლიშვილის გული

„ჩემთვის მთავარი მისი შინაგანი სამყაროა...“

ვისი რჩეულია „მის საქართველო 2008“

„ოდნოკლასნიკებით“ გაბედნიერებული ქალბატონი...

რა დაუწუნა ლალი მოროშკინას მარინა სალუქვაძემ

## გემოვნება

როგორ არჩევს ირაკლი ჩოლოყაშვილი ქალებს

## როგორ ვებრძოლოთ სიცხეში მწერების ნაკბენებს

ISSN 1987 - 5029

# იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და გათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

№31 (425)
31 ივლისი –
6 აგვისტო, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

■ მინიატიურები
საკურორტო სეზონი-2008 ანუ დასვენებისგან
დაღლილების დასვენება 5

■ წარმატება
კლუბში დაწყებული დიდი საქმე ანუ
„ბუკანიდან“ — იურმალამდე... 6

■ კონკურსი
ვისი რჩეულია „მის საქართველო 2008“ 8

■ რეპორტაჟი
როგორ ვისვენებთ დედაქალაქში 10

■ ფაქტი და კომენტარი
„მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ
ქართველები ნიჭიერი ერი ვართ“ 12

■ ამინდი
აგვისტო საუცხოო თვეა დასასვენებლად
ზღვაზეც და მთაშიც 13

■ ჟურნალისტის როლში
ლალი მოროშკინამ მეგობარი მამაკაცი
„ოდნოკლასნიკებში“ გაიცნო 14

■ ტკივილი
„ვიცოდი, რომ აფხაზეთში ქართველის
სტუმრობა არავის ესიამოვნებოდა“ 16

■ პირველი
ვენტილატორი, 20 ათას კუპონად გაყიდული
კოცნა და არარსებული კომპანიის აქციები 18

■ არდადეგები
„ჟულიკი“ და ხვლიკთან „დაქმობილებული“
პოლიტოლოგის მხიარული თავგადასავლები 20

■ ერუდიტი
რატომ კითხულობდა ეროტიკულ
ეპიზოდებს ბესო ბერულაშვილი 22

■ სტუმარი
ძველი სახლის აივნიდან ინგლისელის
თვალით დანახული თბილისი 24

■ გემოვნება
ირაკლი ჩოლოყაშვილს ქალების
არჩევაში თავი უგემოვნო პგონია 26

## პოლიტოლოგის მხიარული თავგადასავლები

„ჩემ თვალწინ ოთხმა მგელმა სამი გოჭი მოიგაცა და თან, ძალიან უცნაურად — ერთმა მგელმა გოჭს ფეხში წაავლო პირი, მერე ადამიანივით, ზურგზე მოიგდო და გაიქცა. ჩეჩნეთიდან გადმოსული, წითელი მგლები იყვნენ“.

20

## ბრუკ შილდსის კოცნას მოვიპოვებდი



ყველაზე დიდი ინგერესით „ჯაჯოს ხიზნებსა“ და „თეთრ საყელოში“ ეროტიკულ ეპიზოდებს კითხულობდა და ზოგიერთი აბზაცი ზეპირად იცოდა. მაშინდელ საქციელს კი ასე ამართლებს: „ღლეს ტელეეკრანზე ჩაცმული ქალის ნახვა მოგვნატრება, მაშინ კი ასეთი რამ იშვიათობა იყო“.

22



## ბოროტი საქციელი

თუ გამბერემ ყველა სოფელია, შენ ცენტრალური სოფელი ყოფილხარ.



## სიყვარულის ამბავი

39-70




— თანამოძმეთა სისხლის აღება გვწყურია. დათმე ქრისტიანები, თორემ შენს სასახლეს ნაცარტუტად ვაქცევთ და შენც არ დაგინდობთ! — იგრიალეს სელჩუკებმა.

— ქრისტიანთა სისხლი თუ გწყურიათ, იერუსალიმს წადით და ფრანკებს ეომეთ!

— ფრანკები მეომრები არიან და ბრძოლის ველზე დავღვრით მათ სისხლს. ეგ ვენეციელები კი ბაღდადში ქურდულად შემოპარული მკვლელები და ჯაშუშები არიან!..

82

■ სასიძო-საპატარძლო
„შემხვდი და გაირდები, თავდავიწყებით შეგიყვარდები“ 28
■ თინეიჯერული პონტები
✓„აკრძალული“ სიყვარული, რომელიც მეგობრობით იწყება 32
✓ცალ-ცალი კედი, დახეული ჯინსი და გაპარსული წარბი 34
■ ნამდვილი ამბავი
მონადირე სასიძო 36
■ მეტამორფოზები
ვის დაესიზმრება ჯონდი ბაღათურია, როგორც კოშმარი 30
■ ჯანმრთელობა
როგორ მოვიქცეთ, თუ გვიკბინეს 37
■ აღსარება
შეურიგებელი ანა (დასასრული) 72
■ დიალოგი მკითხველთან
„მინდა, ყველაფერი ისე დამთავრდეს, როგორც ზღაპარში ხდება“ 72
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია.
მორიელის ნიშანი (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ულალატე მას ისე, რომ... 80
✓ვისკის გამაგრილებელი კოქტეილი 80
✓როგორ გავითეთროთ კბილები 81
■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი (გაგრძელება) 82
■ ამპლუა
21 წლის მეიგავე გარდაცვლილი კლასიკოსი ეგონათ 86
■ ვარსკვლავები
✓აიშვარია რაის „დაუვიწყარი ტურნე“ დაიწყო 88
✓ადამიანი-გამოცანა ბეტმენის წინაალმდეგ 90
■ დაიჯესტი 90
■ სახელოსნო
მხატვრული მინის წყალობით შექმნილი ინტიმური გარემო 92
■ ქართველი მილიონერები
უმდიდრესი ემიგრანტები 94
■ კულისები
ბიუროკრატია, „დეზინფექციის სამინისტრო“ და ვარსიმაშვილისეული „კავკასიური ცარცის წრე“ 96
■ პროგრესი
ყველა დროის ყველაზე უარესი გამოგონება 98
■ წმინდანები
ცეცხლოვანი ეტლით ზეცას ცოცხლად ატაცებული წინასწარმეტყველი 100
■ ავტო 103
■ სკანვორდი 104
■ ტესტი 105
■ პროგნოზი 106



გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.


## როგორ ვისვენებთ დედაქალაქში



თბილისის ზღვა ის ადგილია, რომელსაც უსახსრობისა თუ სხვა მიზეზების გამო, ქალაქში დარჩენილი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ხშირად აკითხავს. რით სჯობს თბილისის ზღვის პლაჟზე გარუჯვა საცხოვრებელი კორპუსის სახურავზე მიღებულ ნამზეურს?

10

## ზეცას ცოცხლად ატაცებული წინასწარმეტყველი

2 აგვისტოს მართლმადიდებელი ეკლესია ელია (ილია) თეზბიტელს იხსენიებს. წმინდა ელია მოხსენებული იყო „ძველი აღთქმის“ უდიდეს წინასწარმეტყველთა შორის, რომელმაც სიცოცხლეში მრავალი სასწაული მოახდინა და ცოცხლად იქნა ატაცებული ზეცად.

100

## „დაუვიწყარი ტურნე“ დაიწყო

ბოლივუდის კაშკაშა ვარსკვლავი აიშვარია რაი ოჯახთან ერთად მსოფლიო ტურნეში მოგზაურობს, რომელსაც The Unforgetable Tour („დაუვიწყარი ტურნე“) ეწოდება. ამ ტურნეში მილიონობით დოლარი ჩაიდო. შოუ, რომელშიც ყველა ცეკვავს და მღერის, მართლაც რომ დაუვიწყარი იქნება!

88

## ეროტიკის ნიმფები



– აცახცახებული ხელით ნელა გახადა პიჟამა, თვითონაც გაიხადა და როცა ქალის შიშველ სხეულს შიშველი შეეხო, იგრძნო, როგორ ელოდა ეს ცხელი სხეული მის ალერსს. იგი თრთოდა, კანკალებდა, სიამოვნებისაგან კანი ერთიანად დაეხორკლა...

თაკოს სიზმარში ეგონა თავი... ირაკლისაც. ადრე, სხვა ქალებთან ყოფნისას, პირველ რიგში, საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობდა, თავისი სურვილის დაკმაყოფილებაზე. ახლა კი მისთვის მთავარი და უპირველესი მიზანი ამ პაგარა პრინცესასთვის სიამოვნების მინიჭება იყო.

74

# საკურორტო სეზონი – 2008

## ანუ დასვენებისგან დაღლილების დასვენება

აწყობილი გვაქვს საქმე, ჩონგურივით და ასეთ დროს დასვენებასაც განსაკუთრებული გემო აქვს! რაზომაც არა? — „მის საქართველო“ ჩავატარეთ და (როგორადაც არ უნდა გაგიკვირდეთ) ქართველმა გაიმარჯვა, იურმალის „ახალი ტალღა“ ჩავატარეთ და იქაც ქართველებმა დაიკავეს პირველი ადგილი; ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ხომ საერთოდ, სტუდენტთა უმრავლესობა ქართველი გახდა; პარლამენტში სულ ქართველები შევიდნენ; „ვეფხისტყაოსანი“ ქართველის დაწერილი ყოფილა და რა ვიცი, კიდე, რა!.. ჰოდა, ერთადერთი, იმ ოხერი მაპის ვერაღების გამო უნდა ჩამოვყაროთ ყურები?!

ჯერ არც ვიცით, რა არის ეს მაპი — იქნებ, არც საჭმელად ვარგა და არც — ჩასაცმელად?! თავი რომ გავიგიჟეთ, იმიტომაც არ მოგვცეს. ისე უნდა მოვიქცეთ, თითქოს, არც გვაინტერესებს და აგერ ნახავთ, თუ დეკემბერში აქეთ არ შეგვეხვეწონ, — წაიღეთო. მაპი თუ არ გვაქვს, სამაგიეროდ, ზრდილობა გვაქვს და ჩახუტება ვიცით. მაგათ იკითხონ, თორემ ჩვენ ღვინო თუ გვაქვს და მწნილი, სულ არ დავდებთ მაპს სუფრაზე, ისე მივიღებთ სტუმარს.

მოკლედ, მე მაინც დაგამშვიდეთ, საკურორტო სეზონი რომ არ ჩამეშხამებინა, თორემ ძაან არ გადარდებდეთ ახლა თქვენ მაპი?! იმხელა წარმატებები რომ ჩამოვთვალე, მაპი შეედრება? ჰოდა, გვეკუთვნის დასვენება და აბა, შევესიოთ კურორტებს, არ გვაქვს თუ? თბილისი ევაკუირებულ ქალაქს ჰგავს უკვე, მარტო მოხუცებიღა დარჩნენ და აღარც კაცობა შეუძლიათ და აღარც — ქალობა, მაგრამ მაინც, ქალებიც თვითონ არიან და კაცებიც.

ისინი კი, ვისაც მგზავრობა და ერთი ჩანთის თრევა შეუძლიათ, უკვე კურორტებზე არიან. ხალხი ზღვისპირეთს მიაწყდა, მაგრამ სადაა ზღვაზე ქართველების ადგილი — ჩვენს „კარის მეზობლებს“ აქვთ აღებული ზღვაც და პლაჟიც. არა, მაგათ „ზაგარი“ არ სჭირდებათ, მაგრამ ხომ უნდა იბანაონ?!. ჰოდა, ამიტომაც, ქალაქელები სოფლებსა და რაიონებს შეესივნენ, მაგრამ შენ დააცდენინებ რომელიმეს, სოფელი მაქვსო?! ისე, იქაც კი ბანაობენ, განა, უწყლოდ არიან, ყველა სოფელს ხომ თავისი მდინარე აქვს, მაგრამ დაშრა საცოდავი მდინარეებიც ამ გვალვაში და დამსვენებელს ბრასითა და ბატერფლაით ცურვის არეალი რომ არ აქვს, კოჭებამდე წყალში „ბაყაყურით“ იოხებს გულს და მუცელი ქვებზე აქვს გადახეხილი. „ზაგარს“, ყანაშიც კი მიიღებ — მთავარია, ხარისხიანი „ზაგარნი“ კრემი წაიღო!..

თუმცა, ზღვაზე შვებულების გატარება მაინც შეიძლება, თან — სარფიანად: ყანაში მოტეხავ ტაროს (გარუჯვის პარალელურად), წახვალ ქობულეთში და დანარჩენი ხომ ისედაც იცი, შარშანდელი პრაქტიკიდან... მგონი, ამჯერად ზედმეტად ენა-კალამ-მწარე ვარ, მაგრამ რას ვიზამთ, „კარის მეზობლებს“ ჩვენი პატივისცემა უნდათ და მეტს ისდიან. ჰოდა, იმიტომაცაა, რომ „ხაზეიკას“ მათი მასპინძლობა ურჩევია... შენც დგები და უამრავი ტურისტული კომპანიიდან ირჩევ ერთ-ერთს. რა თქმა უნდა, იმას, რამდენიმე ასეულ დოლარად ანტალიაში დასვენებას რომ გთავაზობს. სწორია, თუ დასვენებაა, ბარემ, ხმელთაშუა ზღვისპირეთი იყოს — ზღვაც უკეთესია და გართობაც. მართალია, ამას კი ფულიც უნდა, მაგრამ აბა, ფული თუ არ გაქვს, სად მირბიხარ? მე გიჟი კი არ ვარ, ამ სიცხეში პროვოკაციებს რომ ვწერ? მოვრჩები წერას და ჰერი-ჰერი, ზღვისკენ, სიმინდიანი გოდრით ხელში. ისე, ყოველ ზაფხულს ასე ვაკეთებ, ფულიც მრჩება, გართობაც და „ზაგარიც“. თან, იმდენ ნაცნობს ვნახულობ, ნუ იტყვით. რა თქმა უნდა, ცნობილებს ვგულისხმობ. ჰოდა, დროს ისინი რომ ატარებენ, ეგეთი უნდა. რომ წუწუნებენ, ფული არ გვაქვსო, იმის მეტი რა აქვთ?!. შარშან მაგალითად, ჯონდიმ ბუნგალოში ერთი ცალი (ნახევარი ულუფა) კატლეტი და 5 ჭიქა საწებელი შეუკვეთა, მარილი რამდენი მოატანინა, ვერ დავთვალე, მერე გაიგო, — პური უფასოაო და „დაჟე“ ძმაკაციც დაპატიჟა. ასეა, ჩამოვა თბილისში და პრესკონფერენციას მოაწყობს, ეკონომიკური სიდუხჭირე გვჭირსო. ახლა პარლამენტარია და იმხელა ხელფასი აქვს, იმ კატლეტზე პიურესაც დაადებინებს, რა ენაღვლება!..

არც სხვა პოლიტიკოსები იკლებენ დროს ტარებას. დიდი მსახიობი და დიდი „პრავადნიკი“, ადრე რომ თავისი მატარებლით ჩაჰყავდა დამსვენებელი ზღვაზე, ახლა უმატარებლოდ დარჩა, მაგრამ შემოსავალი მაინც აქვს სეზონზე: დადის პლაჟზე პოლიტიკოსის ფორმით და იძახის, — სიაში მესამე ნომერი ვიყავიო. ბავშვებსაც მეტი რა უნდათ, იღებენ სურათებს და თითო სურათში 1 ლარს აძლევენ. როგორია?

„ჯეობარის“ სიამაყე — მულტკაც ვნახე, „იზაგრებოდა“. არა, უფრო სწორად, იწვა პლაჟზე და ყველა მსურველი ბიჭი ტანზე კრემს უსვამდა. რაღად უნდა მულატკას „ზაგარი“, როცა მთელი ზამთარი სოლარიუმში გაატარა და იანვარშიც ისეთი დამწვარი იყო, ტანზე აჯიკა და პირში ბოლოკი აკლდა, თორემ, კი ჰგავდა თონიდან ამოღებულ გოჭს. სამსახურიც უშოვია — მაშველად (ცურვა არ ვიცი, მაგრამ რით ვარ პმელა ანდერსონზე ნაკლებიო?!).

შოუბიზნესის ელიტას რაც შეეხება, არც ისინი იკლებენ კურორტებს. სიმინდს რომ ვყიდდი, ნინა დავინახე, ზღვიდან სველი ამოვიდა — ასე პატიოსნად ჩაცმული ნინა ჯერ არ მინახავს და ამიტომაც, ისე დავიბენი, რომ ერთი ვედრო მოხარშული სიმინდი შემიჭამა ბატონმა გუბაზმა, ერთი ტაროს ფასად...

ლელა წურწუმია რომ ჩამოვიდა, შეაწუხა, გენაცვალე, ხალხმრავლობამ და რომ დაიქნია მარაო, ისეთი ქარიშხალი ამოვარდა და შტორმი დაიწყო, სულ დაიცალა ბათუმი.

არა, ძმაო, ვიცით ქართველებმა დასვენების ფასი, შნოც გვაქვს და ფულიც! ერთადერთი, ვინც ჩემსავით გაჭირვებული ვნახე, თემურ ჭყონია იყო: მუშაობდა საწყალი, სასტუმროს აშენებდა. რომ ვუთხარი, — საჭმელს გაჭმევ-მეთქი, — რა მჭირს, შე მათხოვარო, შენი დასახმარებელიო?! — მოერიდა, რა არის მაინც კაცური სიამაყე?!

მოკლედ, დაღლილები ვართ ამდენი დასვენებით და დავისვენოთ რაც შეიძლება კარგად, თორემ სექტემბრიდან, ხომ იცით, ისევ დაგვღლის მთელი წელი დასვენება!!!

*P.S. პარლამენტარები ზღვაზე ისვენებენ. პარლამენტის თავმჯდომარე ყვირის:*

*— გოგორიშვილო, არ დაჯდე კამერაზე, გახეთქავ; როინიშვილო, არ დაგსვამ პარაშუტზე, ტყუილად მეხვეწები, ეგ არაა პარაშუტი — მაისაშვილი დაფრინავს; ბაღათურია, დაიხურე რეზინის ქუდი და ისე ჩაყვინთე, თორემ თმა დაგისველდება და გაცივდები!.. ვინ არიან ეს გიჟები, რას მერჩოდი, ნინო?!*

**პროვოკატორი**



# კლუბში დაწყებული დიდი საქმე

**შარშან, როდესაც „ახალი ტალღის“ შესახებ წერილს ვამზადებდი, შთაბეჭდილების გაზიარება ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლებს ვთხოვე, მათ შორის — რატი დურგლიშვილსაც. მან კონკურსის ქართველი მონაწილის წარუმატებელ გამოსვლაზე ძალზე მოკრძალებული პასუხი გამცა: „ეტყობა, ინერვიულა, დაიძაბა და შესაბამისად, ვერ იმღერა. მის ადგილზე მეც რომ ვყოფილიყავი და ასე მენერვიულა, შესაძლოა, იგივე დამმართოდა“... ამ საუბრის შემდეგ ერთი წელი გავიდა. რატი დურგლიშვილი თავის განუმეორებელ პარტნიორ — მაკა ზამბახიძესთან ერთად, არათუ მოხვდა აღნიშნულ კონკურსზე, არამედ საოცარ წარმატებასაც მიაღწია. დუეტ „ჯორჯიას“ გამოსვლამ ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. თურმე როგორ მოგვნატრებია ქართველებს ასეთი გამარჯვებები!..**

## ანუ "ტყკაინიდან" იყრმაღამდე...

**ლალი ფაცია**

*სანამ პრიზიორები სამშობლოში დაბრუნდებოდნენ და მათი დაჯილდოება მოხდებოდა, მასალის მომზადება დავიწყე. კვლავ დავუკავშირდი ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლებს, მათ შორის — იურმალაში მყოფებსაც.*

**ანრი ჯოხაძე:**

— ძალიან გახარებული ვარ. უპირველესად, ვიტყვი იმას, რომ რატი და მაკა სამივე დღეს სტაბილურად გამოვიდნენ. მათი წარმატება იმან განაპირობა, რომ საოცრად შეკავშირებული დუეტია. ისინი ბავშვობიდან ერთად მღერიან და სცენაზე ერთმანეთის უსიტყვოდ ესმით. „ჯორჯიამ“ რეპერტუარი რეტრომუსიკაზე ააგო, რაც საზოგადოებას ძალიან მოეწონა, მათ შორის — ჟიურისაც. როგორც ჩანს, რეტრომუსიკა ყველას მოენატრა, რადგანაც თანამედროვე მუსიკა ხომ, მელოდიის ნაცვლად, რიტმებზეა აგებული. თუმცა იმაშიც გამოგიტყდებით, რომ ამ დუეტისგან ცოტა მეტ ექსპერიმენტირებასა და სითამამეს ველოდი. ვთქვათ, ისეთს, როგორიც რუსეთის წარმომადგენელმა, მეორე ადგილზე გასულმა ირისმა გვიჩვენა... კონკურსის სამი ტური ხომ იმის საშუალებას იძლევა, რომ სხვადასხვა სახის ნამუშევრით წარმოაჩინო თავი. თუმცა ისიც სავარაუდოა, რომ შესაძლოა, ექსპერიმენტი დუეტისთვის სარისკოც ყოფილიყო...

**— თუ ვარაუდობდი, რომ ჩვენი მომღერლები ასეთ წარმატებას მიაღწევნენ?**

— გამარჯვებას მართლაც, ვუწინასწარმეტყველებდი, მაგრამ პირველ ადგილს თუ დაიკავებდნენ, არ მეგონა. დუეტი ჟიურის მოეწონა — ასე რომ, ჩვენმა კონკურსანტებმა აიძულეს შემფასებლები, ასეთი გადაწყვეტილება მიეღოთ.

**— როგორ ფიქრობ — პირველ ადგილზე ქართველების გასვლა რამდენადმე, პოლიტიკური მოტივითაც ხომ არ იყო განპირობებული?**

— ქართულ-რუსული ურთიერთობის დათბობა ყველა ვარიანტში, საჭიროა. მთელი კონკურსის მანძილზე ზოგადად, ქართველების მიმართ საოცარი განწყობილება იგრძნობოდა. რუსებმა ჩვენი მისამართით არაერთი ტკბილი სიტყვა თქვეს. ეს განწყობილება კარგად გამოჩნდა იგორ ნიკოლაევის შემოქმედებით საღამოზეც, როდესაც მან ქართველების საოცარი ქება



დაიწყო. მიხარია, რომ საქართველომ კიდევ ერთხელ ასე კარგად შეახსენა თავი მსოფლიოს.

**— ანრი, სადღაც, გულის სილრმეში, გული ხომ არ გწყდება იმაზე, რომ შარშან ამავე ჟიურიმ დაგბლოკა, დუეტი „ჯორჯია“ კი ასე დააფასა?**

— ასეთი აზრი შეიძლება, შორიდან მაცქერალ ადამიანს გაუჩნდეს... 11-ჯერ ვარ საერთაშორისო კონკურსზე ნამყოფი და ამის უკმარისობას ნამდვილად არ განვიცდი. შარშან კი დამბლოკეს, მაგრამ მაშინ ეტყობა, ასე იყო საჭირო. მათ ამით რაღაც პოლიტიკა გაატარეს... ყველაფერი კარგად მესმის. მთავარია, მომავალში რას გავაკეთებ. ახლა კი მინდა, რატისა და მაკას გულით მივულოცო წარმატება, რომელიც მათ ძალიან სჭირდებოდათ...

*ამის შემდეგ, რატი დურგლიშვილის უახლოეს მეგობარს, კომპოზიტორ* ***მაია კაჭკაჭიშვილს*** *დავუკავშირდი.*

— მე და რატი უახლოესი მეგობრები ვართ. 15-16 წლისები ვიყავით, როცა ერთმანეთი გავიცანით. მაშინ ერთობლივად ვიმუშავეთ ჩემს სიმღერაზე. ეს იყო ჰიმნი, რომლითაც სტუდენტური დღეები დაიხურა. იმ პერიოდში რატისაც ჰყავდა მუსიკალური ჯგუფი, რომლის წევრი, კიდევ ორ გოგონასთან ერთად, მაკა ზამბახიძეც იყო და მეც მყავდა ჯგუფი. თავიდანვე ერთმანეთში ბევრი საერთო რამ აღმოვაჩინეთ.

**— რატი პროფესიით მოქანდაკეა. ასე კარგად სად ისწავლა სიმღერა?**

— ეს გენების წყალობაა: რატის მამა — ცნობილი კომპოზიტორი, ბატონი ვაჟა დურგლიშვილი გახლავთ. მოგეხსენებათ, გენებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რატის ძალიან ლამაზი ხმის ტემბრი აქვს, მაგრამ მომღერლობაზე სერიოზულად არასდროს უფიქრია. ახლა კი დადგა მის ცხოვრებაში დრო, როცა უკვე სხვანაირად უნდა იფიქროს. მიხვდა, რომ სიმღერა სწორედაც რომ მისი საქმეა.

**— რას იტყვი მასზე, როგორც მეგობარზე?**

— რატი, შეიძლება ითქვას, ჩვენი ოჯახის წევრია. ის ჩემი შვილის — ერთ-ერთი ტყუპისცალის ნათლიაა. ჩემი პატარები ამ დღეებში ტელევიზორს რომ უყურებდნენ, ხვდებოდნენ, რომ რატის თავს რაღაც კარგი ხდებოდა, მაგრამ კონკრეტულად რა, — ამას ჯერ-ჯერობით ვერ აცნობიერებენ. ძალიან უყვარს რატი ჩემს ტყუპს, რადგანაც სუფთა ადამიანია... ეტყობა, ამქვეყნად სამართალი არსებობს და ღმერთმა მასაც გადმოხედა. ძალიან კეთილია. არ მახსოვს, ოდესმე ვინმეზე ცუდი რამ ეთქვას. უყვარს მოხუცების დახმარება, ისინი ძალიან ებრალებიან. მათხოვრების დანახვაზე გული უჩუყდება და ტირის. მათთვის ბოლო თეთრს არ დაინანებს. ის სამაგალითო ოჯახის შვილია, რადგანაც ჰყავს არაჩვეულებრივი მშობლები, რომლებმაც ასეთად აღზარდეს. ჰყავს ძმა — ბექა. ძმები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.



**— შეყვარებული თუ ჰყავს?**

— არა. ცოტა ხნის წინ შეყვარებულს დაშორდა. ამის თქმის უფლებას რატისთან სიახლოვე მაძლევს. ამჟამად მისი გული თავისუფალია — ეს დანამდვილებით ვიცი... ძალიან მახარებს მისი ასეთი წარმატება. ბედნიერება და კიდევ ბევრი სიხარული მინდა ვუსურვო.

**— გამარჯვებაზე თუ ფიქრობდა?**

— კი, მეუბნებოდა, — მაიკო, იქნებ მოხდეს სასწაული და საპრიზო ადგილზე გავიდეთო?!. მე ვეუბნებოდი, — პრიზზე კი არა, კარგად გამოსვლაზე იფიქრე-მეთქი. სასწაული მოხდა და დუეტის ნამღერი არა მარტო ჟიურის, არამედ ყველას მოეწონა. გარეგნულადაც უნაკლოები არიან ჩვენი კონკურსანტები, რომლებმაც ასე გვასახელეს. მინდა, ორივეს მივულოცო გამარჯვება და წარმატებები ვუსურვო.

*იმ დროს, როდესაც იურმალაში გალა-კონცერტისთვის ემზადებოდნენ, ჩვენს კონკურსანტებთან და მათ გულშემატკივრებთან, რომლებიც რატისა და მაკას გვერდიდან არ მოშორებიან და გამუდმებით ამხნევებდნენ, დაკავშირება ვცადე.*

**— ლელა, რას გვეტყვი, როგორი მომღერლები გვყავს?**

**ლელა წურწუმია:**

— რა უნდა ვთქვა იმაზე მეტი, რაც მსოფლიო საზოგადოებამ ტელეეკრანზე საკუთარი თვალით იხილა?!. უზომოდ ნასიამოვნები და გახარებულები ვართ, ცოტა ემოციებისგან დაცლილებიც. ასეთი სიხარული დიდი ხანია, არ განმიცდია. ეს ჩვენი ქვეყნისთვის საოცარი სახელი და გამარჯვებაა!

**— როგორც ვიცი, რატი შენი ბენდის ბექვოკალისტი იყო. როგორ მოხვდა ბენდში?**

— როდესაც ბენდი ჩამოვაყალიბე, ბექვოკალისთვის მაია კაჭკაჭიშვილმა შემომთავაზა რატის კანდიდატურა. ის იმ პერიოდში კლუბ „ტუკანში“ მღეროდა. ახლა რატი მეუბნება, — ერთადერთი ხარ და პირველი მათგან, ვინც საერთოდ, ზედ შემომხედა და დამაფასაო. მართლაც, მომეწონა რატის ნამღერი და ბენდში ავიყვანე. შემ-

დეგ, როდესაც „იმედის ტალღის“ შესარჩევი ტური დაიწყო, მას ვურჩიე, კონკურსში მონაწილეობა მიეღო. ამასთან, „ტუკანში“ ვნახე გოგონა, რომელიც რატისთან ერთად მღეროდა და შევთავაზე, მასთან ერთად მიეღო მონაწილეობა კონკურსში. მართლაც, ისე მოხდა, რომ მათი დუეტი 2007 წლის გრან-პრის მფლობელი გახდა, საუკეთესოდ აღიარეს. მერე უკვე ტელეკომპანია „იმედმა“ გადაწყვიტა, ისინი უფრო ფართო ასპარეზზე გაეყვანა. მაია ყიფიანი მათი პროდიუსერი გახდა და მას „ახალი ტალღის“ კონკურსზე დუეტის გაშვების იდეაც გაუჩნდა... ახლა კი ისინი უკვე ნამდვილი ვარსკვლავები არიან.

**— მართალია, რომ თქვენ მათ გარკვეული თანხა დაახარჯეთ, რათა კონკურსზე ღირსეულად წარმდგარიყვნენ?**

*საუბარში* ***მამულიჩა*** *ჩაერთო:*

— ეს რა სალაპარაკოა?.. ისინი ჩვენი ოჯახის წევრები არიან!.. ბავშვებმა ძალიან გვასიამოვნეს და გაგვახარეს. ემოციებისგან დაცლილები ვართ. ენერგია აღარ მაქვს. მთელი გულით ვგულშემატკივრობდით.

**— ისინი ისევ იმღერებენ თქვენს ბენდში?**

— რას ამბობ? უკვე ვარსკვლავები არიან! ბექვოკალში როგორ ვამღერებ?!.

*შემდეგ კი, როგორც იქნა,* ***მაკა ზამბახიძეც*** *დავიმარტოხელე.*

**— მაკა, გილოცავთ წარმატებას! ადვილი იყო თქვენთვის ამხელა კონკურსის მოგება?**

— რა თქმა უნდა, არა! მაგრამ საოცრება მოხდა — პირველი ადგილი დავიკავეთ! ბოლომდე არ მეგონა, თუ ეს მოხდებოდა... ჩვენი ქულები რომ გამოცხადდა, ყურებს არ ვუჯერებდი, მეგონა, რომ მეჩვენებოდა. ახლაც არ მჯერა, ნუთუ ეს ყველაფერი ჩვენს თავს ხდება?!. ჩვენ გარშემო ყველანი კეთილგანწყობილები არიან. საოცარ პატივისცემასა და ყურადღებას ვგრძნობთ. ყველა გვიღიმის.

**— როგორ ფიქრობთ — ვის არ გაუხარდა თქვენი გამარჯვება?**

— ამის თქმა არ შემიძლია, რადგანაც ასეთები ჩვენ გარშემო არ არიან; ასეთებს ვერ ვხედავ. ამიტომ, მადლობა ყველას!

**— თბილისში რა გეგმებით ბრუნდებით?**

— საოცრად ამაღლებული განწყობილებით და მუშაობისთვის შემართულები.

*P.S. ჟურნალი „გზა“ გულითადად ულოცავს რატისა და მაკას გამარჯვებას და შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს. მათ მართლაც ყველას გულის დაპყრობა შეძლეს.* ■

# ვისი რჩეულია „მის საქართველო 2008“

## ანუ კონკურსის კულუარები

*უკვე მეექვსე წელია, რაც საქართველოში სილამაზის კონკურსი — „მის საქართველო“ იმართება და რომელსაც სააგენტო „იმიჯ-ცენტრი“ უდგას სათავეში. წლეულს, 22 მშვენიერ გოგონას ტრადიციულად, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი მასპინძლობდა. წვიმიანი ამინდის მიუხედავად, თბილისიდან იქ უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი. მათ შორის, ბევრი ცნობილი სახე გახლდათ: ავთო ვარსიმაშვილი, ირინა ონაშვილი, ინგა გრიგოლია, ზალიკო ბერგერი; ბათუმს მოსკოვიდან დათო ხუჯაძე და მისი მეუღლეც ეწვივნენ. მომღერალი რატომღაც, ჟურნალისტებს გაურბოდა და ყველანაირი კომენტარისგან თავს იკავებდა.*

*სილამაზის კონკურსი რვის ნახევარზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ რა თქმა უნდა, „ქართულად“ ანუ ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო. კონკურსს ტელეკომპანია „იმედი“, პირდაპირ ეთერში გადასცემდა, მაყურებელს კი „ესემესების“ საშუალებით „ხალხის სიმპათია“ უნდა გამოეევლინა. „წელს კონკურსში სიახლე შევიტანეთ. საზოგადოებას მივეცით საშუალება, თავად აირჩიოს „ხალხის სიმპათია“, ხოლო „ესემესებით“ შემოსული თანხა მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლს გადაერიცხება“, — აღნიშნა კონკურსის ორგანიზატორმა, ია კიწმარიშვილმა.*

*12-კაციანი ჟიურის თავმჯდომარე მამუკა კიკალიშვილი გახლდათ. 22 გოგონადან არჩევანი საუკეთესოზე უნდა გაკეთებულიყო, ჟიურიმ კი ასეთად 18 წლის ხათუნა სხირტლაძე დაასახელა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია. მისი პარამეტრებია — 84/60/89, სიმაღლე — 177 სანტიმეტრი. „I ვიცე-მის საქართველო“ ლიკა ორჯონიკიძე გახდა, „II ვიცე-მის საქართველო“ — ქრისტინე ძიძიგური, „ვიცე-მის საქართველოს“ ტიტული კი ორმა*

*კონკურსანტმა — თაკო ყენიამ და ანი ჯიქიამ გაინაწილა.*

*სპეციალურად ამ დღისთვის, მოსკოვიდან მომღერალი ირაკლი ფირცხალავა ჩამოვიდა. მან, დედასთან ერთად, კონკურსანტებსა და დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას მეგრული სიმღერა შეუსრულა. კონკურსის დასრულებისთანავე სტუმრებმა „აჭარა მიუზიკჰოლში“ გადაინაცვლეს, სადაც ფირცხალავამ მათ საათნახევრიანი სოლო კონცერტი აჩუქა. მოგვიანებით, კონცერტს დისკოთეკა ჩაენაცვლა, სადაც მომღერლებმაც — ირაკლი ფირცხალავამ, ჯაბა ქარსელაძემ და დათო ხუჯაძემ კარგად იხალისეს...*

*„მის საქართველო 2008“-ის გამარჯვებული 4 ოქტომბერს, „მის მსოფლიოზე“, უკრაინის დედაქალაქ კიევში გაემგზავრება.*

*საფინალო შოუს შემდეგ კონკურსის ორგანიზატორს, ქალბატონ* ***ია კიწმარიშვილს*** *გავესაუბრეთ:*

— შედეგებით ძალიან კმაყოფილი ვარ. კონკურსი საკმაოდ მაღალ დონეზე ანუ ისე ჩატარდა, როგორც დაგეგმილი იყო. წელს გამორჩეულად კარგი გოგონები გვყავდა. I-II ადგილზე გასულ კონკურსანტებზე დიდ იმედებს ვამყარებ. მგონია, რომ მათ წარმატებას საერთაშორისო მასშტაბით უნდა მიაღწიონ.

**— ეი. მოგწონთ „მის საქართველო 2008“?**

— ძალიან. ის არაჩვეულებრივი გოგონაა. გარდა იმისა, რომ შესანიშნავი გარეგნობა აქვს, საკმაოდ განათლებული და ერუდირებულია. ამასთან, ფლობს უცხო ენას და გარკვეული პერიოდი, ამერიკაში ცხოვრობდა. მისთვის მოდელის პროფესიაც არ არის უცხო — ხათუნა „იმიჯ-ცენტრის“ მოდელი გახლავთ. მას უკვე სილამაზის ორ კონკურსში აქვს მონაწილეობა მიღებული და საერთაშორისო კონკურსზეც არის ნამყოფი. ამიტომაც, მაქვს იმედი, რომ იმ ფსიქოლოგიურ წნეხს გაუძლებს, რაც „მის მსოფლიოს“ კონკურსზე, უკრაინის დედაქალაქ კიევში ელის.

**— გასული წლის მსგავსად, „მის საქართველოსთან“ დაკავშირებით რაიმე გაუგებრობა და სკანდალი ხომ არ არის მოსალოდნელი?**

— არა. როგორც უკვე აღვნიშნე, რამდენიმე წელია, „იმიჯ ცენტრის“ მოდელია და არა მარტო მას, არამედ მისი ოჯახის წევრებსაც საკმაოდ კარგად ვიცნობ.

**— ასე კარგად რომ იცნობთ, იქნებ, მის პიროვნულ შტრიხებზეც გაამახვილოთ ყურადღება და გვითხრათ, როგორი გოგონაა?**

— თბილი, ყურადღებიანი, მომთმენი, ხალისიანი და კომუნიკაბელური გოგონაა. აქვს პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობა. ხათუნამ იცის, სად, რა და როგორ ილაპარაკოს. ამასთან, აქვს იდეალური პარამეტრები ანუ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს ყველა ის თვისება და მონაცემი, რაც „მის საქართველოს“ სჭირდება. მთელი მოსამზადებელი პერიოდის მანძილზე, ხათუნა საკუთარ თავზე გულმოდგინედ მუშაობდა, ვარჯიშობდა...

*მოგვიანებით, თავად* ***ხათუნა სხირტლაძესაც*** *ვესაუბრეთ:*

— სიმართლე გითხრათ, გამარჯვებას არ მოველოდი, რადგანაც ძლიერი კონკურენტები მყავდა. მეგონა, გვირგვინის მფლობელი სხვა გახდებოდა, მაგრამ ჩემი სახელი და გვარი რომ გამოაცხადეს, სიხარულისგან ერთი კი შევყვირე, მაგრამ მერე, აღარაფერი მახსოვს.

**— ხათუნა, საქართველოს მეექვსე „მისი“ ხარ. შენს წინამორბედებს თუ იცნობ და საერთოდაც, წინა წლებში ამ კონკურსს თვალყურს თუ ადევნებდი?**

— მე „იმიჯ-ცენტრის“ მოდელი ვარ და შესაბამისად, ნებისმიერ სილამაზის კონკურსს ვადევნებ თვალყურს. ქართველი „მისებიდან“, განსაკუთრებით, მესამე „მის საქართველო“ — სალომე ხელაშვილი მომწონდა.

**— როგორ გგონია, რით განსხვავდები წინამორბედებისგან?**

— ამაზე პასუხის გაცემა მიჭირს. ჯობია, ეს სხვებმა თქვან (*იცინის*).

**— როგორი ცხოვრების სტილი გაქვს, რა გიტაცებს?**

— მიყვარს სპორტი. ცურვასა და ვარჯიშს ჩემს ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია. ალბათ, იცით, რომ პარალელურად, სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობ. საერთოდ, აქტიური ადამიანი გახლავართ.

**— შეყვარებული არ ხარ?**

— არა (*იცინის*).

**— დაუჯერებელია. მგონი, მატყუებ, არა?**

— (*იცინის*)...

**— ეი. არ გვეუბნები, ვისი რჩეული ხარ. კარგი, ის მაინც**

**გვითხარი, როგორი გემოვნება გაქვს და როგორი ბიჭები მოგწონს?**

— მთავარია, მამაკაცს ვუყვარდე, მაფასებდეს და პატივს მცემდეს. რა თქმა უნდა, ადამიანის გარეგნობასაც ვაქცევ ყურადღებას, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი მისი შინაგანი სამყაროა...

**— კარგი, ხათუნა, გილოცავ წარმატებას და გისურვებ, რომ საერთაშორისო კონკურსიდან „მის მსოფლიოს“ გვირგვინით დაბრუნებულიყავი!**



# როგორ ვისვენებთ ქალაქში

**ზაფხულის სიცხისგან თავის დასაღწევად, თბილისის მოსახლეობა უცხოეთის პრესტიჟულ კურორტებს თუ არა, შავი ზღვის სანაპიროს ან, ბოლოს და ბოლოს, სოფელში, ბებია-ბაბუას სტუმრობს. დასასვენებლად ყველა იქ მიდის, სადაც შეუძლია... თბილისის ზღვა ის ადგილია, რომელსაც უსახსრობისა თუ სხვა მიზეზების გამო, ქალაქში დარჩენილი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ხშირად აკითხავს. ვისთვის წარმოადგენს სანაპირო შემოსავლის წყაროს? რატომ მიდიან პლაჟზე გოგონები ბიჭების გარეშე? რით სჯობს თბილისის ზღვის პლაჟზე გარუჯვა საცხოვრებელი კორპუსის სახურავზე მიღებულ ნამზეურს? — ამის შესახებ ჩვენი რესპონდენტებისგან შევიტყობთ.**

## თუ გული გულობს, თბილისის ზღვამეც დაისვენებ

*ეთო ყორღანაშვილი*

**ლიზიკო,** *22 წლის:*

— თუკი თან ბიჭი არ გახლავს, თბილისის ზღვაზე წამოსვლა არ ღირს. შეიძლება, ათასი თავხედი გამოგელაპარაკოს. პლაჟზე ერთი ოხუნჯი მამაკაცი ხელნაკეთი ნივთების გასაყიდად დადის. ხელში სავარაუდოდ, გამადიდებელი მინა უჭირავს და საცურაო კოსტიუმში გამოწყობილ გოგონებს გვათვალიერებს. თან, ბედნიერი ღიმილით, ყველას გასაგონად ამბობს, — აქედან ყველაფერი დიდად ჩანსო!.. ასე სპეციალურად იქცევა. სურს, ყურადღება მიიქციოს და გასაყიდი ნივთები გაასაღოს ანუ ინტრიგას „აგდებს“. სხვათა შორის, ეს მეთოდი ამართლებს, კარგ რეკლამას იკეთებს, მაგრამ ეთიკის ნორმები ავიწყდება: ბუნებრივია, მისი სიტყვების გამო თავს უხერხულად ვგრძნობ... ასეა, როცა ძლიერი სქესის წარმომადგენლები ხედავენ, რომ გოგონები ბიჭების გარეშე სხედან, დიდი გული აქვთ!..

**— მეგობარი ბიჭი არ გყავს, მასთან ერთად რომ მოხვიდე?**

— არა, მაგრამ რომ მყავდეს, აქ მასთან ერთად არ მოვიდოდი. ეგლა მაკლია, თავი „გავიბანძო“ — ყველამ კი არ უნდა გაიგოს, რომ ჩემი გარუჯული სხეული თბილისის ზღვის დამსახურებაა. თუ ვინმე რამეს მკითხავს, ვეტყვი, — სოლარიუმის „ზაგარია“-მეთქი.

**ამასობაში, 20 წლის სოფო შემოგვიერთდა, რომელიც საკუთარ სველ მკლავებს დაეჭვებული ყნოსავდა და თან, წუწუნებდა:**

— რა ბინძური წყალია! მგონი, სუნი ამდის, ფუ!.. რა ვქნა, სახლში როგორ წავიდე? „მარშრუტკაში“ სუნიანი ხომ არ ავალ?

**— შორს ცხოვრობ?**

— უფ!.. ფონიჭალაში.

**— აქ პირველად ხარ?**

— არა, პირველად ორი წლის წინ ვიყავი: მეგობრებმა ნაპირზე კარგი ადგილი შემირჩიეს — სიმყუდროვეა და ზღვის წყალიც შედარებით სუფთაა. მათი რეკომენდაცია სიცრუე აღმოჩნდა — რა სიმყუდროვე, რის სუფთა წყალი?! თავზე ვიღაც ძვალმსხვილი ძიაკაცი დაგვადგა, შავი ტრუსის ამარა ზღვაში შეტანტალდა და უზარმაზარი საპონი „დააძრო“, მერე კი მას ტანზე ისე ენერგიულად ისვამდა, რომ ტალღები აზვირთდა და აქაფდა. ერთი სიტყვით, ის კაცი კარგად „გაიღვრიჭა“ და როცა დაბანას მორჩა, თავისი გზით წავიდა. სამაგიეროდ, ბიჭები მოვიდნენ — მგონი, ლტოლვილები იყვნენ და აქვე ცხოვრობდნენ. მათ უაზრო ლაპარაკი დაგვიწყეს — თავიანთი ჭკუით, ფლირტის გაბმას ცდილობდნენ. მართალია, საუბარში არ ავყევით, მაგრამ მაინც, ძლივს მოვიშორეთ. ის იყო, ბიჭებმა თავი დაგვანებეს, რომ ვიღაც კაცები მოვიდნენ, ჩვენ გვერდით დასხდნენ და ქეიფი გააჩაღეს, რამდენჯერმე ჩვენც მიგვიპატიჟეს. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარით. ერთიორი ჭიქა რომ დალიეს, „ახიპიშდნენ“

და ერთმანეთს დაერივნენ. ერთმა კაცმა ხის პატარა სკამი ზღვაში მთელი ძალით მოისროლა. ამ დროს ჩემი დაქალი წყალში ცურავდა და სკამი კინაღამ თავში მოხვდა... იმ ამბების მერე, აქეთ გამოხედვაც აღარ მინდოდა.

— **მიუხედავად ამისა, მაინც მოხვედი...**

— ლიზიკო არ მასვენებდა, ყოველდღე მირეკავდა და მეუბნებოდა: როდემდე უნდა იარო თოვლის ფიფქივით თეთრმა? წამოდი, გაირუჯეო! ზღვა ძალიანაა დაბინძურებული, მაგრამ ვერ მოვითმინე და წყალში მაინც შევედი — ცურვა ძალიან მიყვარს! ჰოდა, მე უბედურმა თუ რაიმე დაავადება „ავიკიდე", ღირსი ვიქნები.

— **ამ ზაფხულს დასასვენებლად არსად მიდიხარ?**

— ჯერჯერობით, არა... წინათ, როცა ფული მქონდა, დასასვენებლად წასვლას იმიტომ ვერ ვახერხებდი, რომ ყოველდღე ვმუშაობდი და თავისუფალი დრო თითქმის არ მრჩებოდა, მერე კი მაღაზია, რომელშიც ვმუშაობდი, დახურეს. ახლა უამრავი თავისუფალი დრო მაქვს, სამაგიეროდ, დასასვენებლად წასვლისთვის საჭირო თანხა ვერ შევაგროვე.

**ლიზიკო:**

— ეჰ, სიამოვნებით დავისვენებდი, მაგრამ ერთი თვის წინ ტელევიზიაში, სტაჟიორად დავიწყე მუშაობა და ამ საქმეს ხომ არ მივატოვებ?! ჩემი დეიდაშვილები ახალციხის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობენ. ყოველდღე მირეკავენ და თავისთან მეპატიჟებიან. უარის თქმა ძნელია, მაგრამ რას ვიზამ? არადა, მთელი წლის განმავლობაში მეხვეწებოდნენ, — ამ ზაფხულს ჩვენთან წამოდი, კარგ დროს გაგატარებინებთო. ახალციხეში გასულ ზაფხულს ვიყავი და მაგარი „დაზაგრული" ჩამოვედი!..

**სოფო:**

— ყანაში „კუპალნიკებით" დადიოდა...

**ლიზიკო:**

— ყანაში საერთოდ არ ვყოფილვარ!

— **სოფელში როგორ ერთობოდი?**

— ძალიან მაგრად ვერთობოდი, დედას გეფიცები. სახლიდან დილით რომ გავიდოდით, გვიან ღამემდე აღარ ვბრუნდებოდით. იქ რა სასიამოვნო სიგრილეა, იცი? ზოგჯერ ისე მციოდა, ბიძაჩემის ჯემპრს ვიცვამდი. სოფელს კლუბი ჰქონდა — ხუმრობით სოფლის დისკოთეკას ვეძახდი, მაგრამ არავის სწყინდა. ამ კლუბში მუსიკალური ცენტრი ჰქონდათ, სიმღერებს ჩემი გემოვნებით რთავდნენ და ცეკვავდნენ — მთელ სოფელს რამშტაინის მუსიკაზე ვახტუნავებდი...

*7 წლის ბესომ და 6 წლის მათემ ზღვაში ცურვით გული რომ იჯერეს, ნაპირზე გამოვიდნენ, პლასტმასის ბოთლები (რომელთა მოძებნაც ნამდვილად არ გასჭირვებიათ) ქვებზე დააწყვეს და წყლის სათამაშო თოფებით მათ წაქცევას ცდილობდნენ. ახალგაზრდა გოგონას (როგორც შემდეგ გავარკვიე, ბესოს მამიდის) შენიშვნას — ნუ ცელქობთო, ყურადღებას არ აქცევდნენ. ბესომ გამიმხილა: მათე თავისი ბავშვური(?) საქციელით მარცხვენს — სახურავზე გასარუჯავად ასულ ტიტველ გოგონებს ჩუმად უთვალთვალებსო...*

**მათე:**

— პირველად თვითონ მითხრა, — „კრიშაზე" გოგონები წვანანო.

**ბესო:**

— ჩვენს საცხოვრებელ კორპუსში ლიფტი გაფუჭებულია. მათე გვერდითა სადარბაზოში ცხოვრობს. როცა მასთან სტუმრობა მინდა, დაბლიდან ასვლა მეზარება და სახურავიდან გადავდივარ ხოლმე. გოგონებიც შემთხვევით დავინახე და ამის შესახებ მათეს ვუთხარი...

— **გოგონებმაც დაგინახეს?**

— დიახ. მაშინვე წამოხტნენ და „მაიკები" ჩამოიწიეს. გამაფრთხილეს, — აქ რომ გვნახე, არავის უთხრა და საღამოს ნაყინს გიყიდითო. მათეს გარდა, არავისთვის არაფერი მითქვამს, ეს შტერი კი სახურავზე ყოველდღე ადის და „ჟეშტს" ამოფარებული გოგონებს უთვალთვალებს!

*სახურავზე გარუჯვა არც ბესოს მამიდის — 21 წლის თეასთვის ყოფილა უცხო ხილი:*

— როცა გარუჯული ვარ, საკუთარი თავი უფრო ლამაზი მგონია, უფრო თავდაჯერებული ვხდები და კბილებიც შედარებით თეთრი მიჩანს (*იცინის*)... სხვათა შორის, „ზაგარი" კანის ბევრ ნაკლს ფარავს. დედაჩემი სულ მეჩხუბება: არ გაშავდე, ქალს სითეთრე უხდებაო! მე თუ მკითხავ, გარუჯული სხეული ძალიან სექსუალურია. ყოფილა შემთხვევა, რომ „დასაზაგრად" სახლის სახურავზეც ავსულვარ და სიცხისგან ლამის გული შემწუხებია. თბილისის ზღვაზე ამიტომ მოვდივარ — თუ ძალიან დამცხა, წყალში შევალ. მართალია, ზღვა დაბინძურებულია, მაგრამ სახლში რომ დავბრუნდები, ხომ დავიბან და რა პრობლემაა? ზაფხულობით ძირითადად, ქობულეთში მივდივარ, მაგრამ წელს ამას ვერ ვახერხებ.

— **რატომ?**

— როცა დასასვენებლად მივდივარ, მშობლები მაფინანსებენ, მაგრამ ახლა ჩემთვის არ სცალიათ — სახლში სააბაზანოს ვარემონტებთ...

*მოგეხსენებათ, ზღვაში ცურვის შემ-*



*დეგ ადამიანი ჭამის მადაზე მოდის. თუ შიმშილის გრძნობა იმდენად შემაწუხებელი გახდება, რომ კაფეში მისვლამდე ვეღარ მოითმენთ, დანაყრება პლაჟზევე შეგიძლიათ.*

— ქადები, „სემიჩკა“, მიწის თხილიიი!.. — *გამყიდველ ქალზე კარგად გარუჯული სხეული არავის ჰქონდა, მთელი პლაჟის მასშტაბით.*

— მიწის თხილი მომეცით, — *მადა გაეხსნა ერთ ბიჭს.*

— უი, შვილო, მიწის თხილი რომ არ მაქვს? — *შეწუხდა ქალი.* — სულ გავყიდე.

— აბა, რაღას გაჰყვირი? — *გაბრაზდა ბიჭი.*

— რავი, შვილო, ასე ძახილს დაჩვეული ვარ. ეჰ, კიდევ კარგად ვაზროვნებ, მე საცოდავი... — *ამოიოხრა გამყიდველმა და ერთი ტონით ხმამაღლა გააგრძელა:*

— ქადები, „სემიჩკა“, მიწ... ქადები, „სემიჩკაააა“!..

*გადავწყვიტე, გამყიდველ ქალს გამოვლაპარაკებოდი:*

— **აქ ყოველდღე ვაჭრობთ?**

— არ მეტყობა? ყველაზე მაგარი „ზაგარი“ მე მაქვს.

— **კარგი შემოსავალი გაქვთ?**

— არა, შვილო, ერთ-ორ „კაპიკს“ ვშოულობ, სახლში პურის ფული მიმაქვს. აბა, რა ვქნა, როგორ ვარჩინო შვილები და საკუთარი თავიც? ახლა ბავშვები სოფელში გავუშვი, მე კი დასასვენებელად ვერ ვიცლი. ყოველდღე თუ არ ვივაჭრე, ვინ მარჩენს? ჩემი პატრონი არავინაა. შემოდგომით სწავლა იწყება, ბავშვებს სკოლაში წასასვლელად ტანსაცმელი, წიგნები სჭირდებათ... გასაყიდ საქონელს „ვაგზალზეც“ დავატარებდი, „მარშრუტკის“ მგზავრებს შორის ვყიდდი... ქმარი ოთხი წლის წინ გარდამეცვალა და მას შემდეგ ასე ვწვალობ. ზოგჯერ, „ტავარის“ საყიდლად ფული არ მრჩება და გასაყიდად წყალს დავატარებ.

— **ნათესავები არ გეხმარებიან?**

— ნათესავები აქეთ შემომყურებენ ხელებში, ყველას თავისი გასაჭირი აქვს, ჩემზე არავინ დარდობს. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ზღვაზე უამრავი ხალხი მოდის, ბევრს ვერაფერს ვყიდი.

— **მიწის თხილი სულ გაგიყიდიათ...**

— გუშინ კარგად ვერ ვივაჭრე — რაც გასაყიდი დამრჩა, ის მიწის თხილი გავასაღე. რას იზამ, ხალხს ფული რომ ჰქონდეს, აქ კი არ მოვიდოდა.

*მოკლედ, ფაქტია, რომ თბილისის ზღვის სანაპიროზე ყოველთვის ხალხმრავლობაა. მართალია, არც ზღვის წყალია სუფთა და არც — ნაპირი, მაგრამ — თუ გული გულობსო, — ხომ გაგიგონიათ?!. ჰოდა, რადგან გული გულობს, პლაჟზე ადამიანებთან ერთად „მშვიდად ირუჯებიან“: პლასტმასის ბოთლები, ხილის ნარჩენები, ნაყინის ქაღალდები, შოკოლადის ქაღალდები და საერთოდ, ქაღალდები...* ■



# „მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ ქართველები ნიჭიერი ერი ვართ“

## „წლევანდელი „მის საქართველო“ დანარჩენებისგან არაფრით განსხვავდებოდა“

**მართალია, საზოგადოებას ყველაზე მეტად ისევ და ისევ, კონფლიქტურ რეგიონებში არსებული დაძაბული მდგომარეობა აშფოთებს, მაგრამ გასულ კვირას, იურმალის ფესტივალზე ჯგუფმა „ჯორჯიამ“ ისეთი ამბები დაატრიალა, რომ მთელი საქართველო მის წევრებზე — რატი დურგლიშვილსა და მაკა ზამბახიძეზე ალაპარაკდა. გარდა ამისა, საზოგადოებამ კვირის მნიშვნელოვან მოვლენად კონკურსის — „მის საქართველოს“ ჩატარებაც დაასახელა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი შედეგით ხალხი არცთუ ისე კმაყოფილია...**

**ნათია ქივიძე**

**ალექსანდრე ადეიშვილი,** *პენსიონერი, 66 წლის:*

— მოკლედ, რუსების თავხედობას საზღვარი არ აქვს. ისინი ორი მხრიდან — ცხინვალიდან და აფხაზეთიდან ცეცხლს გვიხსნიან, მაგრამ მსოფლიოს გასაგონად, ხმამაღლა აცხადებენ, რომ სროლა ქართულმა მხარემ დაიწყო და მათაც საპასუხო ცეცხლი გახსნეს. არ მესმის, ამით რის მიღწევას ცდილობენ. თან, იმასაც აღნიშნავენ, რომ თითქოს, საქართველოსთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ, სინამდვილეში კი, ფაქტობრივად, ქვეყანაში ომია დაწყებული. უბრალოდ, ამას ოფიციალურად არ აცხადებენ... იურმალაში ქართველების გამარჯვებამ ძალიან გამახარა. მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად ღირსეული წარმომადგენლები გვყავდა, გამარჯვებაში მაინც ეჭვი მეპარებოდა. მეგონა, რუსები რუს გოგონაზე წინ ქართველებს არ დაყენებდნენ და საპრიზო ადგილს არ დაუთმობდნენ. საბედნიეროდ, რუსეთ-საქართველოს შორის არსებულმა დაძაბულმა ურთიერთობამ ამ კონკურსზე გავლენა ვერ მოახდინა და ჩვენი ბავშვები ყველაზე ნიჭიერებად აღიარეს. როგორც იქნა, ქართველებმა კიდევ ერთი გამარჯვება ვიგემეთ და ეს ძალზე სასიამოვნო ფაქტია...

**ნანა ბასილაშვილი,** *დიასახლისი, 36 წლის:*

— აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ აფხაზეთში მომხდარი აფეთქების შედეგად 4 ადამიანი დაშავდა, ცხინვალში კი სროლა არ წყდება და ერთი ავტომანქანა იქაც ააფეთქეს. ამ ყველაფერს ისიც დაერთო, რომ ორ დღეში, ერთმანეთის მიყოლებით, ჯერ ერთ ბიჭს აუფეთქდა ხელყუმბარა (რაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა), მერე კი საგარეჯოში მცხოვრებ გოგონას, რის შედეგადაც, მას ფეხების ამპუტაცია დასჭირდა. მგონი, ქართველები დაწყევლილები ვართ. ამ ბოლო დროს სულ ცუდი ამბები ხდება. ერთადერთი სასიხარულო ფაქტი დუეტ „ჯორჯიას“ გამარჯვება გახლდათ. რატი და მაკა მართლაც, საკმაოდ ნიჭიერი ბავშვები არიან. მათ ვუსურვებ, რომ საკუთარი ნიჭის გამოვლენის საშუალება მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჰქონდეთ!

**ელენე ახალაია,** *ექთანი, 53 წლის:*

— გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენად ბასილ მკალავიშვილის გათავისუფლება მიმაჩნია. მართალია, ამ მოძღვარს ბევრ რამეში მეც არ ვეთანხმები, მაგრამ მგონია, რომ მისი ციხეში გამოკეტვა, თანაც, 6 წლით, არ შეიძლებოდა, ღმერთი ამას არ გვაპატიებს. ჩვენ არავის განსჯის უფლება არ გვაქვს, მით უფრო — მოძღვრის... გარდა ამისა, ძალზე მაწუხებს აფხაზეთსა და ცხინვალში მიმდინარე მოვლენები. სროლა და აფეთქება არც ერთი მხრიდან არ წყდება. ფაქტობრივად, ჩვენს ქვეყანაში ომი მიმდინარეობს, მაგრამ ამაზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს. ძალიან გამახარა ჯგუფ „ჯორჯიას“ წარმატებამ. ეს მხოლოდ მე კი არა, მთელ საქართველოს უხარია. სადაც არ უნდა წავიდე — მაღაზიაში, სამსახურში თუ ქუჩაში, ყველგან მათი სახელები მესმის. ღმერთს ვთხოვ, რომ რატი დურგლიშვილი და მაკა ზამბახიძე მთელი ცხოვრება ასეთი წარმატებულები იყვნენ...

**ლაშა აბესაძე,** *იურისტი, 24 წლის:*

— პოლიტიკა არ მაინტერესებს და მასში ვერც ვერკვევი. ყველაზე მნიშვნელოვანი ქართველების იურმალაში გამარჯვება და ახალი „მის საქართველოს“ გამოვლენა გახლდათ. დუეტი „ჯორჯია“ ძალიან მომწონს და დარწმუნებული ვარ, მისი წევრებით ყველა ქართველი ამაყობს. სამწუხაროდ, ამას „მის საქართველოზე“ ვერ ვიტყვი. წელს განსაკუთრებულად ცუდი გოგონები ჰყავდათ. ერთ-ერთი მათგანი, სხვებთან შედარებით, საუკეთესოდ გამოიყურებოდა. ჰოდა, სწორედ მას ვგულშემატკივრობდი. საბედნიეროდ, „ვიცე-მისის“ ტიტული მაინც მოიპოვა. წლევანდელი „მის საქართველო“ დანარჩენებისგან არაფრით განსხვავდებოდა. ის გოგონა ქუჩაში რომ შემხვედროდა, თვალსაც არ გავაყოლებდი. არავის ვწყევლი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ქართველები „მის მსოფლიოზე“ წელსაც ვერანაირ წარმატებას ვერ მივაღწევთ...

**გიორგი გოჩაშვილი,** *ბიზნესმენი, 46 წლის:*

— აღმაშფოთა საბერძნეთში მომხდარმა ფაქტმა — ქართველმა ბიჭმა ცნობილი ბერძენი მსახიობი რომ მოკლა. თურმე, იმ ბერძენს მისთვის სექსუალური კავშირის დამყარება შეუთავაზებია და თან, დანით დამუქრებია, — უარს თუ მეტყვი, მოგკლავო. ქართველს მისთვის იარაღი წაურთმევია და მოუკლავს. ადამიანია მკვდარი და როგორ ვთქვა, ჩვენი თანამემამულე კარგად მოიქცა-მეთქი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იმ ბიჭის ადგილას ნებისმიერი ქართველი მამაკაცი რომ ყოფილიყო, ასეთ შეურაცხყოფას ვერ მოითმენდა და შეიძლება, ბერძენი არ მოეკლა, მაგრამ ცხვირ-პირს კარგად ამოუნაყავდა. მართალია, ქართველ ბიჭს საშინელი შეურაცხყოფა მიაყენეს, მაგრამ ეს მკვლელობას და თანაც, ადამიანისთვის 21 ჭრილობის მიყენების ფაქტს არ ამართლებს...

**ნათია კიკალიშვილი,** *ეკონომისტი, 27 წლის:*

— დუეტ „ჯორჯიის“ გამარჯვებამ ძალიან გამახარა. მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ ქართველები ნიჭიერი ერი ვართ. იტალიელი და რუსი (ირისი) კონკურსანტები საკმაოდ ძლიერები იყვნენ, მაგრამ ქართველებმა ყველას აჯობეს. იმედი მაქვს, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ამ ფაქტს უყურადღებოდ არ დატოვებენ და რატისა და მაკას სათანადოდ დაუფასებენ... „მის საქართველოს“ კონკურსიც საკმაოდ საინტერესო სანახავი იყო, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ რატომღაც, მისმა ორგანიზატორებმა კარგი შოუ ვერც ერთ წელიწადს ვერ გვიჩვენეს. გარდა ამისა, ღირსეული „მის საქართველო“ ვერასდროს შევარჩიეთ. ყოველთვის ისეთი გოგონები იმარჯვებენ, რომელთაც კონკურსის მიმდინარეობისას ვერც შეამჩნევ... ■

# აგვისტო საუცხოო თვეა დასასვენებლად ზღვაზეც და მთაშიც...

**წლევანდელი ზაფხული საკმაოდ რბილად დაიწყო: ალბათ გახსოვთ — ივნისი გრილი იყო და არც ივლისის პირველ ნახევარში შევუწუხებივართ სიცხეს. აი, მეორე ნახევრიდან კი, იოცხლე, შემოგვიტია...**

**ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, რა გველის აგვისტოში. ამის დასადგენად და თქვენთვის გასაზიარებლად, სინოპტიკოსებს ვესტუმრეთ. ჩვენს შეკითხვებზე პასუხები ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების ბიუროს უფროსმა სვეტლანა ციორაძემ გაგვცა.**

**— ქალბატონო სვეტლანა, ასეთი სიცხე როდემდე გაგრძელდება?**

— ჩვენი მონაცემებით, აგვისტოშიც გაგრძელდება. ჰაერის საშუალო ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობსა და აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, +23, +26-ია მოსალოდნელი, რაც 2 გრადუსით მაღალია საშუალო მრავალწლიურ მაჩვენებელზე. ცალკეულ პერიოდებში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება: ღამით, +17 გრადუსამდე და ასევე, ცალკეულ პერიოდებში — მომატება — დღისით, +40 გრადუსამდე. ნალექების რაოდენობა საშუალო მრავალწლიურ მაჩვენებელზე მეტია მოსალოდნელი.

**— რას ურჩევდით მათ, ვინც დასასვენებლად გამგზავრებას აპირებს? საამისოდ ყველაზე იდეალური პერიოდი რომელია?**

— გააჩნია, ვისთვის: ახალგაზრდებისთვის, ვისაც გარუჯვა უყვარს, აგვისტოა იდეალური, ხოლო ბავშვებისთვის — სექტემბერ-ოქტომბერი, როცა მზე ნაკლებად აჭერს. ვისაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავს, უმჯობესია, მთას მიაშუროს, ხოლო თინეიჯერებს მაინც ზღვისკენ მიუწევს გული, რას სავსებით გასაგებია.

**— დღეს ბევრი ქართველი უკვე საზღვარგარეთის კურორტებზე ისვენებს. როგორი ამინდებია ნავარაუდები საქართველოს ფარგლებს გარეთ?**

— თურქეთში ამჟამად, ბრწყინვალე პერიოდია დასასვენებლად. ხმელთაშუა ზღვაზე ნაკლებად მოსალოდნელია ნალექები.

**— დაბოლოს: მოარული ხმებით, სექტემბერშიც მაღალი სიცხეებია მოსალოდნელი. ადასტურებთ თუ არა ამ პროგნოზს?**

— არა, ეს ჭორია. არანაირ ჭორს არ დაუჯეროთ, არც ერთი მსგავსი ხმა არ გამართლდა: მაგალითად, ივლისში ტროპიკულ სიცხეებს ვარაუდობდნენ, მაგრამ როგორც ხედავთ, ჩვეულებრივი ცხელი საზაფხულო ამინდია. რაც შეეხება სექტემბერს, — სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ამ თვის პროგნოზი არ გვაქვს, ამიტომ წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ■

ინტერბიზნესაკადემია
AiB
INTERBUSINESSACADEMY
ინტერბიზნესის აკადემია
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ლიცენზირებული ინტერბიზნესის აკადემია აცხადებს მიღებას 2008-2009 სასწავლო წლისათვის უმაღლესი პროფესიული, ბაკალავრისა და მაგისტრატურის I პერსონა.
აკადემია ფუნქციონირებს 1992 წლიდან და მასში გაერთიანებულია ბიზნესის, ეკონომიკის, სამართლის, მედიცინის, ხელოვნებისა და სხვა ფაკულტეტები.
ინტერბიზნესის აკადემიის დიპლომი აღიარებულია მსოფლიოს 102 სახელმწიფოს მიერ.
მის: თბილისი, გურამიშვილის გამზ: 66 დ
ტელ: 605 423, 615 423
სრული ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით

ლალი ფაცია

ჟურნალისტი – ლალი მოროშკინა
რესპონდენტი – მარინა სალუქვაძე

# ლალი მოროშკინამ მეგობარი მამაკაცი „ოღნოკლასნიკებში“ გაიცნო

**ისინი ბავშვობის მეგობრები არიან. ამბობენ, რომ სკოლაში პარალელურ კლასებში სწავლობდნენ. ერთმანეთს თვალდასუჭული ენდობიან, რადგანაც მათი ურთიერთობა წლებმა გამოცადა. რაღაცით ჰგვანან კიდეც ერთმანეთს, ბევრი რამ აქვთ საერთო. სხვათა შორის, მათი ახლობლობა ნათელ-მირონითაცაა განმტკიცებული: მარინა სალუქვაძე ლალი მოროშკინას უფროსი ვაჟის ნათლიაა... როგორც ამბობენ, შვილებიც ერთად გაზარდეს. ცოტა ხანში, სწორედ შვილებთან ერთად, დასასვენებლად ზღვაზე მიდიან და ამისათვის საგულდაგულოდ ემზადებიან კიდეც. ჩვენს რუბრიკაში ამ ქალბატონების საუბარი, ცოტა არ იყოს, უჩვეულოდ დიწყო...**

# რატომ არ მოსწონს მარინა სალუქვაძეს ასაკით უმცროსი მამაკაცები

**— ნეტავ, რა კითხვა უნდა დაგისვა ადამიანს, რომელსაც 5-6 წლის ასაკიდან გიცნობ? შენი ხმის ინტონაციის მიხედვით ვხვდები, თუ როგორ ხასიათზე ხარ და რა ხდება შენს ცხოვრებაში... „ტაბუს“ თემების მიხედვით, შემეძლო, შენი იმუამინდელი განწყობილება დამედგინა...**

— როდესაც გადაცემაში მქონდა თემა — „სექსი და მუსიკა“, საინტერესოა, ამით რას მიხვდი?

**— ეი. იმ მომენტში ერთიც გინდოდა და მეორეც (იცინიან)...**

— იქნებ, მე კი არა, ხალხს აკლია სექსიც, მუსიკაც და ამ თემაზე გადაცემა ამიტომაც მოვამზადე?

**— საქართველოში ადამიანებს თვალებზე ეტყობათ, რომ სექსის დეფიციტს განიცდიან. მათ ზოგადად, რომანტიკა აკლიათ. ისე, სექსი შენც რომ გინდოდეს, ამაში ცუდი რა არის?! საინტერესოა, ახლა, ამწუთას გადაცემას რა თემაზე მოამზადებდი?**

— ალბათ, სექსსა და მუსიკას დავუმატებდი ზღვას, რადგანაც ის ძალიან მიყვარს... თან, ცოტა ხანში, ჩვენ ხომ შვილებთან ერთად, დასასვენებლად ზღვაზე მივდივართ, რათა დადებითი ენერგიით მაქსიმალურად ავივსოთ. ეს ორივეს გვჭირდება, რადგანაც რთული წელი გველის.

**— მომზადებული გადაცემებიდან, შენთვის რომელი იყო ყველაზე მძიმე და რომელ თემაზე გააგრძელებდი მუშაობას?**

— ეს არის ტყუილზე მომზადებული გადაცემა. ტყუილი არსებობს პროფესიაში, ურთიერთობაში, ხელოვნებაში. ხშირად, ჩვენდა უნებურად, ტყუილში ვცხოვრობთ: ვიტყუებით, თავს ვიტყუებთ ან გვატყუებენ და სწორედ ეს არის ყველაზე ცუდი რამ, რაც შეიძლება, ადამიანმა მოიმოქმედოს.

**— როგორც „ტაბუს“ მაყურებელს, შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ გადაცემის პრინციპი ასეთი იყო — წამყვანი ანუ შენ, დაჩაგრული და დავრდომილი ადამიანის მხარეს უნდა ყოფილიყავი. ასეა?**

— საერთოდ, ცხოვრებაში წუწუნასა და საცოდავს პატივს არ ვცემ! შესაბამისად, დაჩაგრულებისა და დავრდომილების მხარეს არასდროს ვარ ანუ სუსტები არ მეცოდებიან. არ მინდა, ვინმეს ვებრალებოდე. ჩემი აზრით, თუ ადამიანი გქვია, ძლიერი უნდა იყო. საკუთარ თავში ყველამ უნდა იპოვოს იმის ძალა და უნარი, რომ ნებისმიერ პრობლემას თავად გაუმკლავდეს. ხომ იცი, ეს ჩემი პრინციპია და ყოველთვის ყველას ამას მოვუწოდებ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ ადამიანი სისუსტეს გამოიჩენს, გვერდით არ დავუდგები. უგულო ნამდვილად არ ვარ...

**— მითხარი, მამაკაცს რას არ აპატიებ?**

— სიძუნწეს. ეს ყველაზე საშინელი თვისებაა და ამასთანავე, დამღუპველიც.

**— მარინა, „ტაბუმ“ ძალიან პოპულარული გაგხადა. კარგად ვიცი, რომ ხალხის სიყვარულს, მაყურებლის დაფასებას ვერაფრით იყიდი... შენ ყველგან გცნობენ, მაგრამ მეჩვენება, რომ არხს, სადაც მუშაობდი, სათანადოდ არ გაუპიარებიხარ. ამასთან, გადაცემაში არ გქონდა კარგი დეკორაცია, განათება, შენთვის სამოსი უფასოდ და უსასყიდლოდ არავის მოუცია. ვფიქრობ, „ტაბუ“ მხოლოდ შენი და იმ ჯგუფის ხარჯზე არსებობდა, რომელთან ერთადაც მუშაობდი.**

— ამ გადაცემაზე მუშაობა რომ დავიწყე, მაშინ ცნობილი სახე არ ვიყავი. როცა „ტაბუს“ შექმნის იდეა გამიჩნდა, ჩემი დირექტორი — ზაზა თანანაშვილი მხარში ამომიდგა და რომ არა ის, გადაცემა ეთერში ვერ გავიდოდა. მახსოვს, როცა შოუ ეთერში პირველად გავიდა, მუხლები ამიკანკალდა, საშინლად ვღელავდი. მერე თანდათანობით დავიხვეწე და როგორც წამყვანი, პროფესიულად გავიზარდე. ამრიგად, ხელმძღვანელის სურვილი იყო, რომ ასეთი შოუ ეთერში გასულიყო, ეარსება და ამიტომაც, სამი წლის განმავლობაში სატელევიზიო სივრცეში მუშაობის საშუალებაც მომცეს. რაც შეეხება კარგ სტუდიას და დეკორაციას, ეს მეც მინდოდა მქონოდა, მაგრამ არა უშავს, ყველაფერი წინაა.

**— შენი გადაცემებით მართლაც ახსენ ტაბუ ისეთ თემებს, როგორიცაა: ჰომოსექსუალიზმი, სატანიზმი, მკითხაობა, ჯადო და ა.შ. ჩემი აზრით, ეს გადაცემა არ უნდა დაიკარგოს, რადგანაც ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ ბევრი ტაბუა ასახსნელი. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა საზოგადოებამ, შენთან ერთად, ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგა.**

— მადლობა ასეთი შეფასებისთვის, მაგრამ ამ გადაცემის ფორმატი მართლა შესაცვლელი იყო. საერთოდ, ნებისმიერი გადაცემა, თუ ის არ განახლდა, მოსაბეზრებელი ხდება. ჩვენი ტელეკომპანია ფორმატს იცვლის და ოქტომბრის ბოლოდან სრულიად ახალ ტელევიზიად მოგვევლინება. ვნახოთ, შეიძლება, „ტაბუ“ ისევ დარჩეს, მაგრამ იყოს სრულიად სხვა სახის. ამას წინათ ხელმძღვანელობამ დამიბარა და მთხოვა, ვიფიქრო ახალ პროექტზე, მერე კი ამ შეთავაზებული პროექტის ირგვლივ სოციოლოგიური სამსახური კვლევას ჩაატარებს და თუ ის მაყურებლისთვის საინტერესო აღმოჩნდება, მასზე მუშაობას თავდაუზოგავად შევუდგები.

**— მარინა, შენს ქალიშვილს ტელევიზიაში სამსახურის დაწყებას თუ ურჩევ?**

— რატომღაც მგონია, რომ სატელევიზიო საქმიანობა ძლიერი ხალხის საქმეა. ჩვენ შვილები ერთად გავზარდეთ და მშვენივრად იცი, რომ ისინი, მათი თაობის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ზედმეტად ზრდი-

ლობიანები, თავშეკავებულები და მოკრძალებულები არიან. რაც შეეხება ჩემს ქალიშვილს, ის თეატრალურ უნივერსიტეტში, იმავე ფაკულტეტზე სწავლობდა, რომელიც მე დავამთავრე და გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ეს ის კინოფაკულტეტი აღარ გახლდათ, სადაც მე ვსწავლობდი. ჩემი აზრით, თათამ იმ ოთხი წლის მანძილზე, რომელიც „თეატრალურში“ გაატარა, დრო ტყუილად დაკარგა, რადგან მას იქ არანაირი განათლება არ მიუღია. სანამ მათ ჯგუფს ხელმძღვანელად ბასა ფოცხიშვილი ჰყავდა, არა უშავდათ, მაგრამ მერე, ისინი ბასამაც მიატოვა და... თათას რომ არ ჰყოლოდა დედა, რომელიც ტელევიზიის თანამშრომელია და დედის მეგობრები, რომლებმაც მონტაჟი იციან და კამერას ფლობენ, ალბათ, საკურსო ფილმსაც ვერ გადაიღებდა. ამიტომაც, ჩემი შვილი ფიქრობს, რომ ტელესაქმიანობაში დრო არ უნდა დაკარგოს.

**— გეთანხმები, თათასნაირი ბუნების ადამიანს ტელევიზიაში მუშაობა გაუჭირდება... მარინა, მგონი, ასაკთან ერთად, გემოვნებაც გეცვლება. იქნებ მითხრა, როგორია შენი გემოვნების მამაკაცი?**

— ჩემთვის მამაკაცის გარეგნობას მნიშვნელობა არ აქვს. ის უბრალოდ, რაინდი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემ გვერდით არ იქნება!..

**— მგონი, ახლა ის დროა, როცა კითხვები შენ უნდა დამისვა.**

## ჟურნალისტი – მარინა სალუქვაძე
## რესპონდენტი – ლალი მოროშკინა

**— ლალი, უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი ხარ და საკმაოდ ძლიერიც, დაახლოებით ისეთი, ქვიდან წყლის გამოდენა რომ შეუძლია. ნებისმიერი კომპანია იამაყებდა შენით, მაგრამ რაღაც, ხანგრძლივი პაუზა გამოგივიდა. რას აპირებ, რატომ არ მუშაობ?**

— კარგად იცი, რომ მძიმე ავარიის შემდეგ, ფეხზე დადგომა ძალიან გამიჭირდა. ფაქტობრივად, სიცოცხლე ხელახლა დავიწყე, რადგანაც ლამის მთელი ხერხემალი დამტვრეული მქონდა, მაგრამ როგორც 100%-იან ოპტიმისტს შეეფერება, ფეხზე მაინც დავდექი. ამის მერე გული იმან დამწყვიტა, რაც „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ დაკავშირებით მოხდა. ყველა რეიტინგში თითქოს პირველი ვიყავი და ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი საბუთები გააქრეს და მითხრეს, — სად იყო თქვენი საბუთებიო?.. მოკლედ, ავტოკატასტროფის შედეგად მიღებული შოკიდან გამოვედი თუ არა, ასეთი შეურაცხყოფის შემდეგ კვლავ შოკში ჩავვარდი და ამან ჩემზე ძალიან იმოქმედა. ამ მიზეზების გამო მართლაც, ბევრ რამეს ჩამოვრჩი. ამიტომ მირჩევნია, კარგ წინადადებას დაველოდო. ახლა რამდენიმე კომპანიასთან მაქვს მოლაპარაკება და ვნახოთ, რა იქნება.

**— საპარლამენტო არჩევნებში თუ მიიღებ მონაწილეობას?**

— მქონდა საშუალება, გასულ არჩევნებში მიმეღო მონაწილეობა, მაგრამ ისეთი ჭრელი საზოგადოების გვერდით ყოფნა, როგორიც დღეს პარლამენტში შეიკრიბა, საჭიროდ არ მივიჩნიე. მგონია, ეს ახალი პარლამენტი ყველაზე არაქმედითი იქნება. საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ყველაფერზე და ყოველთვის საკუთარი მოსაზრება მაქვს. მე დავისაჯე იმის გამო, რომ ძალიან ხშირად ვაკრიტიკებდი როგორც ხელისუფლებას, ასევე — ოპოზიციას. თურმე, ამ ქვეყანაში ასეა: ან ერთი „სახურავის“ ქვეშ უნდა იყო, ან — მეორის. არადა, თავად ვარ „სახურავი“ და „ჩახუტებას“ არავისთან ვაპირებ. მე ორივე მხარეს მყავს მეგობრები და თუ საჭიროდ მივიჩნევ, ნებისმიერ მათგანს გვერდით დავუდგები, მათ აზრს გავიზიარებ ან გავაკრიტიკებ.

**— შენ ახლახან აითვისე კომპიუტერი. როცა საიტზე — „ოდნოკლასნიკები“ — შევდივარ, შენი ფანჯარა სულ ციმციმებს. ისე, უნდა გამოვტყდე, რომ ამ საიტზე დარეგისტრირება მე დაგაძალე.**

— ავარიის შემდეგ, გინდოდა, ჩემს რეაბილიტაციაში აქტიურად მიგეღო მონაწილეობა და ამიტომაც მირჩიე, განტვირთვისთვის ამ საიტზე დავრეგისტრირებულიყავი. მეც დაგიჯერე და კომპიუტერის საშინელი „სენიც“ შემეყარა. ისე, მარინა, ამ საიტზე შენი ფანჯარაც მუდმივად ციმციმებს. სხვათა შორის, იმ თაობის (22-დან 28 წლამდე ადამიანები) ბევრი წარმომადგენელი, ვინც ახლა „ოდნოკლასნიკების“ აქტიური მომხმარებელია, დამიმეგობრდა. აღმოვაჩინე, რომ მათ აინტერესებთ ისეთი საკითხები, რომლებიც კონფლიქტურ რეგიონებს ეხება. დამიკავშირდნენ მოძრაობა „რეაქციის“ წევრები, რომელთაც შევხვდი კიდეც. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო

ბავშვობის მეგობრები — მარინა და ლალი

აქციის გამართვას ვაპირებთ: მოვაწყობთ ცოცხალ ჯაჭვს, ცხინვალიდან — ენგურის ხიდამდე და მასში რამდენიმე ათასი ადამიანი გაერთიანდება. გაოცებული ვარ იმით, რომ ამ ასაკის ახალგაზრდებს, ასეთი საკითხების მიმართ, საოცარი ინტერესი აქვთ. მათ სურთ, თავისებურად მოაგვარონ კონფლიქტი. საერთოდ, არაჩვეულებრივი თაობა მოდის, მათი ფანი ვარ.

**— პოლიტიკური შოუს წაყვანაზე არასოდეს გიფიქრია?**

— მე ვარ აბსოლუტურად უკომპრომისო ადამიანი, თუ რაღაც ვთქვი, ვერ გადამათქმევინებ. ამიტომ, მიმაჩნია, რომ ასეთი გადაცემის წამყვანად ვერ გამოვდგებოდი. მე არასოდეს წავალ ხელმძღვანელობის დაკვეთის შესრულებაზე, უნდა მქონდეს 100%-იანი თავისუფლება და მაშინ მაყურებელიც მიიღებს იმას, რაც აინტრესებს. ვინაიდან დღეს ეს შეუძლებელია, ჩემნაირების ადგილი ტელევიზიაში აღარ არის.

**— მაშინ, რას უნდა აკეთებდნენ შენნაირი ადამიანები?**

— ბიზნესს უნდა ემსახურებოდნენ. ამ სფეროში ხომ უკომპრომისობა ამართლებს, ფასდება. ახლა მაქვს მოლაპარაკება ერთ-ერთ ნავთობკომპანიასთან და ალბათ, სამუშაოდ იქ წავალ.

**— იქნებ, შენს პირად ცხოვრებასაც შევეხოთ. ბევრს დაუსვამს ჩემთვის შეკითხვა, — ლალი მოროშკინა მარტოა თუ მეგობარი მამაკაცი ჰყავსო? მოდი, ამ ადამიანებს შენვე უპასუხე.**

— მარტო არ ვარ. მყავს ადამიანი, რომელთანაც მაქვს ძალიან კარგი ურთიერთობა. ჩვენ ერთად ვატარებთ საღამოებს, გვაქვს საერთო ინტერესები. ასე რომ, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. ის დილიდან საღამომდე ფიქრობს იმაზე, თუ როგორ მასიამოვნოს, საღამოს სად გავერთოთ, სად ვივახშმოთ, რაც ამ ეტაპზე, ძალიან მომწონს, მერე კი ვნახოთ, რა იქნება. ხომ იცი, წინასწარ ვერაფერს დაგეგმავ. მთავარია ის, რომ დღეს ვარ ძალიან კარგად და მასთან ყოფნა მსიამოვნებს... ისე, სულაც არაა საჭირო, ჩემი ცხოვრებისეული წვრილმანები საზოგადოებისთვის ცნობილი იყოს და ამიტომაც, როცა საჭიროდ მივიჩნევ, ამ ადამინის ვინაობას საზოგადოება მხოლოდ მაშინ შეიტყობს.

**— ახალგაზრდების საოცარი აპოლოგეტი რომ ხარ, ეს იმის მანიშნებელი ხომ არაა, რომ შენი ამჟამინდელი რჩეული ასაკით შენზე უმცროსია?**

— სხვათა შორის, მართალი ხარ, ის ასაკით ჩემზე უმცროსია და გეტყვი იმასაც, რომ მასთან ურთიერთობა ძალიან საინტერესოა.

**— ახლა იქნებ, კიდევ ერთი საიდუმლოც გათქვა — ეს ადამიანი სად გაიცანი?**

— „ოდნოკლასნიკებში“ და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ. ყველაფერ ახალს მივესალმები და მომწონს.

**— მე კი ასაკით უმცროს მამაკაცებს არასერიოზულად ვუყურებ და ამიტომაც, ამ საკითხზე ვერ შევთანხმდებით. აი, იმაში კი დაგეთანხმები, რომ „ოდნოკლასნიკები“ მშვენერი საიტია.**

— მისი საშუალებით თავიდან შევიძინე დაკარგული მეგობრები, რომლებიც მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით არიან გაბნეულები. როცა ადამიანები კომპიუტერთან სხდებიან და ამ საიტზე შემოდიან, გულახდილობის სურვილი უჩნდებათ... ასე რომ, ეს გართობის ახალი და თანაც, შესანიშნავი ფორმაა.

■

# „ვიცოდი, რომ ასეთ აფხაზეთში ჩართველის სტუმრობა არავის ესიამოვნებოდა“

## 16 წლის წინ დევნილი მშობლიურ კუთხეში „შეიპარა“...

**როცა ჩემს რედაქტორს ვეკითხები, რამდენად საინტერესოა მკითხველს გავაცნოთ, თუ რა ხდება დღევანდელ აფხაზეთში-მეთქი, ის უყოყმანოდ მპასუხობს: რა თქმა უნდა, აფხაზეთიდან გადმოფრენილი ჩიტის ამბავიც კი გვაინტერესებსო... დევნილებთან ახლო ურთიერთობა იმის საშუალებას მაძლევს, რომ გავიგო, წლის რომელ პერიოდში რა ხდება აფხაზეთში... მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონში არასტაბილური სიტუაცია წლების განმავლობაში გრძელდებოდა, დამსვენებლები მაინც ჩადიოდნენ. წლეულს განსხვავებული ვითარებაა: ტურისტების ასეთი მცირე რაოდენობა ალბათ, მხოლოდ ომის დროიდან თუ ახსოვთ...**

### ლალი პაპასკირი

*პირად საუბრებში ადგილობრივები უკვე აღარც მალავენ, რომ წლეულს საკურორტო სეზონი „ჩავარდა“. უკმაყოფილებას გამოთქვამენ ის რუსები და სომხებიც, ვინც აფხაზეთში წელს ჩადეს ინვესტიცია და იმედი გაუცრუვდათ. როგორია ქართველი დევნილის თვალით დანახული დღევანდელი გალი, ოჩამჩირე, სოხუმი... მან სიცოცხლის ფასად გარისკა და გასულ კვირას, 16 წლის შემდეგ პირველად, მშობლიური კერა მოინახულა. რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდა ახალგაზრდა ქალბატონი კონფლიქტის ზონიდან — ამის შესახებ თავად გვიამბობს.*

**ნინო,** *30 წლის, სოხუმელი:*

— დედა აფხაზი მყავდა და როცა მეკითხებიან, — რა ეროვნების ხარო? — სიამაყით ვპასუხობ: ნახევრად ქართველი ვარ, დედა აფხაზი მყავს-მეთქი. ომის შემდეგ, მისმა ოჯახმა ვერ უთხრა, — ქმარ-შვილი დატოვე და ჩვენთან იცხოვრეო. არადა, მხოლოდ ერთი შვილი ჰყავდა... დედაც წამოვიდა. ერთი ქართული სიტყვა არ იცოდა, მაგრამ ახლა გამართული ქართულით მეტყველებს. დეიდაჩემი აფხაზზე იყო გათხოვილი. მაშინ პატარა ვიყავი, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ დებს ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული ოჯახები ჰქონდათ. დეიდაშვილებმა ერთმანეთი წლების შემდეგ, მოსკოვში ნათესავის ქორწილში ვნახეთ. დეიდაშვილები ჩემი ტოლები იყვნენ. სიხარულისა და ბედნიერებისგან ვტიროდით და ერთმანეთს ვერ ვცილდებოდით. ბავშვობას ვიგონებდით. ომის გარდა, ყველა თემაზე ვისაუბრეთ. მეგონა, მარტო ჩვენ გავურბოდით იმ დღეების გახსენებას, მაგრამ როცა ჩემს მეგობრებს ნათესავებთან შეხვედრის შთაბეჭდილებები გავუზიარე, აღმოჩნდა, რომ ყველას ჩვენსავით ემართებოდა... დეიდაშვილებმა იმ ზაფხულს ზღვაზე დამპატიჟეს, მაგრამ მამაჩემი გაგიჟდა: იქაურმა ხალხმა კარგადაც რომ მიგიღოს, შენს ჩამოსვლამდე მაინც შიშით გული გამისკდებაო. ვერც მე გავრისკე. ჩემს ახალშემორიგებულ ნათესავებს ეწყინათ. მერე ორივე და-ძმა თვითონ ჩამოვიდა თბილისში. ბიჭი უკვე დიდია და მამაჩემს სთხოვა, — ჩვენთან გამოუშვი, პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებო.

**— იქ შეიძლება, ვინმემ სტუმრის უსაფრთხოების პასუხისმგებლობა იკისროს?**

— როგორც ჩანს, შეიძლება. ახლა, ამ დაძაბულ სიტუაციაში შემოვლითი გზებით ჩავედი გალში, იქ ჩემი დეიდაშვილი სანდრო დამხვდა და სოხუმში წავედით.

**— როგორ გარისკე, ასეთ დროს თუნდაც გალში ჩასვლა?**

— ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში ვმუშაობ, რომელიც აფხაზურ ორგანიზაციასთანაც თანამშრომლობს. ისინი დამხვდნენ ადმინისტრაციულ საზღვართან. ყველა სოფელსა და უბანში რუსებისა და აფხაზების ერობლივი ბლოკ-პოსტი მხვდებოდა. რამდენიმე ადგილას ძალიან უხეშადაც გვითხრეს, — რა გააწყალეთ გული, რაღა დროს „ენჯეოებია“, პოლიტიკოსებმა ვერაფერი შეცვალეს და თქვენ რა უნდა გააკეთოთო?.. ზოგმა დაგვცინა კიდეც. გალის რამდენიმე სოფელი ისე გავიარე, კაციშვილი არ შემხვედრია.

**— არასამთავრობოს პროგრამით გალში ადრეც ყოფილხარ?**

— არა, საზღვრამდე მივდიოდით ან ზუგდიდში გადმოგვყავდა ხალხი, ვისთანაც ვმუშაობდით. წელს კი როგორღაც გავრისკე. ამდენი სამხედრო ტექნიკა და შეიარაღებული ხალხი არასდროს მენახა. ვერ მივხვდი, როდის გავცდით გალს და როდის შევედით ოჩამჩირეში. იქაურობა ერთ დიდ სამხედრო ყაზარმას ჰგავს. ოჩამჩირე უღრან ტყედ არის ქცეული. ვერც მივხვდი, იქ ოდესმე სიცოცხლე იყო თუ არა. ქუჩები აყრილია. ჭიშკარ-ჩამოსხნილი ეზოებისა და სახურავახდილი სახლების დანახვაზე ლამის ტირილი დავიწყე. თან წარამარა გვაჩერებდნენ. მაგრამ მე და ჩემი დეიდაშვილი გოგო ძალიან ვგავართ ერთმანეთს და ძმამ მისი პასპორტი მომცა.

**— პასპორტი ალბათ რუსული იყო...**

— რა თქმა უნდა. აფხაზური პასპორტები თითქმის აღარავის აქვსო, მითხრეს...

**— სოხუმში რა ხდებოდა?**

— სოხუმი საერთოდ, არ ჰგავს იმ ქალაქს, რომელიც ომამდე იყო. ზღვასთან ახლოს მდებარე ქუჩები შედარებით გამოცოცხლებულია, მაგრამ ერთი ქუჩიდან მეორეზე რომ გადადიხარ, იმდენად დიდი განსხვავებაა, თავი სხვა სამყაროში გგონია. იმ ქუჩაზე, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, რამდენიმე ბარი, კაფე, რესტორანი და სასტუმრო იყო. ჩემი სახლიც სასტუმროდ არის გადაკეთებული...

**— დეიდამ ვერ შეინარჩუნა?**

— რამდენიმე ხნის წინ დაგვირეკა დეიდამ და გვითხრა: ამ ქუჩაზე დაკეტილ სახლს არავინ გააჩერებს და ჯობია, მე თვითონ გადავაკეთო სასტუმროდ, სანამ სხვას წაურთმევია და მოგების წილს გამოგიგზავნითო, — მაგრამ მამა უარზე დადგა: იმ სახლიდან შემოსული ფული მე არ „გამაკეთებსო“... მოგვიანებით, ჩვენი დასტურით, ის სახლი ბიძაჩემმა თავის სახელზე გადაიფორმა. მე ქუჩების განლაგება არ მახსოვდა, მაგრამ როგორც კი სანდრომ ჩემს ქუჩაზე გამიყვანა, იქაურობა მაშინვე ვიცანი და მუხლები მომეკვეთა. იმ სახლის ჭიშკრის წინ ვიდექი, რომელიც ოდესღაც ჩემი სახლი იყო და შესვლას ვერ ვბედავდი. იქ ყველაფერი შეცვლილიყო. ერთადერთი — სხვენზე ასასვლელი კიბე არ მოეხსნათ. იმ კიბით ბავშვები სახურავზე ვიპარებოდით ხოლმე... ახალ ბინადრებს ყველაფერი ლამაზად ჰქონდათ გაკეთებული. ეზოში ისევ ის ყვავილები ხარობს, რომლის დაკრეფასაც დედა მიკრძალავდა... იქიდან დეიდაჩემის სახლში წავედით. მთელი ოჯახი სიხარულით შემხვდა. ყველა ცდილობდა, ყურადღება მოექცია. იმ დღეს სოხუმში წვიმდა და ქუჩებში მანქანით გასეირნება გადავწყვიტეთ.

**— ადგილობრივები რა ენაზე ლაპარაკობენ?**

— რუსულად. იცით, რა შევამჩნიე?.. მართალია, ახალგაზრები აფხაზობენ და აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე ოცნებობენ, მაგრამ ერთმანეთში აფხაზურად საუბარი ეთაკილებათ. მეტიც — მე მათ შორის გავიზარდე და

რაც უნდა გამართული რუსულით ლაპარაკობდეს აფხაზი, აქცენტს მაინც ვატყობ. საუბრისას რაღაც ბგერებს ამატებენ, რომლებიც ყურს უცნაურად ხვდება. ჩემი თაობის ახალგაზრდებს აფხაზური აქცენტი მაინც ეტყობოდათ, უფრო პატარები კი უკვე სუფთა რუსულით მეტყველებენ. მეტად რომ გავუშინაურდი, მივხვდი, რომ მოსკოვური აქცენტის „აკიდებას“ ცდილობენ, რაც კიდევ უფრო გამაღიზიანებელია.

— **ცხოვრების პირობები როგორი აქვთ?**

— ჩვენთან შედარებით, იქ დიდი სიძვირეა. პურს ორჯერ მაღალი ფასი აქვს, ვიდრე ჩვენთან. აფხაზები არ მალავენ, რომ ენგურის ხიდის ჩაკეტვამ ყოველდღიური ცხოვრება კიდევ უფრო გაართულა. საქართველოსთან სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენის წინააღმდეგი არ ვიყავითო, — დასძენენ... ადგილობრივები აღშფოთებული არიან იმით, რომ შეძლებულები ნარკოტიკზე არიან „შემჯდარი“ და ამის გამო უამრავი ახალგაზრდა იღუპება. აფხაზებს ან უცხოური მანქანები ჰყავთ, ან საერთოდ, არ ჰყავთ. ხშირია ავტოავარია. ქართველები ძირითადად, საბჭოთა წარმოების მანქანებით მოძრაობენ. სერიაც რუსულია და ნომერიც. ინგლისურ წარწერას თითქმის ვერ ნახავ. კვების ობიექტიდან დაწყებული, კერძო სასტუმროთი დამთავრებული — ყველაფერს რუსულენოვანი აბრები ამკობს. აფხაზური წარწერა მხოლოდ აქა-იქ შევნიშნე. დეიდაშვილებს ვუთხარი კიდეც, — ასე მგონია, რუსეთის პატარა ქალაქში მოვხვდი-მეთქი.

— **რა გიპასუხეს?**

— დეიდაჩემს თვალები ცრემლებით აევსო. ამ უაზრობის გამო რამდენი ადამიანი დავკარგე, რამდენი დაგვეღუპაო!.. — თქვა. აფხაზ გოგონებს ძირითადად, რუსი მთხოვნელები ჰყავთ, რომლებიც სამხედრო სამსახურში არიან. ის, ვინც პატრიოტულად აზროვნებს და ერის მომავალზე ზრუნავს, აფხაზზე გათხოვებას ამჯობინებს, თუმცა არც იმას მალავს, რომ რუსის ცოლობა უფრო პერსპექტიულია... ახალგაზრდა ბიჭები ძირითადად კრიმინალურ გზას ადგანან. იქ ძველბიჭობა ძალიან მოდურია. ცუდი ურთიერთობა აქვთ რუს სამშვიდობოებთან. როგორც გავიგე, ხშირია იარაღის „შეწერის“ ფაქტი და გარჩევა... ჩემს ბავშვობაში სოხუმის ცენტრში ერთი კაფე-რესტორანი იყო — „ამრა“. ომამდე დედაჩემის სადაქალო ყავის დასალევად იქ იკრებიბებოდა. ოცნებად მქონდა, ჩემს სამეგობროსთან ერთად, იმ კაფეში ყავა მეც დამელია... ნათესავებს გავუმხილე, — იქ მოდღეებული ყავის სუნი დღემდე მახსოვს, რადგან დედა მაშინ ყავის დალევას მიკრძალავდა-მეთქი. ბავშვობის ოცნებას ახლავე აგისრულებთო, — მიპასუხეს და რამდენიმე წუთში კაფეს მივადექით. ჩემთვის, როგორც უცხოსთვის, განსაკუთრებული ყურადღება არავის მოუქცევია, მაგრამ მაინც აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერეს. მიმტანი ქალი მოგვიახლოვდა და რუსულად გვკითხა, — რა მოგართვათო?.. მერე სანდრომ მკითხა, — იცანიო?.. — ვერა-მეთქი. — შენი დაწყებითის მასწავლებელია, მარინა დავიდოვნაო...

— **ვერ იცანი?**

— იცი, რა მჭირდა?.. ქუჩაში გასულს, ყველა ადამიანის სახე მეცნობოდა, მაგრამ თვალს ვარიდებდი, მეშინოდა, ვაითუ მიცნონ-მეთქი: ასეთ სიტუაციაში იქ ქართველის სტუმრობა არავის ესიამოვნება... მარინაც ქართველი იყო. მისი მეუღლე ომამდე ავარიაში მოყვა და ლოგინად ჩავარდა. შვილები არ ჰყავდათ. როგორც ჩანს, დარჩენა გადაწყვიტა, მაგრამ სამსახურის გარეშე დარჩენილა. აფხაზეთში ქართულ სკოლას რა უნდაო?!. — მითხრა დეიდაშვილმა. წინათ კაფეებსა და რესტორნებში მომსახურე პერსონალი ძირითადად, შუახნის ქალები იყვნენ. აფხაზებისთვის გამყიდველად და მიმტანად მუშაობა დამამცირებელი იყო. როგორც ჩანს, ეს სტერეოტიპი დღემდე შემორჩა... კაფედან ისე წამოვედი, ჩემს ყოფილ მასწავლებელს არ გამოვლაპარაკებივარ. ქალი, რომელიც ჩემთვის ეტალონი იყო, წინასაფრით დამტრიალებდა თავს, მე კი ხმას ვერ ვიღებდი...

— **ნინო, პლაჟზე გასვლა ვერ მოასწარი?**

— კი, მეორე დღეს გამოიდარა. უკვე იმდენად ვიყავი უარყოფითი ემოციებისგან დათრგუნვილი, რომ აღარაფერი მინდოდა, მაგრამ ნათესავებს ხათრი ვერ გავუტეხე. სოხუმის სანაპირომ ბათუმი და ქობულეთი გამახსენა. თუ იქ ქართულად გაჰყვიროდნენ ქალები „ჭყინტ სიმინდსა“ და „ხაჭაპურს“, სურსათსანოვაგით დატვირთული ადგილობრივები იმავეს რუსულად გაიძახოდნენ... ნათესავებმა შემომჩივლეს, — ქართველების შიშით, წლეულს ძალიან ცოტა ტურისტი ჩამოვიდაო. დეიდამ მითხრა, — წელს ოთახები თითქმის გაუქირავებელი დამრჩა, სოხუმსა და გაგრაში მომხდარმა აფეთქებებმა ძალიან დაგვაზარალაო. ირონიანარევი იუმორით ამბობდნენ, — წელს აფხაზეთში დასასვენებლად ჩამოსვლა იმ რუსებმა გაბედეს, ვინც 90-იან წლებში, ომის მიუხედავად, პლაჟზე გადიოდა და მიცვალებულების გვერდით „იზაგრებოდაო“...

**იქაურობა ერთ დიდ სამხედრო ყაზარმას ჰგავს**

ღია ბარები, კაფეები, რესტორნები და სასტუმროები ძირითადად, რუსებსა და სომხებს ეკუთვნით. ვნახე რამდენიმე აფხაზის კუთვნილი, გასართობი თუ კვების ობიექტი, მაგრამ ის საშუალო ფენისთვისაა გათვალისწინებული — ისეთი კეთილმოწყობილი არ არის, როგორიც დანარჩენები. ქუჩაში სულ რამდენიმე შუქნიშანი შევნიშნე, ამიტომაც, მოძრაობის წესებს თითქმის არ იცავენ. ნაომარ ქალაქში არც გზებზე ორმოები უნდა გამკვირვებოდა. აფხაზეთი 90-იანი წლების დროინდელ დანარჩენ საქართველოს ჰგავს, სადაც ხალხი ყოველგვარ უწესრიგობას იყო შეჩვეული... ვინც სოხუმში ხშირად ყოფილა, შეუძლებელია, გიჟი ბორია არ ახსოვდეს. ორივე მხარზე მტრედები ასხდა. მზესუმზირას ყიდდა, ბალალაიკაზე უკრავდა და მღეროდა. ქართული, რუსული, მეგრული და აფხაზური ერთნაირად იცოდა. რამდენჯერ დაგვიფანტავს მისთვის მზესუმზირა და საკრავი წაგვირთმევია!.. იმ გაუცხოებულ ქალაქში მისმა დანახვამ ერთი წუთით ბავშვობაში დამაბრუნა. ვერ მოვითმინე, მივვარდი და ჩავეხუტე. ცოტა ხანში მივხვდი, რომ მთელი სანაპირო მე მიყურებდა... სანდრომ სასწრაფოდ გამარიდა იქაურობას, თორემ უკვე ვგრძნობდი, ისტერიკა მემართებოდა... მოსახლეობა იმაზე მეტადაა პოლიტიზებული, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. იქ ძირითადად, რუსულ ტელეარხებს უყურებენ. კარგად ერკვევიან რუსეთის პოლიტიკაში. სიახლეს არ წარმოადგენს, რომ მოსკოვის მერი აფხაზეთის მიმართ დიდ ინტერესს იჩენს. ბოლო წლებში აფხაზურ სკოლებში გაგზავნილ სახელმძღვანელოებსაც კი ლუჟკოვის ხელმოწერა ამშვენებს. მიუხედავად ამისა, მოსკოველი მაღალჩინოსანი აფხაზებში დიდი სიმპათიით არ სარგებლობს. ჩემი ნათესავების თქმით, აფხაზები ცდილობენ, რუსები გამოიყენონ; არც რუსები აკლებენ ხელს და პოლიტიკური მოვლენები ისე ვითარდება, რომ წაგებული საბოლოოდ, აფხაზები რჩებიან.

— **ქართულ მხარეზე რას ამბობენ?**

— ჩემთან თავს იკავებდნენ, მაგრამ ერთმანეთს აფხაზურად გადაულაპარაკეს, — სანამ ქართველსა და აფხაზს შორის ნორმალური ურთიერთობა აღდგება, აფხაზეთში ბევრი რამე შეიცვლებაო...

— **როგორც მივხვდი, შენი ნათესავების ახლობლებმა იცოდნენ, რომ ქართველი ხარ...**

— კი, ახლობლებმა იცოდნენ, მაგრამ ეგონათ, რომ მოსკოვში ვცხოვრობ და იქიდან ჩავედი. ხშირად ჩამოდი, ნუ გეშინია, აქ არც ისეთი საშიში სიტუაციაა, როგორსაც ქართული ტელევიზიები გადმოსცემენო, — მითხრეს. ვერც წარმოიდგენდნენ, თუ ასეთ დაძაბულ ვითარებაში იქ ჩასვლას გავბედავდი... თითქოს დეიდაჩემის ოჯახის მადლიერი უნდა ვყოფილიყავი, რომ იქაურობა მოვინახულე, მაგრამ იქიდან ისეთი გულდამძიმებული წამოვედი, ვინანე კიდეც, მათ რომ დავუჯერე და აფხაზეთში ჩავედი. უქართველებო, დანგრეული, გაპარტახებული და გარუსებული აფხაზეთის ნახვამ დეპრესიაში ჩამაგდო.

*თემის გაგრძელება იხ. გვ. 102*

# ვენტილატორი, 20 ათას ჯუპონად გაყიდული ოცნა და არარსებული კომპანიის აქციები – „მის საქართველოს" ორიგინალური საჩუქრები

**„მის იმერეთის" და პირველი „მის საქართველოს" ტიტულების გარდა, აქვს მაგისტრის ხარისხი ჟურნალისტიკაში და დიპლომირებული მუსიკოსია. 15 წლის იყო, როდესაც პირველად მიიღო მონაწილეობა სილამაზის კონკურსში, 16 წლისა კი საქართველოს ულამაზეს ქალად აღიარეს. გაგიკვირდებათ, მაგრამ შესაშური პარამეტრებისა და უნაკლო გარეგნობის მქონე ახალგაზრდა ქალბატონი ამჟამად „საქართველოს რკინიგზაში" მუშაობს. როგორც თავად ამბობს, საორგანიზაციო საკითხებს აგვარებს. სამუშაოსგან თავისუფალ დროს, ხანდახან პოდიუმზე გამოსვლასაც ახერხებს, უკრავს ვიოლინოზე და ნოსტალგიით იხსენებს იმ დროს, როდესაც „სილამაზის ბიზნესში" პირველ ნაბიჯებს დგამდა.**

ემა ტუხიაშვილი

**ლედი ხვინგია**, *პირველი „მის საქართველო":*

— მახსოვს, ბავშვობაში საათობით ვტრიალებდი სარკის წინ. ხან, თითქოს პოდიუმზე დავდიოდი და სამოსის ჩვენებას ვაწყობდი, ხანაც, ვითომ დიქტორი ვიყავი და გაზეთებიდან ამონარიდებს ვკითხულობდი. ერთხელაც, ტელევიზიით სარეკლამო განცხადება მოვისმინე: ქუთაისში სილამაზის კონკურსი იმართებოდა და მონაწილეობის მსურველებს შესარჩევი ტურის გავლას თხოვდნენ. იმხანად ჩვენი ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა. მამა ძირძველი ქუთაისელი გახლავთ, მეც იქ დავამთავრე სკოლა, სამუსიკო სასწავლებელი. დედას გავუმხილე, რომ სილამაზის კონკურსში მონაწილეობა მსურდა და მისგან მხარდაჭერაც მივიღე, მაგრამ მამა ვერაფრით დავითანხმეთ. სილამაზის კონკურსები მაშინ ახალი ხილი იყო, ქუთაისი კი მოგეხსენებათ, ტრადიციების ერთგული ქალაქია. არ დაგავიწყდეთ, 1993 წელი იდგა და საქართველოში ძალიან მძიმე ვითარება იყო. მამა სულ ამბობდა: სილამაზის კონკურსზე რომ გამოხვიდე, ხალხი რას იტყვისო?!. ამიტომ, მე და დედას მისთვის ტყუილის თქმა მოგვიხდა. მაშინ აბიტურიენტი ვიყავი, ვიოლინოზე ვუკრავდი და სამუსიკო სასწავლებელში ჩასაბარებლად პედაგოგთან ვემზადებოდი. სილამაზის კონკურსის შესარჩევ ტურებსა და მოსამზადებელ ლექციებზეც ვიოლინოთი მივდიოდი, ამიტომ მამას ეგონა, რომ იმ დროსაც მუსიკის პედაგოგთან ვატარებდი. შემდეგ, როდესაც კონკურსში გავიმარჯვე და „მის იმერეთის" ტიტულის მფლობელი გავხდი, მამა ჩემი წარმატებით ძალიან ამაყობდა, თან დაჰქონდა ამონარიდები გაზეთებიდან, სადაც ჩემი ფოტოები იყო დაბეჭდილი და ყველას უჩვენებდა: ჩემი შვილიაო.

**— როგორც თავად აღნიშნე, სილამაზის კონკურსი იმ დროს ჩვენში ახალი ხილი იყო; შეგიძლია, პარალელი გაავლო მაშინდელ და ამჟამინდელ სილამაზის კონკურსებს შორის? როგორი იყო მზადების პროცესი მაშინ და როგორია ახლა?**

— კარგია, როდესაც კონკურსანტებს არ სჭირდებათ იმაზე ფიქრი, თუ რა ჩაიცვან სცენაზე გამოსასვლელად, როგორ მოემზადონ კონკურსისთვის. დედაჩემს თეატრალური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული და მეტწილად ჩემს წარმატებებს მას უნდა ვუმადლოდე. სწორედ მან მასწავლა პოდიუმზე სიარული, სცენაზე დგომის კულტურა და პუბლიკასთან ურთიერთობის ხელოვნებასაც მაზიარა. სასცენო კოსტიუმებზეც თავად ვზრუნავდით. მაგალითად, „მის საქართველოს" კონკურსისთვის ორგანიზატორებმა მოგვთხოვეს, რომ კლასიკური სამოსისა და საცურაო კოსტიუმების გარდა, ჟიურის წინაშე ძველებრძნული სამოსითაც გამოვსულიყავით. მოგეხსენებათ, რომ სილამაზის კონკურსების ტრადიცია ძველი საბერძნეთიდან მოდის. მოსამზადებლად რამდენიმე დღე მოგვცეს. 1994 წელია, თბილისში მაღაზიებიც კი არ მუშაობს და ქსოვილებს ხომ ვერსად იყიდი. მაშინ მამიდასთან ვცხოვრობდით. ბედად გაახსენდა, რომ ბატისტის ქსოვილი ჰქონდა სადღაც გადანახული. მე და დედამ სასწრაფოდ გამოვჭერით ბერძნული ყაიდის კაბა და ათასგვარი სამკაულით მოვრთეთ. ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია, როდესაც ახლა სილამაზის კონკურსებს ყინულის მოედანზე ან პატრიოტთა ბანაკებში აწყობენ. მთელ მსოფლიოში მიღებულია, რომ სილამაზის კონკურსი პომპეზურ დარბაზში უნდა მოეწყოს. მაგალითად, „მის იმერეთის" კონკურსი, რომელზეც გავიმარჯვე, ქუთაისში, მესხიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა, ხოლო პირველი „მის საქართველოს" კონკურსს რუსთაველის თეატრი მასპინძლობდა. იმ დროს სილამაზის კონკურსში მონაწილეობის უფლება რომ მოგეპოვებინა, „ვალსის" და „დისკოს" ცეკვა უნდა შეგძლებოდა. დიდი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე, კონკურსანტის მეტყველების კულტურას, კომუნიკაბელობას. ჩვენს რეპეტიციებს სისტემატურად ესწრებოდნენ უცხო ადამიანები. როგორც მოგვიანებით გავიგეთ, ისინი ჟიურის წევრები იყვნენ და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გულდასმით აკვირდებოდნენ თითოეულ კონკურსანტს.

**— საცურაო კოსტიუმით გამოსვლა მაშინაც აუცილებელი იყო?**

— „მის იმერეთის" კონკურსზე საცურაო კოსტიუმებით არ გამოვსულვართ. სრულყოფილი ფორმების დემონსტრირებისთვის, ზოგს მოკლე შარვალი — ე.წ. შორტი ეცვა, ზოგსაც — მინიქვედაბოლო. „მის საქართველოზე" კი ყველა კონკურსანტს გვეცვა საცურაო კოსტიუმი და არ მახსოვს, რომ ამაზე ხაზგასმით ვინმეს ელაპარაკოს. ახლა საზოგადოება უფრო ამახვილებს ამაზე ყურადღებას...

**— 15 წლის იყავი, როდესაც „მის იმერეთი" გახდი. ალბათ, ამ ტიტულმა ბევრი თაყვანისმცემელი შეგძინა, ხომ?**

— თაყვანისმცემლები მანამდეც მყავდა, კონკურსის შემდეგ კი მათი რიცხვი თითქმის გაორმაგდა. იმ დროს ქუთაისში, ტელე-

**თაყვანისმცემლები მანამდეც მყავდა, კონკურსის შემდეგ კი მათი რიცხვი თითქმის გაორმაგდა**

კომპანია „რიონში“ ვმუშაობდი. ტელევიზიაში მოდიოდნენ ადამიანები, ტოვებდნენ ჩემთვის ყვავილებს, ტკბილეულს; დროდადრო რეკავდნენ სადედამთილოები და ინტერესდებოდნენ, როგორ შეიძლებოდა ჩემთან დაკავშირება. ისეთი კურიოზული ვითარებაც იყო, რომ ქუთაისის პოლიცია იყო გაფრთხილებული — თუ ვინმესგან მოტაცების საფრთხე დამემუქრებოდა, სასწრაფოდ გამოეგზავნა ოპერატიული ჯგუფი... მაგრამ ყველაზე საიმედო დაცვა ჩემთვის დედაჩემი იყო, რომელიც ყველგან დამყვებოდა და ერთი წამით არ მტოვებდა მარტო.

**— ტელეკომპანია „რიონში“ რას საქმიანობდი?**

— როდესაც „მის იმერეთი“ გავხდი, უკვე ვმუშაობდი ტელეკომპანია „იბერვიზიის“ ქუთაისის ბიუროში, სადაც რუსულ და ქართულ ენებზე საინფორმაციო გადაცემა მიმყავდა. შემდეგ, „იბერვიზია“ დაიხურა და ტელეკომპანია „რიონში“ მიმიწვიეს, ჯერ ახალგაზრდული გადაცემის, მოგვიანებით კი — დღის საინფორმაციოს წამყვანის თანამდებობაზე. ამასობაში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავირიცხე და დროდადრო საინფორმაციო გადაცემისთვის სიუჟეტებსაც ვამზადებდი.

**— საინტერესოა, როგორც „მის იმერეთს“, რა საჩუქრები გადმოგცეს?**

— ყველა საპრიზო ადგილისთვის ფულადი ჯილდო იყო დაწესებული. მაშინ მიმოქცევაში კუპონები იყო და როგორც გამარჯვებულს, 20 ათასი მერგო. გარდა ამისა, მაყურებლებს შორის, „დედოფლისთვის“ გვირგვინის დადგმისა და მისთვის ლოყაზე ამბორის უფლება გაიყიდა. ეს უფლებაც დაახლოებით 20 ათას კუპონად გაიყიდა. მთლიანად ეს თანხა და საპრიზო ფონდის ნახევარი ქართველი ჯარისკაცების დახმარების ფონდში გადავრიცხეთ. მაშინ აფხაზეთში საომარი მდგომარეობა იყო და ჩვენი გადაწყვეტილებაც ამან განაპირობა. დარჩენილი 10 ათასით კი წიგნები ვიყიდე.

**— „მის საქართველოს“ კონკურსში მონაწილეობა უკვე მიღებულმა ტიტულმა გადაგაწყვეტინა?**

— „მის იმერეთის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი და წამყვანი ირაკლი ჯაოშვილი გახლდათ. მან შეიტყო „მის საქართველოს“ კონკურსის შესახებ და ორგანიზატორებს ჩემი კანდიდატურა შესთავაზა. სხვათა შორის, ეს იყო „მის საქართველოს“ პირველი კონკურსი და მონაწილეობისთვის ასამდე გოგონა იბრძოდა, მათგან ფინალში 30 გავიდა. მე, როგორც ტიტულის მფლობელს, შესარჩევი ტური არ გამივლია და ამან ჩემი კონკურენტები გააღიზიანა. შემდეგ, როდესაც რეპეტიციების მსვლელობისას ნახეს, რომ კარგად ვმოძრაობდი, პროფესიონალურ დონეზე ვცეკვავდი, ჩემ მიმართ მათი დამოკიდებულება შეიცვალა. მახსოვს, ამ კონკურსის წამყვანი იყო ლევან ჯავახიშვილი, ჟიურიში ისხდნენ: „მის თბილისი“ — ნინო სალუქვაძე და აწ გარდაცვლილი მსახიობი, მამუკა კიკალეიშვილი. სწორედ მან დამადგა გვირგვინი. სხვათა შორის, კონკურსის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, პირველი „მის საქართველოს“ გვირგვინი არ უნდა ყოფილიყო გარდამავალი და მფლობელს სამუდამოდ უნდა დარჩენოდა. ამ გვირგვინს დღემდე სათუთად ვინახავ. სამწუხაროდ, არ ვიცი, ვინ არის მისი ავტორი, მაგრამ ის ქართველი დედოფლების გვირგვინების მიხედვითაა შექმნილი.

**— როგორი შეგრძნებაა, როდესაც ქვეყნის ულამაზეს ქალად გალიარებენ?**

— გამოგიტყდები, შინაგანად ვგრძნობდი, რომ გავიმარჯვებდი. დედა სულ მანუგეშებდა: მაყურებლის სიმპათიაც რომ გახდე, ჩვენთვის მაინც დიდი წარმატება იქნებაო. ასეც იყო: ჯერ „მის ოვაციის“ ტიტული მომანიჭეს, შემდეგ კი წამყვანი რიგრიგობით ასახელებდა გამარჯვებულებს... თითოეული გამარჯვებულის გამოცხადებისას, თავს ვიიმედები, რომ შემდეგი მე ვიქნებოდი და როდესაც მთავარი ჯილდოს — „მის საქართველოს“ გვირგვინის მფლობელად გამომაცხადეს, უზომოდ ბედნიერი ვიყავი. რუსთაველის თეატრიდან პირდაპირ „იბერვიზიაში“ წამიყვანეს და პირველი ინტერვიუ ჩემთან „იბერვიზიამ“, კერძოდ კი გიორგი გოგიჩაიშვილმა, იმავე გოგიჩამ ჩაწერა. ამასთან დაკავშირებით ერთი კურიოზიც მინდა გიამბოთ. კონკურსში გამარჯვების შემდეგ, ქუთაისში მატარებლით გავემგზავრე. სადგურზე უამრავი ხალხი დამხვდა. ახლობელ-მეგობრების გარდა, ადგილობრივი ტელევიზიის წარმომადგენლებიც იყვნენ. მილოცავდნენ, მკოცნიდნენ, მეხვეოდნენ. ამ დროს ერთმა გლეხმა გამოიარა, ზურგზე ტომარა ჰქონდა მოკიდებული და ხალხმრავლობა რომ შენიშნა, იკითხა: რა ხდება, ვინ ჩამოვიდა ასეთიო? ვიღაცამ უპასუხა: საქართველოს დედოფალიო. ბერიკაცმა ხალხი გასწიგამოსწია და რომ დამინახა, გაბრაზებულმა ჩაიბურტყუნა: საქართველოს დედოფალი თამარ მეფე ვიცი მეო!..

**— გვირგვინის გარდა, კიდევ რა პრიზები იყო დაწესებული „მის საქართველოს“ ტიტულისთვის?**

— ვენტილატორი, მუსიკალური ცენტრი, კომპანია „მონოპოლინვესტის“ მილიონი კუპონის ღირებულების 100 აქცია. სამწუხაროდ, დღემდე ვერ გავარკვიე, რა კომპანია იყო ეს „მონოპოლინვესტი“... პრიზებს შორის იყო აგრეთვე ერთკაციანი საგზური იტალიაში, მაგრამ მშობლებმა მარტო გამგზავრების უფლება არ მომცეს და აქციების მსგავსად, ეს პრიზიც გამოუყენებელი დამრჩა.

**— რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში „მის საქართველოს“ კონკურსში გამარჯვების შემდეგ?**

— მქონდა შემოთავაზებები სახელმწიფო ტელევიზიიდან, მაგრამ როგორც უკვე გითხარი, ჩემი ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა და თბილისში გადმოსვლის შესაძლებლობა არ გვქონდა. შემომთავაზეს, მონაწილეობა მიმეღო შავი ზღვის აუზის ქვეყნების სილამაზის კონკურსში, შემდეგ

კი — ევროპის სილამაზის კონკურსში, რომელიც თურქეთში იმართებოდა, მაგრამ უსახსრობის გამო გამგზავრებაზე უარის თქმა მომიხდა. სამაგიეროდ, წარჩინებით დავამთავრე ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, მაგისტრის ხარისხი მივიღე და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებას ვაპირებ. ხომ იცი, გარეგნული სილამაზე მაინც წარმავალია, მიღებული ცოდნა კი მუდამ შენთან რჩება.

**— მას შემდეგ, რაც პირველი „მის საქართველო“ გახდი, თითქმის 15 წელი გავიდა, შენ კი ისევ არაჩვეულებრივად გამოიყურები. როგორ ახერხებ ფორმის შენარჩუნებას?**

— არასდროს ვყოფილვარ დიეტაზე, ვჭამ დღე-ღამეში ნებისმიერ დროს. წლების განმავლობაში დავდიოდი სინქრონულ ცურვაზე, ამიტომ, როცა ვამჩნევ, რომ წონაში მოვიმატე, დილით ვვარჯიშობ, საღამოს კი აუზზე ვცურავ. ■

# „ტყეში" და ხვლიკთან „დამეგობრებული" ინდოეთიდან მსახიობი თაკვესდასავლეთი



**ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იწერება იმის შესახებ, თუ როგორ ისვენებენ პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, მსახიობები და მომღერლები. ამჯერად, არჩევანი პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეზე შევაჩერეთ. ბატონი სოსო უპირატესობას აქტიურ დასვენებას ანიჭებს და ამბობს, რომ სამყაროსგან გამოთიშვა, მხოლოდ გასართობი ტელეპროგრამების ყურება და დეტექტივების კითხვა მისთვის ჯერ ძალიან ადრეა.**

„გავედით ორი გამოვრანჯული თეთრკანიანი და დავბრუნდით შიშველი ველურები..."

## ხათუნა ბახტურიძე

**— ბატონო სოსო, საზაფხულო შვებულების გატარებას სად აპირებთ?**

— ჯერ არ ვიცი, შეიძლება, უცხოეთში გავემგზავრო, თუ არა და, ბაზალეთში წავალ, სადაც მემკვიდრეობით მიღებული აგარაკი მაქვს.

**— ბევრ ქვეყანაში ხართ ნამყოფი. ყველაზე სასიამოვნოდ სად დაისვენეთ?**

— ინდოეთში, ზღვისპირა კურორტ მახაბალაპურამში. საოცარი ადგილია. უცხოელი ტურისტები ჯოხებზე შემოდგმულ, ჩალის ქოხებში ვცხოვრობდით. ნამდვილი ეგზოტიკა იყო. საწოლი შუა ოთახში იდგა და მთლიანად მარლით იყო შეფუთული, რადგან სხვაგვარად ღამე ვერ დაიძინებდი, მწერები არ მოგასვენებდნენ. ჩემს ოთახში ერთი პატარა ხვლიკი ცხოვრობდა, რომელთანაც საერთო ენა მალე გამოვნახე და დავძმაკაცდით კიდეც. დილით, წვერის გაპარსვის დროს სარკესთან მივიდოდი თუ არა, ისიც ამოძვრებოდა, წინ დამიჯდებოდა და ენას გამომიყოფდა, მერე მეც გამოვუყოფდი და ასე ვერთობოდით... საერთოდ, პასიური დასვენება არ მიყვარს. ინდოეთში ყოფნის დროს ვცდილობდი, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა შემესწავლა და დილიდან საღამომდე, 40-გრადუსიან სიცხეში დავხეტიალებდი და იქაურობას ვათვალიერებდი; როცა შემეძლო, კონდიციონერით გაგრილებულ სასტუმროში ვმჯდარიყავი ან საცურაო აუზში მენებივრა. დელიში პირველად რომ ჩავედი, ქუჩაში ღამით გავედი და ვნახე, სანაპიროზე, რამდენიმე კილომეტრის გაყოლებაზე ტომრები ეწყო. ძალიან გამიკვირდა, ახლოს მივედი და ვნახე, ტომრებში ადამიანებს ეძინათ. თურმე, უსახლკაროები იყვნენ.

**— თავად ინდოელები როგორ ისვენებდნენ?**

— ინდოელ ელიტასთან კონტაქტი თითქმის არ მქონია, საშუალო ფენა კი ძირითადად, სამოგზაუროდ ბრიტანეთში მიდიოდა. ინდოეთში გველების მომთვინიერებელი გავიცანი, რომლისთვისაც ყველაზე კარგი დასვენება ისეთ ადგილას წასვლა იყო, სადაც ბევრი შხამიანი კობრა, გიურზა იქნებოდა და ასეთი მოგზაუროებისთვის მთელი წელი აგროვებდა ფულს. ის კაცი, სულ ცოტა, ათჯერ მაინც იყო გველისგან დაკბენილი, მაგრამ უკვე იმუნიტეტი ჰქონდა გამომუშავებული...

**— თქვენ სად ისვენებთ ყველაზე კარგად?**

— ა. ორი წლის წინ, საახალწლოდ, სამ მეგობართან ერთად ჩემს აგარაკზე წავედი. ღამის ათი საათი რომ შესრულდა, ტყეში გასეირნება მომინდა (ტყე ჩემი სახლიდან 40 მეტრშია). ავიღე „ვინჩესტერი", მეგობრები სახლში დავტოვე და წავედი. სეირნობისას ისე გავერთე, ახალი წელი სულ დამავიწყდა და უკან დაბრუნებულს მეგობრები კარგად შეზარხოშებულნი დამხვდნენ. ტყეში ზოგჯერ, ძალიან საინტერესო ამბები ხდება. ერთხელ, ჩემ თვალწინ ოთხმა მგელმა სამი გოჭი მოიტაცა და თან, ძალიან უცნაურად — ერთმა მგელმა გოჭს ფეხში წაავლო პირი, მერე ადამიანივით, ზურგზე მოიგდო და გაიქცა. ჩეჩნეთიდან გადმოსული, წითელი მგლები იყვნენ.

**— თქვენ უვნებელი გადარჩით?**

— მე ზედაც არ შემომხედეს. უფრო მეტსაც გეტყვით — მგლებს გოჭების პატრონი გამოეკიდა, ერთ-ერთს მისწვდა და ჯოხიც ურტყა, მაგრამ მტაცებელმა ყურადღება არ მიაქცია.

**— ნადირობა გიყვართ?**

— არა, სისხლისმსმელი არ ვარ. მონკავშირის წევრი გახლავართ, თოფიც მაქვს, მაგრამ ცოცხალ არსებას ვერ ვესვრი.

**— ტყეში სეირნობისას სერიოზულ ხიფათს თუ გადაჰყრიხართ?**

— საქართველოში არა, მაგრამ ერთხელ, აფრიკის ჯუნგლებში ძალზე სახიფათო ადგილას აღმოვჩნდი. ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს, მე და ჩემი ბავშვობის მეგობარი — გელა ლეჟავა (მაშინ ჯანდაცვის მინისტრი იყო, ახლა ნარკოლოგიური ცენტრის დირექტორია) აფრიკის ერთ-ერთ პატარა ქვეყანაში, გვინეა-ბისაუში ერთად წავედით. იქ საბჭოთა საელჩომ მიგვიღო, რეზიდენციაში დაგვაბინავა და „კაგებეს" წარმომადგენელიც მოგვიჩინა. ახალგაზრდა, რუსი კაცი იყო (სამწუხაროდ, მისი სახელი და გვარი აღარ მახსოვს). ერთ საღამოს დედაქალაქის დასათვალიერებლად წაგვიყვანა. ძალიან პატარა დასახლება იყო და ყველა კუთხე-კუნჭული შემოვიარეთ, მერე კი ჩვენმა მეგზურმა, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში იყო, გვითხრა, — უფლება არ მაქვს, მაგრამ თუ გინდათ, ქალაქგარეთ წაგიყვანთო. რა თქმა უნდა, წავყევით. დედაქალაქიდან გავედით თუ არა, ჯუნგლებში აღმოვჩნდით. კარგა დიდი მანძილი რომ გავიარეთ, მანქანა ორმოში ჩაგვივარდა. რუსი

გვინეა-ბისაუში სტუმრობისას

უცებ გამოფხიზლდა და გვითხრა, — რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, მანქანა უნდა ამოვიყვანოთ, თორემ თუ გაიგეს, აქ რომ წამოგიყვანეთ, სამსახურიდან მომხსნიანო. როგორი საქმეა, უკუნეთ ღამეში, შუა ჯუნგლებში გადმოსვლა? თან, მიწა ისეთი ნესტიანი იყო, ახალი ნაწვიმარი გეგონებოდათ. ისიც ვიცოდით, რომ ამ ტალახივით მიწაში ქვეწარმავლები ბუდობდნენ. წინადღეს, საელჩოს ექიმმა გვითხრა: ერთ აფრიკელს, როდესაც ის ჯუნგლებში ყანას ამუშავებდა, კობრამ უკბინა და ძალიან ცუდად გახდა, მაგრამ გადარჩა იმიტომ, რომ აფრიკელია და იმუნიტეტი აქვს, თეთრკანიანი კი ამას ვერ გაუძლებდაო. ბევრი ვიუარეთ, ბევრიც ვიბუზღუნეთ, მაგრამ „კაგებეშნიკმა“ მოკლედ მოგვიჭრა, — ან მანქანა ამომაყვანინეთ, ან ფეხით წადითო. სხვა რა გზა გვქონდა? — გავიხადეთ ტანსაცმელი და ორმოში მიწის ჩაყრა დავიწყეთ (ასე ორმო თანდათან ივსებოდა და მანქანა ზევით იწევდა). გამთენიისას მანქანა ძლივს ამოვათრიეთ. შემოგვხედა რუსმა და შეიცხადა, — რა ტალახიანები ხართ, ასე ჩემს „ჟიგულიში“ ვერ ჩაგსვამთო. კინაღამ მოვკალით. ბოლოს, მანქანაში კი ჩაგვსვა, მაგრამ თავის სახლში არ წაგვიყვანა, — თქვენს დანახვაზე ცოლი გადამერევაო და პირდაპირ რეზიდენციაში მიგვაბრძანა. მისი ცოლი კი გადარჩა გადარევას, მაგრამ ჩვენი მასპინძლები — ვერა. წარმოიდგინეთ, საღამოს გავედით ორი გამოპრანჭული თეთრკანიანი და დილას დავბრუნდით ტალახში ამოგანგლული, შიშველი ველურები. კიდევ კარგი, არაფერმა გვიკბინა.

**— ბატონო სოსო, მგონი, ეგზოტიკური ქვეყნები უფრო გხიბლავთ.**

— კი, მართალი ხართ. თუ დაიჯერებთ, ამერიკაში ნამყოფი არ ვარ. სამოცდაათიან წლებში ხშირად მიწევდა არჩევანის გაკეთება შეერთებულ შტატებსა და აზიურ ქვეყნებს შორის, მე კი ყოველთვის აზიას ვირჩევდი იმიტომ, რომ ეგზოტიკა მიყვარს.

**— აზიურ სიცხეს ადვილად იტანთ?**

— ვერა, მაგრამ ვცდილობდი, როგორმე გამეძლო. აფრიკაში, საბჭოთა კავშირის საელჩოში შორტით დავდიოდი. ცოტა ალმაცერად კი მიყურებდნენ, მაგრამ ვამბობდი, — ავად ვარ და ექიმმა პიჯაკის ჩაცმა ამიკრძალა-მეთქი. არ სჯეროდათ, მაგრამ რას იზამდნენ, ძალით ხომ არ ჩამაცმევდნენ? აფრიკაში კოსტიუმის ჩაცმა ვის გაუგონია?! ადგილობრივებზე რომ არაფერი ვთქვათ, ევროპელებიც მსუბუქად ჩაცმულნი დადიოდნენ, საბჭოელებს კი ათი კილომეტრიდან იცნობდით — შავი პიჯაკით, ჰალსტუხით და სახეზე ღვარად ჩამოდენილი ოფლით.

**— აზიურ ქვეყნებში ეგზოტიკურ სადილებს თუ მიირთმევდით?**

— არა, რადგან მწერები, ლოკოკინები და ბაყაყი არ მიყვარს. სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან ევროპულ საჭმელს მივირთმევ. სხვათა შორის, ინდოეთში ნადუღს წავაწყდი და ძალიან გამიხარდა.

**— როგორც ვიცი, მსოფლიოს გარშემო გემით იმოგზაურეთ. რამდენად საინტერესო იყო ეს თქვენთვის?**

— სიმართლე გითხრათ, ერთფეროვანი და მოსაბეზრებელი იყო. თან, ამ მოგზაურობას ერთი მინუსიც ჰქონდა: ჩემთან ერთად მთელი საბჭოთა კავშირის ტურისტები იყვნენ, რაც სულაც არ მსიამოვნებდა.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ჩვენ, ქართველები მათგან ძალიან განვსხვავდებით, რაღაც უხალისო და უცნაური ხალხია. ერთხელ, სამეცნიერო ჯგუფთან ერთად ეგვიპტეში წავედი. ამ ჯგუფში ერთადერთი ქართველი გახლდით. კაიროში ჩასულებს, სადილობისას რიაზანის მეცხოველეობის ინსტიტუტის მსხვილრქოსანი პირუტყვის კათედრის გამგემ (კარგად ჩასუქებული რუსი იყო. მე მას „კრუპნოროგატი“ შევარქვი) გამოგვიცხადა, — პოლიტმეცადინეობა ჩავატაროთო. გავაპროტესტე: რა დროს ეგ არის, არ მოგბეზრდათ-მეთქი? მაგრამ სხვებმა მას დაუჭირეს მხარი. ამ კაცზე ძალიან დავიბოღმე და მეორე დღეს, საუზმის დროს, როცა მაგიდასთან ჯდებოდა (არ ვიცი, რა ბზიკმა მიკბინა), სკამზე ჯემით სავსე ლანგარი დავუდე. ისეთი მსუქანი იყო, ვერ მიხვდა, რაზე დაჯდა და მთელი დღე უკანალს უშველებელი ლაქა უმშვენებდა (*იცინის*). სხვათა შორის, ამ ჯგუფში ერთ ბაშკირს — მითხაკ გაინოლინს დავუმეგობრდი. ის ქალაქ უფის უნივერსიტეტის პრორექტორი გახლდათ, ნამდვილი ინტელიგენტი იყო და კარგი იუმორიც ჰქონდა. ჩვენ ერთ ნომერში ვცხოვრობდით. ერთხელაც, კაიროდან ალექსანდრიაში მატარებლით მივდიოდით. საღამოს ვაგონრესტორანში გავედით და ეგვიპტური ლუდი „სტელა“ (ძალიან გემრიელი იყო და ძვირიც ღირდა) დავლიეთ. ცოტა ხანში, ტაშკენტის საქალაქო კომიტეტის მდივანი (არ ვიცი, მეცნიერებში საიდან მოხვდა), თავის ორ თანამემამულესთან ერთად შემოვიდა და ლუდის ფასი გვკითხა. მითხაკმა იმაზე ათჯერ იაფი უთხრა, ვიდრე ღირდა. ესენიც წავიდნენ და ოცი ქილა იყიდეს. მე და მითხაკი მივხდით, რომ იქ კარგი ამბავი არ დატრიალდებოდა და ჩუმად გამოვიპარეთ. ნახევარ საათში ტაშკენტელები ვაგონში მოგვიცვივდნენ და სულ „ჟულიკები“ გვეძახეს. საცოდავებს, რაც ფული ჰქონდათ, სულ ვაგონრესტორანში დაატოვებინეს (ალბათ, იცით, რომ მაშინ, საზღვარგარეთ წასვლისას ძალიან ცოტა ფულის წაღების უფლება გვქონდა).



ჩემთვის კარგი დასვენება ბაზალეთის აგარაკზე წასელა და ტყეში სეირნობაა

**— ეი. მეცნიერებსაც გჩვევიათ ოინების მოწყობა.**

— აბა, რა. ამ ამბის მერე, ვიფიქრე, — მითხაკმა ეს ხალხი ასე თუ გაამაიმუნა, მე რატომ უნდა ჩამოვრჩე? ბოლოს და ბოლოს, ქართველი ვარ და ვიღაც ბაშკირმა როგორ უნდა მაჯობოს-მეთქი? გადავწყვიტე, ერთი კარგი ოინი მომეწყო. ასუანში ჩასვლისას დენდროპარკის დასათვალიერებლად წავედით. საშინელი სიცხე იყო, 40 გრადუსს აჭარბებდა. ცოტა ხანში დავინახეთ, რომ დიდი ბაობაბის ქვეშ, მაგიდებზე ცივი, დაორთქლილი „კოკა-კოლის“ ბოთლები ეწყო. თარჯიმანმა მითხრა, — თქვენს კოლეგებს უთხარით, დალიონ, თქვენთვის უფასოაო. ჯგუფის წევრები დაინტერესდნენ: რა უნდოდა, რა გითხრაო? მე კი ვუპასუხე, — თითო „კოკა-კოლა“ ნახევარი გირვანქა სტერლინგი ღირს-მეთქი. სასმელს კაციშვილი არ მიეკარა, სულ მე და მითხაკმა დავლიეთ. გამყოლმა მკითხა, — რატომ არ სვამენო? ვუთხარი, — არ სწყურიათ-მეთქი. წამოვედით და 100 მეტრის გავლის შემდეგ ვთქვი, რომ „კოკა-კოლა“ უფასო იყო. ამ ხალხმა მეცნიერობაც დაივიწყა, თანამდებობაც, ასაკიც და სულ სირბილით დაეშვნენ ბაობაბისკენ, მაგრამ იქ რომ მივიდნენ, მომსახურე პერსონალს სასმელი უკვე ალაგებული ჰქონდა. ჩემი ოინების გამო მოსკოვში საყვედური გამომიცხადეს, მაგრამ ეს ყველაფერი სასიამოვნო მოგონებად დარჩა.

**— კიდევ ბევრ სასიამოვნო თავგადასავალსა და სასიამოვნო დასვენებას გისურვებთ!**

— გმადლობთ, თქვენც ასევე. ■

# ბავშვმა კითხულობდა ეპოლეტურ ეპიზოდებს ბესო ბერულაშვილი

## „ახლოს რომ ვიყო, ბრუჯ შილდსის ჯოცნას მოვიპოვებდი“

„პაროდიის თეატრის“ მსახიობი ბესო ბერულაშვილი „ერუდიტში“ სტუმრობაზე დაგვთანხმდა, მაგრამ შეხვედრისას დაიჩივლა: მოუმზადებელი მოვედი, დრო რომ მოგეცათ, ბევრ რამეს თვალს გადავავლებდი და თქვენს მკითხველზე უფრო კარგ შთაბეჭდილებას დავტოვებდიო. მისი საყვარელი მწერლები კონსტანტინე გამსახურდია და ნოდარ დუმბაძე არიან. დღეს ისტორიული და დოკუმენტური ჟანრების ლიტერატურას კითხულობს, ხოლო წლების წინ, როცა გარდატეხის ასაკში იყო, ყველაზე დიდი ინტერესით „ჯაყოს ხიზნებსა“ და „თეთრ საყელოში“ ეროტიკულ ეპიზოდებს კითხულობდა და ზოგიერთი აბზაცი ზეპირად იცოდა. მაშინდელ საქციელს კი ასე ამართლებს: „დღეს ტელეეკრანზე ჩაცმული ქალის ნახვა მოგენატრება, მაშინ კი ასეთი რამ იშვიათობა იყო“.

თამუნა კვინიკაძე

— **რა ერქვა იაზონის გემს?**

— „არგო“. არგონავტებზე ბევრი რამ მაქვს წაკითხული.

— **მაშინ, ისიც გეცოდინებათ, რომელი ცხოველის ტყავი იყო ოქროს საწმისი?**

— ვერძის.

— **რომელ ქალაქშია იუნესკოს შტაბბინა?**

— საფრანგეთში.

— **ასეთი ქალაქიც არსებობს?**

— (*იცინის*) აა; ქალაქი უნდა მეთქვა? პარიზში.

— **რომელი ზღვა უერთდება ხმელთაშუა ზღვას სუეცის არხით?**

— რა მოუმზადებელი წამოვედი, რუკა მაინც წამომეღო (*ფიქრობს*)! შავი ზღვა.

— **შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე დიდი მანძილია, სუეცის არხით მას წითელი ზღვა უერთდება. რა ეროვნების იყო რობინ ჰუდი?**

— ინგლისელი.

— **რომელ ქალაქშია წმინდა სოფიის ტაძარი?**

— სტამბოლში.

— **რომელ მდინარეზეა აგებული „ჟინვალჰესი“?**

— რომელზე უნდა იყოს, ეგ რა საკითხავია?

— **მიპასუხეთ.**

— მდინარე ჟინვალზე.

— **მდინარე ჟინვალი არსებობს? პასუხში დარწმუნებული ხართ?**

— არ არსებობს? მაშინ მდინარე არაგვზე იქნება აგებული. აბა, იქ სხვა მდინარე არ არის.

— **რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზეა ჩანჩქერი ანხელი?**

— ვენესუელის.

— **რომელ ქვეყანაშია კიმონო ქალისა და მამაკაცის ტრადიციული სამოსი?**

— იაპონიაში.

— **რომელ სახელმწიფოშია იენის უნივერსიტეტი?**

— გერმანიაში.

— **მზის სისტემის რომელი პლანეტა ანდომებს ყველაზე მეტ დროს ღერძის გარშემო შემობრუნებას?**

— აი, ახლა კი გავიჭედე... (*იცინის*) არ ვიცი.

— **ვენერა.**

— უჰ! ვენერა ჩემი მეზობელია, რამ დამავიწყა?!

— **რომელი პოეტის სრული სახელია ჯორჯ ნოელ გორდონი?**

— ბაირონის. ვენერასგან განსხვავებით, ეს კარგად მახსოვს.

— **რა ჰქვია აქლემის შვილს?**

— კოზაკი.

— **რომელი ლითონი გამოიყენება ნათურის სპირალის დასამზადებლად?**

— ვოლფრამი.

— **რომელ სახელმწიფოს მართავდა სასანიანთა დინასტია?**

— ირანს.

— **რომელ კონტინენტზე მდებარეობს საჰარის უდაბნო?**

— აფრიკის კონტინენტზე.

— **რომელმა ბერძენმა ფილოსოფოსმა თქვა ცოლის მოყვანაზე: „მოიყვან, ინანებ, არ მოიყვან, ინანებ“.**

— უნდა გამოვიცნო. თვითონ უცოლო იყო?

— **არა.**

— კასრში ცხოვრობდა?

— **არა, დიოგენეს არ ეკუთვნის.**

— არისტოტელე?

— **მიგანიშნებთ, მას ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი: „მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“.**

— ჰეროდოტე?

— **ეს ფილოსოფოსი სოკრატე გახლდათ. ეთანხმებით?**

— თუ ორივე შემთხვევაში უნდა ინანო, მაშინ აჯობებს, რომ მოიყვანო.

— **ჰერალდიკაში მარტორქა სიძლიერის სიმბოლოა, სვავი — მძვინვარების, ვარდი — სიწმინდის, რის სიმბოლოდ მიიჩნევა გასაღები?**

— გონიერების.

— **ცდებით, გულახდილობის. სად გარდაიცვალა უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა?**

— არ ვიცი.

— **სურამში. დაკრძალულია კიევში. რომელ კუნძულზე გარდაიცვალა გოგენი?**

— იქვე ახლოს... (*ფიქრობს*).

— **სად, სურამთან ახლოს?**

— არა, სადაც ცხოვრობდა, მაგრამ იმ კუნძულის სახელს ვერ ვიხსენებ.

— **მარკიზის კუნძულზე. „ზოდიაქო“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა, რას ნიშნავს იგი ქართულად?**

— ვარსკვლავებს.

— **ცდებით, ცხოველთა წრეს.**

— ასტროლოგია ნაკლებად მაინტერესებს. ისე, ვიცი, რომ სასწორი ვარ.

— **რიგით მერამდენე იყო დემეტრე თავდადებული?**

— მეორე. ასეთი კითხვები დამისვი რა, ისტორია კარგად ვიცი.

— **ჩვენთან კითხვები შეკვეთით არ არის. „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება“, — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?**

— ვაჟა-ფშაველა.

— **ქრისტეს რომელი მოციქული იყო მებაჟე?**

— მათე.

— **სად მდებარეობს ჭავჭავაძის ქუჩა?**

— ჭავჭავაძის ქუჩა მთაწმინდაზეა, პროსპექტი — ვაკეში.

— **რა ჰქვია კლოუნის მოკლე სახუმარო ნომერს?**

— რეპრიზი.

**— ტაილანდში ქოქოსის კაკლის შემგროვებელთა კურსები არსებობს. ვინ არიან მისი მოწაფეები?**

— კარატისტები, კუნფუისტები.

**— ხუმრობთ?**

— მე ასე ვიცი.

**— სწორი პასუხია — მაიმუნები. ბალზაკი წერდა: „ყველა კედლის კარადა ექვემდებარება განადგურებას, თუნდაც მასში უამრავი მურაბის ქილა თავსდებოდეს“. რატომ?**

— ვერ გიპასუხებ.

**— იქ შეიძლება, ქალმა საყვარელი დამალოსო.**

— საკვირველია. ბალზაკი იმ ქვეყნიდან იყო, სადაც საყვარელს არ მალავენ.

**— ნიუ-იორკის სახვითი ხელოვნების მუზეუმში, სანთლით მოვაჭრის პორტრეტი გამოფინეს. ნახატი ახალ მიმდინარეობად მიიჩნიეს და მუზეუმს უამრავი ხალხი მიაწყდა. ორი წლის შემდეგ გაიგეს, რომ...**

— არ ვიცი, მხატვრობაში ნაკლებად ვერკვევი.

**— სურათი უკუღმა ეკიდა. ერთ-ერთ საქველმოქმედო საღამოზე ბრუკ შილდსმა ისეთი რამ გაყიდა, რისთვისაც მისმა საქმრომ — ანდრე აგასიმ სკანდალი ატეხა. რა გაყიდა ცნობილმა მსახიობმა, რომლის ფასმაც მაშინ 45.000 დოლარი შეადგინა?**

— ქვედა საცვალი.

**— ცდებით, მან 45.000 დოლარად კოცნა გაყიდა.**

— კოცნაში ფული არ უნდა გადაიხადო, უნდა მოიპოვო. მე ბრუკ შილდსისგან შორს ვარ, თორემ მისი კოცნის მოპოვება არ გამიჭირდებოდა. აგასის აღარ ვჯობივარ?

**— ძალიან თავდავჯერებული ხართ. ცნობილმა მსახიობმა რობერტ დე ნირომ თავისი გატაცების გამო მიიღო მეტსახელი მენახშირე. რა იყო ეს გატაცება? შავი ტანსაცმლით სიარული, შავკანიანი ქალების სიყვარული თუ შავი სათვალე?**

— შავი სათვალე.

**— ცდებით. დე ნიროს ეს მეტსახელი შავკანიანი ქალების სიყვარულის გამო შეარქვეს. ვინ გამოიგონა ველოსიპედი?**

— ლეონარდო და ვინჩიმ.

**— სტალონე, შვარცენეგერი, ნიკოლსონი — ამ მსახიობებიდან, რომელი მონაწილეობს ფილმში „ტერმინატორი-2“?**

— შვარცენეგერი.

**— რა არის პეგასი?**

— ფრთოსანი რაში.

**— „ელისო“, „მამის მკვლელი“, „თეთრი საყელო“, „ხევისბერი გოჩა“ — ჩამოთვლილი ნაწარმოებებიდან, რომელი არ ეკუთვნის ალექსანდრე ყაზბეგს?**

— „თეთრი საყელო“. მისი ავტორი მიხეილ ჯავახიშვილია.

**— სად მდებარეობს მამისონის უღელტეხილი?**

— რაჭაში.

**— ყინწვისი, დავითგარეჯა, ვარძია, უფლისციხე — ამ ძეგლთაგან, რომელი არ მიეკუთვნება კლდეში ნაკვეთ გამოქვაბულთა კომპლექსს?**

— ყინწვისი.

**— იტალია, პოლონეთი, გერმანია, ესპანეთი — ამ სახელმწიფოებიდან ტერიტორიულად რომელია ყველაზე პატარა?**

— პოლონეთი.

**— ცდებით, იტალია. რომელი ქვა იცვლის ფერს განათების ან დღე-ღამის მონაკვეთის მიხედვით: ალექსანდრიტი, ამეთვისტო, საფირონი თუ მარგალიტი?**

— ვიცი, რომ ფერს მარგალიტი არ იცვლის. დანარჩენზე ვერაფერს გეტყვი.

**— სწორი პასუხია ალექსანდრიტი. რა ერქვა ჯანი როდარის ცნობილი ზღაპრის გმირს?**

— ჩიპოლინო.

**— რომელი სახელმწიფო არ არის აფრიკის კონტინენტზე: ეთიოპია, ზამბია, ომანი?**

— (*ფიქრობს*) ომანი.

**— ყველაზე მეტად რისი ეშინია სპილოს — ჭიანჭველასი, ბუზის თუ რწყილის?**

— ჭიანჭველასი.

**— სადაური მწერალი იყო თომას მანი?**

— გერმანელი.

**— რა უწოდეს მემატიანეებმა XI საუკუნის 80-იან წლებში მტრის განუწყვეტელ შემოსევებს?**

— „დიდი თურქობა“.

**— რომელ ცნობილ ნაწარმოებს აქვს წამძღვარებული „მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირს უკანაო“?**

— თუ შეიძლება, ავტორი მითხარი.

**— ილია ჭავჭავაძე.**

— (*ფიქრობს*) „კაცია-ადამიანი?!“

**— რა ერქვა დარეჯანის მოახლე ქალს?**

— ლამაზისეული.

**— რამდენი წლით უმცროსი იყო ლუარსაბი დარეჯანზე?**

— როგორც მახსოვს, ლუარსაბი 20-ის იყო, დარეჯანი — 21-ის (*იცინის*).

**— დაასრულეთ ძველი რომაელი ფილოსოფოსის ცეცერონის სიტყვები: „არასოდეს ვარ ისეთი მოუცლელი, როგორიც...“**

— „...საქმის დროს“?

**— „...როგორიც დასვენების საათებში“.**

■

## ერუდიტი +

**მწერლებიდან პეპელა 15 დღეს ცოცხლობს.** *არიან ისეთი სახეობებიც, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე საათს ცოცხლობენ. დედა ფუტკარი 6 წელიწადს, ხოლო დედა ჭიანჭველა 10 წელიწადს ცოცხლობს. თევზები: ქარიყლაპია, კობრი და ორაგული 100 წელზე მეტხანს ცოცხლობენ. ფრინველებიდან ბუ, ძერა, ყორანი, გედი, არწივი და ზღვის იხვიც ასევე 100 წელს ცოცხლობენ. ბატი — 80 წელს, ყარყატი — 70-ს. მტრედი — 40-50-ს, გუგული — 40-ს, სპილო — 120-150-ს. ვეფხვი და დათვი 40-50-ს, ცხენი 30-40-ს, ბეჰემოთი და მარტორქა — 40-ს, ლომი — 20-25-ს, შინაური კურდღელი — 7-8-ს, გარეული კი 5-7 წელიწადს ცოცხლობს.*

**ჩვენს პლანეტაზე ყველაზე დიდ ბუდეს** *თეთრთავა ფსოვი აშენებს. ამ ფრინველის ბუდის დიამეტრი თითქმის ორ-ნახევარი მეტრია, სიმაღლე 4 მეტრი.*

**დედამიწა 5 980 000 000 000 მილიარდ ტონას იწონის.**

**ამაზონი ყველაზე წყალუხვი და გრძელი მდინარეა მსოფლიოში.** *მისი სიგრძე 7025 კმ-ის ტოლია. საქართველოს ფარგლებში ყველაზე დიდი მდინარეებია: წყალუხვობით — რიონი, სიგრძით — ალაზანი.*

# ძველი სახლის პივნიღან ინგლისელის თვალით დანახული თბილისი

„თქვენ შეჩვეულები ხართ, უცხო ეი უკეთესად ამჩნევს ამ სილამაზეს"...

*ედნა ფორტესკიუ წარმატებულ და ცნობილ საგამომცემლო კომპანიაში — FT Caribbean — მუშაობს, რომელიც ტურიზმისა და რეკლამის სფეროში საქმიანობს. ინგლისელი ქალბატონი პირველად 2004 წელს ჩამოვიდა საქართველოში და...*

**რუსუდან დარჩიაშვილი**

— ...ვიგრძენი, რომ ჩემი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა... მოგზაურობა ძალიან მიყვარს, ბევრჯერ ვარ ნამყოფი რუსეთში, შემოვლილი მაქვს ცენტრალური აზია, შუა აღმოსავლეთი და ყოველთვის მაინტერესებდა საქართველო. თურქეთში მოგზაურობისას ერთ ჟურნალში წავაწყდი საინტერესო სტატიას საქართველოს შესახებ და მისი ნახვის სურვილმა შემიპყრო. ინგლისში პატარა სააგენტო აღმოვაჩინე, რომლის დახმარებითაც „ვარდების რევოლუციის" შემდეგ 16 დღით ჩამოვედი, როგორც ტურისტი. მძღოლისა და გიდის თანხლებით ქვეყანა შემოვიარე და ერთ საღამოსაც, ძველი თბილისის დათვალიერების შემდეგ, შთაბეჭდილებებით გაოგნებულსა და დაღლილს, ამეკვიატა, — რა იქნება, აქ პატარა ბინა მქონდეს, რომ ხშირად ჩამოვიდე-მეთქი?.. ეს სიგიჟეს ჰგავდა: ქვეყანაში რთული მდგომარეობა იყო, თან აქ არავინ მყავდა, არც ენა ვიცოდი. იმ დღეებში ერთი ყმაწვილი კაცი გავიცანი, რომელსაც ვუთხარი, რომ 3 თვეში დავბრუნდებოდი...

*მართლაც, დაბრუნდა და სოლოლაკში, ზემოთ, ერთ პატარა ქუჩაზე, აივნებიან ძველ სახლში ბინაც შეიძინა და ქართველი მეგობრებიც, რომლებისთვისაც მისი სახლის კარი ყოველთვის ღიაა...*

— ქალაქში უამრავი ძველი შენობაა, რომელთა რესტავრაციაც საკმაოდ რთულია, მაგრამ ამ სახლს რომ შევხედე, ვიფიქრე, გაკეთებას შევძლებ-მეთქი. საქართველოში ბინის შეძენა, ევროპისგან განსხვავებით, რთული არ არის. შენობა, სიძველის მიუხედავად, მყარი იყო, არ ჰქონდა ნაპრალები, მაგრამ საოცრად გასარემონტებელი იყო. მარტო საბჭოთა კავშირის დროს მინახავს შენობები, რომელთა მცხოვრებლებსაც არ აწუხებდათ, თუ რა ხდებოდა მათი კარის მიღმა: გეგონებოდათ, საუკუნე ისე გასულიყო, რომ სადარბაზო არავის შეეკეთებინა. მაგრამ თქვენ კარგი მშენებლები, ინჟინრები გყავთ და რემონტი რომ დავამთავრე, შედეგით თვითონაც გაოცებული დავრჩი — იმ ქაოსისგან რაც გამოვიდა!.. ერთ დღესაც მოვიდნენ ინვესტორები და შემოგვთავაზეს, ჩვენს პატარა თბილისურ ეზოში მრავალსართულიანი სახლის აშენება. გვუბნებოდნენ, — შენობა სულერთია, დაინგრევა, აღებაზე რომც არ დაგვთანხმდეთო. დავინტერესდი — რა გარანტიებს გვაძლევდნენ. ადვოკატსაც ვკითხე რჩევა, ქალაქის მერიასაც მივმართე. ვუთხარი, — სიძველეებს არ იცავთ-მეთქი. მზად ვიყავი, ამის შესახებ ევროპულ ჟურნალ-გაზეთებში დამეწერა. ასე არ არისო, — მარწმუნებდნენ. რაღაც არარესპექტაბელური კომპანია აღმოჩნდა, პატარა ოთახში იყო შეყუჟული... ეტყობა, „სიმულაციას" ეწეოდნენ, დიდ სამშენებლო კომპანიებს არწმუნებდნენ, დოკუმენტაცია წესრიგში გვაქვსო, — და მშენებლობის დაწყებას სთავაზობდნენ. სრულიად გაურკვეველი ვითარება იყო... ჩვენი სახლი აღებას გადაურჩა, მაგრამ ძველ უბნებში არქიტექტურული თვალსაზრისით ღირებული ბევრი შენობაა, რომელიც კერძო დეველოპერებს უვარდებათ ხელში. ხშირად სამშენებლო წესებს არ იცავენ, პროექტები ირღვევა. ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, რომ ახალი შენობა არ იყოს უცხო და ერთიანი არქიტექტურული სტილიდან ამოვარდნილი. თანაც, თბილისი სეისმურად საშიშ რეგიონშია და აქ უხარისხო, მრავალსართულიანი სახლების აგება საშიშია. ძველებსაც საძირკვლები ერყევა. მერე აცხადებენ — ძველი შენობები საშიშია და უნდა ავიღოთო... დღეს ქალაქში სამშენებლო ბუმია და ხალხს უკიჟინებენ, — იყიდეთ ბინები, თორემ ფასები გაიზრდებაო. ეს ბუმი გაივლის, არადა, ბინისთვის კრედიტს რომ იღებ, შემდეგ ის თანდათან იზრდება. ხალხი კი ჯერჯერობით გადახდისუნარიანი არ არის.

ძველ თბილისს განუმეორებელი შარმი აქვს, რაც დაკარგულია სხვა ქვეყნებში. ქალაქი პირველი შეხვედრისას კი არ გატყუებს — მართლაც ასეთია. აღმოსავლეთი და დასავლეთი ორგანულადაა შერწყმული ყოფაშიც, წეს-ჩვეულებებშიც, ტრადიციებშიც; ასეთია ხალხიც. განსაკუთრებული ქცევის ნორმებით ცხოვრობს. ჩვენი უბანი, ცენტრთან ასეთი სიახლოვის მიუხედავად, ძალზე წყნარი და მყუდროა, აქედან საუცხოო ხედი იშლება. ბავშვები ქუჩაში თამაშობენ, აქვე აქვთ სკოლაც, ღამე შეგიძლია უშიშრად ისეირნო, ყველა ერთმანეთს ესალმება, საერთო აივნები გვაკავშირებს, მეზობლებთან კარგი ურთიერთობა მაქვს (ინგლისში მათ საერთოდ არ ვიცნობ). აქ ყველაფერი ჩემთვის უჩვეულოა და ძალიან ვაფასებ. და ეს ყველაფერი უნდა მოიშალოს?!. თბილისური ეზოების გაქრობასთან ერთად ხომ ამგვარი ცხოვრების წესიც მოკვდება!.. ერთმა მეზობელმა თქვა, — ავსტრალიაში წავედი სამუშაოდ, ფულის საშოვნელად და ჩვენს ტრადიციებსა და ურთიერთობებს მონატრებული დავბრუნდი თბილისში, სოლოლაკში; უცხოეთში, პატარა „ყუთებში" გამოკეტილი ადამიანები

**ძველ თბილისს განუმეორებელი შარმი აქვს აღმოსავლეთი და დასავლეთი ორგანულადაა შერწყმული ყოფაშიც, წეს-ჩვეულებებშიც, ტრადიციებშიც**

შეიძენს და სიძველეც დაცული იქნება. ეს ხელეწიფებათ თქვენს მაღალპროფესიონალ არქიტექტორებსა და მშენებლებს. შარდენის ქუჩას არ ეტყობა, რესტავრაციისას სპეციალისტები როგორ ფრთხილობდნენ?.. ამას წინათ აქცია ჩატარდა თავისუფლების მოედნის კუთხეში მდებარე შენობის დასაცავად, მის ადგილას მრავალსართულიანის აგება უნ-

**ეს არის მისტიკური, უაღრესად მომხიბვლელი ქვეყანა და უფრო მეტად უნდა იყოს ცნობილი, მაგრამ ტურიზმის განვითარებამ ქართველებს თავისთავადობა არ უნდა დააკარგვინოს**

დათ. მეც მივიღე მონაწილეობა; ინგლისურენოვან გაზეთ Georgian Journal-თან ერთად პატარა კამპანია წამოვიწყეთ — „გადავარჩინოთ ძველი თბილისი!“ — და სექტემბრიდან გაზეთში გამოქვეყნდება სტატიების სერია, ისტორიული უბნების პრობლემების შესახებ. საქართველოში საკმაოდ დიდი ხნით ჩამოვდივარ ხოლმე და მინდოდა, მეც რამე გამეკეთებინა. ახალგაზრდა ქართველ მეგობრებთან ერთად, გამოვეცი ვაჭრობისა და ტურისტული გზამკვლევი. 25 წელზე მეტია, სარეკლამო და საგამომცემლო საქმეს ვემსახურები და ვიცი, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს ტურიზმის განვითარებისთვის.

**— რომელ ქვეყნებში გიმუშავიათ?**

— თავდაპირველად სამხრეთ აფრიკაში, იოჰანესბურგში ვმუშაობდი, შემდეგ — რომში, ინგლისურენოვან გაზეთსა და გამომცემლობაში, მერე — ლონდონში, საბოლოოდ კი კარიბის კუნძულებზე საკუთარი გამომცემლობა დავაფუძნე. ერთ პატარა ოთახში ერთი საბეჭდი მანქანით დავიწყეთ, შემდეგ კი ჩვენი ჟურნალების ტირაჟი 60 ათასამდე გაიზარდა და პოპულარობა მოიპოვა კომპაქტურობის, დიზაინის, ინფორმაციულობისა და რეკლამების წყალობით. ჩემს გამოცემებში რეკლამა ძალზე ძვირია და ძალიან შემოსავლიანიც. ისინი უფასოდ რიგდება. „საქართველოს გზამკვლევის“ პრეზენტაცია პირველად ლონდონში, ბუნებისმეტყველების ინსტიტუტში გაიმართა. მას საქართველოში დიდი ბრიტანეთის მაშინდელი ელჩი, ბატონი ნეშიც ესწრებოდა. ჟურნალის პირველი ნომრის (2006 წელს გამოვიდა) ტირაჟი 7000 ეგზემპლარი იყო, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ახლა 2009 წლის ნომერზე ვმუშაობთ და საერთოდ, სისტემატურად — წელიწადში ერთხელ უნდა გამოვცეთ; გვინდა, ტირაჟიც გავზარდოთ და უფრო დავხვეწოთ.

**— თქვენი აზრით, ჩვენში დასავლელი ტურისტების ჩამოსვლა რეალურია?**

— საქართველოთი ევროპისა და ამერიკის მასმედია მაშინ ინტერესდება, როცა საგარეო ურთიერთობები იძაბება, ასევე — თურქეთთან, ირანთან და ჩეჩნეთთან სიახლოვის გამო, რუსეთი ტერორისტულ იმიჯს უქმნის მსოფლიოში. აქ ჯერ კიდევ ერიდებიან ინვესტიციების ჩადებას. მაგალითად, ჩემს მეგობრებს ძალიან მოსწონთ აქაურობა, მაგრამ ეშინიათ ჩამოსვლის. ქვეყანამ ასეთი შეხედულება უნდა გააქარწყლოს. მე კი მგონია — საქართველოში უფრო დაცული ვარ, ვიდრე ლონდონში... არსებობს ძველი ინგლისური ანდაზა: ჩემი სახლი — ჩემი ციხესიმაგრეა, ეს ის ადგილია დედამიწაზე, სადაც შეგიძლია, სრულიად უსაფრთხოდ იგრძნო თავი. მაგრამ ამ შემთხვევაში, მხოლოდ ფიზიკური უსაფრთხოება არ იგულისხმება... ქართველები გულუხვი, გულწრფელი ხალხია, აქ კეთილგანწყობილი გარემოა, მათ შორის — უცხოელების მიმართაც. აინტერესებთ შენი ამბავი. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ. ედნაძე ვარ-მეთქი, — ვამბობ... საქართველოში ჯორჯ ბუშის ვიზიტის შემდეგ, თქვენი ქვეყნის შესახებ საკმაოდ ვრცელი სტატია დავბეჭდე სამხრეთ აფრიკის გაზეთ Cape Times-ში, რომელსაც ნახევარი მილიონი მკითხველი ჰყავს. იქაურებს სურდათ, უფრო მეტი გაეგოთ საქართველოს შესახებ. ვწერდი, რომ ეს არის მისტიკური, უაღრესად მომხიბვლელი ქვეყანა და უფრო მეტად უნდა იყოს ცნობილი, მაგრამ ტურიზმის განვითარებამ ქართველებს თავისთავადობა არ უნდა დააკარგვინოს. შეიძლება, ცოტა ეგოისტი ვარ, მაგრამ არ მინდა, ტურისტებით გადაივსოს ეს ქვეყანა... ამასთანავე, ყველას ვუხსნი, რომ არაფერია საშიში, საქართველო ორთოდოქსული ქვეყანაა, ხალხი ძალიან რელიგიურია; რომ საქართველოში ოჯახის კულტია (რაც აგრეთვე დაკარგულია დასავლეთში). თან მაკვირვებს: ქართული ოჯახი იმდენად მყარია, რომ მის წევრებს ოჯახიდან „გაღწევაც“ კი უჭირთ: ორმოც წელს გადაცილებული მამაკაცები დედებთან ერთად ცხოვრობენ! ასეთი რამ ევროპაში წარმოუდგენელია... ახალგაზრდა ოჯახები ფეხზე მყარად ვერ დგანან, ალბათ ამიტომ, ყველა თაობა ერთად, დიდ ოჯახად ცხოვრობს. გოგონები ადრე თხოვდებიან, ბავშვებს აჩენენ და თავს აღარ უვლიან. ქალები ჭკუა-გონებით სავსენი არიან, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულნი, მაგრამ მამაკაცები ცოტა „აზიატები“ არიან და ვერ ეგუებიან წარმატებულ ქალებს... ბუნებრივი სილამაზისა და ორიგინალური არქიტექტურის შერწყმა თბილისს განუმეორებელ მომხიბვლელობასა და კოლორიტს ანიჭებს. დაგრეხილი ვიწრო ქუჩები, ერთმანეთს „ჩაკრული“ სახლები მიჰყვება რელიეფს, ტერასულად არის განლაგებული... ტურისტი ხომ იმას ეტანება, რაც მის ქვეყანაში არ არის. თქვენ შეჩვეულები ხართ, უცხო თვალი კი უკეთესად ამჩნევს ამ სილამაზეს, მაგრამ აქ მხოლოდ ეგზოტიკა როდი გიზიდავს, არამედ განსაცვიფრებელი კულტურული მემკვიდრეობა და ხელოვნება. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში (სადაც ბილეთები ევროპასთან შედარებით, ათჯერ იაფია) უმაღლესი დონის სპექტაკლები იმართება; ყოველ ფეხის ნაბიჯზე უძველესი ეკლესია-მონასტრები და მუზეუმებია, შესანიშნავი მხატვრობა, ქორეოგრაფია, ქართული საგალობლები და პოლიფონიური სიმღერები მართლაც, უნიკალურია... სად შეხვდები ამდენ ნიჭიერ ადამიანს, მუსიკის აკადემიური აღქმის უნარით?! რამდენიმე კაცი სუფრასთან შეიკრიბება და სიმღერას მოუმზადებლად, ექსპრომტად ასრულებს! უკეთესს რას მოისმენ?!. ასეთ რამეს სხვაგან ვერ შეხვდები... ღვინის კულტურის ქვეყანა, აქაური ბაზრის მსგავსი, სავსე ნატურალური



პროდუქტებით, ევროპაში არსად მინახავს.

ვიცი, ორიგინალურს არაფერს ვამბობ, საქართველოს არასოდეს გულგრილი არავინ დაუტოვებია. აქაურობა ძალიან მენატრება ხოლმე. სექტემბერში ისევ დავბრუნდები. ■

# ირაკლი ჩოლოყაშვილს ქალების არჩევაში თავი უგემოვნო ჰგონია...

**ირაკლი ჩოლოყაშვილს ძალიან მოსწონს, როცა ჩოხა აცვია. ამბობს, ამ დროს ჩემს ფესვებს ვგრძნობო. დედით სვანი და მამით კახელი, გენთან სიახლოვეს ყველაზე ხშირად სწორედ ამ კუთხეების სიმღერების აჟღერებისას გრძნობს. მას ქალებზე სტერეოტიპი არასდროს ჰქონია შექმნილი. ყოველთვის მრავალფეროვნების მოყვარული იყო და ალბათ, ამის ბრალია, რომ მეორე ნახევარს ჯერ ვერ შეხვდა. ცნობილ მსახიობს ამჯერად გემოვნებაზე ვესაუბრეთ. ირაკლის თაყვანისმცემლებს ეს ინტერვიუ ალბათ დაეხმარება, რომ მის გემოვნებას გაეცნონ და მსახიობს თავი მოაწონონ.**

*მერი კობიაშვილი*

**— როლი ჩემს გემოვნებაში თუ არ ჯდება, კარგია — ე.ი. ძნელი სამუშაო მელოდება წინ**

— ადამიანის გემოვნება ასაკის მატებასთან ერთად იცვლება. ის, რაც შეიძლება, 15 წლის ასაკში მოგეწონოს, 30 წლისას აღარ დაგაინტერესებს.

**— პირადად შენი გემოვნება როგორ შეიცვალა? თუნდაც ქალების მიმართ. 20 წლის ასაკში ქერა გოგონები მოგწონდა, ახლა კი წითურები გხიბლავს?**

— მე არასდროს მომწონდა ერთნაირი ტიპის ქალები. აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავი ტიპის ქალები იპყრობდნენ ჩემს ყურადღებას. ხან ქერა და ცისფერთვალება მომწონდა, ხან — შავგვრემანი. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ამ მხრივ უგემოვნო ადამიანი ვარ.

**— ასე რატომ ფიქრობ? მგონი, ქალებში შენნაირი გემოვნება მამაკაცების უმეტესობას აქვს...**

— ძალიან ემოციური ადამიანი ვარ. როდის რა მომეწონება და რას მივაქცევ ყურადღებას, წინასწარ არ ვიცი.

**— მოდი, შენი გემოვნების სხვა მხარეებზეც ვისაუბროთ. „იმედის ტალღაში“ საჩუქრად ბინა გადმოგცეს. მის მოწყობაში მიიღებ მონაწილეობას?**

— ბინის მშენებლობა სექტემბერში დამთავრდება. ზუსტად არ ვიცი, როგორ მოვაწყობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ნათელ ფერებში იქნება. ბინას დიზაინერსაც ვუჩვენებ და მის აზრს აუცილებლად გავითვალისწინებ. პატარა ბინაა. სივრცე დიდი რომ გამოჩნდეს, ღია ფერები უნდა იყოს.

**— როგორი ავეჯი გინდა, შენს ბინაში რომ იდგეს?**

— მე კონსერვატორი ვარ, მაგრამ თანამედროვეობა სხვა სტანდარტებს გვიკარნახებს. ბინა, რომელშიც ახლა ვცხოვრობ, ძველებური ავეჯითაა მოწყობილი, რომელიც ძალიან მომწონს, ამ ბინას ძალიან უხდება. კორპუსის ბინაში არა მგონია, რომ ძველებურმა სტილმა გაამართლოს. თანამედროვე ავეჯს შევიძენ და ბინას ისე მოვაწყობ.

**— როლების არჩევაში რამდენად პრეტენზიული ხარ? ყოფილა შემთხვევა, რომ როლი შენს გემოვნებაში არ ჯდებოდა და მის თამაშზე უარი თქვი?**

— როლი ჩემს გემოვნებაში თუ არ ჯდება, კარგია — ე.ი. ძნელი სამუშაო მელოდება წინ. თუ ჩემს გემოვნებაში ჯდება და გმირი ძალიან მგავს, სცენაზე საინტერესო სანახავი არ ვიქნები. რამდენიმეწლიანმა მუშაობამ რომანტიკოსი შეყვარებული გმირების თამაშის სურვილი დამიკარგა.

**— ასეთი გმირები რატომ აღარ გხიბლავენ?**

— ჯერ ერთი, ასეთი როლების შესრულების ასაკიდან გამოვედი. უარყოფითი როლების თამაში უფრო საინტერესოა. თუმცაღა მქონდა უარყოფითი გმირის როლებიც. რატომღაც გული ასეთი როლებისკენ მიმიწევს. ცოტა ხნის წინ ლევან წულაძემ სპექტაკლ „ფერხულში“ მოძალადე, ეგოისტი, პედანტი და დემაგოგი ქმრის როლი მომცა.

**— ასეთი ქმრის თამაში კარგად გამოგივიდა?**

— ლევანმა შემაქო. ჩემთვის მის აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს. კარგია, თუ ლევანი ჩემში უარყოფითი გმირების თამაშის პოტენციალს ხედავს.

**— ახლა გამახსენდა, რომ ფილმ „რევერსში“ ვამპირის როლი ითამაშე. ვერაფრით ვხვდები, მსახიობს რატომ უნდა მოსწონდეს ასეთი როლები?!**

— მთლად ვამპირიც არ ვიყავი. ერთ-ერთი სექტის სექსუალურ რიტუალში ვმონაწილეობდი.

**— ამ დროს არ გიფიქრია ისეთ მაყურებელზე, რომელიც შეიძლება, შენთან შეხვედრამ შეაშინოს?**

— ამ შემთხვევაში, მაყურებელი ხვდება, რომ ფილმში მომხდარი ამბავი გამოგონილია და რეალობასთან არანაირი კავშირი არ აქვს. როცა მსახიობს ასეთი წინა პირობა აქვს, უარყოფით როლზე უპრობლემოდ თანხმდება ხოლმე. ასეთი როლი უფრო საინტერესო იმითაცაა, რომ გაცვეთილი არ არის და მრავალფეროვანია. როცა სულ დადებით პერსონაჟებს ასახიერებ, რეჟისორები სხვაგვარ როლზე აღარ გიწვევენ, სხვა ამპლუაში ვეღარ გხედავენ. ამიტომაა, რომ მსახიობს ერთი იარლიყი არ უნდა გქონდეს.

**— შენი და რეჟისორის გემოვნება ერთმანეთს ხშირად ემთხვევა?**

— ჩემი ნამუშევრების 98% ლევან წულაძეს უკავშირდება. მისი მოსწავლე ვიყავი. სამსახიობო გემოვნება მის თვალწინ ჩამომიყალიბდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ რადიკალურად განსხვავებული გემოვნება არ გვაქვს. ზოგი რეჟისორი ავტორისეული ვარიანტით ხელმძღვანელობს, პიესაში არაფერს ცვლის. ლევანი მათ რიგს არ მიეკუთვნება. რომელიმე კონკრეტულ სიუჟეტზე შეიძლება, ჩემი აზრი შევთავაზო, ის შესაძლოა, დამეთანხმოს და საბოლოოდ, კარგ შედეგამდე მივიდეთ. შეიძლება, ყველაფერი პირიქით მოხდეს. სპექტაკლის წარმატება მაინც რეჟისორზეა დამოკიდებული. თუ მსახიობი ვერ ითამაშებს, დამნაშავე ისაა. რადგან მთელი ტვირთი რეჟისორზეა, ჯობია, მას დავუჯერო...

**— ყველაზე უცნაური როლი რომელი იყო, რომლის გამოც გარეგნობის შეცვლა დაგჭირვებია?**

— ამ მხრივ, ძალიან შეწუხებული არ ვარ. რამდენჯერმე თმის გაზრდა დამჭირდა.

**— ამან დისკომფორტი არ შეგიქმნა?**

— დისკომფორტს ის შემიქმნის,

როცა თმა არ მექნება. საბედნიეროდ, ჯერჯერობით თმის შეღებვა არ დამჭირვებია.

**— როგორც ვიცი, მელომანი ხარ. რომელი ჟანრის მუსიკას ანიჭებ უპირატესობას?**

— ძირითადად, კლასიკურ მუსიკას ვუსმენ. ჩემთვის სხვა დანარჩენი — მეორე პლანზეა.

**— „იმედის ტალღის“ შემდეგ, ალბათ, მეგობრების წრეში ქეიფი შენი სიმღერის გარეშე არ ჩაივლის ხოლმე...**

— სუფრასთან ძირითადად, ხალხურ სიმღერებს ვმღერი. მე ხომ ანსამბლ „ლაშარის“ წევრი ვარ. ხალხურზე არჩევანს იმიტომ ვაკეთებ, რომ უპრეტენზიო სიმღერაა: ხალხი ვართ და როგორც გვინდა და როგორც შეგვიძლია, ისე ვიმღერებთ. როცა სვანურ და კახურ სიმღერებს ვმღერი, ვგრძნობ, რომ ფესვებს ვიდგამ...

**— მახსოვს, ერთხელ მითხარი, რომ სვანურ-კახური ოჯახის შვილი ხარ და ალბათ, იმიტომ ხდება შენი „ფესვების გადგმა“ ამ კუთხეების სიმღერის შესრულებისას...**

— ზუსტად მიხვდი. ნამდვილად ასეა.

**— კახურ სიმღერებს უფრო კარგად მღერი თუ სვანურს?**

— კახური არ გამომდის. ძალიან რთული ჩახვევებია სამღერი. „ლაშარში“ ერთი იმერელი ბიჭია, ისე ახვევს კახურ სიმღერებს, ლამის გულზე გავსკდე. მე სვანურს მამღერებენ, მას კი — კახურს.

**— ქართული ცეკვაც გეხერხება?**

— მე დადგმულ ცეკვებს ვცეკვავ. მითხრან, რა და როგორ უნდა გავაკეთო და უპრობლემოდ ვიცეკვებ. ვხუმრობ, არ დამიჯერო. მე თუ ვინმემ დამინახა, რომ ვცეკვავ, ცუდად არის საქმე: ე.ი. ისეთი ნასვამი ვარ, ვერ ვაზროვნებ. თუ სხვა ცეკვავს და მე ვუყურებ, ე.ი. ცოტათი ნასვამი ვარ (*იცინის*).

**— შენს გასტრონომიულ გემოვნებაზეც ვისაუბროთ: როგორ სუფრას ანიჭებ უპირატესობას?**

— არ მიყვარს ფურშეტები. ფეხზე დგომა და ჭამა მოუხერხებელია. სულ მგონია, რომ ფურშეტი გაჭირვებული კაცის მოგონილია. ბევრი ხალხი თუ არის, აუცილებლად ვინმე დაგეჯახება. ადამიანს ხელს ვერ ჩამოართმევ, იმიტომ, რომ ხელში თეფში გიჭირავს. მოკლედ, მთელი საღამო წონასწორობის დაცვაზე უნდა იფიქრო.

ქართველებს ასეთი ქეიფი არ გვიყვარს.

**— თამადა ხშირად ხარ?**

— მირჩევია, თამადას მოვუსმინო, ვიდრე ეს ტვირთი მე ავიღო. თამადობა დიდი პასუხისმგებლობაა. რამდენიმე ათეული კაცის მოვლა რთულია. მათ ბოლომდე პატივი უნდა სცე. საბოლოოდ, გამოვა, რომ ისინი იქეიფებენ, მე კი „სადარაჯოზე“ ვიდგები. ხანდახან ამ მისიის შესრულებაზე უარს არ ვამბობ. ამბობენ, რომ მკაცრი თამადა ვარ.

**— სუფრის წევრებს სასმელს აძალებ ხოლმე?**

— არ მიყვარს, როცა თამადას არ უსმენენ...

**— დასჯის მეთოდი როგორი გაქვს?**

— გაბრაზება სახეზე მაწერია. მერე ნამუსზე ვარდებიან ხოლმე. მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ თამადობა უფრო შუახნის მამაკაცს უხდება. მე შეიძლება, სადღეგრძელო ვთქვა, მაგრამ ის იქნება უბრალოდ ლამაზად ნათქვამი ფრაზა. თამადას თამაში არ უნდა სჭირდებოდეს.

**— კითხვისთვის დრო გრჩება? რომელი ჟანრის ლიტერატურას ანიჭებ უპირატესობას?**

— აღმოვაჩინე, რომ ფინანსებში სწორი ინტუიცია მაქვს. ამ სფეროში რამდენჯერმე ჩემი ვარაუდი გამართლდა, ამიტომ გადავწყვიტე, მარკეტინგში თეორიულად გავერკვე. ბოლო დროს, ამ მიმართულების წიგნებს ვკითხულობ.

**— საზოგადოებაში ხშირად ჩნდები ჩოხაში ჩაცმული. ეროვნულ სამოსზე რატომ აჩერებ ხოლმე არჩევანს?**

— ვისაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჩაუცვამს ჩოხა, ამ კითხვაზე პასუხი აუცილებლად ექნება. ჩოხის ტარება დიდი პატივია. როცა ჩოხა გაცვია, ფესვებთან კავშირს გრძნობ. მაშინ ხვდები, რომ ისტორიას ეხები, შენში პატრიოტული სული იღვიძებს. ძალიან მიხარია, რომ კომუნისტური წყობის დროს ხალხი ჩოხას არ ატარებდა. ეს კიდევ უფრო უსვამს ხაზს იმას, თუ რა ეპოქაში გვიწევდა ცხოვრება.

**— სხვა ქვეყნის ეროვნული სამოსი არასდროს გცმია?**

— ამას წინათ, შუააზიური სამოსი მეცვა და ნამდვილად ვერ ვიგრძენი ვერანაირი ფესვები, პირიქით — გავღიზიანდი. თემურ ლენგი გამახსენდა. ერთი სული მქონდა, ხალათს როდის გავიხდიდი.

**— ჩოხა გაცვია, მაგრამ ბლანჟესაც ატარებ. ამის გამო დისკომფორტი არ შეგქმნია?**

— ბლანჟეს ბევრი ქართველი ატარებდა, მაგალითად — ილია ჭავჭავაძე. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. როლების გამო, ხშირად მიწევს წვერის გაპარსვა, ამიტომ ზაფხულობით ბლანჟეს ვატარებ ხოლმე. ■

**სუფრასთან ძირითადად, ხალხურ სიმღერებს ვმღერი**

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

### ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. კარგო ხომალდის ტვირთია.
2. ლომების ოჯახს პრაიდი ჰქვია.
3. ოდისევსი კუნძულ ითაკაზე მეფობდა.
4. ბუერავაზი თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია.
5. ობოლი — ხურდა ფული იყო ძველ საბერძნეთში.
6. ალკოჰოლით დაავადებულს მეორენაირად, პოტატორს ეძახიან.
7. პრესშპანი თხელი, მკვრივი, დაპრესილი მუყაოა.
8. ინფლუენცა გრიპის მოძველებული სახელწოდებაა.
9. ვეფხვი ერთ ჯერზე 27 კილოგრამამდე ხორცს ჭამს.
10. ცხენის ზურგზე გადასაფარებელ ქსოვილს ასალი ჰქვია.
11. არგა — შინდის ხის ტოტებისგან გაკეთებული, ეზოს ცოცხია.
12. ილია რეპინი კომუნისტების შიშით, რუსეთში ვეღარ ჩადიოდა.
13. ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა“ ალვის ხის თხელ ფიცარზეა დახატული.
14. უდაბნოში ტბა-მირაჟი, მოგზაურისგან ყოველთვის ორი-სამი კილომეტრით არის დაშორებული.
15. ვერტმფრენი „МИ-24“ — ეგრეთ წოდებული „კროკოდილი“, რომელსაც საბჭოთა კავშირი ავღანეთის ომში იყენებდა, ჯავშნიანი იყო.

16. თვითმკვლელობა გალაკტიონ ტაბიძემ ერთხელ ახალგაზრდობაშიც სცადა, როცა სასწავლებელში „საღვთო სჯული“ ვერ ჩააბარა და კარბოლის მჟავა დალია.
17. ამერიკელ დედებს მცირეწლოვანი შვილები სოლარიუმში დაჰყავთ. P.S. ზოგ დედას ბავშვი მოდური აქსესუარი ჰგონია.
18. „ჩელოვეკ როჟდაეტსა სვობოდნიმ, ნო პოჩემუ-ტო ვსიუ სვოიუ ჟიზნ პროვოდიტ ვ ოკოპახ“, — ამბობს მიხაილ ჟვანეცკი.
19. ცისარტყელას ფერები ყოველთვის ერთნაირი თანამიმდევრობით ლაგდება: წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იისფერი.
20. „მისი პროფილი სკვითურ ვაზებზე მაქვს ნანახი“, — ამბობდა რეჟისორი ნიკიტა მიხალკოვი ნონა მორდიუკოვას შესახებ, რომელიც ახლახან გარდაიცვალა.
21. „ეს ქალაქი ჩემი სულის, გულისა და გონებისათვის არაფერს იძლევა“, — წერდა ნიკოლოზ ბარათაშვილი თბილისის შესახებ თავისი ბიძისადმი მიწერილ წერილში. P.S. თბილისი ჭირი და



# „შემხვდი და ვჰირდები, შავღვაფიწყებით შემიყვარდები“

## „მე და შენ მაგარი წყვილი ვიქნებით“...

**მარეხ ჭონიშვილი**

*„ვარსკვლავების აკადემიის“ მონაწილეს — **ანი სუგელიანს** და „ქლაბ-შოუს“ ერთ-ერთ აქტიურ სახეს, **ამიკო ჯოხარაძეს** უამრავი თაყვანისმცემელი ჰყოლია. მათ სიყვარულს გულღიად და დაუფარავად უხსნიან. ჯერ ანის სახელზე გამოგზავნილ მესიჯებს გაგაცნობთ, შემდეგ კი — ამიკოსას.*

„ანი, ძალიან გამიხარდა, ამ რუბრიკაში რომ მიიღე მონაწილეობა. თუ ჩემს გაცნობას მოისურვებ, ძალიან გამიხარდება. გიო“.

„მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო საქმეების კეთება არ გიყვარს, შენი გაცნობა და შენთან დაახლოება მაინც მინდა. ზაზა, 22ა წლის“.

„ძალიან ლამაზი და სექსუალური ხარ. შენზე ფიქრისას რაღაც მემართება, ისე მომწონხარ, ვეღარ ვაზროვნებ. მგონი, მიყვარხარ. გიგა, 20 წლის“.

„მართლაც, ცხელი გოგო ხარ, ვგიჟდები, ისე მომწონხარ. „ვარსკვლავების აკადემიის“ დაწყებიდანვე შენ გგულშემატკივრობდი, დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი და ვიმეგობრებდი შენთან. რა თქმა უნდა, თუ ამის სურვილი თავადაც გექნება“.

„ძალიან გამიხარდა, ჟურნალ „გზაში“ შენი ინტერვიუ რომ ვნახე და ისიც გამიხარდა, შენ და ლევანს ერთმანეთი რომ გიყვართ. მართალია, ლევანი მე მომწონდა და იმედი მქონდა, მასთან დაახლოების შანსი მომეცემოდა, მაგრამ შურიანი არ ვარ და ორივეს დიდ ბედნიერებას გისურვებთ. ანი, 17 წლის“.



ქართულ შოუბიზნესს შენნაირი გოგონები ძალიან სჭირდება

„დედაჩემმა, როგორც კი ეკრანზე დაგინახა, მითხრა — ნახე, რა კარგი გოგოა, ეგეთი რძალი მინდაო, მაგრამ შენი ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ აზრი შეეცვალა, ბევრი რამ არ მოეწონა. მე კი პირიქით, უფრო „დამევასე“. მომწონს შენნაირი პირდაპირი გოგონები, იმედია, ჩემს გაცნობას მოინდომებ. ლაშა, 21 წლის“.

„ძალიან მომწონხარ და სიამოვნებით გაგიცნობდი, მიუხედავად იმისა, რომ შეყვარებული გყავს. მე ეს დაბრკოლებად არ მიმაჩნია. სწორედ ისეთი სიმპათიური და ყურადღებიანი მამაკაცი ვარ, როგორიც შენ მოგწონს. გამომეხმაურე და გპირდები, არ ინანებ. მიშა“.

„შენი მესიჯი ჩემთვის ისე სანატრელია,/ ნუთუ, დაწერა ორი სიტყვის ასე ძნელია?/ მე მენატრები შენ კი არა, შენი მესიჯი,/ ჩემი თვალები ლამაზ სიტყვებს ისევ ელიან“.

„ლამაზი, ნიჭიერი და მუსიკალური გოგო ხარ, სცენას ძალიან უხდები. ქართულ შოუბიზნესს შენნაირი გოგონები ძალიან სჭირდება. იმედია, არ გაჩერდები და სცენაზე ხშირად გიხილავ. წარმატებას გისურვებ! ლაშა“.

„ანი, მიყვარხარ, გამომყევი, რა,

ცოლად. საოჯახო საქმეები რომ არ გიყვარს, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ — მატერიალურად არ მიჭირს და მოსამსახურეს ავიყვან. ზაზა“.

*ახლა კი ამიკოს სახელზე მოსულ მესიჯებს გაგაცნობთ.*

„ამიკო, თუ გამეცნობი, გამიხარდება. სხვათა შორის, საოჯახო საქმეები კარგად ვიცი, გკოცნი. დიკი ანგელი“.

„ყველაზე ლამაზი ოცნება აგიხდეს,/ მეგზურად გყოლოდეს ზღაპრული ფერია./ ეცადე, არასდროს არავინ შეგძულდეს,/ ცხოვრება ისედაც ძალიან ძნელია. ფიქრია — 20“.

„ძალიან მომწონხარ, არაჩვეულებრივი ადამიანი ჩანხარ. შავტუხა და მაღალი გოგონები არ მოგწონს? ჩემით თუ დაინტერესდები, ძალიან გამახარებ. სოფო, 17 წლის“.

„ზღვისპირას ოცნება მომტაცა თოლიამ,/ ზღვა ჩემს ოცნებას ჩუმად აჰყოლია,/ შენ მახსენდები და ასე მგონია, ეს მონატრება ზღვასავით შორია. ძალიან მომწონხარ. თეო, 19 წლის“.

„გამარჯობა, ამიკო. ვერ გეტყვი, რომ შენთან შეხვედრა ასეთი მეთოდით მინდა, ამას ნამდვილად არ ვაპირებ, მაგრამ რადგან შეიძლება, პირადად ვერასდროს გნახო, „გზის“ მეშვეობით გეტყვი, რომ საყვარელი და ნიჭიერი პიროვნება ხარ, ყოველივე კარგს გისურვებ, შენს ოჯახთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად, ჰო, კიდევ, ქორწილშიც მალე მეთამადოს. ისე, შენს სადღეგრძელოებს სიამოვნებით მოვისმენდი. ანი“.

„ამიკო, წავიკითხე შენი ინტერვიუ და ძალიან მომეწონა. მაგრად მიყვარხარ. იქნებ, როგორმე შემეხმიანო. მაგდა“.

„ძალიან ნიჭიერი და საყვარელი ხარ. გამიხარდა, ქართული ტრადიციები რომ მოგწონს. მერწმუნე, მე და შენ მაგარი წყვილი ვიქნებით, თუ მნახავ, აუცილებლად მოგეწონები, რადგან როგორც გარეგნულად, ისე სულიერადაც კარგი გოგო ვარ. ჰო, ცნობისთვის, წესიერ, ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე. ანი, 17 წლის“.

„ამიკო, მეც ძალიან მიყვარს ცეკვა და კარგი იქნება, თუ ერთხელ სადმე, საცეკვაოდ დამპატიჟებ. გპირდები, არ ინანებ. ნინო“.

„ლამაზი, გემოვნებიანი და კარგი ტიპი ხარ. ანი, ქუთაისიდან“.

„კარგი ადამიანი ხარ. ეკრანზე შენს გამოჩენას ყოველთვის მოუთმენლად ველი. მომწონს შენი იუმორი. იმედია, კიდევ დიდხანს გაგვახარებ და გვაცინებ. ბედნიერებას, სიხარულსა და სიყვარულს გისურვებ!“

„ასეთ სიმპათიურ, პოპულარულ და წარმატებულ ბიჭს ნეტავ, შეყვარებული არ ჰყავს? იმედია, არა. შემხვდი და გპირდები, რომ თავდავიწყებით შეგიყვარდები. მერწმუნე, ისეთი ეშხიანი გოგო ვარ, როგორიც შენ მოგწონს. მარი“.

„ცხოვრების სწორ გზაზე ოცნებით გეფრინოს,/ გზადაგზა პატარა ვარდები გეკრიფოს,/ იყავი დღეგრძელი, მარადჟამს გელხინოს,/ სიყვარულს, სიხარულს სულ შენთან ეფრინოს“.

„მეც სწორედ ასეთ დაქორწინებაზე ვოცნებობ. გამომეხმაურე და ერთად გავიპაროთ. მაიკო, იმერეთიდან“.

ცხოვრების სწორ გზაზე ოცნებით გეფრინოს,/ გზადაგზა პაგარა ვარდები გეკრიფოს

„ქარი რომ ვიყო, დაგედევნებოდი,/ ფიქრი რომ ვიყო, აგეკიდებოდი,/ ბავშვი რომ ვიყო, გაგებუტებოდი,/ შენთან რომ ვიყო, ჩაგეხუტებოდი“.

„უშენოდ გაძლება არ არის ადვილი,/ რა ვქნა, რომ ერთმანეთს გვაშორებს მანძილი,/ იცი მეგობრობა კარგი და ნამდვილი,/ ჩემს გულში შენ უკვე გაქვს შენი ადგილი. ნია“.

■



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ეოჩა დვალის „ეზის წიგნაკიდან“:

ჭორიაო, — უყვარდათ ხოლმე თქმა პოეტის მეგობრებს.

22. „ასეთი ბედი როგორ მაღირსეს, რომ პატარა ძაღლი ვუყეფდე თბილისს“, — წერდა ტიციან ტაბიძე.

23. ახლახან მსახიობ ლევ დუროვს ავტომობილი მოჰპარეს. აღარ გვინდა მანქანები, მოდი, ჯავშანტრანსპორტიორები ვიყიდოთო, — უთქვამს მსახიობის გასამხნევებლად მისულ მის ერთ მეგობარს. „უგონიატ, ვანია, უგონიატ!..“ — ხელი ჩაუქნევია გულმოკლულ დუროვს.

24. თავდაპირველად აფთიაქს, ძვირფასი პროდუქტებისა და საგნების (ღვინო, წიგნები, წამლები) შესანახავ ადგილს უწოდებდნენ. შემდეგ ეს სახელი წამალთა დასამზადებელ სახელოსნოს ეწოდა. აფთიაქის ნაშთები აღმოჩენილია პომპეის გათხრების დროს. სახელმწიფოს მიერ რეგლამენტირებული პირველი აფთიაქი VIII საუკუნეში არაბეთში, ქალაქ ბაღდადში დაარსდა. 1806 წელს თბილისში გაიხსნა პირველი სახაზინო, 1828 წელს კი პირველი კერძო აფთიაქი — წამალთხანა.

25. დიდი ბრიტანეთის მმართველ წრეებში სულ უფრო ხშირად კამათობენ იმ კანონთან დაკავშირებით, რომელიც სექსუალურ მოძალადეთა მკაცრ დასჯას ითვალისწინებს. პარლამენტარები მოძალადეებისა და პედოფილების არა მარტო ციხეში ჩასმას, არამედ კასტრაციას მოითხოვენ. საქმე, რა თქმა უნდა, შუა საუკუნეების დროინდელ ტანჯვა-წამებას არ ეხება. ეს სამედიცინო პროცედურაა — ქიმიური კასტრაცია, რომლის დროსაც დამნაშავეს ჰორმონული პრეპარატის — ლიუპრალელინის დიდ დოზას უკეთებენ, რომელიც აქვეითებს მის სექსუალურ აქტივობას. სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები პედოფილებს ჯერჯერობით საშუალებას აძლევენ, ნებაყოფლობით ჩაიტარონ ეს პროცედურა, მაგრამ არის იძულების შემთხვევებიც. ამგვარი პრაქტიკა დანერგილია გერმანიაში, შვეიცარია და დანიაში. კალიფორნიაში ეს აუცილებელი პროცედურაა. მათ, ვინც ერთხელ უკვე არის პედოფილიისათვის ნასამართლები და სასჯელის მოხდის შემდეგ აკრძალული აქვს, მიუახლოვდეს საზოგადოებრივი თავშეყრის იმ ადგილებს, სადაც ბავშვები იმყოფებიან, ფეხზე უმაგრებენ გადამცემს, რომელიც თანამგზავრის საშუალებით, დამრღვევის ადგილმდებარეობის შესახებ 1,5 მეტრის სიზუსტით გადასცემს სიგნალს პოლიციის რადიომიმღებზე.

# ვის დასმენდა ჯონდი ბაღათურია, რომელზე კოშმარი

**„ქართული დასის“ ლიდერს, პარლამენტარ ჯონდი ბაღათურიას ფოტოების გადაღება არასდროს ჰყვარებია, ალბომსაც იშვიათად ათვალიერებს. ამჯერად გამონაკლისი დაუშვა, „განვლილ წლებს“ ჩვენთან ერთად გადახედა და რუბრიკისთვის — „მეტამორფოზები“ რამდენიმე სურათიც შეგვარჩევინა.**

## ფრანდიოზული ჩხუბები და „ნადვეურობა“ მაღლივ კორპუსთან

თამუნა კვინიკაძე

**— ბატონო ჯონდი, ალბომის დათვალიერების დროს, რა განცდა დაგეუფლათ?**

— ბავშვობიდან დაწყებული, დღევანდელ დღემდე, მთელ ცხოვრებას გადავხედე, როცა ალბომს ვათვალიერებ, ყოველთვის სენტიმენტალური განცდა მეუფლება. ბათუმში ერთი ნაცნობი ფოტოგრაფი გვყავდა. როცა მე და ჩემს ძმებს ერთად დაგვინახავდა, უხაროდა — ძმები ბაღათურიები მოდიანო!.. ერთ დღეს ცხენზე შეგვსვა და ფოტო გადაგვიღო. ამ ფოტოს თვითონ „მეგრელ ცხენოსანთა სამეული“ დააწერა.

**— როგორი ბავშვი იყავით?**

— ცელქი. 3 წლის ასაკიდან, ზამთარ-ზაფხულ, ყოველ დილით 7 საათზე მამა ზღვის ნაპირზე ფეხშიშველს მარბენინებდა. თუ „პახმელიაზე“ არ იყო, ჩემთან ერთად თვითონაც დარბოდა.

**— მიუხედავად სიცელქისა, ვიცი, რომ სკოლაში ნ-ებზე სწავლობდით.**

— დიახ, ფრიადოსანი ვიყავი. 4-იანი არც ერთ საგანში არ მქონდა, მაგრამ ყოფაქცევაში 2-ს მიწერდნენ. კლასში კიდევ მეორე ხუთოსანი, ნონა გობეშავიძე იყო. ჩვენი ფოტოები სტენდზე იყო გამოკრული. სკოლის დამთავრების შემდეგ, პირველ წელს უნივერსიტეტში ვერ ჩავირიცხე. ერთ-ერთ საწარმოში ხან ზეინკლის, ხან — ხარატის დამხმარედ და მტვირთავ მუშადაც ვმუშაობდი. მეორე წელს კი უნივერსიტეტში ჩავირიცხე. კარგი ჯგუფი გვქონდა. ბევრი მეგობარი შევიძინე. ბოლო კურსი რომ დავხურეთ, ბიჭები 45 დღით ბათუმში „სბორებზე“ წაგვიყვანეს. იქ ბევრი ფოტო გვაქვს გადაღებული.

**— ერთ-ერთ ფოტოზე სამხედრო ფორმა და ბოტასები გაცვიათ. წესებს არ ემორჩილებოდით?**

— რას ლაპარაკობთ, რა მორჩილება?! ჩვენი მეთაური რუსი კაპიტანი იყო; კაცი ტიროდა, როგორ არ მოიქცა, მაგრამ ვერ მოგვათვინიერა, ასეთ რამეს ჩვეული არ იყო. განშორებისას გვითხრა, — როგორც კოშმარი, ისე დამესიზმრებითო (*იცინის*)... ამ ფოტოზე ჩემს ჯგუფელ ტუხოსთან ერთად ვარ აღბეჭდილი. ბულვარში დასასვენებლად გავედით და მაშინ გადავიღეთ.

**— უნივერსიტეტში თქვენი ჯგუფელი ლევან გაჩეჩილაძეც იყო. მასთან მეგობრობდით?**

— კი, გრეჩიხა ჩემი ჯგუფელი იყო. ის სტუდენტობის დროსაც ისეთივე აქტიური იყო, როგორიც დღეს არის.

**— ერთად გიჩხუბიათ?**

— უჰჰ! ძალიან ბევრჯერ. ერთ ან ორ კაცზე ხელს არ ვისვრიდით. სერიოზულ და გრანდიოზულ ჩხუბებს ვაწყობდით — უბნელებთან, კვარტალელებთან და ა.შ. ერთხელ ისე მოხდა, რომ ერთ-ერთი ჯგუფი ჩვენთან კონფლიქტში რამდენჯერმე დამარცხდა. ბოლოს, ჩემი განადგურება განიზრახეს. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის წინ 100-მდე ბიჭი დამხვდა. არაფერი ვიცოდი, უნივერსიტეტში ჩვეულებრივად



ფრიადოსანი ვიყავი



1983 წელი, მესამეკურსელი ჯონდი

მარტო მივედი. სანამ მათ მივუახლოვდებოდი, 2-3 ნაცნობი შემხვდა. მივედით თუ არა, ჩხუბი დაიწყეს, ეს ამბავი უნივერსიტეტში მყოფმა ჯგუფელებმა გაიგეს, სანამ ისინი მოგვეშველებოდნენ, ვუმკლავდებოდით. მალე გრეჩიხა მთელ „სასტავთან“ ერთად მოვიდა და მასშტაბური „ნადგურიზაცია“ წავიდა (*იცინის*). სამწუხაროდ, სტუდენტობის პერიოდში გრეჩიხასთან ერთად გადაღებული ფოტო ალბომში ვეღარ ვიპოვე.

**— ძალიან ბევრი ფოტო გოგონებთან ერთად გაქვთ გადაღებული. მათთან მეგობრობდით?**

— გოგონებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა, კონსპექტების წერაში მეხმარებოდნენ. მათ ყოველთვის კარგად ვუგებდი.

**— ერთი ფოტო ძაღლთან ერთად გაქვთ გადაღებული; ალბათ, ცხოველები გიყვართ...**

— ეს ჩემი ძაღლი ლინდაა, ძალიან ჭკვიანი იყო. სახლში რომ მივიდოდი და ტუფლის გახდას ვიწყებდი, ოთახის ჩუსტები მოჰქონდა. სიტყვის — „მომიტანე“ — თქმაც არ სჭირდებოდა. ერთი ფოტო ლომთან ერთად გალიაშიც მაქვს გადაღებული. სამწუხაროდ, ის ფოტო დამიკარგეს.

**— ლომთან გალიაში რა გინდოდათ?**

— ზოოპარკში შვილებს ვასეირნებდი. იქ რაღაც კონკურსის მაგვარი ჩატარდა. და ასე მოვხვდი „ჯიგარი“ ლომის გალიაში. მერე მომვლელმა ჯოხზე წამოცმული ხორცი მომაწოდა და ლომს ვაჭამე. ვცდილობდი, ცხოველს შიში არ შეემჩნია, გულში მეც „ლომი“ ვიყავი... ასევე ძალიან მიყვარს ცხენები.

**— კარგად ჯირითობთ?**

— შეიძლება ითქვას, რომ კარგი ცხენოსანი ვარ, ბავშვობიდანვე კარგად ვჯირითობ.

**— თქვენი მეუღლე ცხენით ხომ არ მოიტაცეთ?**

— (*იცინის*) არა, ნათია მანქანით მოვიტაცე. 18 წლის იყო, რომ გავიცანი, მე — 23-ის. სიყვარულის მახეში ეგრევე გავაბი. ახლა მეუბნება, — მეგონა, მაშინ ჩემზე ბევრად უფროსი იყავიო.

**— აი, კიდევ ერთი ფოტო: თეთრ ჩოხაში გამოწყობილი, ცხენზე ამხედრებული ჯონდი ბალათურია...**

— ეს სურათი იპოდრომზეა გადაღებული. ჟურნალისტებმა გადაწყვიტეს, პოლიტიკოსები არაპოლიტიკური კუთხით წარმოვეჩინეთ. ჩემი ჩოხით შემოსვაც მათი არჩევანი იყო.

**— რამდენი წლის იყავით მაშინ, როცა თავი გადაიპარსეთ და როგორი იყო თქვენი ახლობლების რეაქცია?**

— 34-35 წლის ვიყავი. თმა რაც უფრო მცვიოდა, მით უფრო დაბალზე ვიჭრიდი. მერე ერთმა მეგობარმა მირჩია, რომ გადამეპარსა. ახლობლებს ეს არ გაჰკვირვებიათ, ბაბუაჩემიც ასე თავგადაპარსული დადიოდა.

**— ბატონო ჯონდი, როდის მოხდა თქვენი სულიერი მეტამორფოზა?**

— ქაშუეთში დავდიოდი. წმინდა გიორგის ხატთან სანთლებს ვანთებდი. მერე იქ ერთი მედავითნე გავიცანი. მან ბევრ რამეში გამაცნობიერა. აღსარება ვთქვი, ვეზიარე. მერე ერთი პერიოდი ისევ ავურიე... 2001 წლიდან ეკლესიურად ვცხოვრობ, ეს კი ერთ მოვლენას უკავშირდება: რამდენიმე წლის წინ ათონის მთიდან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი — „ყოველთა დედოფალი“ ჩამოაბრძანეს. სხვა მორწმუნეებთან ერთად მეც დავესწარი მის თბილისში ჩამობრძანებას. ამ ხატს მრავალი სასწაული მოუხდენია, არაერთი სნეული განუკურნია. ეს არის ორიგინალიდან ბერების მიერ გადმოწერილი ასლი, რომელიც დღეს ავჭალაში, დიდმოწამე ქეთევან დედოფლის სახელობის ტაძარშია დაბრძანებული. იქ სნეულთათვის ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს ჯანმრთელობის პარაკლისები ტარდება. მიმაჩნია, რომ ამ ხატის მადლი ჩემზედაც გადმოვიდა...

**— ახლა საკანონმდებლო ორგანოში არდადეგებია, დასასვენებლად წასვლას სად აპირებთ?**

ბაბუაჩემიც ასე თავგადაპარსული დადიოდა

მიმაჩნია, რომ ამ ხატის მადლი ჩემზედაც გადმოვიდა...

— ჯერ არ გადამიწყვეტია, ძალიან მინდა, ჩემს მშობლიურ სოფელში — ნოქალაქევში (სენაკის რ-ნი) ერთი კვირით მაინც ჩავიდე. იქ ულამაზესი ადგილებია, კანიონებში ტეხურა მოდის. ზოგიერთ ადგილზე ღრმაა, მაგრამ წყალი იმდენად ანკარაა, კენჭები მაინც ჩანს. იქ არის იმ ქალაქის ნანგრევები, რომელიც ქუჯი ერისთავმა ფარნავაზის მეფობის წლებში ააშენა. სოფელში ყოფნა მომენატრა...

ამ ფოტოზე ჩემს ჯგუფელ ტუხოსთან ერთად ვარ

ჩემი ოჯახი

ეს სურათი იპოდრომზეა გადაღებული

# „აკრძალული" სიყვარული, რომელიც ბედოვრობით იწყება

**თინეიჯერების უმეტესობას, გოგონებსა და ბიჭებს შორის მეგობრობის აღარ სჯერა, რადგან ხშირად, მათ ერთმანეთის მიმართ სხვა გრძნობა უჩნდებათ და ურთიერთს სიყვარულს უსსნიან. ზოგს ეს აღიზიანებს, ზოგს რეაქცია არ აქვს, ზოგს კი ეს ამბავი ახარებს, რადგან დიდი ხანია, ამ გრძნობას მალავდა იმის შიშით, რომ სიყვარულის ახსნით მეგობარი საერთოდ არ დაეკარგა.**

**ლიკა ქაჯაია**

## „ზოგი მეგობრობას ფარად იყენებს და მერე, მიზანს ადვილად აღწევს"

**ანი,** *16 წლის:*

— ბიჭსა და გოგოს შორის მეგობრობის მჯერა. მყავს მეგობარი ბიჭი — დათო, რომელსაც ბოლომდე ვენდობი და სხვათა შორის, ის გოგონებზე უკეთეს მეგობრობას მიწევს.

**— რას გულისხმობ? გოგონებისგან ღალატის გეშინია?**

— ჰო, ზოგიერთები ძალიან შურიანები არიან. როცა „სასტავში" ვიღაც უცხო ტიპი მოდის და თუ შეამჩნევენ, რომ მას შენ მოეწონე, მერე რაღაც სხვანაირად გიყურებენ, გიბღვერენ. მეგობარი ბიჭი კი ამას ყურადღებას არ მიაქცევს და იმ შემთხვევაში, თუ ის ტიპი შენც „დაგეკვასა", კი არ აიმრიზება, არამედ ყველანაირად შეეცდება, მხარში ამოგიდგეს და მასთან ურთიერთობის აწყობაში ხელი შეგიწყოს.

**— შენ თუ გქონია მსგავსი შემთხვევა?**

— როგორ არა, ბევრჯერ მქონია. ერთხელ, ამის გამო საუკეთესო დაქალიც დავკარგე. მან ვერ აიტანა, რომ მე ვიღაცას მოვეწონე და ბოლმამ დაახრჩო, ჩემი გაკრიტიკება და ლანძღვა დაიწყო.

**— იქნებ, მას ის ბიჭი შეუყვარდა და...**

— მერე ეთქვა და იმ ტიპს საერთოდ არ დაველაპარაკებოდი. თუ ასე იყო, ჩემთვის არ უნდა გაემხილა? მით უმეტეს, იცოდა, რომ მის მიმართ არანაირი სიმპათია არ მქონდა. იმ პერიოდში მეგობარი ბიჭი რომ არ მყოლოდა გვერდით, შეიძლება, ნერვიულობისგან მოვმკვდარიყავი.

**— ჰო, მაგრამ ყველა გოგო ასეთი ხომ არ არის?**

— შეიძლება, არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში, მთელმა სადაქალომ მე გამამტყუნა.

**— რატომ?**

— ლანკასთვის ხელი არ უნდა გეკრა. თურმე, მას შეყვარებულს ართმევდი და აბა, რას იზამდაო? ლანკამ იმით ისარგებლა, რომ მე მის საწინააღმდეგოდ ხმას არ ვიღებდი და რაღაც სისულელეები ილაპარაკა...

**— შენს მეგობარ ბიჭს თქვენი შერიგება არ უცდია?**

— ჩვენი შერიგება კი არა, თვითონაც დაშორდა — მასთან ვეღარ ვიმეგობრებ, შეიძლება, ერთ დღეს მეც მიღალატოსო.

**— შენმა ყოფილმა დაქალმა, ჭორებით რაიმე გავნო?**

— ვერა, რადგან ის ბიჭი არ მაინტერესებდა. რომ მყვარებოდა, საქმეს ნამდვილად გამიფუჭებდა.

**— დაქალს ამ ყველაფრის შესახებ არ დაელაპარაკე?**

— მე არა, დათო დაელაპარაკა. ლანკამ უთხრა, — მე კი არა, მოღალატე ანია. მან იცოდა, რომ იმ ტიპისთვის არ უნდა შეეხედაო... მერწმუნეთ, მე არაფერი ვიცოდი და არც ახლა ვიცი, უყვარდა თუ უბრალოდ, მოსწონდა.

**— ახლა იმ ბიჭთან, ვის გამოც ერთმანეთს დაშორდით, რაიმე ურთიერთობა აქვს?**

— არა მგონია, რადგან ამ ამბების შემდეგ, ის ბიჭი თვალითაც არ მინახავს, ჩემს ყოფილ დაქალს კი ხშირად ვხედავ, რადგან ჩემს უბანში ცხოვრობს და ისიც კარგად ვიცი, ვისთან მეგობრობს და ახლობლობს.

**— ეი. მისი ცხოვრება გაინტერესებს...**

— რა თქმა უნდა, მიუხედავად ყველაფრისა, მე ის ძალიან მიყვარს და მაინტერესებს, როგორ ცხოვრობს, რას აკეთებს. მერწმუნე, თუ ოდესმე გაუჭირდება, მხარში ამოვუდგები.

**— შენმა მეგობარმა ბიჭმა, დათომ სიყვარული რომ აგიხსნას, როგორი რეაქცია გექნება?**

— ღმერთმა დამიფაროს. რა სისულელეა?! ეს არ მოხდება!

**— და მაინც, რომ მოხდეს?**

— მე დათოს ბოლომდე ვენდობი. ჩვენ დიდი ხანია, ვმეგობრობთ და მისთვის მსგავსი არაფერი შემიმჩნევია. თუ რაიმეს შევამჩნევ ან ვიგრძნობ, მასაც საბოლოოდ დავკარგავ.

**— რატომ? ამბობენ, რომ ასეთი სიყვარული უფრო მტკიცეა...**

— მე დათოს სხვანაირად ვერასდროს შევხედავ და იმედია, ისიც ასე ფიქრობს. ჩვენ ერთმანეთს დაიკოთი და ძამიკოთი მივმართავთ, და-ძმებს შორის კი, მსგავსი სიყვარული არმოსული პონტია. დათოს გარდა, კიდევ ერთი ძმაკაცი მყავს — გიგა. აი, მას ყველაფერზე ვერ ველაპარაკები, მასთან ბოლომდე გახსნილი არ ვარ, რადგან კარგად არ ვიცნობ (ახლახან გავიცანი). მართალია, ის დათომ გამაცნო, მაგრამ მაინც, გიგა ჩემთვის ისეთი ახლო მეგობარი ვერასდროს გახდება, როგორიც დათოა. ამიტომაც, მისგან სიყვარულის ახსნაც არ გამიკვირდება.

**— მაგრამ გული ხომ გეტკინება?**

— მერწმუნე, გიგა გულს ისე ვერასდროს მატკენს, როგორც დათო, თუ რა თქმა უნდა, ჭკუიდან გადავა და რამეს იკადრებს...

**ზურა,** *17 წლის:*

— კი, მოსული პონტია, მაგრამ ყველა გოგონას ვერ ვემეგობრები.

**— რატომ?**

— ზოგიერთი გოგონა ისეთი მომხიბვლელია, რომ მასთან მეგობრობა არ გამოგივა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად შეგიყვარდება.

**— მაგრამ ამის გამო გოგონებს მეგობრობაზე უარს არ ეუბნებით და შემდეგ, თქვენი გრძნობების გამჟღავნებით მათ გულს სტკენთ.**

— მე ასე არასდროს მოვიქცევი. თუ ვხვდები, რომ ამა თუ იმ გოგოსთან ვერ ვიმეგობრებ, მას დაიკოთი არასდროს მივმართავ, ზოგი კი, გეთანხმები, მეგობრობას ფარად იყენებს და მერე, მიზანს ადვილად აღწევს.

**— შენ თუ გყავს ასეთი ძმაკაცები?**

— სხვათა შორის, ამას წინათ ჩემი ძმაკაცი დაქორწინდა გოგოზე, რომელსაც მთელი „სასტავი" დად მივიჩნევდით.

ლაშაც მეგობრობდა ელენიკოსთან, მაგრამ მერე შეუყვარდა.

— **ამასთან დაკავშირებით როგორი რეაქცია გქონდათ?**

— რა თქმა უნდა, ეს სასიამოვნო არ იყო, მაგრამ ლაშა კარგად მოიქცა — პირველად ბიჭებს გამოგვიტყდა. მერე, ჩვენ ვკითხეთ ელენიკოს, თუ რას ფიქრობდა მეგობარზე და მასაც შევატყვეთ, რომ რაღაც გრძნობა ჰქონდა. ჰოდა, ამის შემდეგ რა უფლება გვქონდა, მათთვის რაიმე აგვეკრძალა? — ყველანი მხარში ამოვუდექით. მათ ლამაზი ოჯახი შექმნეს და იმედი მაქვს, ერთმანეთი მთელი ცხოვრება ეყვარებათ...

**ეკა,** *18 წლის:*

— ასეთი ურთიერთობის არ მჯერა, რადგან ყველა ბიჭი ერთნაირია. ისინი მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თავისი როგორ „გაისწორონ“ და გოგონები ფეხზე ჰკიდიათ. არა მგონია, ნამდვილი მეგობრობა იცოდნენ, ხშირად მოღალატეებივით იქცევიან.

— **ეტყობა, ბიჭებმა ძალიან გაგაბრაზეს.**

— წარმოიდგინე, ძალიან ბევრი, 7 მეგობარი ბიჭი მყავდა და თითოეულ მათგანს ძმად მივიჩნევდი, მაგრამ აქედან, 4 სიყვარულში უკვე გამომიტყდა. გული ძალიან მატკინეს. რა თქმა უნდა, ისინი უარით გავისტუმრე და ახლა, იმ შემორჩენილ 3 მეგობარსაც ვეღარ ვენდობი.

— **რადგან სიყვარულში უკვე ოთხი მეგობარი გამოგიტყდა, იქნებ, მიზეზი შენშია? ამაზე არ დაფიქრებულხარ?**

— მე საბაბი არავისთვის მიმიცია. უბრალოდ, როცა ბიჭს გულს გადაუშლი, შენს სულში ჩაახედებ, მერე ტვინი ემღვრევა და ვეღარ აზროვნებს. ჰგონიათ, რომ თუ სიყვარულს აგიხსნიან, მათ ყელზე ჩამოეკიდები. არადა, მწარედ ცდებიან.

— **შენ რომ შეგყვარებოდა მეგობარი, მას გრძნობაში არ გამოუტყდებოდი?**

— ეს არასდროს მოხდება, მაგრამ თუ გავგიჟდი და გამოვშტერდი, სიყვარულს გულში ჩავიკლავ, რადგან ამ გრძნობის გამჟღავნების შემრცხვება.

— **რატომ?**

— აბა, ძმის სიყვარული მიღებულია? შენი ძმაკაცი იგივე ძმაა, მას ყველაფერში უნდა ენდო, მის გვერდით თავისუფლად უნდა დაწვე და იმაზე არ იფიქრო, რომ შეიძლება, ხელი გიფათურობს. ამას კი ნებისყოფა სჭირდება, რაც ძალიან ბევრს არ აქვს... ის კი არა, ჩემმა ძმამ მითხრა, — შენი დაქალი მომწონსო და ლამის გავპუტე. მე მის ძმაკაცებს არასდროს შევხედავ სხვანაირად, რადგან მათაც ძმებად მივიჩნევ.

**მარიკო,** *18 წლის:*

— მეგობრობა როგორ არ არსებობს, მაგრამ გააჩნია ბიჭსაც და გოგოსაც. მე მყავს მეგობარი ბიჭები და მათ ვენდობი კიდეც, მაგრამ ისიც ვიცი, რომ შესაძლოა, ადრე თუ გვიან, რომელიმე მათგანი სიყვარულში გამომიტყდეს და ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ.

— **ანუ ასეთ ძმაკაცზე არ გაბრაზდები?**

— შეიძლება, გავბრზადე, მაგრამ შევეცდები, მას ხელი არ ვკრა, გავუგო და თუ თანახმა იქნება, მასთან მეგობრობას გავაგრძელებ, თუ არა და, ის თავისი გზით წავა, მე — ჩემით. თანაც, ვფიქრობ, რომ სიყვარული, რომელიც მეგობრობით იწყება, ყოველთვის მყარია.

— **შეყვარებული გყავს?**

— კი, მყავს და მივხვდი, ეს კითხვა რატომაც დამისვი. ლაშასთან არ ვმეგობრობდი, სიყვარული ერთმანეთის დანახვისთანავე გვეწვია, მაგრამ ახლა, გარდა იმისა, რომ შეყვარებულები ვართ, ურთიერთს ნამდვილ მეგობრობასაც ვუწევთ — ერთმანეთის შესახებ ყველაფერი ვიცით, დასამალი არაფერი გვაქვს. ზოგჯერ, ჩხუბიც მოგვდის, მაგრამ მერე ვრიგდებით, ერთმანეთს რჩევას ვაძლევთ და ა.შ. ჩვენ დამოუკიდებელი ადამიანები ვართ, ყველაფერს ჩვენით ვწყვეტთ, მაგრამ ურთიერთის მოსაზრებებს პატივს ვცემთ.

**გელა,** *17 წლის:*

— მეგობრობა არა, მჭადი!.. გოგოსთან მეგობრობა რა პონტია? ქალს როგორ უნდა გაუმხილო საიდუმლო? თუ ქალი ლამაზია, მასთან ვერ იმმაკაცებ, ხოლო თუ უშნოა, კაცური მანერები აქვს და ასეთის მიმართ არანაირი გრძნობა არ გაგიჩნდება, მაშინ, კი ბატონო.

— **ასე რატომ ლაპარაკობ?**

— აბა, მოგატყუო და გითხრა, რომ შემიძლია, ყველა გოგოს ისე შევხედო, როგორც დას? ეს სიცრუე იქნება. მე არც ერთი მეგობარი გოგო არ მყავს, შეყვარებულები კი, იცოცხლე, ბლომად მყავდა.

— **შენი შეყვარებულის დაქალები შენთვის ვინ არიან?**

— ჩემი შეყვარებულის მეგობრები არიან, სხვა ვინ უნდა იყვნენ? მათ დად ვერასდროს აღვიქვამ, მაგრამ თავშეკავების უნარიც მაქვს და ამიტომაც, არც სხვანაირად შევხედავ. სხვათა შორის, ჩემს მარიკოს ულამაზესი დაქალი ჰყავს, მაგრამ შეყვარებულს მასში არასდროს გავცვლი.

— **შენს შეყვარებულს ძმაკაცები არ ჰყავს?**

— არა, არ ჰყავს.

— **რომ ჰყავდეს, მათთან ურთიერთობას დაუშლიდი?**

— რა თქმა უნდა, რადგან დარწმუნებული ვარ, მის ცდუნებას ვერავინ გაუძლებს. იცი, როცა გოგონა გენდობა, ის შენთან ძალიან თავისუფლად, უკომპლექსოდ იქცევა, ჰოდა, რაღაცრაღაცების მადაზე თავისდა უნებურად მოჰყავხარ. ამიტომაც ვერ ვიმეგობრებდი მარიკოს მსგავს გოგოსთან...

**ინა,** *16 წლის:*

— მჯერა ასეთი მეგობრობის. მე და ჩემს ძმას — გიოს ძალიან ბევრი, საპირისპირო სქესის მეგობარი გვყავს და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავთ. ზოგჯერ შესაძლოა, ბიჭმა ისეთი მეგობრობა გაგიწიოს და ისე ამოგიდგეს მხარში, როგორც ამას გოგო ვერასდროს გააკეთებს და პირიქით. ჩემთვის არც ერთ ჩემს მეგობარს არ უღალატია.

— **ბიჭები ამბობენ, თუ გოგო მახინჯი არაა, მასთან ვერ ვიმეგობრებთო.**

— ე.ი. მე მახინჯი ვარ? როგორც ხედავ, ასე სულაც არაა, მაგრამ მერწმუნე, ბიჭებს, რომლებთანაც ვმეგობრობ, ჩემთვის ზედმეტი არაფერი უთქვამთ. იცი, ამას ვერც ვერასდროს გაბედავენ.

— **შენ ამბობ, — ვერ გაბედავენო ანუ ადვილი მოსალოდნელია, რომ რომელიმე მათგანს შენ მიმართ გრძნობა გაუჩნდეს?**

— შეიძლება, მაგრამ მათ ამის გამჟღავნებისგან თავი უნდა შეიკავონ, თორემ მერე, ერთმანეთს სამუდამოდ დავკარგავთ. იცი, ჩემი ძმის დაქალი გიოს სიყვარულში გამოუტყდა. გიომ მას სთხოვა, — ეს აღარ გაიმეოროო. ის გოგო არ მოეშვა და ამიტომაც, ჩემმა ძმამ სამუდამოდ ჰკრა ხელი. ის გოგო ახლა მე მირეკავს, მაგრამ არ ვიცი, რით დავეხმარო. თან, რომც ვიცოდე, ამ საქმეში ხელს არ შევუწყობდი: ადამიანს, რომელიც ასე გიღალატებს, ვეღარაფერში ენდობი.

— **რას გულისხმობ?**

— შეიძლება, მან ისეთი რაღაც გიჩალიჩოს, რომ თავი „შეგატენოს“. ეს კი ნამდვილი საშინელება იქნება!..

## „უნდა წაგვეყვანა იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ბუმბული სცვიოდა“

**ნაღვლიანი გოგო:**

„გამარჯობათ, ბავშვებო და ლიკა. როგორ ხართ? ძალიან დიდ მადლობას გიხდით ყველას, ვინც გამომეხმაურა და რჩევა მომცა. მინდა, ერთი რამ გითხრათ, რაც ჩემს წინა მესიჯში არ მეწერა: თუთიყუში უნდა წაგვეყვანა იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ბუმბული სცვიოდა და შეიძლებოდა, პატარა ბავშვს შემთხვევით გადაეყლაპა და მერე... კიდევ ერთხელ, დიდ მადლობას გიხდით გამოხმაურებისთვის და მინდა გითხრათ, რომ თქვენს რჩევებს აუცილებლად გავითვალისწინებ“.

# cal-cali kedi, daxeuli jinsi da gaparsuli warbebi

**„გზის“ №30-ში დაიბეჭდა ანუკას მესიჯი, სათაურით — „ყველას უცნაური ვგონივარ... ნუთუ, ვერავინ უნდა გამიგოს?“ შეგახსენებთ, გოგონა გვწერდა: მართალია, სხვებისგან განსხვავებულად და ცოტა უცნაურად მაცვია, ყველაფერზე საკუთარი, განსხვავებული მოსაზრება მაქვს, მაგრამ ნუთუ, მხოლოდ ამიტომ უნდა მკრან ხელიო? ანუკას ძალიან უნდა, უცნაური კი არა, ჩვეულებრივი გოგონა იყოს.**

## „მამა ჯადოს მეძახის, ძმა – როკერს, დედა – გიჟს, ბებია – ტყიურს...“

**სანი:**

„სხვების ჭორაობას ყურადღება არ მიაქციო. მათ უბრალოდ, შენი შურთ, რადგან საკუთარი სტილი გაქვს, ისინი კი ერთმანეთის ასლები არიან. ნუ დაკომპლექსდები!“

**კრეუზა (სოფო):**

„ძალიან ვწუხვარ, ასეთ მდგომარეობაში რომ ხარ და მეგობრებიც ვერ გიგებენ. იმის ნაცვლად, რომ მხარში ამოგიდგნენ, შენს გამწარებას ცდილობენ. არავის მისცე უფლება, რომ დაგამციროს. თუ გინდა, ერთმანეთი გავიცნოთ“.

**ეკო BOY:**

„ჩემო კარგო, ხალხს ყურადღებას ნუ მიაქცევ და რაც შენ გინდა, ის გააკეთე. იცი, მე როგორ დავდივარ? — ცალ-ცალი კედით, დახეული ჯინსით, დაუვარცხნელი თმით და გაპარსული წარბებით. ხალხი ქუჩაში თვალს რომ მაყოლებს, „ვიკიდებ“. ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. თუ გინდა, ვიმეგობროთ“.

**შავი:**

„გამარჯობა, ჩემო კარგო, ერთს გეტყვი, — მთავარია, საკუთარი თავის თავადვე გესმოდეს და ის ჩაიცვი, რაც გსიამოვნებს. შენს ცხოვრებაში სხვებს ნუ ჩარევ! დამიკავშირდი“.

**თიკო:**

„ის, რომ ყველაფერზე საკუთარი აზრი გაქვს, ცუდი ნამდვილად არაა. საერთოდ, როცა გოგო გოგოზე ჭორაობს, ე.ი. მას შურს მისი. ისე, შენნაირი ბიძაშვილი მყავს. თუ გინდა, დაუმესიჯე. მე შენთან ვარ“.

**მგზავრი:**

„არავის მისცე უფლება, გიკარნახოს, თუ რა და როგორ ჩაიცვა. ალბათ, შენში მომავალი დიზაინერი იმალება. აბა, შენ იცი, თავი არავის დაუხარო“.

**ნინი:**

„შეეცადე, დამშვიდდე და არაფერზე იდარდო. იცი, რა უნდა ქნა? — ჩაცმისა და ვარცხნილობის სტილი შეიცვალე და კეთილი საქმეები აკეთე. შენზე ჭორაობენ? — მაგათ მეტი საქმე არ აქვთ, მოცლილები არიან და ამას იმიტომაც აკეთებენ. ძალიან გთხოვ, ეს ნუ დაგაკომპლექსებს. სიამოვნებით ვიქნებოდი შენი დაქალი. გკოცნი ბევრს“.

**ეკა:**

„ეცადე, საკუთარ თავში არ ჩაიკეტო. ისეთ ადამიანებთან იმეგობრე, ვინც შენს გაგებას შეძლებს, არ დაგცინებს. სხვებს „ჩაუსასტავდი“ და დარწმუნებული ვარ, კარგ მეგობრებს შეიძენ“.

**დათო (SCORPION):**

„შეეცადე, იპოვო ადამიანი, ვინც გაგიგებს. უცნაური არ ხარ, უბრალოდ, რაღაცებს სულ სხვა თვალით უყურებ. დაქალებს გაუგე და აგრძნობინე, რომ გიყვარს ისინი. მერწმუნე, კარჩაკეტილობითა და სიბრაზით ვერაფერს მიაღწევ“.

**ნიცუკა:**

„ნუ მოიწყენ, ჩემო კარგო. ალბათ, კიდევ ბევრი გაგაკრიტიკებს, მაგრამ ამის გამო არ უნდა დაკომპლექსდე. შენ შენი ცხოვრება, განსხვავებული გემოვნება გაქვს, ჰოდა, როგორც „გაგისწორდება“, ისე უნდა მოიქცე. გკოცნი“.

**მის რეალი:**

„თუ მართლა განსხვავებული ხარ, ეს ძალიან კარგია. მერწმუნე, კარგი დაქალი არასდროს დაგცინებს. ალბათ, მათ შენი შურთ, რადგან ორიგინალური ხარ და არავის ჰგავხარ. თავადაც უნდათ, მოგბაძონ, მაგრამ ისეთი კომპლექსიანები არიან, ამას ვერ ახერხებენ. ჰოდა, ამიტომაც დაიბოღმნენ და ცდილობენ, დაგცინონ. არ შეიცვალო!“

**მოსამართლე ლაშა:**

„სამწუხაროდ, ხალხი ბრბოა და თავისუფალ აზროვნებას ვერ იტანს! ვგავართ ერთმანეთს. გამომწვევად არ ჩაიცვა, ნურავის მისცემ ჭორაობის საბაბს“.

**GREEN GIRL:**

„იცოდე, მარტო შენ არ ხარ მსგავს სიტუაციაში... პრობლემა საკუთარ თავში უნდა ეძებო, საკუთარი „მე“ იპოვო და მიზანი დაისახო, მერე კი მის მისაღწევად იბრძოლო. შემეხმიანე“.

**აპოლონი:**

„შენს ცხოვრებაში ჩარევის უფლება არავის აქვს! ნუ „დაიგრუზები“. მერწმუნე, ზოგჯერ ცხოვრება გამოცდას გვიწყობს და მთავარია, მას გავუძლოთ. ამ შემთხვევაში, საუკეთესო გამოსავალი მოძღვართან სიარულია. თუ სურვილი გაგიჩნდება, დამიკავშირდი. უფალს მიენდე, მისი მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეს“.

**მუზა:**

„კარგად დაფიქრდი, რატომ მიგიჩნევენ უცნაურ ადამიანად და მერწმუნე, ნელ-ნელა ყველაფრის შეცვლას შეძლებ, ეს არც ისე ძნელია“.

**თავისუფალი ჩიტი:**

„ასეთი დაქალობის არ მჯერა. ალბათ, მათ შენი შურთ, რადგან კარგი გოგო ხარ. დამიკავშირდი“.

**პატარა მავნე:**

„შენი გაცნობა მინდა. ვინ იცის, იქნებ, შენი დახმარება შევძლო. იცი, თითქოს, რაღაცით მგავხარ. თუ სურვილი გექნება, შემეხმიანე“.

**მეიდნელი ჯადო:**

„ამბობ, — უცნაურად მაცვიაო, მაგრამ შენ ჩემი უცნაური ჩაცმულობა არ გინახავს. სხვათა შორის, ჩემს უცნაურობასაც ბევრი უსვამს ხაზს და ამის გამო, მამა ჯადოს მეძახის, ძმა — როკერს, დედა — გიჟს, ბებია — ტყიურს; მე ამ ყველაფრით ვამაყობ. რა არის ცუდი იმაში, რომ სხვებისგან განსხვავებული ვარ? ყველას ნაბოდვარს ყურადღებას ნუ მიაქცევ და საკუთარი თავით იამაყე. ჩემო კარგო, ჩვენ იშვიათი ადამიანები ვართ. გაკოცე და თავს გაუფრთხილდი.

**გრუზინკა:**

„თუ სხვისი აზრი შენთვის მნიშვნელოვანია, უნდა გამოსწორდე... ისე, „დაიკიდე“, ვისაც რა უნდა, ის თქვას, მთავარია, შენი „მე“ არ დაკარგო“.

**„გზის“ №30-ში ასევე დაიბეჭდა 16 წლის ლიზის მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ უყვარს 35 წლის კაცი, რომელიც სიყვარულითვე პასუხობს. გოგონა თანატოლებს (და არა მარტო მათ) ეკითხებოდა: ცოლად რომ გავყვე, ამით რამეს დავაშავებო?..**

# „შენსავ ბავშვებს ასაკოვანი კაცები სშირად ასულელებენ...“

## „სიყვარული, სითბო გაკლია და ამიტომაც შეგიყვარდა მამისტოლა კაცი“

**სევდია,** *19 წლის:*

„შენს ასაკში მეც მიყვარდა 35 წლის კაცი, მაგრამ გთხოვ, სანამ რაიმეს გადაწყვეტ, კარგად დაფიქრდი, საკუთარ გრძნობებში ბოლომდე გაერკვე. ახლა არა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ თქვენი ასაკობრივი სხვაობა ძალზე შესამჩნევი იქნება...“

**მოსამართლე ლაშა:**

„16 წლის გოგოს 35 წლის კაცი რამ შეგაყვარა? ანგარებას ხომ არა აქვს ადგილი? 40 წლის რომ გახდები, მერე რას იზამ, ბებერი კაცი რომ გეყოლება გვერდით? დამიჯერე, მთავარი ფული არ არის!“

**სანი:**

„შენ რომ გაიზრდები, ის დაბერდება და როგორ ფიქრობ, ამ სიყვარულის შენარჩუნებას შეძლებ?“

**ბიძა:**

„მეც მქონდა მსგავსი შემთხვევა: ის 19 წლის იყო, მე — 39-ის. ჩვენი (უფრო კი მისი) სიყვარული მეგობრობიდან სულ სხვა გრძნობაში გადაიზარდა. მერე, ნელ-ნელა, ლაპარაკით შევაჩვიე იმ აზრს, რომ ოჯახს ვერ შევქმნიდით. დამიჯერა და ახლა ამას არც ნანობს — დღეს მას შესანიშნავი ოჯახი აქვს... ვფიქრობ, მამის სიყვარული, სითბო გაკლია და ამიტომაც შეგიყვარდა მამისტოლა კაცი. თუ მას გაჰყვები, ნამდვილად დაამავებ, რადგან თქვენ შორის ძალიან დიდი ასაკობრივი სხვაობაა. თუ დაფიქრებულხარ იმაზე, რატომ შეუყვარდი მას?..“

**მგზავრი:**

„ასაკობრივი განსხვავება მართლაც, ძალიან დიდია, მაგრამ თუ ორივეს გიყვართ ერთმანეთი, რა პრობლემაა? კარგს იზამთ, კიდევ 1-2 წელიწადს თუ მოიცდიდთ. ბედნიერებას გისურვებ!“

**ნინი:**

„ცოტა უცნაურია, რომ 16 წლის ბავშვს 35 წლის კაცზე გსურს გათხოვება. მოდი, შეეცადე და სხვა, ისეთი ვინმე შეიყვარე, ვინც ასაკით შეგეფერება. თანაც, ჯერ გათხოვებისთვის ცოდო ხარ“.

**მის რეალი:**

„ლიზი, დარწმუნებული ხარ, რომ გიყვარს? იქნებ, ეს გატაცებაა? კარგად დაფიქრდი, ცხოვრება არ დაინგრიო. რომ გაჰყვე და მიხვდე, არ გიყვარს, მერე რას იზამ? შენ ხომ ჯერ მხოლოდ 16 წლის ხარ? იქნებ, გატყუებს? შენხელა ბავშვებს ასაკოვანი კაცები ხშირად ასულელებენ...“

**დიკი ანგელი:**

„მგონი, ის კაცი პედოფილია და გაგაგიჟა. ჯობს, დაემშვიდობო“.

**მარი,** *18 წლის:*

„კარგი, რა, ლიზი, სად მიჰყვები, რომ მიჰყვები? ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააკეთო! ზოგჯერ თანატოლები ვერ უგებენ ერთმანეთს და კაცი, რომელიც მამად უფრო შეგეფერება, გაგიგებს? მაპატიე, მაგრამ არასწორად იქცევი. ჭკუას მოუხმე!“

**თავისუფალი ჩიტი:**

„კარგად დაფიქრდი, პატარავ, გადაწყვეტილება ნაჩქარევად არ მიიღო. ის ხომ მამად შეგეფერება?! გკოცნი“.

**ლოლო:**

„დამიჯერე, მასთან ბედნიერი ვერ იქნები. ახლობლები საქციელს ვერ მოგიწონებენ და მათთან სამუდამოდ განშორება მოგიწვეს. დამიჯერე, ამას მწარედ ინანებ“.

**მეიდნელი ჯადო:**

„პატარავ, მაპატიე, მაგრამ უტვინოდ იქცევი. როცა შენ სიცოცხლით სავსე, 25 წლის ქალი იქნები, ის კი ჯოხით ივლის, მერე ახალგაზრდა ქმარი, თავბრუდამხვევი სიყვარულობანა მოგინდება. ჰოდა, მიატოვებ იმ შენს ქმარუკას და ახალგაზრდას გაჰყვები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცხოვრებას დაიმახინჯებ“.

**თაკო (ახალა):**

„აუ, დააშავებ კი არა, მეტს არ იზამ? ნუთუ ვერ ხვდები, რომ ამით ცხოვრებას დაინგრევ და ოჯახს, ახლობლებს სამუდამოდ დაკარგავ?! მამისტოლა კაცმა ასე რით მოგხიბლა? იცოდე, თავი არ გაიუბედურო, სასწრაფოდ დაშორდი!“

**ბარტყი:**

„სიყვარელო, ჯერ რა დროს ოჯახის შექმნაა? დაფიქრდი, ამისთვის მზად ხარ? იცი, ეს რამხელა პასუხისმგებლობაა? ჯერ პატარა ხარ, ის კი მამად უფრო შეგეფერება. დარწმუნებული ხარ, რომ მართლა გიყვარს ან ის არ ერთობა შენით? მაპატიე, ამას რომ გეუბნები, მაგრამ დაფიქრება გმართებს...“

**მისს:**

„ლიზი, ძვირფასო, ის ხომ მამად გეკუთვნის?.. შენ ამბობ, — მასაც ვუყვარვარო, მე კი ვფიქრობ, რომ წესიერი მამაკაცი 19 წლით უმცროს ბავშვს, როგორც ქალს, არ შეხედავდა. არ მინდა, მას შეურაცხყოფა მივაყენო და ამით გული გატკინო, ამიტომაც გთხოვ, არჩევანის გაკეთება არ იჩქარო. წარმატებები!“

## „ერთ წელიწადში ორმა დაქალმა მიღალატა...“

**კახელო-616:**

„პრივეტ“, ლიკ! ვარ 17 წლის თელაველი გოგო. მყავს ერთი და, რომელიც 3 წელია, გათხოვდა. მშობლებმა ძალიან გამანებივრეს და ყველა სურვილს მისრულებენ. პირველი კურსის სტუდენტი ვარ, თბილისში ვსწავლობ და ვცხოვრობ ბიძასთან, რომელსაც 2 შვილი (ბიჭები) ჰყავს. თავიდან უხაროდათ, მათთან რომ ვცხოვრობდი, მაგრამ ახლა, აშკარად მბრძანებლური ტონით მელაპარაკებიან, არ სიამოვნებთ, როცა მათ გარეშე, სხვა ნათესავის სანახავად მივდივარ. ამას წინათ ისე ვიჩხუბეთ, რომ სახლში წამოვედი და იქ დაბრუნება აღარ მინდა. დედას ყველაფერი მოვუყევი, მამას კი მიზეზს არ ვეუბნები, — უბრალოდ, იქ ვეღარ ვძლებ-მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს სწავლაზე ბევრი ფული დაიხარჯა (ფასიანზე ვსწავლობ), მითხრეს, — თუ გინდა, ნუ წახვალო... საცხოვრებლად ქირით ვერ გადავალ, მარტო ვერ ვიცხოვრებ. რა ვქნა? ნუთუ, ამდენი შრომა წყალში უნდა ჩავყარო? არადა, მათი უაზრო საქციელის ატანაც არ შემიძლია. ლიკ, შეიძლება, თქვან, — ეს რა პრობლემააო? მაგრამ მერწმუნე, აქ ჩემი მომავალი წყდება... ჰო, კიდევ, მინდა გითხრა, რომ ძალიან კონტაქტური, მხიარული გოგო ვარ. ყოველთვის ბევრი მეგობარი მყავდა, მათთვის კარგის მეტი არაფერი გამიკეთებია, მაგრამ თურმე, ბევრს არ შეუძლია ერთგულება და უანგარო მეგობრობა. ზოგს მხოლოდ იმიტომ სჭირდები, რომ მარტო არ იყოს, შემდეგ კი იწყება ჭორაობა, „ნამიოკები“ პირადი ცხოვრებიდან და ა.შ. ერთ წელიწადში ორმა დაქალმა მიღალატა, ერთ-ერთმა „ლოვეც“ კი „ამახია“. ალბათ, გადამეტებული მეგობრობაც კი არ შეიძლება...“

## „ჩემი მასპინძლის შეეშინდა, რადგან ის კანონიერი ქურდია...“

**ჯულია რობერტსი:**

„მიყვარს ადამიანი, რომელიც თანამდებობის პირია. ის ზღვაზე ყოფნის დროს გავიცანი, მაგრამ ასე თქვა, — ბავშვი გოგოა და მე არავინ მომათხოვებსო. სინამდვილეში, ჩემი მასპინძლის შეეშინდა, რადგან ის კანონიერი ქურდია. არ ვიცი, რა მეშველება. მას შემდეგ, რაც ის გავიცანი, 4 წელი გავიდა. ჰო, ჩემს მესიჯებს არ პასუხობს. რა ვქნა?“

*P.S.* **მაშ ასე, თუ კახელო-616-ისა და ჯულია რობერტსის წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.** ■

# მინდორი სასიძო

**ინგა ჯაყელი**

გავიგე, სანადიროდ წასულ დიტოია მეგრელიშვილს საკუთარი სიმამრი დაუჭრია. რაც მთავარია, შემთხვევითი გასროლით კი არა, განზრახ, დამიზნებით...

არა, იმასაც ამბობდნენ: მოკვლა რომ ნდომოდა, ისე ახლოს ჰყავდა სამიზნე, ადვილად გააფრთხობინებდა სულს, რავარც თავად აწამებდა ის სულწაწყმედილი საბრალო ბიჭს, ამანაც ისე გადაუხადა სამაგიეროო!..

მოკლედ, დიტოს ალექსანდრე გუჯეჯიანის ერთადერთი ასული — შორენა ბავშვობიდან უყვარდა. საბავშვო ბაღში რომ მიიყვანა დედამ 4 წლის ბიჭი პირველად, სწორედ შორენას ხათრით დარჩა და „შეიყვარა“ იქაურობა. ბაღში, რა თქმა უნდა, პატარებს ცალ-ცალკე საწოლებში აძინებდნენ, მაგრამ წამითაც თუ მოაშორებდა თვალს აღმზრდელი, დიტო მაშინვე შორენას ჩაუხტებოდა საწოლში, მოეხვეოდა და მხოლოდ ამის შემდეგ იძინებდა ტკბილად... როგორ არ დასავჯეს, რითი არ დაემუქრნენ, მაგრამ ბიჭს არაფრის გაგონება არ სურდა: — შორენას გარეშე არც საჭმელს ვჭამ, არც დავიძინებ, არც ლექსს ვიტყვი და არც ვიცეკვებო...

ასეც იყო.

სკოლაშიც არ გაჩერდა, სანამ მშობლებმა მისი სურვილი არ დაკმაყოფილეს და იმ სკოლაში და იმ კლასში არ გადაიყვანეს, სადაც შორენა სწავლობდა.

სანამ პატარები იყვნენ, ალექსანდრე ხუმრობდა: — ასეთ ერთგულ სასიძოს სად ვიშოვი? დაკაცდეს და რავარც შეიქნება 16 წლის, ჩემი ხელით გავატან ქალიშვილსო! — მაგრამ 16 წლის დიტომ „დანაპირები“ რომ შეახსენა, სანადირო თოფით გამოუდგა უკან: — ჰაიტ, შე უნიფხვოვ და უჯიშოვ, ერთი კი არა, ცხრა გოგო რომ მყავდეს, ცხრავე გაუთხოვარი მირჩებოდეს, შენ არც ერთს არ გაგატანდიო!..

რაღა დასამალია და, დიტოს ოჯახი არც სიმდიდრით გამოირჩეოდა, არც განათლებით და არც გავლენიანი ნაცნობობით, მაშინ, როცა ალექსანდრე გუჯეჯიანი სულ მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა, „მოსაპარსაც“ იოლად აგნებდა და ქალაქის ელიტაშიც ტრიალებდა:

— იტალიის პრინცი არ იტყვის ჩემს ოჯახში შემოსვლაზე უარს, დიტოია მეგრელიშვილი ვინ ოხერი მიგდია?! — ამბობდა.

არც არავინ იყო — რვა კლასიც ძლივს დაამთავრა და მერე „პროფში“ გააგდეს და იქაც აღარ უვლია...

— ინჟინერი მაინც იყოს, „გეპეი“ მაინც რავა არ დაამთავრაო! — ბობოქრობდა ალექსანდრე და შორენას ექიმობით ტრაბახობდა.

ვინ იცის, იქნებ მართლაც ეშოვა სასურველი „პრინცი“ ალექსანდრეს, რომ არა შორენას „ღალატი“: — დიტოს გარდა არავის გავყვები ცოლადო! — შეჰყვარებოდა თავგადაკლული თაყვანისმცემელი.

ხან ეფერა და ეხვეწა ალექსანდრე, ხან დაემუქრა და სახლში გამოკეტა შვილი... მაინც ვერ მიაღწია საწადელს: შეყვარებულები შეხვედრას ახერხებდნენ და გაიპარნენ კიდევაც შარშან საახალწლოდ. პატრულის მთელი რაზმი დაადევნა უკან ალექსანდრემ და დაიბრუნა შვილი, დიტო კი „კაპეზეში“ აყურყუტა მთელი კვირა. მერე ხელწერილი დააწერინა — შენს შვილზე სამიდღემჩიოდ უარს ვამბობო! — და გააშვებინა. მაგრამ იმავე ღამეს ფანჯრიდან გადაძვრა ალექსანდრეს „ციხესიმაგრეში“ და ღამე შორენას მკლავებში გაატარა... არა, ეს არ გაუგია ალექსანდრეს, თორემ ორივეს ერთად ჩაკლავდა ლოგინში: ფანჯრიდან რომ გადახტა და მიწაზე დაებერტყა ნაგვით სავსე ტომარასავით, მაშინ ჰკიდა თვალი:

— აიტ, ახლა ფანჯრიდან აპირებდი ჩემს სახლში შემოპარვას?! — ჩაავლო დიტოს ქეჩოში ხელი ალექსანდრემ.

— ისიც ხომ არ ეტყოდა — ქეც შევიპარე და „ქალიშვილიც გიტირეო“!..

— თუ ასეთი ვაჟკაცი ხარ, სანადიროდ მივდივარ ძმაკაცებთან ერთად დათვზე, წამოდი და იქ დამიმტკიცე! — ძალით ჩატენა ჯიპში დამფრთხალი ბიჭი, რადგან იარაღით თამაშიც არასოდეს ჰყვარებია დიტოს, ნამდვილი თოფი ხომ, მით უმეტეს არასოდეს სჭერია ხელში.

...დააჭერინეს „აბრეზი“, შემოარტყეს წელზე ტყვიებით გატენილი საქამრე და გაიძღოლეს წინ, ალექსანდრესავით ჩასუქებულმა მუტრუკებმა:

— დათვი სადღაც ახლოშია, პირისპირ თუ შეეჩეხე, ტყვია თვალებს შორის დააჭედე, პირდაპირ შუბლში, ამასობაში ჩვენც მოგეშველებით... — უთხრა ერთ-ერთმა.

წინ კი გავარდა დიტო, მაგრამ თავის გამოსაჩენად კი არა, პირიქით — უნდოდა, დათვის გამოჩენამდე ხეზე ასვლა და დამალვა მოესწრო. შეარჩია კიდევაც მაღალი, ტოტებგანიერი ხე და აძვრა (კიდევ კარგი, ეს მაინც ეხერხებოდა), იქვე ფუღუროც შეამჩნია და ზედ მისეული ფუტკრებიც, მიხვდა — ველური ფუტკრების სკას წააწყდა და ის იყო, იმაზე ფიქრი დაიწყო, უვნებლად როგორ ამოეღო თაფლი, რომ ქვემოდან ტოტების მტვრევის ხმა მოესმა და სასიმამრო ეგონა, თავის საძმაკაცოთი; გაიტრუნა კიდეც — არ შემამჩნიონო და ამ დროს დაინახა ტონიანი მურა დათვი, რომელმაც უშეცდომოდ იყნოსა ალბათ თაფლი, ხეს მოებღაუჭა და... არავინ იცის, მოახერხებდა თუ არა ზემოთ ამოსვლას, რადგან შიშით დაზაფრულმა დიტომ ხეს ხელები უშვა და ძირს გადმოეშვა თავით, დათვს ზემოდან დაეცა და ისიც ძირს ჩაიტანა თურმე...

— ქერომ კოშმარულ სიზმარშია, თლათ ისთე დემემართა, ბუჯო! — მოუყოლია მერე ძმაკაცებისთვის. — ვალებდი პირს, ვერ ვყვიროდი, ხელ-ფეხიც არ მემორჩილებოდა... დათვი წამოდგა და ოთხზე დამდგარმა დამყნოსა, მეგონა, ბდღვნად არ ვეყოფოდი... დამყნოსა და — არ დეიჯერებთ — გული ეერია, თეთრი დორბლით დამისველა გულისპირი, ჩევისვარე შიშით... აღარ იკადრა ჩემისთანა „ნაგვის“ ჭამა, ზურგი მაქცია და წევიდა... ამ დროს გამევიდა ალექსანდე, ძმაკაცებთან ერთად, და იმ წუთში „იყნოსა“, რაც მჭირდა. ახარხარდა: — წამეიყვანეთ ახლა, ასე აქოთებული და ნახოს ჩემმა უტვინო გოგომ, რა ვაჟკაციცაარ!.. იმწუთში ისე ვიყავი, მისი შორენა კი არა, საერთოდ, თუ გამიჩნთებოდა ქალის სურვილი, რავა მეგონა?!. შიშით გადარეულმა ვერ ვაპატიე დაცინვა, თანაგრძნობის ნაცვლად — დოვუმიზნე და მოვარტყი დუნდულაში, მე შენ გეტყვი და ავაცდენდი მისი წელ-გავის პატრონს!.. ჯინაზე ვქენი ეს, მინდოდა, გამემწარებინა, სიკვდილი ადვილი იქნებოდა მისთვის!..

...მოკლედ, ალექსანდრე საავადმყოფოში გააქანეს, დიტო — ისევ „კაპეზეში“ და რომ გვეგონა, მამაზეციერიც ველარ დაიხსნიდა მრავალწლიანი პატიმრობისგან, ორ თვეში გამოუშვეს — ალექსანდრეს საკუთარი ხელით გამოუტანია საჩივარი და არც ამის მიზეზი დაფარულა დიდხანს:

შორენა ორსულად ყოფილა და კატეგორიულად გამოუცხადებია მამისთვის: — გადავიკარგები და შვილიშვილებს თვალით აღარ დაგანახვებო: ექოსკოპიაზე უთქვამთ — ტყუპი ბიჭი გეყოლებაო!..

ჰოდა, შეურიგდა ალექსნადრე ბედს...

დიტოსაც სამუდამოდ შერჩა მონადირის სახელი. მართალია, დათვი ვერა, მაგრამ ალექსანდრე და მისი დიდძალი ქონება ხომ მოინადირა!.. ■

*რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი*

# როგორ მოვიქცეთ, თუ გვიკბინეს

**წინა ნომერში შემოგთავაზეთ რეკომენდაციები, თუ როგორ მოვიქცეთ ცხოველის და ქვეწარმავლის ნაკბენის შემთხვევაში. ახლა კი დაპირებისამებრ, მწერის ნაკბენთან ბრძოლის ხერხებზეც მოგითხრობთ.**

## მწერის ნაკბენი

### ტკიპა

ტკიპა საკმაოდ აქტიურია ტყეებსა და პარკებში შემოდგომის დადგომამდე. მას იზიდავს ღია ფერის ტანსაცმელი და სხეულის დაუფარავი ადგილები. კბენის თავიდან ასაცილებლად, ტყეში სასეირნოდ, ყელამდე შეკრული, გრძელმკლავიანი პერანგით ან მაისურით წასვლას გირჩევთ, აუცილებლად დაიფარეთ თავზე ქუდი. ტყიდან დაბრუნებულმა, გულდასმით დაითვალიერეთ კანი.

ტკიპის კბენას ვერ ვგრძნობთ, რადგან ჭრილობას თავისი ნერწყვით ანესთეზიას უკეთებს. ნაკბენის ირგვლივ კანი წითლდება, ქავილი არ აღინიშნება. აღსანიშნავია, რომ ტკიპას გადააქვს ისეთი საშიში დაავადება, როგორიცაა ენცეფალიტი.

**დახმარება.** ტკიპა აკურატულად უნდა ამოაძროთ კანიდან პინცეტით (საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით ისე, რომ თავი კანში არ დარჩეს). შემდეგ, ჭრილობა დაამუშავეთ სპირტით და აუცილებლად მიმართეთ ექიმს. თან წაიღეთ პარაზიტიც (ქილით) და უჩვენეთ ექიმს.

### ფუტკარი

ფუტკარი გვხვდება მინდვრებზე, ველებსა და ბაღებში, მთელი ზაფხულის განმავლობაში. მას იზიდავს ყველაფერი, რაც ტკბილია, — ყვავილების არომატის მქონე სუნამო, ნეონისფერი ტანსაცმელი. კბენის თავიდან აცილების მიზნით, მაგიდაზე არ დატოვოთ ტკბილეული, ხილი. სველი ხელსახოცით გაიწმინდეთ პირი ჭამის შემდეგ, არ იაროთ ფეხშიშველმა სამყურას მინდვრებზე.

ფუტკრის კბენის დროს აღინიშნება მწვავე ტკივილი და წვა, ჭრილობაში ჩანს დატოვებული ნესტარი (შავი ფერის). ფუტკრის შხამი იწვევს ნაკბენის არეში ძლიერ შეშუპებას. მტკივნეული ადგილი წითლდება და ხურდება.

შეიძლება განვითარდეს სიცოცხლისთვის საშიში, ალერგიული რეაქცია, განსაკუთრებით, თავის არეში კბენის დროს. თუ შეამჩნევთ, რომ სული გეხუთებათ, თავბრუ გეხვევათ ან სხვა სახის დისკომფორტს იგრძნობთ, დაუყოვნებლივ გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადა.

**დახმარება.** პინცეტით უნდა ამოიღოთ ნესტარი, გაასუფთაოთ ჭრილობა სპირტით და წაისვათ იოდი. უნდა მიიღოთ ანტიჰისტამინური საშუალება (ტავეგილი, სუპრასტინი ან დიაზოლინი), დაიდოთ ნაკბენზე პირსახოცში გახვეული ყინული. ტკივილს კარგად ხსნის ნოვოკაინის ხსნარში დასველებული ბამბის საფენი.

### ქინქლა

ქინქლას საყვარელი ადგილებია სწრაფი მდინარეები და იკბინება მხოლოდ ცხელ, მზიან დღეებში. მას იზიდავს ღია ფერის ტანსაცმელი და ოფლის სუნი. კბენის თავიდან აცილების მიზნით, უნდა დავიცვათ კანის ჰიგიენა.

ქინქლას კბენის მომენტს ხშირად ვერ ვგრძნობთ, რადგან მას პარალელურად, კანში ნერწყვი-,,გამაყუჩებელი“ შეაქვს. ამავდროულად ჭრილობაში ხვდება ანტიკოაგულანტი, სისხლის გასათხელებლად, ასევე ჰისტამინი და ფერმენტი. რამდენიმე წუთში ჩნდება წვის შეგრძნება, ძლიერი ქავილი და წითელი ფერის დიდი შეშუპება.

ქინქლას ნერწყვი შხამიანია. შეშუპება ცხრება რამდენიმე დღეში, აუტანელი ქავილი კი შეიძლება, რამდენიმე დღეს გაგრძელდეს. ხშირად ბავშვები ისე ძლიერად იქავებენ ნაკბენ ადგილს, რომ წყლულებიც კი უჩნდებათ. მრავალრიცხოვანმა ნაკბენმა შეიძლება გამოიწვიოს ტემპერატურის მატება და ზოგადი მოწამვლის ნიშნები.

**დახმარება.** რაც შეიძლება სწრაფად და გულდასმით უნდა გაიწმინდოთ ნაკბენი სპირტით, შემდეგ დაიდოთ ყინული და დალიოთ ანტიჰისტამინური საშუალება (დიაზოლინი, სუპრასტინი).

### ჭიანჭველა

ჭიანჭველა გაზაფხულიდან შემოდგომამდე, პარკებსა და ტყეებში გვხვდება. ის კი არ იკბინება, არამედ ჭავლისებურად ისვრის შხამიან ჭიანჭველამჟავას. ,,დაზარალებულები“ შეიგრძნობენ მწველ ტკივილს, დაზიანებული ადგილი წითლდება, შეიძლება გაჩნდეს პაწაწინა ბუბერა.

თუ ერთმა ჭიანჭველამ გიკბინათ, საშიში არაფერია, ხოლო თუ ბევრმა, მაშინ უმჯობესია, ექიმს მიმართოთ.

**დახმარება.** უნდა მოახდინოთ მჟავას ნეიტრალიზება სოდიანი ხსნარით, თუ ის ხელთ არ გაქვთ, მაშინ უბრალოდ, ნერწყვით დაისველეთ, სახლში კი ყინული დაიდეთ და ბუშტუკები არ გახეთქოთ.

### ბუზანკალი

ბუზანკლების საყვარელი ადგილები წყალსატევებთანაა, სადაც სექტემ-

ბრამდე ფრენენ. თბილ მზიან ამინდში დაბზუიან დიდი ბუზანკლები, ხოლო ღრუბლიან ამინდში — პატარა, მუქფრთებიანი ბუზანკლები. მათ იზიდავთ მუქი ფერის ტანსაცმელი და ოფლის სუნი. კბენის თავიდან აცილების მიზნით, კანის ჰიგიენა უნდა დავიცვათ.

ბუზანკლების კბენის მომენტში ადამიანი გრძნობს მკვეთრ წვას. ჭრილობის ირგვლივ მაშინვე ჩნდება თეთრი ბებერა, მის ირგვლივ კი — სიწითლე. აღინიშნება ქავილის შეგრძნება. საყურადღებოა, რომ ბუზანკალი ყველანაირ სიბინძურეზე ჯდება და გადააქვს ინფექცია.

**დახმარება.** ჭრილობა უნდა დაიმუშაოთ იოდით ან სპირტით და დაიდოთ ყინული. ქავილს აცხრობს სოდიანი ხსნარი.

## ბზიკი

ბზიკი გვხვდება დღის განმავლობაში ნებისმიერ ადგილზე. მათ იზიდავთ სუფრაზე დარჩენილი საჭმელი, განსაკუთრებით — ტკბილი, ყვავილების არომატიანი საპნის და პარფიუმერიის სუნი. კბენის თავიდან აცილების მიზნით, არასდროს დალიოთ თავღია ბოთლიდან ან ქილიდან წყალი: იქ შეიძლება, ბზიკი იყოს. ნუ დაიწყებთ ხელების ქნევას ბზიკის დანახვაზე. ტკბილეულის მირთმევის შემდეგ კარგად გაიწმინდეთ პირი.

ბზიკის კბენის შემდეგ ვითარდება მკვეთრი ტკივილი და წვა, ჭრილობის ირგვლივ კანი ძლიერ სივდება და ხურდება. ისევე, როგორც ფუტკრის ნაკბენის შემთხვევაში, ამ დროსაც სავარაუდოა ალერგიული რეაქცია, კიდევ — ინფექცია, რომელიც ჭრილობაში ნესტართან ერთად ხვდება.

**დახმარება.** ამოიღეთ ნესტარი, მერე, ნაკბენი ადგილი გაიწმინდეთ სპირტით ან იოდით, დაიდეთ ყინულის კომპრესი. თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადა.

## კოღო

კოღოს ნაკბენი უსაფრთხოა, მაგრამ ბავშვები ძლიერად იქავებენ კანს და ჭრილობაში ინფექცია შეაქვთ. ამიტომ ნაკბენის ადგილას ჩნდება ჩირქოვანი ანთება, არცთუ იშვიათია ალერგიული დერმატიტის პროვოცირება.

ამის თავიდან ასაცილებლად, თვალყური ადევნეთ ბავშვების ხელების სისუფთავეს და ყოველთვის დააჭერით ფრჩხილები — ეს ჭრილობის ინფიცირების ალბათობას შეამცირებს. თუ ბავშვს ქავილი აწუხებს, მაშინ კოღოს ნაკბენი დაამუშავეთ ცივი სასმელი წყლით და შემდეგ, ბრილიანტის მწვანეთი (ე.წ. „ზილიონკა“).

### ყურადღება!

საღამო ხანს ბავშვს (განსაკუთრებით — 3 წლამდე ასაკის) პარკში ნუ გაასეირნებთ, რადგან შეიძლება დაკბინოს ლეიშმანიოზის გადამტანმა პატარა ზომის მწერებმა, რომლებიც ბოლო დროს ძალიანაა გავრცელებული თბილისის შემოგარენში. მწერებისგან დასაცავად, ფანჯრებს ბადეები ააფარეთ.

კარგი იქნება, თუ ხელჩანთით ყოველთვის ატარებთ პატარა აფთიაქს, რომელშიც გექნებათ: სპირტი, ბამბა, სუპრასტინის ან ტავეგილის აბები.

გახსოვდეთ! რაც უფრო ახლოსაა თავთან ნაკბენი, მით უფრო სწრაფად და ძლიერად რეაგირებს ორგანიზმი!


სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

შეკითხვები პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა





# შენი შეცდომით შვილს ცხოვრებას ნუ გაუმწარებ

მარინა ბაბუნაშვილი

ამბავი, რომელიც უნდა მოგიყვეთ, არახალია, ძველია. ნარკოტიკმა ბევრს ოჯახიც წაართვა და დიდი სიყვარულიც დააკარგვინა, ახლობლებიც და სამსახურიც.

ძალიან ემოციური იყო თეას მონაყოლი, რომელიც მისი ოჯახის ოდესღაც ლამაზი სიყვარულის ამბავს გადმოგვცემს. წერილი _ „ნარკოტიკმა სიყვარულიც კი გაანელა" _ „კვირის პალიტრის" 2004 წლის 12 ივლისის ნომერში დაიბეჭდა. მაშინ თეამ პატიმარი ქმრის წერილები მომიტანა. თუმცა მხოლოდ ერთი წერილის ნაწყვეტი დავბეჭდეთ. ახლა, წლების მერე, კვლავ გადავავლე თვალი ამ წერილებს, რომლებიც სამწუხაროდ, დღესაც აქტუალურ, მტკივნეულ თემას ეხება.

**ამბავი პირველი**

## წამალმა ერთ დროს ძლიერი ბიჭის ნებისყოფაც დაამსხვრია

თეა და გუჯა 6 წლის ცოლქმარი იყო, როცა საბედისწერო შეცდომის გამო, ოჯახის უფროსი ციხის გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. ის ერთ-ერთ მსხვილ საწარმოში მუშაობდა მთავარ ინჟინრად. ყველა აღიარებდა მის ნიჭს და უნარს, ამიტომაც არავის უკვირდა, ასეთი ახალგაზრდა რომ დააწინაურეს, მაგრამ შემოწმებისას კომისიამ ფინანსური დარღვევა აღმოაჩინა და საწარმოს ბევრი მუშაკი დააპატიმრა. გუჯას მეუღლე, თეა, შვილთან ერთად, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. გუჯას მხოლოდ ინვალიდი მამა ჰყავდა, დედა ადრე გარდაეცვალა. თეა არ მუშაობდა და ქონების კონფისკაციის მერე თითქმის აღარაფერი დარჩა, თავი რომ ერჩინა. თეა ამბობდა, რომ მისი მეუღლე შეცდომაში შეიყვანეს და ამას, ციხიდან გამოგზავნილი მისი თბილი და ემოციური წერილებიც მოწმობს.

*ციხიდან გამოგზავნილი წერილები*

„გამარჯობა, ჩემო სიყვარულო... ვიცი, გული გატკინე, მაგრამ გეფიცები, ეს მხოლოდ შენი და იაკოს გულისთვის ჩავიდინე... განა არ ვიცი, რომ ეს არ უნდა გამეკეთებინა და ადრე თუ გვიან, არ შემერგებოდა, მაგრამ ამაზე მაშინ არ ვფიქრობდი. ცდუნებამ მძლია და დავისაჯე, — ოთხ კედელშუა ვარ გამომწყვდეული, შენ კი — თვალცრემლიანი დარჩი. როცა ცოლად მომყავდი, არც არავის იმედი მქონია, გარდა საკუთარი თავისა, მაგრამ... იმედია, თქვენები მხარში ამოგიდგებიან, ძმაც დაგეხმარება... აბა, მამაჩემს, ინვალიდ კაცს, რა მოვთხოვო? მას ჩემი მამიდაშვილები მიხედავენ... თეა, ჩემო სიცოცხლევ, მაპატიე, გთხოვ... მერწმუნე, თუ აქედან მალე გამოვაღწიე, რისი დიდი იმედიც მაქვს, თავიდან დავიწყებთ ცხოვრებას და ძველ ტკივილს დაგავიწყებ. გკოცნი, შენი გუჯა".

„მენატრები. 7 წელი ჩვენთვის, ორივესთვის, შვიდი საუკუნეა, საკმაოდ დიდი დროა, მაგრამ მერწმუნე, მაინც მალე გაირბენს. არ იფიქრო, რომ სამსახურს ვერ ვიშოვი. ჩემი ბიჭები მპირდებიან, შენ ოღონდ გამოდი და ერთ დღესაც არ გამყოფებთ საქმის გარეშეო. ხელისგულზე გატარებთ შენც და ჩემს იაკოსაც. მალე 5 წლის ქალი ხდება, ხუმრობა ხომ არაა?! გკოცნით უთვალავს... მამაჩემის ამბავი გამაგებინე".

„აღარ ვიცი, რით მოვინანიო შენ წინაშე ჩემი საქციელი. ათასჯერ ვთქვი, დამნაშავე ვარ შენ წინაშე და მაპატიე-მეთქი, მაგრამ ეტყობა, ძნელია, მარტოხელა ქალისთვის ოჯახის ტვირთის ზიდვა, ამიტომაც, ნებისყოფა გღალატობს და მსაყვედურობ... გთხოვ, თეა, ძალიან მიჭირს და ნულარ დამიმძიმებ ისედაც დამძიმებულ ყოფას. მიყვარხარ და მენატრები უსაშველოდ. აქ ლაპარაკობენ, რომ შეიძლება ამნისტია შეგვეხოს... თუ ასე მოხდა, ჩათვალე, რომ წელიწად-ნახევარში გარეთ ვიქნები. ამას წინათ, მწერდი, — რომ გყვარებოდი, იმ მცდარ ნაბიჯს არ გადადგამდი და მარტო არ დაგვტოვებდიო. შენსავით არავინ

მყვარებია ამქვეყნად. სადაცაა, 36-ის გავხდები და ღმერთის და დედის სულის დაფიცება შემიძლია, რომ ჩემი შენდამი სიყვარული წმინდა და უსაზღვროა“.

„ვიცი, ძნელი იყო შენთვისაც ეს დღეები, მაგრამ მერწმუნე, ჩემთვის გაუსაძლისი შეიქნა, რადგან თითქოს ყველაფერს ვხედავდი... საშინლად მწყდება გული, რომ მამა ვერ გავაცილე უკანასკნელ გზაზე... რა ვქნა, ასე ინება ბედისწერამ, შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული... ვიცი, დიდი ხარჯი გექნებოდა. აქაურებმაც შემიგროვეს ფული და გიგზავნი. აბა, შენ იცი, ჩემო ჭკვიანო გოგო. თავს გაუფრთხილდი“.

„უკვე რუსთავში ვარ. მენატრებით. 22 დღე და ერთმანეთს ვნახავთ. აქაურებმა მითხრეს, თუ იჩალიჩე, 2-საათიანის ნაცვლად, 3-დღიან პაემანს გამოჰკრავ ხელსო“.

„...ხომ გითხარი, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება-მეთქი. გამართლდა თუ არა ჩემი სიტყვები? მართალია, 5 წელიც ბევრი იყო, მაგრამ 7 წელზე ნაკლები ხომაა? ერთი სული მაქვს, როდის ჩაგიხუტებთ. ალბათ, ახალ წელს თქვენთან ერთად შევხვდები...“

### ამბავი მეორე

## „მეშინოდა, შვილისთვის არ წამოეძახებინათ მამის წარსული...“

**თეა:**

— წერილებიდანაც ჩანს, როგორი ადამიანი იყო გუჯა. მას მართლაც ძალიან ვუყვარდით და მომავალიც ეიმედებოდა, მიუხედავად იმისა, რომ დაპატიმრებული იყო. ზოგჯერ უმისობა ისე მიჭირდა, სიტყვითაც ვერ გადმოგცემთ. გუჯა ყოველთვის გრძნობდა ამას და ამიტომაც მამშვიდებდა. მისი მეგობრები დამეხმარნენ, რომ ვადაზე ადრე გამოსულიყო. ისეთი გამხდარი და ფერდაკარგული იყო ბოლო დროს, სულ შეშფოთებული ვეკითხებოდი, რამე ხომ არ გაწუხებს-მეთქი? მიმალავდა. თურმე, კოლონიაში რამდენჯერმე ჰქონია შეტევა (თირკმლებში კენჭები ჰქონდა) და არ მითხრა. გვიან გამოტყდა: როცა ტკივილებისგან ჭკუიდან გადავედი, ექიმები კი ბარალგინის მეტს არაფერს მიკეთებდნენ, მერელა მომცეს ბიჭებმა წამალიო. თურმე ისეთი ძლიერი შეტევები ჰქონდა, რომ ბარალგინი საათში ერთხელაც რომ გაეკეთებინათ, არ შველოდა. ერთხელ უთქვამთ, — თუ გინდა, ციხის საავადმყოფოში გადაგიყვანთ, მაგრამ ამისთვის ფულია საჭიროო. გუჯამ უარი უთხრა, მე არც კი გამაგებინა ამის შესახებ. ისედაც ბოდიშებს მიხდიდა, ყოველი პაემნის წინ პროდუქტების სიას რომ ჩამომიწერდა. არადა, რომ არ დაემალა, იქნებ, გადამერჩინა.

**— როცა გუჯა გათავისუფლდა, მალევე დაიწყო მუშაობა?**

— კი, ერთი თვის მერე. შეპირებისამებრ, ერთ-ერთმა მეგობარმა რესტორანში თავის მოადგილედ დანიშნა.

**— როდის შეიტყვეთ, რომ ნარკოტიკის მომხმარებელი იყო?**

— კარგა ხანს ვერ გავიგე, რადგან თირკმლები მერეც აწუხებდა და მკურნალობა დაიწყო. ძლიერ ტკივილგამაყუჩებლებს ვუკეთებდი. მარწმუნებდა, მშველისო. ვფიქრობ, ის უკვე წამალს იყო მიჩვეული და მის გარეშე აღარ შეეძლო... სრულიად შემთხვევით შევუსწარი სამზარეულოში... რაც დავინახე, ჩემს მტერს! კინაღამ გული გამისკდა. მაშინ გამომიტყდა ყველაფერში, დამპირდა, — უამრავი ბარიერი დავძლიე და ამასაც დავძლევ, ნელ-ნელა გადავაგდებო, მაგრამ ვერ შეასრულა თავისი სიტყვა. რა არ ვცადე, იაკოს ვაფიცებდი, ვემუდარებოდი, შვილი დაგვეჩაგრება, თავს თუ არ აიყვან ხელში, ვინ იცის, რამდენჯერ წამოაძახებენ, ნარკომანის შვილობას-მეთქი. ია მეათე კლასში რომ გადავიდა, გუჯამ გვითხრა, — გაისად ძალიან „ცხელი ზაფხული“ გველის, იაკო აბიტურიენტი იქნება, ამიტომ ახლა კარგად დაისვენეთო, — და 2 კვირით ქობულეთში გაგვიშვა. მეცხრე დღეს თბილისიდან დამირეკეს და მითხრეს, — გუჯა ცუდად არის და ჩამოდითო. მკვდარი დამხვდა. არ მეგონა, გუჯა ასე თუ დაამთავრებდა თავის სიცოცხლეს... რასაც ვეუბნებოდი გუჯას ჩვენი შვილის შესახებ, ისიც გამართლდა.

**— ვინმემ მამის ცოდვების გამო გაკილა?**

— იაკო ერთ ძალიან კარგ ბიჭს შეუყვარდა. ირაკლის მშობლებს გაუგიათ გუჯას ამბავი და შვილისთვის იასთან შეუღლებაზე სასტიკი უარი უთქვამთ. ამ ამბავმა იას ყურამდეც მიაღწია და ირაკლის უარი უთხრა. გაგიჟდა ბიჭი, — ჩემს მშობლებს კი არა მე მომყავხარ ცოლად, ბოლოს და ბოლოს, შეეგუებიან და გვაპატიებენ, გავიპაროთო... დაძაბული პერიოდის მერე, ირაკლი და იაკო გაიპარნენ. ირაკლის მშობლები მოცვივდნენ და მუშტები მიბრახუნეს მაგიდაზე, — ახლავე გვითხარი, სად არიან, მაგათ ხელს შენ უწყობდიო! იმ დღიდან მალე 2 წელი შესრულდება. ირაკლი და იაკო ერთად არიან, ჰყავთ ულამაზესი გოგო, რომელიც სიცოცხლეზე მეტად მიყვარს.



**— ირაკლის მშობლები შეურიგდნენ?**

— სხვა რა გზა ჰქონდათ?! ირაკლი და ია მაშინვე ცალკე საცხოვრებლად წავიდნენ. სამწუხაროა, რომ იაკოს ბევრი რამ აკადრეს დაუმსახურებლად. მამამისს კაცი არ მოუკლავს და არ მოუპარავს. რაც მოუვიდა, ეს შემთხვევის ამბავი იყო და თუნდაც ასე არ ყოფილიყო, იაკოს რაში სდებდნენ ბრალს? ჩემმა შვილმა მითხრა: პატიებით, დიდი ხანია ვაპატიე, ისინი ხომ ჩემი ქმრის მშობლები და მარის ბებია-ბაბუა არიან, მაგრამ რა ვქნა, დავიწყება ვერ შევძელიო...

# „ვერ ოჯახს ვერ ვიპოვნ“

*წინა ნომერში დაბეჭდილ ამბავს — „ქმრის ყოფილი შეყვარებულით მოხიბლული, მიტოვებული ცოლი“ — ჩვენი მკითხველი მესიჯებით გამოეხმაურა, ერთ-ერთი მათგანი კი პირადად შემხვდა და მითხრა: ვერ შევძელი გაჩუმება, არადა, მესიჯში ჩემს ამბავს როგორ ჩავატევდი?! ამიტომაც მოსვლა ვარჩიეო...*

*მერიკო 5 წლის წინ გაშორდა მეუღლეს. თითქოს ბანალური ამბავია: უყვარდათ, შეუღლდნენ, მერე კი „სხვა“ ქალი გამოჩნდა. ვისთვის ბანალურია, ვისთვის კი... მეგონა, მოვკვდებოდი და ვერ გადავიტანდი ქმრის ღალატს, თავის მოკვლაც მინდოდა, მაგრამ ბავშვზე ფიქრმა მიხსნაო, — ამბობს მერიკო.*

**— მერიკო, ჩემთან მოსული ადამიანი ხშირად მალავს ვინაობას, სამაგიეროდ, თავის ცხოვრებაზე გულახდილად მიამბობს. შენც შეიცვალე სახელი?**

— არა, მე ნამდვილად მერი მქვია; გვარს კი შეგნებულად არ გავამჟღავნებ. ვინც მიცნობს, ისედაც მიხვდება, რომ მე ვარ. სულ ვფიქრობ, რატომ ხდება, რომ სიყვარული ქრება და მოვალეობაც აღარ აკავებს კაცს ოჯახში? თუკი ერთხელ გაუნელდა სიყვარული, ხომ შეიძლება, მეორედ და მესამედაც გაქრეს გრძნობა-მეთქი?! განცდამ ნევროზულ მდგომარეობაში ჩამაგდო და უნდა გამოგიტყდეთ, საკმაოდ ცუდად მოვიქეცი. თქვენი რესპონდენტის, ნინოსი, ქალურად მშურს, რადგან ის მშვიდად, გაწონასწორებულად შეხვდა ქმრის წასვლას, მე კი...

**— და მაინც, რა იყო თქვენი ოჯახის დანგრევის მიზეზი, ისევ სხვა ქალი?**

— დიახ, სხვა ქალი, რომელსაც ორი ქმარი ჰყავდა გამოცვლილი და მესამეს დაადგა თვალი. მე ასეთებს „მონადირე ქალებს“ ვეძახი. ჩემი ქმარი რამ დააბრმავა, ვერ აგიხსნით. მისი ახლანდელი „რჩეული“ არც გარეგნობით მჯობს, არც განათლებით და არც ოჯახიშვილობით. უბრალოდ, მას თავისებური ხერხები აქვს, სხვისი ქმრის მიტყუების და „შებმის“. ვატომ (ქმრის სახელს შევცვლი მხოლოდ) ერთ-ერთ ბარში გაიცნო თავისი „ტურფა“. იმ ბარის მეპატრონე ყოფილა ის ქალი, სახლიც იქვე ჰქონია. ჰოდა, გაჩაღდა რომანი. მე ვერაფერს მივხვდი, სანამ ჩემმა ახლობლებმა არ მითხრეს, გამოფხიზლდიო. ისე გავმწარდი, რაც არ მეკადრებოდა, ის ვიკადრე.

**— მაინც, რა?**

— რა და, იმ ბარში მივუვარდი ორივეს და ერთი ამბავი ავტეხე. ქმარმა ვერ გამაჩერა. მერე დაცვის ბიჭებმა ხელი მომკიდეს და გარეთ გამომიყვანეს. ამის შემდეგ სამი დღე არ მოსულა სახლში. მეოთხე დღეს კი იცით, რა გამომიცხადა? — შენ რომ ასეთი ამბავი არ აგეტეხა, ემას (იმ ქალს ჰქვია) სიყვარულს მოვინელებდი და ოჯახში ჩვეულებრივად გავაგრძელებდი ცხოვრებას, ახლა კი აზრი აღარ აქვს ჩვენს ერთად ყოფნასო. კინაღამ გავგიჟდი. თურმე არ მცნობია ჩემი ქმარი. დებილი ყოფილა, უწესო ქალის ზეგავლენის ქვეშ რომ მოექცა. ჩანთაში თავის ნივთებს აღაგებდა. დავტაცე ხელი და ყველა მისი ნივთი ფრიალ-ფრიალით გადავუშვი ფანჯრიდან, — აქ ნუ ყოვნდები, ქუჩაში აკრიბე-მეთქი. გიჟი და არანორმალური მეძახა, მერე ბავშვისკენ გაიწია საკოცნელად; წინ გადავეფარე, — ბავშვთან მიახლოება არ გაბედო-მეთქი. წავიდა და წავიდა... ბავშვი გაიზარდა, სკოლაშიც წავიდა. ერთხელაც არ მოუკითხავს შვილი. ერთხელ, ატირებული მოვიდა სკოლიდან და მითხრა, — მასწავლებელმა მამების კრება ჩაატარა, შენ ვერაფერი გითხარი, მასწავლებელმა კი მისაყვედურაო. მეორე დილით იმ ბარში მივედი. იქ არ დამხვდა და იმ ქალის ბინიდან გამოვიხმე. კარგა ხანს მისმენდა, მერე მითხრა: შენ ხომ ამიკრძალე შინ დაბრუნებაც და ბავშვთან მიახლოებაც, რა პრეტენზიები გაქვსო?

**— ისე, რას ერჩი, ლოგიკური დასკვნები გაუკეთებია..**

— სამწუხაროდ, კაცები ნებისმიერ დასკვნას თავიანთ სასარგებლოდ აკეთებენ, თორემ მე როგორც არ უნდა ამეკრძალა, განა მას სურვილი არ უნდა გასჩენოდა შვილის ნახვის? სასამართლომ მას კვირაში ერთხელ ბავშვის ნახვის უფლებაც მისცა და, ზაფხულის 3 თვიდან 1 თვე შეგიძლიათ, თქვენთან გყავდეთო, — ისიც უთხრა. თუმცა მისთვის შვილი ზედმეტი ბარგი აღმოჩნდა. ემას შვილს კი თან გადაჰყვა. აბა, ასეთი კაცი რისი ღირსია?

**— ემასთან მეორე შვილი არ შესძენია?**



— კი, შარშან შეეძინა ბიჭი. ჩვენმა გოგონამ სთხოვა (ერთხელ, შემთხვევით მოუვიდა — ზოოპარკში გაასეირნა,) გამაცანი ჩემი პატარა ძმიკოო. ის დაჰპირდა, მაგრამ არ შეასრულა.

**— ალიმენტს იხდის?**

— ალიმენტით ძნელია შვილის რჩენა. მე რომ არ ვმუშაობდე, ის მცირე თანხა ზღვაში წვეთი იქნებოდა. განა, არ ვიცი, რომ სიმშვიდე ყველაფერს სჯობს და ჩხუბსა და უსიამოვნებას

მხოლოდ ცუდი მოაქვს, მაგრამ რა ვქნა, ძალიან მიჭირდა იმ გრძნობის დავიწყება, რომელიც ჩვენ შორის იყო სტუდენტობისას. ამასაც როგორმე გადავხარშავდი, ოღონ სხვანაირად რომ მოქცეულიყო.

**— მაინც, როგორ?**

— წყნარად უნდა აეხსნა ყველაფერი. სხვებისგან რომ გავიგე მისი ღალატის შესახებ, ამან აღმაშფოთა. თურმე ამდენი ხანი მატყუებდა. მერე, შვილზე არ უნდა აეცრუებინა გული. ბავშვმა რაღა დაუშავა? სამწუხაროდ, ქართველი მამაკაცების უმეტესობას ასე სჭირს: ცოლი თუ მოიძულა, აღარც შვილი უნდა.

**— ახლაც უყურადღებოა შვილის მიმართ?**

— ბავშვი რომ არ ეხმიანებოდეს, თავს არ შეიწუხებდა, მაგრამ გოგონა რომ დაურეკავს და რაღაცას სთხოვს, სხვა გზა არ აქვს. მე მატერიალურად მყარად რომ ვიდგე ფეხზე, საერთოდ აღარ შევაწუხებდი, მაგრამ შვილის გამო უკან ვიხევ. მამაა და მოვალეა.

**— ოჯახიდან რომ არ წასულიყო და საყვარლად ჰყოლოდა ის ქალი, აპატიებდით?**

— არა, არ ვაპატიებდი. ემასთან სწორედ ასეთი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ჩემი ჩხუბის მერე გადაწყვიტა ოჯახის დანგრევა.

**— გატყობთ, რაღაცას მაინც ნანობთ.**

— ვნანობ, რომ შეუღლების დღიდან ბევრ რამეს ვიკლებდი, მას კი ყველა სურვილს ვუსრულებდი, არაფერზე ვაწუხებდი, — კაცია და თავმოყვარეობა არ შეელახოს-მეთქი... კიდევ, იმას ვნანობ, რომ არ უნდა მეჩხუბა, არც ბარში უნდა მივსულიყავი, მაგრამ ძნელია, შეურაცხყოფილმა კიდევ იმაზე იფიქრო, — ვაიმე, ისეთი რამ არ წამომცდეს, მერე რომ ვინანოო. საინტერესოა, თქვენი რესპონდენტი ნინო ჩემს ადგილას როგორ მოიქცეოდა?

**— თქვენ როგორ მოიქცეოდით მის ადგილას? მშვიდად დაელაპარაკებოდით ქმრის ძველ შეყვარებულს?**

— ოო.. ალბათ მაინც გამიჭირდებოდა სიმშვიდის შენარჩუნება. თუმცა, გიოს შეყვარებული ღირსეულად მოიქცა და უარი უთხრა მას. ასეთ შემთხვევაში მეც მომეწონებოდა ჩემი მეტოქე.

# „ყველა კაცი ასე არ მოიქცეოდა"

**ახლა კი, იმ მოკლე გამოხმაურებებს შემოგთავაზებთ, რომელიც წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილზე მივიღეთ:**

„ყოჩაღ, ნინო, ღირსეული ქალი ყოფილხარ. აღფრთოვანებული ვარ შენით... რომ გეჩხუბა, ალბათ მაინც ვერაფერს მიაღწევდი, შენი საქციელით კი ყველას მოწონება დაიმსახურე. მოხარული ვიქნები, თუკი გავიგებ თქვენი ოჯახის გამთლიანების ამბავს. დიდი პატივისცემით, **ლია. თბილისი"**.

„მარინა, მინდა გითხრათ, რომ ჩემს სამეგობროში მსგავსი ამბავი მოხდა და ცოლი ქმარს დაემუქრა, — თუ ჭკუაზე არ მოხვალ, იცოდე მეც გიღალატებო. არადა, ჩემს მეგობარს მართლა უყვარდა ის ქალი, რომელსაც წლების წინ შეყვარებულად მიიჩნევდა, თუმცა მას ოჯახის დანგრევა წარმოუდგენლად მიაჩნდა. შეშინდა და დათმო. მე მგონი, ამაზე ჩხუბი და ორომტრიალი მოკლებულია ლოგიკურობას... **გურამ შენგელია, ქუთაისიდან"**.

„საოცარია პირდაპირ, როგორ შეიძლება ნინოსნაირ ქალს კაცმა ზურგი შეაქციოს?! ვიზიარებ და ვეთანხმები გამონათქვამს — „არასოდეს თქვა „არასოდეს". ახლა მეც ვაკრიტიკებ გიოს, მაგრამ ვინ იცის, მის ადგილზე როგორ მოვიქცეოდი? თუმცა, ნინოთიც აღფრთოვანებული ვარ და გიოს საყვარელი ქალითაც. სამივეს წარმატებებს ვუსურვებ. **რამაზი, თბილისი"**.

„მე ასე ვერ მოვიქეცი. ყველას ხომ ამ შესწევს უნარი, რომ იოლად გადაიტანოს ქმრის გატაცებები და „მჩქეფარე" სიყვარული? ასე მგონია, ნინოს რომ ებრძოლა და ასე იოლად არ დაეთმო პოზიციები, — ოჯახი არ დაენგრეოდა. სამწუხაროდ, კაცებს ხშირად სჭირდებათ „შეჯანჯღარება", რათა ილუზიიდან გამოვიდნენ. ყველა ღონე ვიხმარე, რომ მეუღლე შემენარჩუნებინა. ვიცოდი, ჩემს ქმარს ვუყვარდი, უბრალოდ, იმ გატაცებას თავს ვერ აღწევდა და „დავეხმარე" **მაგდა, თბილისი"**.

„ოჯახის დანგრევა ტრაგედიაა, აბა, რა. ქალმაც და კაცმაც კეთილი უნდა ინებონ და სანამ ოჯახს შექმნიან, ასჯერ გაზომონ და ერთხელ გაჭრან. როცა ოჯახი შეიქმნება, რაც ან ვინც უნდა შეხვდეთ ცხოვრებაში, გული არ უნდა აიცრუონ და მოვალეობა არ უნდა დაივიწყონ. არ გავამართლებ იმ კაცსა და ქალს, რომელიც სიყვარულს მონად გაუხდებიან და მას ყველაფერს ანაცვლებენ. **მარიამი თელავიდან"**.

„როგორც უნდა გააკრიტიკონ გიო, მე მაინც თანავუგრძნობ მას. ქალი უყვარდა, დაიბრუნა; არც მისი წარსული აინტერესებდა, არც ის — ხალხი როგორ შეაფასებდა მათ ერთად ყოფნას და გადაწყვიტა, საყვარელ ქალთან წასულიყო. იმან კი არ მიიღო, როცა გაიგო, რომ ცოლ-შვილის მიტოვებას აპირებდა. ნინოც კარგად მოიქცა, სცენები რომ არ მოუწყო, როგორც ასეთ დროს სჩვევიათ ხოლმე ცოლებს. მოკლედ, მე სამივეთი აღფრთოვანებული ვარ და დიდი სიამოვნებით გავეცნობოდი მათ შემდგომ ცხოვრებას. მარინა, იმედია, გაგვაგებინებთ ამ სამის ამბავს. წინდაწინ გიხდით მადლობას. **ლიკა, 24 წლის, თბილისი"**.

„მე მომწონს გიოს საქციელი. ყველა კაცი ასე არ მოიქცეოდა. მას ხომ გულით უყვარდა ხათუნა და უნდოდა, მასთან ყოფილიყო. რატომ უნდა გაამტყუნონ? აბა, ტყუილებით ვერ იცხოვრებდა. იგი გაერიდა აქაურობას, რადგან ვერ შეძლო საყვარელ ქალთან ყოფნა. ამას მისი ცოლიც მიხვდა. მიუხედავად იმისა, რომ გიომ აქაურობა დატოვა, თავისი ქვეყნიდან შორს ფიქრობს, რომ ცხოვრება როგორმე თავიდან დაიწყოს. ძალიან მინდა, ნინომ მიიღოს მისი წინადადება და უმცროს შვილთან ერთად, ისიც გაემგზავროს ამერიკაში. ხათუნა კი მართლაც, არაჩვეულებრივი ქალია და დიდ ბედნიერებას ვუსურვებ. **ინგა სურგულაძე, რუსთავი"**.

# მკითხველის წერილები

**მკითხველმა მიიღო ჩვენგან შეთავაზებული წინადადება და მხოლოდ გამოხმაურებით არ შემოიფარგლა. ზოგს სურვილი გაუჩნდა, რომ თავისი ან ახლობლის ცხოვრებიდან რაიმე ეპიზოდი მოეთხრო.**

## „ვერ გავამართლებ იმ დედას...“

„...ეჰ, ჩემო კარგებო, რა აღარ ხდება ამ ცხოვრებაში! ვერ გეტყვით, დრომ მოიტანა თუ გაჭირვებულმა ყოფამ პასუხისმგებლობაზე უარის თქმა და გაიოლებული გზით სიარული, მაგრამ პირადად მე, ვერასდროს წარმოვიდგენდი, ქართველი ქალი შვილებს თუ მიატოვებდა და „უსაზღვრო გრძნობით“ შეპყრობილი, ძვირფას მამაკაცთან ერთად გადაიკარგებოდა. კი, ბატონო, უგრძნობი არც მე გახლავართ, 64 წლის კაცი ვარ და დღესაც სიამოვნებით ვიხსენებ იმ ჭაბუკურ გატაცებას, რომელიც 13 წლის ასაკში მესტუმრა; მერე დიდი სიყვარული გამოვცადე და დავოჯახდი. ასე რომ, სიყვარულისთვის მეც მიბრძოლია და არ გამაკვირვებს მისთვის ჩადენილი გმირობები, მაგრამ შვილებზე უარის თქმა, თანაც დედისგან, ჩემს დიდ აღშფოთებას იწვევს“.

წავიკითხე — „გაქცეული ცოლი“ („თქვენთვის, ქალბატონებო“, „კვირის პალიტრის“ 21 ივლისის ნომერი) და ამ ცოტა ხნის წინ ჩვენს სამეზობლოში მომხდარი ამბავი გამახსენდა. თქვენს წერილში მძღოლს და მისი შეფის ცოლს შეუყვარდათ ერთმანეთი, ჩვენთან კი — პატარძალსა და მისი ქმრის მეჯვარეს. მართლაცდა, რა არ ხდება ამქვეყნად?! ძალიან ნაადრევად მოუვიდა ჩვენი მეზობლის ბიჭს დაქორწინება. 16 წლის გოგო შეუყვარდა, თავად 18 წლის იყო. შეეშინდა, ლამაზია და არავინ მომტაცოსო, მოჰკიდა ხელი და თავის მშობლებს მიუყვანა, — ეს თქვენი რძალიაო. რად უნდოდათ რძალი, ძლივს გასწორდნენ წელში ბიჭის მშობლები, მაგრამ უკან აღარ დაიხიეს და რესტორანში 500-კაციანი ქორწილი გადაუხადეს. სიძის მეჯვარეს თურმე პატარძალი შეჰყვარებია და სამი წლის მანძილზე „იწვებოდა“ და „იდაგებოდა“ მისი სიყვარულით. ბოლოს, გაუმხელია სიყვარული და იმ გოგოსაც გრძნობითვე უპასუხია. მალულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. მერე, გაუწყდათ მოთმინების ძაფი და გაიპარნენ. ცოლმა ქმარს წერილი დაუტოვა: მაპატიე, დამნაშავე ვარ, მაგრამ სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი, ბავშვს შენ გიტოვებ, ვიცი, არაფერს მოაკლებო! ეს ნორმალური ქალის საქციელია? რა ვქნა, თუ გინდათ, გამამტყუნეთ, ვერ გავამართლებ იმ დედას, რომელიც შვილს ზურგს შეაქცევს თავისი პირადი ბედნიერებისთვის. **გურამ დევიძე, ქუთაისიდან“.**

## „...თანავუგრძნობ თქვენს ცოლყოფილს“

„წავიკითხე „კვირის პალიტრაში“ დაბეჭდილი წერილი — „ჩათში“ გაცნობილი გოგონა მიყვარდა, ცხოვრებაში კი...“ — და მინდა გაგიზიაროთ ჩემი შეხედულება და პატარა ამბავიც მოგიყვეთ. ის ბათუმელი „ბუდუ“ რომ გწერთ, — შევცდი გოგონაში, „ჩათში“ მიყვარდა და ცხოვრებაში განვიხიბლეო, — განა, ასეც არ ხდება, რომ წლების მანძილზე გოგოს და ბიჭს ერთმანეთი უყვართ, ცოლქმრობაში კი იმდენი პრობლემა ხვდებათ, რომ სიყვარული უქრებათ? ასეც ხდება და ისეც, მთლად ინტერნეტს ნუ დააბრალებთ ყველაფერს.

მე და ჩემმა ქმარმაც „ჩათაობისას“ გავიცანით ერთმანეთი. დღე არ გავიდოდა, არ გველაპარაკა. მერე იმისი სურვილიც გაგვიჩნდა, რომ გვენახა ერთმანეთი და ვნახეთ. იმ დღიდან სიყვარული გაძლიერდა და მალე ვიქორწინეთ კიდეც. დღეს უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, ნიკას ცოლი რომ მქვია. სექტემბერში პატარასაც ველოდებით. ასე რომ, ჩემო „ბუდუ“, თქვენ ორს შორის სხვა პრობლემები გაჩნდა, რომელიც ვერც ერთმა ვერ დასძლიეთ, მერე კი განხიბვლას დააბრალეთ. ერთს გირჩევთ: ოჯახის შექმნა სერიოზული საკითხია. რა მნიშვნელობა აქვს იმას, სად, როდის, როგორ და რა ხერხებით გაიცნობთ საცოლეს, მთავარი ისაა, რომ არ აჩქარდეთ. თანავუგრძნობ თქვენს აწ უკვე ცოლყოფილს. მან ბავშვიც დაკარგა და თქვენც. წავიდა ახლობლის ქორწილში და როცა დაბრუნდა, ქმრის მაგივრად წერილი დახვდა — ყველაფერი დასრულდაო. სანამ ცოლად შეირთავდით, მანამდე უნდა აგეწონ-დაგეწონათ ყველაფერი. იქნებ თქვენების არაკეთილმა და „სულერთია“ განწყობილებამ მაგიურად იმოქმედა თქვენზე და ლოგიკური შედეგი თქვენი დაშორება იყო? რატომ არ ეცადეთ, შეცდომები გამოგესწორებინათ? რა თქმა უნდა, უსიყვარულოდ ცხოვრება ძნელია, მაგრამ ოჯახის ნაჩქარევად შექმნაც არ არის გამართლებული... ამას ნინათ, ჩემმა მეგობარმა გოგონამ „ოდნოკლასნიკებში“ გაიცნო ერთი ბიჭი. უკვე შეხვდნენ კიდეც და აღტაცებული არიან ერთმანეთით, თუმცა შეუღლებას ჯერ არ ჩქარობენ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემსავით ისინიც უბედნიერეს ოჯახს შექმნიან. **მაია ნემსაძე, 23 წლის. თბილისი“**

*ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61ან ელფოსტით:* mbabunashvili@mail.ru

# ჭართული სვრეა, ირანელი სვრეკი

## და ჭარიზეი ვაჩსნილი ჟესტრანი „ვიროსვანი“



1981 წელს, 19 წლის სურურ კასმაი და მისი და, საბრძოლო მოქმედებებში ჩართული თეირანიდან გაიქცნენ. დებს 2 კონტრაბანდისტი გააცნეს, რომელთა დახმარებითაც გაქცევა უნდა მოეწყოთ. გოგონებს გლეხური სამოსი ჩააცვეს და უახლოეს ქურთულ სოფელში მიიყვანეს. გამცილებლების ველურმა გარეგნობამ გოგონები დააფრთხო, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდათ.

ქურთისტანი „არავის მიწა“ იყო და აქ დამოუკიდებლობისთვის მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობდა. სწორედ ამის გამო, დებისთვის გაქცევის ერთადერთი გზა სწორედ ქურთისტანზე გადიოდა. პირველსავე გაჩერების დროს, გოგონებთან უცნაური, ცალთვალა კაცი მივიდა და ფული სთხოვა. უარი უთხრეს. არადა, ფული რომ მიეცათ, თავიდან ბევრ უსიამოვნებას აირიდებდნენ.

სურურის მშობლები თეირანიდან ჯერ კიდევ 2 წლის წინ, 1979 წელს გაიქცნენ. ეს რეისი მამისთვის საბედისწერო გამოდგა — მან 2 ინფარქტი გადაიტანა. არავინ უწყოდა, რომ ისინი თვითმფრინავის ბოლო რეისით მიფრინავდნენ. ხომეინის რეჟიმისგან თავის დასაღწევად, საფრანგეთში გაქცევა ერთადერთი გზა იყო. მთელი 2 წლის განმავლობაში, ომის ქარცეცხლში გოგონები მშობლების გარეშე დარჩნენ, მაგრამ მათ „რევოლუციონერობანას“ თამაში მოსწონდათ. ყველას სწამდა, რომ ტოტალიტარული რეჟიმი მალე დაემხობოდა, მაგრამ 2 წლის შემდეგ ეს იმედი ამოიწურა. ეს გახლდათ სურურისა და ავას პირველი გაქცევა. ცალთვალა მათხოვართან შეხვედრის შემდეგ, სულ რამდენიმე კილომეტრი გაიარეს, როდესაც მთები დაინახეს. — „ხედავთ? უკვე მთებთან მივედით, — დაიყვირეს კონტრაბანდისტებმა, — ეს თურქეთია! ეს თავისუფლებაა!“ გოგონებს ეგონათ, რომ უკვე სამშვიდობოს იყვნენ და გლეხური სამოსიც კი გაიხადეს, როცა უეცრად, მათი მიმართულებით სროლა ატყდა. გზა ადგილობრივი პოლიციელებით დატვირთულმა სატვირთო მანქანამ გადაუჭრა. ისინი თურქეთიდან 5 კილომეტრში დაიჭირეს და ეს ცალთვალას „დამსახურება“ იყო.

*— კომენდანტმა საბუთები მოგვთხოვა და მივხვდი, რომ ჩვენი საქმე წასული იყო. ავას პასპორტს ვადა ჰქონდა გასული. უეცრად, შევნიშნე, რომ კომენდანტს საბუთები უკულმა ეჭირა და ისე „კითხულობდა“. როდესაც საბუთი შემოვუბრუნე და სწორად დავაჭერინე, მითხრა: „აი, ახლა ფოტო უკეთ ჩანს, გმადლობთ!“ მივხვდით, გაუნათლებელ ადამიანთან გვქონდა საქმე და ტყუილის თქმა შეგვეძლო. ვუთხარით, რომ ჩვენს ქვეყანაში ომი იყო და რადგან თურქეთში გადასვლას ვიზა არ სჭირდებოდა, სასწავლებლად იქ მივდიოდით. მან იფიქრა, სულელ გოგონებთან მაქვს საქმეო და დაინტერესდა: „ასეთ მამაკაცებთან ერთად მთებში სიარულის არ გეშინიათ? ხომ შეიძლება, რომ მათ გაგაუპატიურონ ან მოგკლან?“*

რა თქმა უნდა, გოგონებს ეშინოდათ, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდათ. სურური სახელმწიფო დამნაშავის ცოლი გახლდათ, რომელიც ნახევარი წლის წინ დაიჭირეს და ციხეში აწამებდნენ. ამ ხნის განმავლობაში, ქმარზე ზეგავლენის მოსახდენად სურურიც რამდენჯერმე დააპატიმრეს, მაგრამ მალევე ათავისუფლებდნენ. ახლა კი, როცა მომწიფდა სიტუაცია — რომ თუ სურურს კიდევ დააპატიმრებდნენ, აღარ გამოუშვებდნენ, იძულებული გახდა, გაქცეულიყო.

კომენდანტმა რაპორტი დაწერა და დები ციხეში გაუშვა.

1979 წლის რევოლუციამდე, რომელიც რუჰოლ ხომეინის დიქტატურით დასრულდა, დიპლომატების შვილი, სურურ კასმაი თეირანის საუკეთესო ლიცეუმში სწავლობდა. ფრანგულ ენას სპარსულზე უკეთ ფლობდა და როგორც ყველა ირანელს, მასაც სჯეროდა, რომ მალე დემოკრატია გაიმარჯვებდა, ნანატრი თავისუფლება მოვიდოდა და ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლებოდა.

*— პროკლამაციებს ვარიგებდი და ლიცეუმში გაფიცვებს ვაწყობდი,* — იხსენებდა სურური მოგვიანებით.

სურურის მამა თეირანში, საფრანგეთის საელჩოში მუშ-

აობდა და ოდესღაც შარლ დე გოლის პირადი თარჯიმანი გახლდათ, რომელმაც საფრანგეთის მოქალაქეობა აჩუქა. „როდესაც ირანელობის შემრცხვება, საფრანგეთის მოქალაქე მაშინ გავხდები“, — უთხრა მან. და აი, ეს დროც დადგა.

*— ირანში მარტო ცხოვრება შეუძლებელი იყო და ცოლად აბასს გავყევი. მას ვუყვარდი, მე კი არც დავფიქრებულვარ, მის მიმართ რას განვიცდიდი.*

ისინი 1981 წელს დაქორწინდნენ. სურური 19 წლის იყო, აბასი — 27-ის. ქორწილიდან რამდენიმე დღის შემდეგ აბასი დააპატიმრეს, სურური კი გამუდმებით დაკითხვებზე დაჰყავდათ.

*— ყოველი შინ დაბრუნების შემდეგ ვხვდებოდი, რომ ჩემს წასაყვანად კვლავ მოვიდოდნენ. ქმარმა მოახერხა და წერილი გადმომცა, რომელშიც მხოლოდ ერთი სიტყვა — „გაიქეცი“ ეწერა.*

ლეგალურად გამგზავრება შეუძლებელი იყო. ნაცნობი დიპლომატი დახმარებას შეჰპირდა, ოღონდ იმ პირობით, რომ დასთან ერთად უნდა გაქცეულიყო. ავას საკუთარი ქორწილიდან მოუხდა გაქცევა, თეთრი კაბა კი გარდერობში დარჩა. გოგონამ საქმროს გაფრთხილებაც ვერ მოასწრო.

საზღვართან დაკავებული გოგონები უკან, თეირანში დააბრუნეს და 1 კვირის შემდეგ, სასამართლოზე გამოცხადება დაავალდებულეს. ასე ჩავარდა პირველი გაქცევა.

გოგონებს თეირანში მისასვლელი არსად ჰქონდათ. უფულოდ და საკვების გარეშე დახეტიალებდნენ და ცდილობდნენ, შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი მოეძებნათ.

*— ჩვენ ჩვენი კეთილისმყოფელი დიპლომატის ნომერი გვქონდა, რომელზე დარეკვაც მხოლოდ გამოუვალ სიტუაციაში შეგვეძლო, მაგრამ ქალაქში ყველა სატელეფონო ჯიხური მწყობრიდან იყო გამოსული. იძულებული გავხდით, მონასტერში შევსულიყავით.*

მონასტერში დებმა 2 კვირა დაყვეს. ამ დროსთვის მათ ახალი კონტრაბანდისტები მოუძებნეს, ახალი ლეგენდები შექმნეს და ახალი საბუთებით მოამარაგეს. დებს ისევ გლეხური სამოსი ჩააცვეს და იმავე სოფელში წაიყვანეს, მაგრამ როდესაც საზღვარს მიუახლოვდნენ, აღმოჩნდა, რომ იქ საშინელი სროლა იყო. გოგონები ისევ თეირანში დაბრუნდნენ. ამჯერად, ისინი ცარიელ სახლში შეასახლეს, სადაც ანჩოუსი და ლუდი დახვდათ და გარკვეული დროის განმავლობაში მხოლოდ ამით იკვებებოდნენ. სასმლის სიუხვის გამო, 2 კვირა სარდაფში, სიცილ-ხარხარში გაატარეს, ხოლო როდესაც ლუდი დამთავრდა და გოგონები გამოფხიზლდნენ, მიხვდნენ, დასაკარგავი არაფერი ჰქონდათ და ისევ გაქცევა სცადეს.

*— 2 კონტრაბანდისტი, ბავშვიანი ქალი და ჩვენ... ისევ საზღვართან მიგვიყვანეს, მაგრამ მოკავშირე შეხვედრაზე არ მოვიდა. მიუხედავად ამისა, თურქეთში გადასვლა მაინც ვცადეთ. ეს თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. იმედი გადაგვეწურა. სოფელს მივუახლოვდით და*




*მანქანა იქ მივატოვეთ. კონტრაბანდისტმა ტრაქტორი იშოვა, რომლითაც შემდეგ სოფელში გადავედით. იქ კი უკვე „ჩვენი“ ქურთები გველოდნენ. შესაძლოა, სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ როდესაც ეს წვერგაუპარსავი, ჭუჭყიანი, კბილებამდე შეიარაღებული მკვლელები დავინახე, შვებით მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე და თავი დაცულად ვიგრძენი. თურქეთში, საფრანგეთის საელჩოში, პარიზის ბილეთები მოგვცეს. უცნაურად მეჩვენებოდა, რომ ცხენით, მთებზე, ავტომატით შეიარაღებულ კაცებთან ერთად კი არა, თვითმფრინავით, კომფორტულად უნდა გვემგზავრა და მშობლებთან ჩავსულიყავით.*

შვილების დანახვისას მამამ გონი დაკარგა და კიდევ ერთი ინფარქტი მიიღო. მთელი 2 წლის განმავლობაში მშობლებს იმის გაფიქრებისაც კი ეშინოდათ, თუ რა შეიძლებოდა, მათ შვილებს დამართვოდა. სურურმა მშობლებისგან შეიტყო, რომ მის ქმარს 15 წლით პატიმრობა მიუსაჯეს და მის დასაპატიმრებლადაც მისულან, მაგრამ რატომღაც ბინის კონფისკაცია არ გააკეთეს.

პარიზში გოგონებს არც სწავლაზე უფიქრიათ და არც მუშაობაზე, რადგან ფიქრობდნენ, რომ მშობლებთან სულ რაღაც ნახევარი წლის განმავლობაში დარჩებოდნენ.

*— შემდეგ შევიტყვე, რომ საფრანგეთში მცხოვრები რუსი ემიგრანტები, რომლებიც სამშობლოდან 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამო გადმოიხვეწნენ, დღემდე სასტუმროებში, „ჩემოდნებზე“ ცხოვრობდნენ იმ იმედით, რომ შინ მალე დაბრუნდებოდნენ და მივხვდი — მიუხედავად იმისა, რომ მე და ჩემს დას საფრანგეთში დიდხანს გაჩერება არ გვინდოდა, აქ ცხოვრება კარგა ხანს მოგვიწევდა. ამის გამო დეპრესია დამეწყო და რატომღაც დოსტოევსკის კითხვას შევუდექი. მომეჩვენა, რომ დოსტოევსკის გმირი ძალიან ჰგავდა იმ ადამიანებს, ვისაც მე ვიცნობდი და სურვილი გამიჩნდა, რუსული შემესწავლა. იმ გმირის ორეულივით, საკუთარ თავს ველაპარაკებოდი, არ ვიცოდი, სად წავსულიყავი. მივატოვე ქმარი, რომელმაც სიცოცხლე შემინარჩუნა და მის წინაშე თავს ვალდებულად არ მივიჩნევდი. მაშინ მივხვდი, რომ ენა, რომელზეც დოსტოევსკი წერდა, ჩემი ენა იყო. სპარსული — ჩემთვის არშემდგარი რევოლუციის ენა იყო, ფრანგული — ჩემი ილუზიების. ორივე*

ენამ „მიღალატა“ და მე მესამე მჭირდებოდა.

სურურმა საკუთარ თავს პირობა მისცა, რომ თეირანზე აღარ იფიქრებდა. აღმოსავლური ენების ინსტიტუტში ჩააბარა და დღეში 12 საათს რუსულის სწავლას ანდომებდა. საღამოობით კი თეატრში, ბილეთების გამყიდველად მუშაობდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ერთ-ერთმა ლექტორმა სურურს შესთავაზა, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში საბუთები შეეტანა და მოსკოვში სწავლის გასაგრძელებლად სტიპენდია მოეთხოვა. სურურმა გამოცდა ხუთიანზე ჩააბარა.

— *ყველა მეუბნებოდა, რომ იქ „რკინის ფარდა“ იყო და წასვლა გადამეფიქრებინა, მაგრამ მე სწორედ ის მაინტერესებდა, რა იყო იმ „რკინის ფარდის“ მიღმა.*

მოსკოვი, 1988 წელი. პუშკინის სახელობის რუსული ენის ინსტიტუტის შენობაში არავინ იყო. საგუშაგოსთან მხოლოდ რადიო ხრიალებდა. სურურმა შენობას შემოუარა. მის უკან დიდი რიგი შენიშნა და დაინტერესდა, რა ხდებოდა. სატვირთო მანქანიდან საზამთროს ყიდდნენ. გოგონა მიხვდა, როგორი ცხოვრება იყო მოსკოვში. მეცადინობებზე სურური მოწყენილი იჯდა, რადგან მან რუსული ენა უკვე სრულყოფილად იცოდა და ახალს ვეღარაფერს იგებდა.

— *უფრო ის მაინტერესებდა, რა ხდებოდა ქუჩაში. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვოზნესენსკის საღამოებსა და დემონსტრაციებზე დავდიოდი. მოსკოვში რევოლუცია არ იყო, მაგრამ რაღაც გარდაქმნები მიმდინარეობდა. ეს გორბაჩოვის პერიოდი იყო და სტალინზე ძალზე ბევრს ლაპარაკობდნენ. ბევრი არაფერი გამეგებოდა, მაგრამ ყველაფერს ყურადღებით ვუსმენდი.*

იმ დროს მოსკოვში ცოტა გასართობი იყო და დასავლეთის ქვეყნებიდან ჩამოსული სტუდენტები საელჩოში, შეხვედრებზე დადიოდნენ. ერთხელ იტალიის საელჩომ საღამო მოაწყო, მაგრამ სურურს წასასვლელად არ ეცალა. ის ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტას“ კითხულობდა და მთლიანად ნაწარმოებში იყო ჩაფლული.

— *ჩემმა იტალიელმა მეგობარმა გოგონამ პასპორტი მთხოვა და მივეცი. ნახევარი საათის შემდეგ, ატირებული დაბრუნდა; მითხრა, — თურმე ჩემი პასპორტი დაუკარგავს. ადგილობრივმა უშიშროების თანამშრომელმა მითხრა, რომ პასპორტის გარეშე „არ ვარსებობ“. ახალი პასპორტის მისაღებად პარიზში მოთხოვნა გავგზავნე, მაგრამ სიებში ვერ მიპოვეს.*

ამის შემდეგ, უშიშროების თანამშრომელმა სურურს შინიდან გამოსვლა აუკრძალა, რის გამოც მას საერთო საცხოვრებლიდან გაპარვა სარდაფიდან უხდებოდა ხოლმე. შემდეგ გაიცნო სერგო, რომელმაც აუხსნა, რომ საბჭოთა კავშირში ყველაფრის ყიდვა შესაძლებელია და სურურმა საერთო საცხოვრებლის ყველა კარის გასაღები იყიდა.



— *სერგოს ძალზე სასაცილო სიტუაციაში შევხვდი. მეგობრებმა ცირკში დამპატიჟეს. საერთო საცხოვრებლიდან რომ გამოვედი, თავსხმა წვიმაში მოვყევი და მთლიანად დავსველდი. მეგობრები გავაფრთხილე, რომ აღარ დამლოდებოდნენ. ვიდრე ცირკთან მივიდოდი, სპილოების ნახვის სურვილი დამეკარგა და საერთო ნაცნობთან, რომელმაც ცირკში წასვლა ჩემსავით გადაიფიქრა, სტუმრად შევიარე. ვიდრე ჩაის მოდულებას მოასწრებდა, კარზე ზარის ხმა გაისმა. გავაღე და კართან ულამაზესი მამაკაცი დამხვდა. ქერა და ცისფერთვალება რუსი კი არა, კართან თითქოს ნამდვილი ირანელი იდგა! ქართველი აღმოჩნდა! იდგა და წვიმის წვეთები ჩამოსდიოდა და კართან წყლის გუბე დააყენა. უზარმაზარი, არწივისებური ცხვირი ჰქონდა და წვიმის წვეთები იქიდანაც კი წვეთავდნენ. „ბიჭები შინ არიან?“ მკითხა. „არა, ცირკში არიან, მაგრამ შემობრძანდით, გათბით და ჩაი მიირთვით“. „ამ წვიმაში რა დროს ცირკია?“ — თქვა მან და თავისი იუმორის გრძნობით მომხიბლა.*

სერგო ბოსტნეულის ბაზის დირექტორი აღმოჩნდა. რუსებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ ფული მუდამ, გამოულევლად ჰქონდა. რაც ყველაზე მთავარი იყო, სერგო მისი პიროვნებით დაინტერესდა. რუსები კი მას „პარიჟანკას“ ეძახდნენ და მხოლოდ იმას ეკითხებოდნენ, რა ღირდა ყავა მონმარტრზე.

— *სერგოს აინტერესებდა, როგორ და რატომ გამოვიქეცი ირანიდან, რით ვიმგზავრე, რა მეცვა და თავს რით ვირჩენდი. ეს ძალიან მომწონდა.*

რამდენიმე დღის შემდეგ, მეგობარმა (ვის სახლშიც სერგო გაიცნო) დაურეკა და სერგოსგან მოკითხვა გადასცა.

— *რომელი სერგოსგან? — ვკითხე მე.*

— *ცირკი და წვიმა დაგავიწყდა? სხვათა შორის, უცოლოა.*

— *სხვათა შორის, მე გათხოვილი ვარ! — უკმაყოფილო ხმით ვუპასუხე.*

სურურს არ შეეძლო ციხეში მყოფი ქმრის მიტოვება. როდესაც 8 წლის შემდეგ, აბასი ციხიდან გამოვიდა, განქორწინება მხოლოდ ამის შემდეგ სთხოვა. „ძალიან მიყვარხარ, მაგრამ არ-ჩევანის საშუალებას გიტოვებ“, — მოსწერა ქმარმა. შემდეგ წერილში სურურმა ქმარს სერგოს შესახებ მისწერა, რის შემდეგაც ისიც გამოუტყდა, რომ საყვარელი ქალი მასაც ჰყავდა.

სუსური და აბასი ერთმანეთს დაშორდნენ.

1989 წელს სურური პარიზში დაბრუნდა, სერგო კი მოსკოვში დარჩა. სურური ძველ სამსახურს, თეატრს დაუბრუნდა და თარჯიმნად დაიწყო მუშაობა. 1990 წელს თეატრმა ტურნე მოაწყო და სურურმა საბჭოთა კავშირში

იმოგზაურა. ამ დროის განმავლობაში მოსკოვში რამდენჯერმე მოუწია ჩასვლამ. ყოველ ჯერზე სერგო აეროპორტში ვარდების თაიგულით ხვდებოდა.

*— შენ ჩემი პირველი და ნამდვილი სიყვარული ხარ, — მეუბნებოდა ის, — შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ და დაგელოდები (სერგო სურურზე 7 წლით უფროსი გახლდათ).*

როდესაც სურური პარიზში დაბრუნდა, მიხვდა, რომ მის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო.

*— დავურეკე და ვკითხე, ჰქონდა თუ არა კარგი კოსტიუმი. „კი, მაგრამ რისთვის მჭირდება?“ — მკითხა. ვუპასუხე, რომ მას პარიზში ჩამოსასვლელად მიწვევას გავუგზავნიდი, რათა მერიაში მივსულიყავით და ჩვენი თანაცხოვრება კანონის ფარგლებში მოგვექცია. ვერც ერთი ფრანგი და ვერც ერთი ირანელი ჩემს ნათქვამს სწორად ვერ გაიგებდა.*

სერგო საფრანგეთში ჩავიდა, მაგრამ მერიამდე მაინც ვერ მიაღწიეს. სერგოს ყველაფერი უკვირდა და ვერაფერს ხვდებოდა; ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ეცხოვრა და ემუშავა ამ ქალაქში. ის ისევ მოსკოვში გაემგზავრა, მაგრამ 2 თვის შემდეგ უკან დაბრუნდა.

საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, ქორწინების რეგისტრაციამდე, წყვილმა შეთავსებაზე სისხლის ანალიზი უნდა ჩააბაროს. ანლიზისთვის კი აუცილებლად მშივრები უნდა მივიდნენ. ხოლო სერგო და სურური გაღვიძებისთანავე საუზმობდნენ და ანალიზის ჩაბარებას მეორე დღისთვის გადადებდნენ ხოლმე. ასე რომ, ხელის მოწერა მხოლოდ თვენახევრის შემდეგ მოახერხეს, რის შემდეგაც სერგო მოსკოვში გაემგზავრა, თავისი საქმეების მოსაგვარებლად. რამდენიმე ხნის შემდეგ, სურურმა დაურეკა და აცნობა, რომ ფეხმძიმედ იყო. სერგო პარიზში მესამე დღესვე ჩავიდა.

ახლა მათი ვაჟი უკვე 16 წლისაა, ხოლო პარიზის ლათინურ კვარტალში გახსნილი, პრესტიჟული რესტორანი — „ფიროსმანი“ — 12-ის.

2003 წელს, თეირანის ხელისუფლებამ რევოლუციის წლებში გადახვეწილ მოქალაქეებს დაბრუნების საშუალება მისცა. 2004 წელს სურური თეირანში ჩავიდა.

*— ქვეყანა შეცვლილი იყო, ქალებს ღია ფერის ტანისამოსი ეცვათ. ბავშვებს კი უცხოელი ვეგონე და როდესაც სპარსულად ველაპარაკებოდი, შეშინებული მიყურებდნენ. მე ირანელი ვიყავი და ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ირანში ჩასვლა იმისთვის მჭირდებოდა, რათა მეგრძნო — იქ, ჩემს სამშობლოში უცხო ადამიანი ვიყავი.*

სურურს მიაჩნია, რომ ირანი მისი სამშობლო არ არის. ის პარიზში ცხოვრობს — იქ, სადაც მისი მეუღლე და შვილი ცხოვრობენ, და წიგნებს წერს. უკვე გამოიცა მისი 2 რომანი — „შუშის სასაფლაო“ და „არწივების ველი“. ის ხან სპარსულად, ხანაც ფრანგულად წერს, მაგრამ რომელ ენაზეც უნდა წერდეს, მეორე ენაზე აუცილებლად თავადვე თარგმნის. რუსულად კი ქართული აქცენტით ლაპარაკობს. ●

## ადამიანს შეუძლია დაესრულებლად უყურის...









# მაგდას ლაკრიმული თაყვანისცემლები ისევ გაეთრიენენ

## აქვერიად გოგონამ თავიანთი ჩრდილი დაიყარეს თავს

„ეი. არც ერთი ქალი სანდო არაა. საკმარისია, ცოტა ხნით თვალი მოარიდო და მაშინვე სხვისკენ იყურება. წინა კვირაში ვერ გამოვგზავნე მესიჯი, არც აპასნის გამოუგზავნია და ბურთი და მოედანი გინეკოლოგს დარჩა, არა? ასე არ გამოვა, სიკალულებოოოო! მაგდა, განაგრძე შენი ამბავი, თორემ ისეთ ამბავს ავტეხ, რომ მეორე მსოფლიო ომი მონაგონი იქნება. რედაქციასთან მივალ და მარის „დავუპადიეზდებ". ველი შენს თავგადასავალს. კაროლი".

**— ამ კვირაში დასჯილი ხარ, ძვირფასო კაროლ და არაფერსაც არ მოგიყვები. გასაგებია? ნუ თავხედობ და შემდეგ კვირაში ბოდიში მოიხადე, თორემ დაგაიგნორებ და მერე ნახავ.**

„ეს კვირა სასიამოვნოდ დასრულდა. მე და შენ... შენ და მე და არავითარი აპასნი და კაროლი... ახლა კი ამბის გაგრძელება: სანიტარი ვერაფრის თქმას ვერ ახერხებდა, მხოლოდ მიშველეთო, გაიძახოდა და ხელით ფანჯრისკენ გვანიშნებდა. გოგონა ფანჯრიდან გადავარდნილა და თავი მოუკლავს. საშინელი სურათი იყო. გოგონას ღამით შვილის ცხედარი მოუპარავს, გულში ჩაუკრავს და ფანჯრიდან ისე გადამხტარა. მეორე დღესვე განცხადება დავწერე სამსახურიდან წასვლაზე და იმის შემდეგ დავიფიცე, რომ ჩემი პროფესიით არასოდეს ვიმუშავებდი.

კარგად, მაგდა, იმედია, შენი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილე. რას იტყვი, ხომ არ მოვიდა დრო, რომ ერთმანეთს შევხვდეთ? გინეკოლოგი".

**— შეხვედრაზე დავფიქრდები და მომავალ კვირაში პასუხს გეტყვი. მანამდე კი ისიც მითხარი, დედას შვილი რომ აპოვნინე და მიტოვებული ბავშვიც რომ იშვილა, მათი ამბავი როგორ დასრულდა? გკოცნი, მაგდა.**

„რაო, დარჩით მარტო, გვრიტებო და თავს გაგივიდათ, არა? „გზის" წინა ნომერი რომ წავიკითხე, ლამის ელდა მეცა. მარის რომ ჰკითხო, არ დავამესიჯეარადა, უზარმაზარი მესიჯი გამოვგზავნე და თანაც, შიგ ისეთი რამეები ჩავწერე, მაგდას რომ წაეკითხა, ნამდვილად შევუყვარდებოდი (*აპასნის მესიჯი ოთხშაბათს, ღამით მივიღე და ხუთშაბათის ნომერში ვერაფრით მოხვდებოდა — ავტ.*).აშკარად მარიც გინეკოლოგის მხარესაა. მარი, იქნებ შენც შეგიყვარდა ეგ კაცი, ჰა? მიდი, იქნებ მაგდას დააწერო და მეც გავიხარებ და კაროლიც. მაგდა, რამდენჯერ გითხარი, არ გამაბრაზო-მეთქი? არ გესმის, არა? O.K. ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს. აპასნი".

**— უკვე მომბეზრდა შენი მუქარა, შეგიძლია, აღარ მომწერო. გულს ნუ მიწყალებ, კარგი? მარად შენი უარმყოფელი მაგდუნია.**

# პროტოლეა

**უამრავმა მკითხველმა სცადა გამოეცნო, რა სიახლე მოხდა ანას ცხოვრებაში.**

**„ანა ალენას გაჰყვა ცოლად?“**

**„მარი, ალბათ ანა გათხოვდა, არა? გამიხარდება, თუ ალენას გაჰყვება. კარგი ტიპია. ბედნიერებას ვუსურვებ“.**

**„მარ, არ თქვა, რომ გაბოს მიჰყვება ცოლად. ამას ვერ ავიტან. ანა კარგი გოგოა, გაბო კი ნამდვილი სულელი. თუმცა, იმ კაცს რას ვერჩი? ცუდი არაფერი გაუკეთებია. ანა აწვალებს და ხან რა „შტუკას“ უკეთებს, ხან — რას. იმას კი ალბათ უყვარს, ყველაფერს რომ აპატიებს. თუმცა, მე მაინც ალენას მხარეს ვარ“.**

**„აუ, მარი, ახლა ვკითხულობ „რეალურს“ და... ალენა ანუ როგორც ანას უთხრა, ნიკოლოზ გიგაური, მგონი, ჩემი ბიძაა. მეც გიგაური ვარ და ბიძას ნიკო ჰქვია. აუ, ახლა იცი, როგორ ვარ? ალენა ის მეგონებოდა, მაგრამ ნიკოს ცოლ-შვილი ჰყავს, თან 30 წლისაა. ისე, სახელმწიფო სამსახურში კი მუშაობს, უშიშროებაში. აღარ ვიცი, რა ვიფიქრო. მაფიოზა“.**

***ახლა კი ამბის თხრობას იმ მომენტიდან განვაგრძობთ, როდესაც ალენამ ანა და სალომე ნაყინის ტორტზე დაპატიჟა.***

*დასაწყისი — „გზა“, №11-30*

## მარი ჯაფარიძე

სიმართლე რომ ვთქვა, სულაც არ მინდოდა, სალომეს ალენა ენახა. მგონი, საამისოდ ჯერ მზად არ ვიყავი, მაგრამ რაც იქნება, იქნება-მეთქი, გავიფიქრე და ალენას მოსვლამდე სალომეს სკოლის ამბები გამოვკითხე.

— კლასში 2 ხუთოსანი ვართ, მე და გოგა, მაგრამ გოგა არ მომწონს, „ჩამშვები“ ბავშვია. მასწავლებელი მისი დედის დაქალია და ყველაფერს უყვება ხოლმე, რაც კლასში ხდება. ყველაზე კარგი ბიჭი ლაშაა. მართალია, ოთხოსანია, მაგრამ სამაგიეროდ, ძალიან ვაჟკაცურია. გოგონებს თუ რამე გვიჭირს, მას ვეუბნებით ხოლმე. იცი, რა უშიშარია?! თან, ძალიან ზრდილობიანი. მწვანე, წყლიანი თვალები აქვს და ისეთი გამოხედვა, რომ თუ შემოგხედა, შეიძლება კიბის საფეხურს ფეხი წამოჰკრა და ძირს დაებერტყო, — გატაცებით ჰყვებოდა ლაშაზე ჩემი გოგონა და უეცრად, მივხვდი, რომ მას ლაშა უზომოდ მოსწონდა და შესაძლოა, თავისი პატარა გულით უყვარდა კიდეც.

— სალო, ლაშას შენ ხომ არ უყვარხარ? — კითხვის პირდაპირ დასმას თავი ავარიდე და გვერდიდან შემოვუარე.

— რატომ მეკითხები? — უხერხულად შეიშმუშნა და გაწითლდა.

— იმიტომ, რომ ისეთ კარგ ბიჭს, როგორიც ლაშაა, შეუძლებელია, სხვა უყვარდეს და არა — შენ.

— მგონი, ვუყვარვარ, — კარგა ხნის დუმილის შემდეგ მითხრა სალომ, — კლასელები მეუბნებიან, ისეთი თვალებით გიყურებს, ნამდვილად უყვარხარო.

— მგონი, შენც გიყვარს, არა?

ბავშვმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა, მე კი ეჭვმა გამკრა. ჩემი გოგონა უკვე დიდია, მაგრამ სხვისთვის არ მემეტება. თუმცა, ალბათ არც ისე შორსაა ის დრო, როცა ერთ მშვენიერ დღეს გამომიცხადებს, რომ თხოვდება.

— გოგონებო, მოვედი, — ალენამ მინაზე მოაკაკუნა (შუშები აწეული იყო, რადგან კონდიციონერი გვქონდა ჩართული).

სალომე პირველი გადავიდა მანქანიდან და ალენასკენ წავიდა. მე ინტერესით ვუყურებდი მათ შეხვედრას. ალენამ პატარა ქალბატონივით სალომეს ხელზე აკოცა და გაეცნო.

— მე ანას თანამშრომელი ვარ, მისი ხელქვეითი და მონა-მორჩილი, — თავი დაუკრა ბავშვს.

— მე კი ანას შვილი ვარ, — რაღაცნაირად, ამაყად თქვა სალომ.

ამასობაში მეც მათთან მივედი.

— აბა, რომელი ტორტი ვჭამოთ? — ვიტრინასთან გაჩერებულ ალენას და სალომეს მაგიდასთან მჯდარი ვადევნებდი თვალყურს. ბავშვმა ჩემკენ გამოიხედა, თითქოს რჩევას მთხოვდა. მე გამამხნევებლად გავუღიმე. როგორც იქნა, ტორტი ამოარჩიეს და მაგიდასთან დასხდნენ.

2 საათი ვისხედით კაფეში, მაგრამ მთელი ამ დროის მანძილზე აბსოლუტურ „იგნორში“ ვიყავი. ალენა და სალომე ისე კარგად უგებდნენ ერთმანეთს, რომ მათ საუბარში არ ჩავერიე.

— მაგარი ტიპია, დე, თანაც — სიმპათიური, — მითხრა სალომემ, როგორც კი მარტო დავრჩით.

— ე.ი. მოგეწონა?

— კი, მომეწონა, უშუალო ადამიანია, ხალისიანი. შვილები ჰყავს?

— არა, შვილები არ ჰყავს, ცოლიც არასოდეს ჰყოლია.

— აბა, ბავშვებთან ურთიერთობა ასე კარგად როგორ გამოსდის?

— ალბათ ნიჭი აქვს, — გამეცინა სალომეს ნათქვამზე.

ბავშვი სახლთან ჩამოვსვი და ვინაიდან ჯერ ადრე იყო, სამსახურში წავედი.

ალენა უკვე მისულიყო. როგორც ჩანს, ჩემს გამოჩენას მოუთმენლად ელოდა, რადგან კაბინეტში შევედი თუ არა, მაშინვე ფეხდაფეხ მომყვა.

— რა თქვა?

— ვინ? — ვითომ ვერ მივხვდი, რა აინტერესებდა.

— გოგონამ.

— არაფერი, რა უნდა ეთქვა? კარგი ბაბუაა, მხოლოდ ეს მითხრა.

ალენამ ცხვირი აიბზუა. მიხვ-

და, რომ ვხუმრობდი.

— მე კი ძალიან მომეწონა შენი გოგონა, გონიერი ბავშვია. საღამოს სადმე წავიდეთ, კარგი? — თემა შეცვალა.

— ახლა არ ვიყავით „სადმე"?

— მე და შენ წავიდეთ, კიდევ ერთხელ.

— კარგი, ახლა მუშაობა მაცალე და იმ ჩვენი თანამშრომლის საქმე შემომიტანე, ქურდობისთვის რომ დაიჭირეს და სამსახურიდან დაითხოვეს.

— კარგი, ქალბატონო ანა. ეგ პროცესი ზეგაა დანიშნული და თქვენ ინებებთ პროცესზე წაბრძანებას თუ მე გამიშვებთ?

— ვნახოთ, თუ კარგად მოიქცევი, გაგიშვებ.

ალენა გავიდა და რამდენიმე წუთის შემდეგ უკან შემობრუნდა. ხელში ფოლდერი ეჭირა.

უხმოდ გამოვართვი საქმე, გადავშალე და ჩავუღრმავდი.

საქმე ჩვენს 29 წლის თანამშრომელს ეხება, რომელიც სამსახურიდან იმის გამო დაითხოვეს, რომ კომპიუტერის მოპარვა ჰბრალდებოდა. ქურდობის გამო საქმე აღიძრა და როდესაც პოლიციელები მოვიდნენ და ჩხრეკა ჩაატარეს, მისი მაგიდის ერთ-ერთ უჯრაში ნარკოტიკი აღმოაჩინეს. მანამდე, არავის შეუმჩნევია, რომ ეს ახალგაზრდა მამაკაცი ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ ყოფილიყო. ახლა კი მას ბრალი ქურდობასა და ნარკოტიკების შენახვაში ედებოდა. ეჭვმიტანილი ყველაფერს კატეგორიულად უარყოფდა და თავს დამნაშავედ არ ცნობდა. ჩვენ პროცესში, როგორც დაზარალებული მხარე, ისე ვმონაწილეობდით.

საღამომდე საქმის გაცნობას მოვუნდი. კარის ხმაზე თავი რომ ავწიე, ალენას გაოცებულ თვალებს წავაწყდი.

— ამდენი ხანი მაგ საქმეს კითხულობდი?

— კი, რატომღაც ინტუიცია მკარნახობს, რომ ეს ბიჭი მართალია და სამსახურიდანაც ტყუილად გაათავისუფლეს.

— წავიდეთ, რა, სადმე, ქალაქგარეთ გავიდეთ, დაანებე მაგის კითხვას თავი.

— წავიდეთ, მაგრამ მანამდე ერთ ადგილზე შევიაროთ, — ვუთხარი და წამოვდექი. რაღაცნაირად, დამძიმებული ვიყავი, — ჩემი მანქანით წავიდეთ?

— არა, დატოვე შენი მანქანა და ჩემით წავიდეთ.

ალენას მისამართი ვუკარნახე, სადაც შევლას ვაპირებდი და მის გვერდით მოვკალათდი.

— ნაცნობი მისამართია, ვისთან მივდივართ? — გაუკვირდა.

— ეს იმ ბიჭის ოჯახია, ზეგ პროცესი რომ აქვს.

— აა, ირემაშვილთან მივდივართ? იქ რა გვინდა?

— ოჯახი უნდა მოვინახულო, მაინტერესებს, რა სიტუაციაა.

რამდენიმე წუთში ავლაბარში, კერძო დასახლებაში მივედით. ეჭვმიტანილის ცოლ-შვილი — ახალგაზრდა, სიმპათიური გოგონა და 5 თვის ჩვილი, დაბალჭერიან, 2-ოთახიან ბინაში, ღარიბულად ცხოვრობდნენ. ოთახში 2 სხვადასხვანაირი საწოლი იდგა და ორივეზე სხვადასხვა ფერის პლედი იყო გადაფარებული. სამზარეულო და მისაღები ერთ ოთახში იყო, ტუალეტი — ეზოში.

გოგონას დაველაპარაკე. ტირილით მიამბობდა, როგორ გაჭირვებით ცხოვრობდნენ. ცოლიც და ქმარიც ბავშვთა სახლში ყოფილან გაზრდილი და ერთმანეთი იქ გაუცნიათ. როცა დაქორწინებულან, ბავშვთა სახლის დირექტორს ერთ-ერთ ცნობილ, მდიდარ ადამიანთან წერილი გაუგზავნია და დახმარება უთხოვია. ეს ბინა და მამაკაცის სამსახური სწორედ მისი დამსახურება ყოფილა. ახლა კი ყველაფერი თავზე დაემხოთ და ისედაც გაჭირვებულ ოჯახს ქვა აღმართში მიეწია.

იქიდან წამოსულები, მე და ალენა კარგა ხანს ვდუმდით.

— პროცესზე შენ წახვალ, — ვუთხარი ალენას.

— ზევიდან ბრძანება გვაქვს, რომ ეს პროცესი უნდა მოვიგოთ.

— რატომ? რატომაა დაინტერესებული ჩვენი შეფი, რომ ეს ბიჭი გისოსებს მიღმა აღმოჩნდეს? ამის მიზეზი ის მდიდარი ადამიანი ხომ არ არის, ვისი რეკომენდაციითაც სამსახურში მოაწყვეს?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა ალენამ.

— ჰოდა, პროცესზე წახვალ და ეცდები, ეს საქმე ისე გადაწყვიტო, როგორც შენ მიიჩნევ საჭიროდ.

— მე რომ მკითხო...

— ამ საკითხზე შენი აზრი ახლა არ მაინტერესებს. შედეგს დაველოდები და მაშინ მივხვდები, შენ რომ გკითხო, რას იტყვი.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა და სიჩქარეს მოუმატა.

ცოტა სევდიანი საღამო გამოგვივიდა. ალბათ მოსმენილმა და ნანახმა თავისი კვალი დატოვა. უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის ისეთი ჟინი გამიჩნდა, ლამის ოპოზიციური პარტიის ჩამოყალიბების გადაწყვეტილება მივიღე.

ამის შესახებ ალენას რომ ვუთხარი, გაეცინა.

— ეჰ, პარტიას რომ ჩამოაყალიბებ, შენც ისევე იაზროვნებ, როგორც დანარჩენები. მათზე უკეთესი არაფრით იქნები.

— ასე ფიქრობ?

— დიახ.

— ახლა გვიანი რომ არ იყოს და არჩევნებამდე იმდენი დრო მქონდეს დარჩენილი, პარტიის ჩამოყალიბებას და არჩევნებში მონაწილეობას ვასწრებდე, მერე გაჩვენებდი, როგორ გავფუჭდებოდი, — გულმოსულმა ვთქვი და ალენას მხიარული სიცილი გამოვიწვიე.

— რა დროს პოლიტიკაა, ჩვენი ცხოვრება გვაქვს ასაწყობი, — შემახსენა გუშინდელი წინადადება ალენამ, — ჯვარი როდის დავიწეროთ?

— ვინ გითხრა, რომ შენს ცოლობაზე თანხმობას ვაცხადებ? ჯერ ადრეა ილუზიების შექმნა. არაფერი გადამიწყვეტია და ახლო მომავალში ჩემი ცხოვრების შეცვლას არ ვაპირებ.

— კარგი, ბატონო, მოვიცდი, მაგრამ ერთი პირობით: ახლა ჯერ სიყვარულის სადღეგრძელო შევსვათ, მერე კი სერიოზულად დავილაპარაკოთ იმ თემაზე, რასაც შენი და შენი ყოფილი ქმრის ერთად ცხოვრება ჰქვია.

— და რა არ მოგწონს?

— გამომივიდა ესეც ცივილიზებული ქალი! ასეთი არაფერი მინახავს. ცალკე ბინა გაქვს და ყოფილ ქმართან ერთად ცხოვრობ. ეს არ მომწონს, რადგან ვეჭვიანობ.

— კარგი, რა, რას გადაეკიდე ამ ჩემს ყოფილ ქმარს? თანაც, ვახსენეთ და ისიც აგერ მოდის. ეტყობა, გულმა უგრძნო, მასზე რომ ვაპირებდით ლაპარაკს.

მახო ნელი ნაბიჯით გვიახლოვდებოდა და სახეზე ირონიული ღიმილი დასთამაშებდა.

— დღეს მთელი შენი ოჯახი ერთად გავიცანი, არა? — ხმადაბლა ჩაიბურტყუნა ჩემმა კავალერმა.

— არა, მზიას გაცნობა ვერ მოასწარი, — ვუპასუხე და მახოს შესაგებებლად წამოვდექი.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ჩემი ქმარი „რამჩია"

გამარჯობა, მარი. ამოვიდა ყელში ამდენი ლაპარაკი ღალატსა და ქმრის საყვარლებზე. ნეტავ, ჩემს ქმარსაც ქალებში ევლო ან ყოფილ შეყვარებულს შეხვედროდა. თქვენს ერთ-ერთ რუბრიკაში ის ცოლები იძლევიან ინტერვიუებს — ქმრების საყვარლებითა და ყოფილი შეყვარებულებით რომ იხიბლებიან, ლამის ფეხქვეშ ეგებიან და მათით აღფრთოვანებულნი ქმრებს ყველაფერს აპატიებენ. ჩემი ქმარიც რომ „კაცივით" მოქცეულიყო და საყვარლებში ევლო, ალბათ არნახულ ეჭვიანობის სცენებს დავუდგამდი და სკანდალებს მოვუწყობდი, მაგრამ მორალურად უფრო კმაყოფილი ვიქნებოდი, ვიდრე რეალურად ვარ. ჩემი ოჯახიც დაინგრა, მაგრამ არა — ღალატის ნიადაგზე (თუმცა, ასე მერჩივნა).

ჩემს ამბავს თავიდან დავიწყებ: მთელი ბავშვობა პრინცზე ვოცნებობდი. თანაც, უბრალოდ პრინცზე კი არა, ძლიერ, ვაჟკაცურ და ლამაზ მამაკაცზე. რაც უფრო ვიზრდებოდი, ჩემს თვალში მით უფრო კნინდებოდნენ ჩემ გარშემო არსებული ე.წ. „პრინცები". შემდეგ, დიდი, ძლიერი და ნათელი სიყვარულით გავთხოვდი, მაგრამ არა — პრინცზე.

ქალ-ვაჟი შეგვეძინა. რაც დრო გადიოდა, სევდიანი ფიქრები უფრო ხშირად შემომაწვებოდა ხოლმე: რატომ ვართ ჩვენ, ქალები, ასე ძლიერები? დღისით ერთ სამსახურში მივდივარ, საღამოს — მეორეში, ღამით ინტერნეტში მესამე სამსახურის მოძებნას ვცდილობ; რეცხვა, უთოობა, სახლის დალაგება, კერძის მომზადება, კარგი გარეგნობა, საწოლში სასწაულების მოხდენა, მუდამ ღიმილიანი სახე, ორსულობა, გადაწყვეტილებების მიღება, ჩხუბი, წყენა, დღის ისე დაგეგმვა, რომ ყველაფერი მოასწრო, ბავშვების აცრის გრაფიკის ზეპირად ცოდნა, სკოლაში სირბილი, ბანკში კრედიტის თანხის დაფარვა, სანტექნიკოსის გამოძახება, ბაზარში წასვლა, მაღაზიაში პროდუქტის შეძენა, კარის კლიტის გამოცვლა, გამოძინებაზე ოცნება, არაადამიანურად, „სირბილით" ჭამა, შური მათ მიმართ, ვინც დღეში რამდენიმე საათს სილამაზის სალონში ატარებს, შვებულების დროს რომანტის კეთება, 2 წლის განმავლობაში, ფეხმძიმე პრაქტიკანტიდან განყოფილების უფროსად დაწინაურება და ეს ყველაფერი — ბავშვებთან ერთად; მე ხომ ეს ყოველივე მშვენივრად გამომდის. ჰოდა, ბოლოს და ბოლოს, მივხვდი, რომ საკუთარი თავით უნდა ვიამაყო.

ერთი სიტყვით, ერთ მშვენიერ საღამოსაც, ბავშვები რომ დავაძინე და ჭურჭელიც დავრეცხე, ტელევიზორი გამოვრთე და ქმარს გამოვუცხადე: დღეიდან ჩვენი ცხოვრება იცვლება! შენ სამსახურის მერე პირდაპირ სახლში მოხვალ და აღარ დაიგვიანებ. მე რომ დავბრუნდები, ბავშვები დანაყრებული და დაძინებული დამხვდება, მანამდე კი მათთან ერთად ითამაშებ და გაკვეთილებსაც მოამზადებინებ; ოჯახის საქმეებსაც შენ მიხედავ, ვახშამს დამახვედრებ. თუ ჩემს წინადადებას არ ეთანხმები, შეგიძლია, ჩემი სახლიდან წახვიდე და ეს დიდი დანაკლისი არ იქნება, რადგან ამ ოჯახში ფუნქცია ისედაც არ გაქვს-მეთქი.

რასაც ვფიქრობდი, ის ვუთხარი. მე, ასეთმა კარგმა და ყველაფრის მცოდნემ, რატომ უნდა მოვუარო „ნაცრისფერ" არსებას? სექსი? ლამაზი ქალისთვის სექსი პრობლემა არასოდეს არის. სიყვარული? სიყვარული აღარ არსებობს, რადგან არ შეიძლება ისეთი ადამიანის სიყვარული, ვისაც პატივს აღარ სცემ და ვისთანაც მხოლოდ საქორწილო რგოლი გაკავშირებს. ბავშვები? მსოფლიოში ოჯახების ნახევარზე მეტი ინგრევა, ბავშვები ერთ-ერთ მშობელთან ცხოვრობენ და თავს მშვენივრად გრძნობენ. შეჩვევა? უკვე 2 წელია, სიგარეტს აღარ ვეწევი და მისთვის თავის დანებება სულაც არ გამჭირვებია. ქმარსაც გადავეჩვევი. ერთი ეგ არის, რომ ჩვენს ღრმად პატრიარქალურ ქვეყანაში ქალს აუცილებლად უნდა ჰყავდეს ქმარი! დიახ, ქმარი და არა ზრდასრული ბიჭუნა, რომელსაც მარჯვენა ხელის არათითზე ოქროს რგოლი უკეთია და ოჯახურ ვალდებულებებს მხოლოდ მასზე დახედვის დროს იხსენებს.

შესაძლოა, არ დაიჯეროთ, მაგრამ მომეჩვენა, რომ როდესაც ჩემს ქმარს ულტიმატუმი წავუყენე, გაუხარდა კიდეც და ოჯახში თავის ახალ როლზე სიამოვნებით დამთანხმდა. მეორე დღეს შინ განგებ გვიან დავბრუნდი. თბილი ვახშამი და გაშლილი ლოგინი მელოდა. ბავშვებს ეძინათ, გაკვეთილები მომზადებული ჰქონდათ და სახლშიც წესრიგი სუფევდა. 1 თვის შემდეგ ქმარს გამოვუცხადე, რომ დროა, სამსახურისთვის თავი დაენებებინა, რადგან ყველა საქმეს ვერ ასწრებდა. თანაც, მისი 150-ლარიანი ხელფასი არაფერში მჭირდებოდა. დამიჯერა, სამსახურიდან წამოვიდა და მთელ დროს საოჯახო საქმეებსა და ბავშვებს ანდომებდა.

თავს მშვენივრად ვგრძნობდი და სამსახურში წასული, მშვიდად ვიყავი, რადგან ვიცოდი, რომ შინ ყველაფერი კარგად იქნებოდა.

ძლიერი ქალი და სუსტი მამაკაცი — საზოგადოების ახალი წყობაა? თუ სუსტ მამაკაცს ადგილს არ მიუჩენ და როგორც საჭიროა, ისე არ მოექცევი, ის აზარტულ თამაშებს, ალკოჰოლს, ნარკოტიკს მიეძალება და შესაძლოა, ციხეშიც მოხვდეს და ცხოვრება გაგიმწაროს. თუ ძლიერი ქალი თავის ძალაუფლებას არ გამოიყენებს და საჭირო პოზიციას არ დაიკავებს, ყველაფერი, რისი აშენებაც შეძლო, თავზე დაემხობა.

თავი დავანებოთ იარლიყებს — „სუსტი" და „ძლიერი". ოჯახ-

ის კეთილდღეობა დაკავებულ პოზიციებსა და ნათამაშებ როლებზე არ არის დამოკიდებული. ვინ თქვა, რომ ვინეგრეტი აუცილებლად ქალმა უნდა გააკეთოს? მართალია, მამაკაცს შვილის გაჩენა და გამოკვება ფიზიოლოგიურად არ ძალუძს, მაგრამ მათი აღზრდა ხომ შეუძლია?

„შენი ცოლი გატერორებს"; „შენს ცოლს მბრძანებლობა უყვარს"; „ვერ ხედავ, რომ „გაჩმორებს"?" „ნამდვილ ჩვრად გაქცია"... — ამას ჩემი დედამთილი და მაზლი, ჩემს ქმარს ყოველდღე ეუბნებოდნენ. „გონს მოდი, ვერ ხედავ, ცოლის მონად რომ იქეცი?! შენ მკურნალობა გჭირდება; ასეთი ნიჭიერი, სიმპათიური და ჭკვიანი ხარ, ის კი გთრგუნავს და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლინების საშუალებას არ გაძლევს", — ეს კი ჩემი „დიპლომირებული ფსიქოლოგი" (ასე თვითონ ამბობს) მულის სიტყვებია.

საინტერესოა, თქვენ რა იგრძენით, როდესაც ეს წაიკითხეთ?

ჩემი ქმარი „ჩმორია"? უნდა განრისხდეს და მე, თავხედ ქალს ჭკუა მასწავლოს? თუ, ამ თავხედმა ქალმა ქმარი უნდა მიატოვოს და შინამოსამსახურე აიყვანოს?

ადამიანებს ხომ ყველაფერი უცნაურად გვაქვს მოწყობილი და ხშირად, მოვლენების მიმდინარეობის ბუნებრიობა დარღვეულია: ქმარი ოჯახის ბურჯია, ცოლი — კერიის მსახური.

ვინ თქვა, რომ სწორედ ეს ფორმაა ბუნებრივი? ის, რაც 5 ათასი წლის წინ ბუნებრივი იყო, ახლა, XXI საუკუნეში შესაძლოა, ვეღარ „ქაჩავს". დრო მიდის, ყველაფერი იცვლება... ადამიანები კი ამას გამართლებასა და ახსნას უძებნიან: ცნება „სქესი" მთავარი სულაც აღარაა. მასკულინიზებული ქალებისა და ფემინიზებული მამაკაცებისთვის მეცნიერებმა ახალი ტერმინი შემოიღეს — „გენდერი" — სოციალური სქესი.

თანაბარი უფლებებისთვის ბრძოლამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ქალებმა მამაკაცის ფუნქციებიც შევითავსეთ, მაგრამ გენდერს ამასთან კავშირი არ აქვს. გენდერი ის გახლავთ, რასაც შენი სქესობრივი ნიშნების მიუხედავად წარმოადგენ, რასაც ცხოვრებაში მიაღწევ და არა ის (მაპატიეთ), ფეხზე მდგომი მოშარდავ თუ დამჯდარი.

ერთი სიტყვით, მე და ჩემი ქმარი გავშორდით. ცოტა ვიტირე, შვებულება ავიღე (პირველად!) და ბავშვებთან ერთად დასასვენებლად წავედი. როცა დავბრუნდი, სამსახურიდან წამოვედი (ყველა შოკში იყო) და ახალი ცხოვრება დავიწყე. საკუთარი საქმე წამოვიწყე და წარმატებასაც მივაღწიე. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემს ფირმაში საგადასახადოს წარმომადგენელი მოვიდა და... დარჩა.

1 თვის თანაცხოვრების შემდეგ თქვა: „ყველაფერი ისე იქნება, როგორც მე ვიტყვი!" კიდევ 1 თვის შემდეგ: „ყველაფერი მხოლოდ(!) ისე იქნება, როგორც მე ვიტყვი!" და სულ რამდენიმე დღის შემდეგ: „შენ მხოლოდ(!) ისე მოიქცევი, როგორც მე ვიტყვი!"

როგორც იქნა! გამოჩნდა ძლიერი, ვაჟკაცური, სიმპათიური, „თითქმის პრინცი"... ყველა პრობლემის მოგვარება თავის თავზე აიღო, ჩემს ცხოვრებაში ნანატრი დრო დადგა. ახლა შემიძლია, მოვეშვა და ცხოვრების დინებას მივყვე. თუმცა, ძნელია, იყო ძლიერი ქალი და ამავე დროს, საკუთარი ცხოვრების წარმართვა მთლიანად მამაკაცს მიანდო.

ხანდახან ვნანობ, რომ ჩემი ცხოვრება ძლიერ მამაკაცს დავუკავშირე, რადგან მენატრება ის დრო, როდესაც ჩემს ცხოვრებას თავად განვაგებდი და მენატრება ჩემი „ჩმორი" ქმარი, რომელიც ჩემს ბრძანებებს უსიტყვოდ ასრულებდა... მენატრება და რა ვქნა?

მოკლე ჩართვა

## რა ვითვლის ღა რა ერ ვითვლის ჩანართში

• მარი, „გზის" ჩანართში შენი „გზავნილები" უმაგრესია. ნამდვილი „მარგალიტებია". ყველა „გზიდან" „გზავნილები" ამოვიღე და დასტა-დასტა შევკერე. ისე მარ, არ გინდა, რომ დასაბამიდან დღემდე ყველა გზავნილი შეკრიბო და წიგნად გამოუშვა? იცი, რა მაგარი იქნება? მართლა გეუბნები, უსერიოზულესად. ავტორი იქნები შენ, თანაავტორები — სრულიად მგზავნელები. ელისო.

• არ მომწონს, რომ გზავნილს არ მიბეჭდავთ. მომწონს მარის ნებისმიერი თემა. ეკალი.

• „გზის" ჩანართში ისეთი თემებია, ბევრს რომ აინტერესებს — აი, ეს მომწონს. ძალიან გამიხარდა, როცა ჩემი მესიჯები ვნახე „გზაში". გაიხარე! სანი.

• ჩანართში ყველაფერი მომწონს, იმ სიახლის გარდა, „გზავნილები" სადღაც რომ გადაისროლეთ. PIAR GIRL.

• ჩანართი მაგარია, თუმცა, მეჩვენება, რომ ადრე უფრო ხალისიანი იყო. ტოპმოდელი.

• მარი, იცი, რა არ მომწონს? „მობილი-ზაციის" „გული" ჩვენთვის უფუნქციოა! 8884-ს ვგულისხმობ, მისვდი, ხომ? მარ-ათენი.

>>>16

# მთელი ცხოვრება თამაშია

## ანუ ბიზნესმენთა პოზიციური საზოგადოება

**მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე წელია, კომპიუტერთან და ინტერნეტთან მჭიდრო შეხება მაქვს, არასოდეს დავინტერესებულვარ თამაშებით. ეს ალბათ მოუცლელობის ან იმის ბრალია, რომ დიდი ხანია, ბავშვური თამაშების ასაკიდან გამოვედი და მთელი არსებით იმ „დიდურ" თამაშში ვარ ჩაფლული, რასაც რეალური ცხოვრება ჰქვია.**

მარი ჯაფარიძე

რამდენიმე დღის წინ, ჩემს კომპიუტერში ჩაწერილი თამაში უბრალო ინტერესის გამო ჩავრთე. მაინტერესებდა, რა ხდებოდა იქ ისეთი, რის გამოც ამდენი მოზარდი, მოზრდილი თუ ზრდასრული ადამიანი საათობით ვერ სწყდება ეკრანს.

დერეფანში ადამიანის ფიგურა გარბის, რომელიც სიყვარულით და მომეჩვენა, რომ ცოტა სენტიმენტალურადაც კია დახატული. თუ დააჭერ კლავიშს — up, ის ზევით ახტება, უკან გადაიზნიქება, ოდნავ შეყოვნდება და თავს ზემოთ რაღაცის დაჭერას შეეცდება. თუ დააჭერ down, ჩაჯდება და ფეხებთან დადებულ ნივთს აიღებს. თუ დააჭერ right, მარჯვნივ გაიქცევა, თუ left — მარცხნივ.

კომპიუტერულ კაცუნას პროგრამა ათასგვარ ხაფანგს უგებს, მიზანს უსახავს, ამოცანას აძლევს, რომელიც აუცილებლად უნდა ამოხსნას და მიზნის მისაღწევად გამოიყენოს. დახატული კაცუნა კი წინ მიიწევს, დაბრკოლებების გადალახვას ახერხებს და ბოლოს მიზანს აღწევს.

თამაშში ისე გავერთე, რომ რამდენიმე საათი შეუმჩნევლად გამიფრინდა. ბოლოს, დავფიქრდი: იქნებ მეც რომელიმე კომპიუტერულ თამაშში „ვცხოვრობ" და ეს დახატული ფიგურა, რომლის მართვაც კომპიუტერის 4 კლავიშითაა შესაძლებელი, მე ვარ-მეთქი?

ცხოვრებისეული, ღვთისგან შექმნილი პროგრამა მეც კონკრეტულ მიზანს მისახავს, დაბრკოლებებს მახვედრებს და ამოცანას მაძლევს. მეც მიზნისკენ მივისწრაფვი და რთულ გზას გავდივარ, რომლის ბოლოშიც სანუკვარი პრიზი მელის: უმაღლესი განათლება, იღბლიანი ქორწინება, სამსახური... ერთი საფეხურის გავლის შემდეგ აღმოვაჩენ, რომ მეორე ბარიერი იწყება, რომელიც პირველივით გონივრულად უნდა გადავლახო და ახალ მიზანს მივაღწიო. მას ისევ ახალი მიზანი მოჰყვება, შემდეგ — კვლავ ახალი...

ბავშვისთვის თამაშის პროცესი მნიშვნელოვანია, რადგან ცხოვრების შეცნობაში ხელს უწყობს. ის ასევე მნიშვნელოვანია დიდებისთვისაც. უბრალოდ, ზრდასრული ადამიანი დროთა განმავლობაში ვერ ამჩნევს, რომ „თამაშობს". ის ფიქრობს, რომ „სერიოზულად" ცხოვრობს. სინამდვილეში კი პატარა ბავშვივით „ექიმობანას", „ბიზნესმენობანას", „პოლიტიკოსობანას" თამაშობს და მიზნიდან მიზნამდე მისვლისას, სამყაროს შეცნობას უფრო მაღალ საფეხურზე ახდენს.

ბოლოს და ბოლოს, უფრო გამოცდილ მოთამაშეს უჩნდება კითხვა: როგორია საბოლოო მიზანი? სად არის დამალული ის მთავარი მონსტრი, რომელზე გამარჯვებაც საბოლოო მოგებას ნიშნავს? უვარგისია ის იუზერი, რომელიც პროგრამისტობაზე არ ოცნებობს. ეს ძველი გამოთქმის თანამედროვე ინტერპრეტაციაა. ტიბეტელი შამანების თქმით, თუ შენს მომავალ მდგომარეობას უფრო სრულყოფილსა და განვითარების იმ მაღალ ეტაპზე წარმოიდგენ, რომელიც შენი შესაძლებლობებისა და ფანტაზიისთვისაა ხელმისაწვდომი, ადრე თუ გვიან, მომავლის საზღვრებს გასცდები. სწორედ ეს გახლავთ იმ „პროგრამისტის" მიღწევა, ვინც ეს თამაში მოიგონა. მოთამაშის შემდგომი განვითარების ეტაპი პროგრამისტის დონეზე აზროვნებაა, მაგრამ არავის შეუძლია „ჩაიხედოს" იმ თამაშში, რომელიც მეორე ადამიანის გონებაში მომწიფდა. თავისი პარტიის დაწყება და დამთავრება მხოლოდ თვითონ შეუძლია. თითოეული ჩვენგანის ცხოვრების „პროგრამისტი" უფალია და ყველაფერი ისე იქნება, როგორც მან მოაწყო.



ჩემმა ფიქრებმა ძალზე შორს წამიყვანა და ლამის დეპრესიაში ჩამაგდო. ამიტომ, ეს აზრები სასწრაფოდ თავიდან გამოვიბერტყე და ფსიქოლოგს მივაკითხე. ვიფიქრე, ჩემს აზრს გავუზიარებ, მისას მოვისმენ და თუ ჩემთვის სასარგებლოს ვერაფერს მეტყვის, ინტერვიუს მაინც ჩავწერ-მეთქი.

შეხვედრაზე ტელეფონით შევუთანხმდი. მომიკითხა; სად დაიკარგეო?! — მისაყვედურა და ახალი ამბავიც მახარა: იცი, მე ახლა ჯგუფურ თერაპიას ვატარებ, თუ გინდა, მოდი და დაესწარიო.

— ჯგუფურ თერაპიას იმ ადამიანების დასახმარებლად მივმართავთ, რომლებიც რაიმეზე არიან დამოკიდებული, მაგალითად, ნარკოტიკზე, სპირტიან სასმელზე, სიგარეტზე... — ჩემთვის მოკლე შესავალი გააკეთა, ვიდრე სეანსს დაიწყებდა. მოზრდილ ოთახში, წრეზე განლაგებულ სკამებზე ჩემთვის უცნობი ადამიანები ისხდნენ. 8 ადამიანიდან — 6, სხვადასხვა ცნობილი დიზაინერის სამოსში იყო გამოწყობილი, მაჯებსა და მკერდს მსხვილი, ოქროს ჯაჭვები უმშვენებდა, ბოლო მოდელის მობილურებს „ამარიაჟებდა“ და როგორც შემდეგ საკუთარი თვალით ვიხილე, უახლეს ჯიპზეც იჯდა.

თითოეული მათგანი ნარკოტიკზე დამოკიდებულებისგან თავის დახსნას ცდილობდა. მათ შორის, თავისუფალ სკამზე ადგილი მოვძებნე და სმენად ვიქეცი, თუმცა, საინტერესო ვერაფერი მოვისმინე. ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა, მათ ანონიმური ნარკომანების კი არა, ანონიმური ბიზნესმენების საზოგადოება ეწოდოთ. ნარკომანობასთან შედარებით, ბიზნესმენობა არც ისე სამარცხვინოა. ბევრი ცხოვრობს ამ სახელით და თავს კარგად გრძნობს. ჩემი აზრით, ამ ადამიანებს ფულისგან თავის დაღწევაში უფრო სჭირდებათ დახმარება. მაშინ მათი ჯგუფური სეანსი არც ისე მოსაწყენი იქნებოდა და დაახლოებით ასე წარიმართებოდა:

— გამარჯობა, დათო, მოგვიყევი შენ შესახებ.

— გამარჯობა, მე დათო მქვია და ბიზნესმენი ვარ.

— *(ჯგუფურად)* გამარჯობა, დათო!

— მამაჩემიც ბიზნესმენი იყო და დედაჩემიც. ასე რომ, სხვა შანსი არ მქონდა, მეც ბიზნესმენი უნდა გამოვსულიყავი. პირველი ნავთობის კოშკურა 4 წლის ასაკში მიყიდეს, მიუხედავად იმისა, რომ მე ბურთი მინდოდა. ერთი კოშკურა, რა თქმა უნდა, არაფერია, მაგრამ ყველაფერი სწორედ აქედან დაიწყო. რა თქმა უნდა, ამ მავნე ჩვევისგან თავის დაღწევას ვცდილობდი. მეგობრები მეუბნებოდნენ: რატომ არ შეგიძლია, ისეთივე იყო, როგორიც ჩვენ? ჩვენსავით ფეხბურთით გაერთო, როკს უსმენდე და ჭავჭავაძისა და გალაკტიონის შემოქმედებას კითხულობდეო? დედას გეფიცებით, ვცადე! ფეხბურთით დავინტერესდი და კალაძე ვიყიდე... მერე რა? ფეხბურთში საინტერესო არაფერი ყოფილა. ახლა ვფიქრობ, რომ იქნებ სჯობდა, გალაკტიონის ლექსებიც მეყიდა?

— ბიჭებო, რა ვქნათ? თანავუგრძნოთ დათოს?

— *(ჯგუფურად)* საწყალი დათო!

— ვინ არის შემდეგი? მიშა?

— გამარჯობა, მე მიშა ვარ, ბიზნესმენი. ჩვეულებრივი, მშრომელი ადამიანების ოჯახში დავიბადე. ჭავჭავაძესაც ვკითხულობდი და გალაკტიონსაც. ჩემი პირველი ნავთობის „ჭაბურღილი“ 9 წლის ასაკში, ჩვეულებრივი „დრელით“ გავხვრიტე, ჩვენი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის ბენზინის ავზში. შემდეგ ის 2 კანისტრა ბენზინი ისევ პატრონს მივყიდე. ასეთი ეკონომიკური მოდელი ძალიან დამეხმარა ჩემი საქმიანობის განვითარებაში.

— თანავუგრძნოთ მიშას?

— (ჯგუფურად) საწყალი მიშა!

— გამარჯობა, მე მქვია ზურა და ლონდონში ვცხოვრობ. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ბავშვობაში ყველგან ფულს ვპოულობდი — ბალიშის ქვეშ, ჯიბეში და მეგობრების ჯიბეებშიც კი. მაშინ მივხვდი, რომ შემეძლო, ბიზნესმენი გავმხდარიყავი. გადავწყვიტე, ფული მიწაში ჩამემარხა. ღამით ტყეში წავედი და მიწის ამოთხრა რომ დავიწყე, ოქროს საბადო აღმოვაჩინე.

— *(ჯგუფურად)* საწყალი ზურა!

— ახლა ფულს ლონდონში ვემალები.

— გმადლობ, ზურა, რომ შენი განცდების შესახებ მოგვიყევი. ახლა ჩვენი ჯგუფის ახალ წევრს გაგაცნობთ. ის ახლახან შემოგვიერთდა და საკუთარ თავზე ორიოდე სიტყვით გვიამბობს, — *თქვა ფსიქოლოგმა და მე გადმომხედა,* — მარი, მოგვიყევით თქვენ შესახებ...

— გამარჯობათ, მე მარი ვარ და ერთ-ერთი კომპიუტერული თამაშის მონაწილე გახლავართ... — *დავიწყე გაუბედავად... დანარჩენი თქვენც იცით, რასაც მოვყვებოდი. ბიზნესმენებს ჩემი ნაამბობი საინტერესოდ მოეჩვენათ და სეანსის ბოლოს იმას მეკითხებოდნენ, როგორ შეიძლებოდა, თვითონაც ამ თამაშის მონაწილენი გამხდარიყვნენ...*

მოკლე ჩართვა <<<14

## რა ამბავია და რა არ ამბავია ჩვენთან

- მომწონს „ცხოვრების“ რუბრიკაში მოყოლილი ამბები და მარის ყველა თემა. მარ, მიყვარხარ.
- „გზავნილების“ ფანი ვარ, მაგრამ ჩანართი თავიდან უფრო მომწონდა. სიახლემ არ გაამართლა, მარი. რამე ახალი მოიფიქრე, შენ რომ იცი, ისეთი.
- ყველაფერი მომწონს, ბოლო წერტილამდე ვკითხულობ ჩანართს და მთლიანად, „გზას“. მაგრები ხართ, მადლობა „გზის“ კოლექტივს. მარიკუნა.
- მარი, განა შეიძლება, რომ შენი დაწერილი რამე არ მოგვეწონოს? იუმორიც მშვენივრად გამოგდის და სევდიანი ამბებიც. განსაკუთრებით „სიტუაციას“ ველოდები ხოლმე. იქნებ, ყოველ ნომერში დაგვიბეჭდო?
- არაფერი მომწონს, „რეალურის“ გარდა. მარტო მაგისთვის ვყიდულობ „გზას“. ახალს არაფერს გვთავაზობ, მარი?
- არ მომწონს, „გზავნილებით“ რომ არ იწყება ჩანართი. მარი, ბებრების საკითხავი ამბებით რომ იწყება, ის ამბები გადაიტანე შუაში და დაგვიბრუნე ძველი ადგილი. გლახო.

# გზაჯვრები

31.07. – 6.08.2008


# ბოროტი საქციელი

## ფარული სტრიპტიზი ზღვაზე და „20-სანტიმეტრიანი სიყვარული" ანუ სადაურები არიან გალატიონები?

ჩვენი დღევანდელი თემიდან გამომდინარე, „ბოროტული" „გზავნილები" გამოგვივიდა, მაგრამ ვფიქრობ, მგზავნელებმა მხოლოდ „მსუბუქი" ბოროტების შესახებ მოგვწერეს, მთავარი კი საიდუმლოდ დატოვეს. ისე, დიდი სურვილი მქონდა, მეც ბოროტად მოვქცეულიყავი და ზოგიერთი მგზავნელის ეშმაკობისთვის ფარდა ამეხადა (მით უმეტეს, როცა სხვას სწორედ იმის გამო საყვედურობენ, რასაც თავად სჩადიან), მაგრამ იმედი მაქვს, ყველა თავად მოეგება გონს და ჩემი ჩარევა საჭირო აღარ გახდება. სხვათა შორის, ერთ რამეს მივხვდი და საკუთარი შეცდომაც უნდა ვაღიარო: ვფიქრობ, მგზავნელებისთვის ერთმანეთის გაცნობის შანსი არ უნდა მიმეცა, რადგან აქ, ვირტუალურ სამყაროში გაცილებით უკეთესი ურთიერთობა გქონდათ, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში გაქვთ. ძალიან ვნანობ, მაგრამ ახლა უკვე გვიანია. ამ ნომერში ბოხომ „მობილი-ზაციაში" თავისი ნომრის გამოქვეყნება მთხოვა, მაგრამ ვურჩევ, დაფიქრდეს და თუ გადაწყვეტილებას არ შეცვლის, შემატყობინოს და სურვილს მომავალ კვირაში შევუსრულებ. ახლა კი ყველა საკამათო თემას ვხურავ, ამ თემებზე მოსულ მესიჯებს ვბლოკავ (თუნდაც, გამოსარჩლების) და დანარჩენ მესიჯებს გაგაცნობთ.

*მარი ჯაფარიძე*

### ჩემსავით ჭაღარა

„ბოროტი არ ვარ, მხოლოდ ხანდახან „წავიბოროტებ" ხოლმე. ერთხელ, შუა ოპერაციაზე ერთ-ერთი ასაკოვანი პროფესორი მეხუმრა თუ გამეარშიყა — რა დავარქვა, არ ვიცი. ჩემკენ გადმოიხარა, პინცეტით ხალათზე აკრული თეთრი ძაფი ამაცალა და — თეთრი ბიჭი დაგდევს, ჩემსავით ჭაღარაო, — ხმამაღლა მითხრა. არაფერი ვუპასუხე, მაგრამ შესაფერის მომენტს დაველოდე და ოპერაციის ბოლოს მეც ვეხუმრე და საკმაოდ ბოროტად. გადავიხარე, და პინცეტით მკლავზე აკრული ბინტის თეთრი ძაფი ავაცალე. გაკვირვებულმა შემომხედა — რა გინდაო? — არაფერი, თქვენც თეთრი გოგო დაგდევთ, თქვენსავით ჭაღარა-მეთქი, — გავუღიმე და ძაფი დავანახვე. მიხვდა, ამით ის ვუთხარი, ტოლი ნახე-მეთქი. სიცილით ჩაილაპარაკა: ძალიან ეშმაკი ხარო. ღიმილით ვუპასუხე, ვიცი-მეთქი. :) ფინტიკოზა".

### თვალებით გაცილებული

„ბოროტი საქციელიო? აჰა, გამახსენდა! ერთი სიტყვით, მე ხომ ნორმალური არავინ გადამეკიდება... იმ დღეს დაქალთან მივდი, ახალი ჭორები მომახსენა და ჩემს გულის სწორზე მითხრა, ცოლი მოიყვანაო. ეჰ, პირველად მაშინ მივიღე სულიერი ტრავმა. არადა, იცით, რა კაცია? ციხიდან ახალი გამოსული, „პიანიცა" და ა.შ. რომ დამინახავდა, თვალებით მაცილებდა

დანიშნულების ადგილამდე, მაგრამ ჩემი დაქალი გაგახარებს? — ეგრე იმიტომ გიყურებს, „ამოდღლეზილი ზედები“ რომ გაცვიაო. იტყუება, დედალს ვფიცავარ. ორივენი ბოროტულად მომექცნენ — ერთმა ცოლი მოიყვანა და „დამადო“, მეორემ ეს ამბავი დაუფიქრებლად მაჯახა. მარ, შენ მაინც ნულარ გაბოროტდები და მიაჯღაბნე ეს „უბედური“ მესიჯი სადმე, შენი ლამაზი თვალების ჭირიმე, რაა... :-) ჰოდა, ჩემს თავგასივებულ დაქალს ავაფარებ თვალებზე, ვინ გაიგო ასეთი ამბის ასე დაჯახება?! ბაო-ბაო“.

## „პერცოვი“

„ახლა ჩემს ბოროტ საქციელზე მოგიყვებით. მოკლედ, შუა ზამთარია და ბიძაჩემს წელი ასტკივდა. ტკივილს რომ ველარ გაუძლო, აფთიაქში გამიშვა, „პერცოვი პლასტირი“ — „ვეფხვი“ მომიტანე, თორემ მომკლა წელის ტკივილმაო. საღამო ხანს მოვიტანე და დაწებების დრო რომ მოვიდა, მითხრა: მერე გამილახოო. სად იყო მაშინ ბავშვთა უფლებები და თანასწორუფლებიანობა?! აბლახანუმი“.

## ფარული სტრიპტიზი

„ახლა ბუნების ბოროტ „საქციელზე“ მოგიყვებით. ზღვაზე დილით დავდივარ. მზე ზუსტად მაშინ ამოდის და უსწორდება იმ ადგილს, სადაც გასახდელებია დამონტაჟებული. ჰოდა, მზე რომ გასახდელს მიანათებს, მაშინ იწყება თავდავიწყება. გასახდელში შესული ხალხის ჩრდილები გასახდელის კედელზე აირეკლება და იწყება ფარული სტრიპტიზი. ასე რომ, გაითვალისწინეთ ჩემი რჩევა: მზის ამოსვლისას ნუ შეხვალთ გასახდელში, თორემ 400 კაცი მარტო თქვენ მოგაშტერდებათ. კეთილისმოსურნე, კოზანოსტრა“.

## მეზობლის გოგო

„გოგოსა და ბიჭს ერთმანეთი უყვარდათ. ბიჭმა შეყვარებულის ოჯახში მეზობლის გოგო გაიცნო. ვინ რა იჩალიჩა, ღმერთმა უწყის, მაგრამ შეყვარებული კი არა და, უკვე საცოლე „აფსაიტში“ აღმოჩნდა. სასიძო და მეზობლის გოგო დაქორწინდნენ. ამაზე მეტი სიბოროტე რა უნდა გაუკეთო მეზობელს და თანაც — დაქალს? ნაც“.

## ოროსანი

„მახსოვს, როცა დაწყებით კლასში ვიყავი, ერთი ჩვენი კლასელი გოგონა ცუდად სწავლობდა. მასწავლებელი სულ ჩაგრავდა და კუთხეში აყენებდა. ერთხელ ფურცელზე დაწერა — „ოროსანი“, შუბლზე მიაწება და ასე ყოფნა აიძულა მთელი დღე. ძალიან მკაცრი (ბოროტი) ქალი იყო. ყურების გახვრეტა საჭირო აღარ იყო, თავისი ბრჭყალებით უფასოდ დაგვიხვრიტა (ესეც ხეირია). საკონტროლოს თუ ვერ დავწერდით კარგად, ჯოხით ისე დაგვისივებდა თითებს, გეგონებოდა, ფუტკრის დაკბენილიაო. მე და ჩემი დაც ამ მასწავლებელთან მოვხვდით. საწყალმა დედაჩემმა, სერვანდში რაც „ხრუსტალები“ იყო, მას მიუტანა, ოღონდ შვილები არ აძრობა გამიძნელდება და სადაც უნდა დამაწებო, იმ ადგილზე ზურგი ამპარსეო. მეც, გამოცდილი დალაქივით, მივადექი და მთელი ზურგი გავპარსე. უნდა გენახათ, რა სანახავი იყო. წარმოიდგინეთ, წინ ბალნით გაშავებული მკერდი და უკან — შებრაწული ქათამივით აპარსული ზურგი. იმის შემდეგ აღარასდროს უთხოვია, „პლასტირი“ დამაწებეო. სიყვარულით, კოზანოსტრა“.

## გაჭედილი

„ერთი შინაბერა მასწ. გვყავდა, ნელი. არ ვიცი, შინაბერობის თუ სხვა რამის ბრალი იყო, მაგრამ საშინლად ავი და კაპასი ქალი გახლდათ, ბევრი გოგო უტირებია ცხარე ცრემლით და მწარედ დაუცინია კიდეც ჩვენთვის. ამიტომაც გოგონებმა გადავწყვიტეთ, სამაგიერო გადაგვეხადა და სამაგალითოდ დაგვესაჯა. მასწავლებლის სკამს დასაჯდომი ნაწილი ავახიეთ და ისე დავდეთ, რომ მასზე დაჯდომისას, სკამში ჩავარდნა გარანტირებული ჰქონდა. სეირის მოლოდინში გავინაბეთ. ჩვენი ნელი მედიდურად შემობრძანდა და გეზი პირდაპირ სკამისკენ აიღო. დაჯდომა და სკამში ჩაკვეხება ერთი იყო. დიდი გაბარიტების წყალობით კი ისე გაიჭედა, რომ ვერაფრით ამოვათრიეთ სკამიდან და საშველად სამასწავლებლოში გავცვივდით. თუმცა, მასწავლებლებმაც ვერაფერი მოუხერხეს და ასე გაშეშებული გაიტანეს სამასწავლებლოში. შემდეგ, მხოლოდ ხერხის გამოყენებით გახდა შესაძლებელი „ტყვეობიდან“ მისი დახსნა. რას გვერჩოდი, ნელი მასწავლებელო? მანამ არ მოისვენე, სანამ შენი არ მიიღე, არა? არტემიდა“.

## მცივანა

„ეს ამბავი მამამ მომიყვა: ჩვენი მეზობლები ტაშკენტში ყოფილან წასული საქმეზე და დიდი სიცხის ჟამს, შუადღისას თურმე სასტუმროს ნომერში იძინებდნენ ხოლმე. ერთხელ მურმან ბიძიას რომ ეძინა, თურმე მეორე მისულა და რაც კი „ადიალები“ უნახავს ნომერში, ყველა მისთვის დაუფარებია (სულ 12 ცალი) მურმანი ბიძია კი თურმე სიზმრად ნახულობს, რომ გავარვარებულ, წითლად მოელვარე თონეში აგდებენ და ცდილობს, თავი გადაირჩინოს. ბოლოს, ოფლად გახვითქულს გაჰღვიძებია. არ არის ახლა ეს ბოროტი საქციელი? ელისო“.

## მშიშარა ბიჭები

„მეგობართან ერთად, რაიონში ვისვენებდი. ლამაზი ადგილია. საღამოობით ახალგაზრდები ბირჟაზე ვიკრიბებოდით და მაგრად ვერთობოდით ხოლმე. ერთ დღეს გავიგეთ, რომ დასასვენებლად, თბილისელი ბიჭები ჩამოსულან, თავი „მაგარ ტიპებად“ რომ მოაქვთ, ისეთები. მე და ჩემი მეგობარი უკეთ რომ დავრწმუნებულიყავით მათ „ვაუკაცობაში“, გადავწყვიტეთ, გამოგვეცადა და რაღაცით შეგვეშინებინა. ერთ საღამოს ბირჟაზე გამოვიდნენ. ჩვენ ლაპარაკი ქაჯებზე, სულებსა და ეშმაკებზე დავიწყეთ, რომლებიც ვითომდა აქ ბინადრობდნენ და ეს ხუმრობა უფრო დამაჯერებელი რომ ყოფილიყო, ერთი საყვარელი ბაბუა დავიხმარეთ. მან 1 ამბავი მოჰყვა, რომლისიც, რომ არ მოგატყუოთ, ცოტა მეც შემეშინდა. ბოლოს დაამატა, — აქ ღამე განსაკუთრებით საშიშია და ჯობს, დავიშალოთ, სანამ რაიმე ხიფათს არ გადავყრივართ, ბალღებოო. ჩვენ თვალი ჩაგვიპაჭუნა. ბიჭებმა არაფერი შეიმჩნიეს და წასვლისას დაგვემშვიდობნენ. ჰოოდა, ჩვენც ამას ველოდით. გზა მოვუჭერით და წყაროსთან დაველოდეთ. მალე ისინიც გამოჩნდნენ. ისე ბნელოდა, მხოლოდ ჩრდილის დანახვა თუ შეგეძლო. დავიწყეთ არაადამიანური ხმების გამოცემა, რომელიც მართლა საშინლად ყელერდა. იმ ბიჭებს რა დაემართათ, სიტყვით ვერ გადმოგცემთ. ვინ სად გარბოდა ყვირილით, ვერ გაიგებდით. ერთს გული წაუვიდა

და ჩემს ფეხებთან გაიშხლართა. ისიც ჩემი მოსასულიერებელი გახდა... მეორე დღეს ამაზე მთელი სოფელი იცინოდა. სამწუხაროდ, იმ დღეს თბილისში წამოვედი. ახლა ის ბიჭები ჩემი უსაყვარლესი მეგობრები არიან. განსაკუთრებით ის, ვინც ჩემი მოსასულიერებელი გახდა. რაც მთავარია, ისეთ მაგარ ბიჭებად თავი აღარ მოაქვთ, რადგან იციან, რომ ამ ამბავს თბილისშიც გავუვრცელებ. თუმცა, უკვე გავავრცელე და ეგაა. არ გამიბრაზდეთ, ბიჭებო. თაკო".

## „დედის მკვლელი"

„ბოროტი საქციელი ის იყო, ბებიაჩემი დილაუთენია რომ აღვიძებდა დედაჩემს და მის დებს, — ადექით, ბალახი მოჭერითო. კიდევ უფრო ბოროტი — დედაჩემმა ცხენის დოზა დასაძინებელი საშუალება ჩაუყარა საჭმელში, — დილას ვერ გაიღვიძოსო. კიდევ უფრო ბოროტულად ბებია მოიქცა: დილას უფრო ადრე გაიღვიძა, სამაგიეროდ, შუადღეზე ჩაეძინა ღრმა ძილით, ყანაში. სამსახურიდან დაბრუნებულ დედაჩემსა და ბიძაჩემს (დეიდის ქმარს) მკვდარი ეგონათ, შორიდან. დედაჩემს წამოსცდენია, მოვკალი, მგონიო. ბიძაჩემს უთქვამს: სახლს რომ გაყიდით, წილი მომეცით ან „ტირილში" „ფულის წერა" რომ იქნება, ის ფული მომეცით და არ გაგცემთო. დედაჩემს უთქვამს, ჩვენთან „წერა" არ იციანო. სიძეს უთქვამს, ჩემს სოფელში ვიტიროთო. შინ მივიდნენ თუ არა, მათი გარიგება გაუქმდა, რადგან ბებია გულიანად ხვრინავდა და სიკვდილი არც უფიქრია. ნამცეცა".

## წინდახედული ლექტორი

„მოგეხსენებათ, საქართველოს უნივერსიტეტებში გამოცდები როგორ ბარდება. თუმცა ამბობენ, ეროვნული გამოცდების მერე ყველაფერი შეიცვალაო... ჰმ, ერთი ჩემსავით იცოდეთ, რა ხდება თელავის უნივერსიტეტში. დაქალი მივიდა გამოცდაზე და კარგად ჩააბარა. ლექტორმა უთხრა, ნიშანს არ დაგიწერო. — რატომ? — გაოცდა მეგობარი. — ახალ წელს შენი ცოდნა დავდო მაგიდაზეო?.. — უპასუხა ლექტორმა. თავად განსაჯეთ, ეს ბოროტი საქციელია თუ არა. მის რეალი".

## ჭორის მსხვერპლი

„იყო გოგო და იყო ბიჭი... ბიჭს საცოლე ჰყავდა, გოგოსაც სხვა უყვარდა. ბიჭი გოგოს დაიკოს ეძახდა. ისინი მეზობლები იყვნენ, ორივე ჩამოსული იყო თელავში და მდგმურად ცხოვრობდა. ბიჭი და გოგო მთელი დღე ერთად იყვნენ. ეს უბნის ჭორიკანებს როგორ გამოეპარებოდათ? ჰოდა, იმდენი ილაპარაკეს, სტელას შოთიკო უყვარსო, რომ ბიჭმა დაიჯერა და... მათ ერთმანეთი დაკარგეს. არადა, ჩემზე კარგად არავინ იცის, როგორ უყვარდა სტელას და რა ურთიერთობაც ჰქონდათ. აი, რამდენ სიბოროტეს აკეთებს ჭორი, მაგრამ ადამიანებს თავიანთი პირადი ცხოვრება არ აქვთ და რითი უნდა გაერთონ?.. მის რეალი".

## ჭირვეული თურქი

„ჩემი ახლობელი „მარშრუტკაზე" მუშაობს. ეს ამბავი მისგან მოვისმინე: „ჩვეულებრივ რეისში მივდიოდი, მგზავრი ცოტა მყავდა და ხასიათზე ვერ ვიყავი. ამ დროს დამირეკა ჩემმა ძმამ და მითხრა — მანდ რომ თურქი კაცი ზის, ცოტა პრეტენზიულია და შენი ხასიათი რომ ვიცი, არ აჰყვე მაგის ხუშტურებს, თან, რაღაც თანამდებობა აქვს და მაგის გადამტერებას მირჩევნია, თავი მომაჭრაო. — კარგი, ნუ ნერვიულობ-მეთქი, — დავამშვიდე. გზად სასადილოში გავჩერდით. ამ კაცმა ჩამოსვლისას თავი აარტყა მაღლა, სადაც ჩემდა ჭირად, პატარა „ჟუშტი" იყო გამოშვერილი და თავის კანი გაეჭრა. წამოუვიდა სისხლი, არადა, მელოტია, კაცო. დაიწყო ყვირილი. გავაქროლე უახლოეს საავადმყოფოში, სადაც ჭრილობა დაუმუშავეს და ნაკერებიც დაადეს. გზა გავაგრძელეთ. ეს კაცი წუხდა, იჭყანებოდა. აშკარად სტკიოდა. მოვიფიქრე რაღაც, გადმოვიღე ბოთლით შავი ღვინო და თურქს ვუთხარი, — ბიძაჩემო, ერთი ჭიქა დაგვილიე-მეთქი. — არა, რას ამბობო?! — ჯერ იუარა. მერე მკითხა — ღვინო „სახლისააო"? დავიწყე და რა დავიწყე, სულ გავაბუქე: ჩემი ხელით მაქვს დაწურული, ერთი გრამი წყალი და შაქარი არ ურევია-თქვა. — კარგი, ერთ ჭიქას დავლევო. ერთს მეორე მიაყოლა, მეორეს — მესამე და ლამის სიმღერაც შემოსძახა. თავის ტკივილი სულ გადაავიწყდა. ადგილზე რომ ჩავედით, პირზე კოცნით დამემშვიდობა. მეორე დღეს ჩემმა ძმამ მითხრა, — რა უყავი ამისთანა იმ კაცს, დამირეკა და ისე მიქო შენი თავი, ლამის დავიჯერე, რომ ანგელოზი ხარო. ყველაფერი კი იმ კახური ღვინის ბრალი იყო, რომელიც ძმაკაცებთან მიმქონდა და ის დალოცვილი რომ არა, შეიძლება, ცხელ გულზე რაიმე ექნა და გავემწარებინე". მანაველი".

## მასტერკლასი სუპერმარკეტში

„სანამ სკოლა დაიწყება და ჩემს ბაიებთან მეცადინეობა მომიწევს, მანამდე ერთ-ერთ ცნობილ მარკეტში დავიწყე მუშაობა მოლარეოპერატორად (რა მეღირსა, ელიზბარას „ბუტკაზე" გაზრდილ ბალღს!). დავიწყე და ვაი, ამ დაწყებას! 4-ის მერე სამსახურიდან გამოსული, თვალწასული „კალგოტკასავით", „კაპიკად" აღარ ვვარგივარ, ფეხები მეხლართება ერთმანეთში და ქე დავდივარ ჩახსნილი ვაგონივით. თან, სალარო კართანაა, მთელ მარკეტში ერთი „დედისერთა" და „მამის ობოლა" კონდიციონერი დგას, ისიც „წიხლიკვრით" მუშაობს. რავარც დავასკვენი, მთელი ვაკე ლიფტში ცხოვრობს და კარის დაკეტვას არ არიან მიჩვეული. ჰოდა, ვუტარებ კარის გახსნა-დახურვის მასტერკლასებს. გადამძვრა ენაზე ტყავი. მოდი და ნუ ეტყვი, დახურეო. ღია კარიდან შემოქროლილი ცხელი ჰაერი ცხვირ-პირში აგრესორის მუშტივით რომ დაგეძგერება! „ტოუე მნე", ზაფხული! არადა, როგორ ველოდებოდიიი!.. ილინი".

## „თვითმკვლელი"

„ჩემი ცელქი და მოუსვენარი დაიკო მაშინ III კლასში იყო. ერთხელ, რომ გამაბრაზა (ეს მისი „ჰობი" იყო), ცოტა წავუთაქე და გაბრაზებული ოთახში ჩაიკეტა. კარგა ხანს ჩამიჩუმი არ ისმოდა. როცა ოთახში შევედი, საშინელება დავინახე: ის ლოგინზე იწვა და მთელი სახე სისხლიანი ჰქონდა, თვალები — დაქაჩული და იქვე სამზარეულოს დიდი დანა ეგდო. ჩემმა კივილმა ცა და დედამიწა შეძრა და ჩემი და ფეხზე წამოაგდო. მეცა და ყვიროდა, — ნუ გეშინია, ცოცხალი ვარო! ამან სულ გადამრია. მთელი დღე მშობლები მამშვიდებდნენ, ჩემი და კი მეზობელთან იმალებოდა. თურმე გაბრაზებულს, ჩემი წითელი პომადით მოუსვრია მთელი სახე, და დანით თვითმკვლელობა გაითამაშა. კარგა ხანს დაშოკილი ვიყავი. პატარა, განებივრებული ბავშვი იყო და ეს ყველაფერი მშობლებისგან იოლად შერჩა. მხოლოდ ყვითელი ბარათი — გაფრთხილება მიიღო. მიყვარხარ და გკოცნი, ჩემო კამი. 131-131".

## კეთილი ბოროტმოქმედი

„პატარაობისას ძალიან ცელქი ვიყავი (ახლა — აღარ), მაგრამ ჩემს ხუმრობა-სიცელქეს და სიკეთის კეთების სურვილს ვერ იგებდნენ ახლობლები და ბოროტ საქციელად მითვლიდნენ. არადა, სიბოროტით მართლა არ ჩავდიოდი, მაგრამ ვინ მიჯერებდა? განა ბოროტება იყო, რომ ახალნაოპერაციები, საყვარელი მამიკოს გამხიარულება მინდოდა და რაღაც ვიხუმრე, მან კი იმდენი

იცინა, ნაკერები გაეხსნა და მე საავადმყოფოდან მიმაბრძანეს. განა სიბოროტით იყო, რომ გადავწყვიტე გამეგო, ჩემს დას რა დოზით ვუყვარდი და სკოლიდან დაბრუნებულმა, თავის მოკვლის სცენა გავითამაშე?! მე ხომ უბრალოდ, მინდოდა მენახა, როგორ მიტირებდა და მისი შეშინება აზრად არ მომსვლია. განა სიბოროტით ჩავიდინე, როცა მასწავლებელს ჟურნალი დავუხიე ჩუმად და ჩემ გამო კინაღამ სკოლიდან გაათავისუფლეს, უყურადღებობის ბრალდებით? არადა, მე ხომ მეგობარი მინდოდა მეხსნა საკონტროლო წერაში მიღებული ორიანისგან. განა სიბოროტით ჩავიდინე, როცა დედისთვის მინდოდა მეჩვენებინა, რა მწარე ხელი აქვს ჩემს დაიკოს და მთელი ძალით გავაწანი სილა პატარა ხელით? იმან კი რატომღაც ვერ გამიგო და ხურდაც დამიბრუნა. ერთხელ კი ახლობელი გვესტუმრა, ცოლთან ერთად, ავტომობილით. ქმარი დათვრა და აღარ გაჩერდა. ქალი წუხდა, — მეშინია, სადმე არ გადამჩეხოსო. მეც შემეცოდა, ავდექი და ოთხივე საბურავი დიდი ლურსმნით გავუხვრიტე. მაინც ვერ დაინახეს ჩემი სიკეთე და ყველაზე მეტს სწორედ ჩემი „გადარჩენილი" ქალი მიყვიროდა. განა ბოროტული საქციელი იყო, როცა მეზობელი, მარტოხელა კაცის დახმარება გადავწყვიტე? გავიგე, როგორ წუხდა, — ერთი ნორმალური ძაღლი არ მყავს, ღამე მშვიდად ვერ ვიძინებო, — და ღამით ჩუმად წავუყვანე ჩემი უზარმაზარი ბასარა და კართან დავუბი. მე რა ვიცოდი, ღამე გარეთ გასულ მასპინძელს რომ დაჰკბენდა ჩემი ძაღლი? განა მე ვიყავი დამნაშავე რამეში? რატომ ვერ მიგებდნენ, ნეტავ?! ერენიტა".

## „ბოროტი" ექიმები

„ბოროტი საქციელი ქუთაისელმა ექიმებმა ჩაიდინეს 7 წლის წინ, როცა დიაგნოსტიკურ ცენტრში მისულ პატარა გოგონას უთხრეს, რომ დედა ვერასოდეს გახდებოდა და ამ სამი დაუფიქრებელი სიტყვით, გასაწირავად გაიმეტეს მისი ბედნიერება, მაგრამ ექიმებისგან განწირული გოგონა ღმერთმა შეიბრალა და ორი პატარა ბიჭუნა აჩუქა. ერენიტა".

## რა დაემართათ კახელ კაცებს?

„ადრე, „კომუნისტობის" დროს ჩემი მეზობლები — განუყრელი 3 დაქალი — თბილისში წასულან, საახალწლოდ ჩურჩხელებისა და ლეღვის ჩირის გასაყიდად. ვაგზლის ანუ დეზერტირების ბაზარზე უვაჭრიათ და სანამ უკან წამოვიდოდნენ, „ბავშვთა სამყაროში" შესულან. იქ ბამბაზიის ხალათები ჰქონიათ ახალი მიღებული და დამდგარან რიგში. ერთი დაუყენებიათ და ორნი სხვა რაღაცების საყიდლად წასულან. თურმე დიდი რიგია და ჩვენი ნანი შეღონდა. ამ დროს სიმპათიური, სოლიდურად ჩაცმული, რუსი მამაკაცი მისულა და ნანისთვის ჩუმად უთქვამს — „გასპაჟა" ხ... ნი ნადა" (ნანი რუსულის აზრზე არ არის)? გადაირია თურმე სიხარულით, — არიქა, ავშენდი, გადავრჩი რიგში დგომასო! — სპეკულანტი ეგონა თურმე: „კანეჩნო ხოჩუო", — უთქვამს, ჩაუვლია ხელი და „პაშლი, რუსოს" ძახილით გამოუყვანია „ბავშვთა სამყაროდან". კიბის თავში დაქალები დაუნახავს. თურმე, მთელი ვაგზლის გასაგონად უყვირია — ქალებო, აღარ მოგვიწევს რიგში დგომა, ჩვენ რაც გვინდა, იმას ეს კაციც ყიდისო. — რასა, ქალოო? — ხ... სო (ბამბაზიის ხალათი ეგონა და რა ექნა, ვა!). ამ ბატებსაც გახარებიათ და ფეხს აუჩქარეს თურმე. ერთ გამვლელ კაცს უკითხავს ირონიით, — რამდენად გაძლევთო? — რაცა ღირს, იმაზე ძვირად მოგვცემს, რა თქმა უნდა, მაგრამ რიგში აღარ დავდგებით, ისედაც წნორის მატარებელზე გვაგვიანდებაო, — მოახსენეს. — რა დაემართათ კახელ კაცებს, მასე გაგიჭირდათ, ქალებო, რომ კაცის გულისთვის თბილისში ჩამოხვედით? ან რად გინდათ, მაგ რუსს ფულს რომ აძლევთ, ჩვენ უფასოდ მოგემსახურებითო... ფინთი ფინალი".

## ბოროტი მამა

„მინდა, ჩემს დედამთილზე გიამბოთ. ის ძალიან პატარა იყო, როცა დედა მოუკვდა. მამა კი თბილად არასოდეს მოჰქცევია. ერთხელ, სკოლაში რომ იყო, მასწავლებელმა სურათის ფული დააბარა, სულ 20 კაპიკი. მამას რომ უთხრა, ფული მომეციო, მან უპასუხა, — რომ მოკვდები, მაშინ გაგიდიდებ სურათსო. ასეთი ბოროტი მამა ჰყავდა. გერასიმე".

### დეგუსტატორები

„მოგეხსენებათ, საქართველოში ქორწილები გრანდიოზულად კეთდება. ერთ-ერთი ქორწილის დროს, თავმომწონე ოჯახმა ღვინის მოსატანად კახეთში 3 დეგუსტატორი გაგზავნა. ჩავიდნენ, გაიკითხეს და ერთ გლეხს მიადგნენ. გლეხმა მარანში შეიყვანა სტუმრები და სთხოვა, ოთხივე ქვევრისთვის თავი მოეხადათ. ამათაც მოხადეს, ოთხივედან ღვინის დაჭაშნიკებისა და ნახევარსაათიანი სჯა-ბაასის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ მეორე ქვევრი ყველაზე სასიამოვნო გემოს ღვინო იყო. ფასზე მორიგდნენ, ღვინო თავიანთ ჭურჭელში ჩაასხეს და წამოსვლისას მასპინძელმა უთხრა: თქვენისთანა დეგუსტატორის დედაც ვატირე, მარანში ერთი ქვევრი მაქვს, რომელსაც 4 თავი აქვსო".

*თემაზე მოსული მოკლე მესიჯები*

## ქოთნის წიწაკა

„გურჯაანელი და ქიზიყელი ქალები დაერივნენ ერთმანეთს. გურჯაანელმა უთხრა ქიზიყელს: წიწაკა ხარ, წიწაკაო! ქიზიყელმაც არ დააყოვნა პასუხი და უთხრა: შენც წიწაკა ხარ, ოღონდ — ქოთნისაო! იარმორკელი".

„ჩემი დეიდაშვილი მაგარი „პრიკოლი" ბიჭია. სწავლა და სკოლა სასტიკად არ უყვარდა და VII კლასიდან გამოაგდეს სკოლიდან. ყველაზე ბოროტი საქციელი — არა, მაგრამ ყველაზე უცნაური შურისძიება იყო, როცა დირექტორს სამასწავლებლოში ვირი მიუყვანა. კახელო-616".

„მეტი რაღა ბოროტება გინდათ? პატარა რომ ვიყავი, ბებიაჩემს ფული მივაბარე, შემინახე-მეთქი. მერე ისევ მე მოვპარე და ისევ მე ვეჩხუბე, — ფული რად დამიკარგე-მეთქი?! — და დანაკარგი ავანაზღაურებინე. რას იზამ, ასეც ხდება. კობრა".

„ათენში ცნობილი მსახიობი მოკლეს, ნიკოს საგიანოპულო. საშინლად იყო ნაწამები, 21 ჭრილობა ჰქონდა. მკვლელობის მიზეზად, მის სექსუალურ ორიენტაციას და ნარკოტიკს ასახელებდნენ. დღეს კი აცხადებენ, რომ მკვლელი ქართველია".

„ბოროტი საქციელი ჩაიდინა ჯ.ხ-მა, როცა სამსახურიდან

გაათავისუფლა თანამშრომლები, აფხაზეთიდან დევნილები. იცოდა, რომ ეს მათი ოჯახების არსებობის ბოლო წყარო იყო. სამაგიეროდ, თვითონ და ქლესა თანამშრომლები ხომ დარჩნენ კარგად?! უფალია ყველას განმკითხავი! თინეიჯერი შინაბერა".

„ბოროტულად მოვექეცით მე და მაკუშა ჩვენს ერთ ჯგუფელს. ვიცოდით, რომ ის გოგო სხვადასხვა სუნს ვერ იტანდა. ჩავიდე ჩანთაში იაფფასიანი დეზოდორატორი „კობრა" და უნივერსიტეტის ეზოში მივასხურე ამ გოგოს „შემთხვევით". იქ ამბები ატყდა! ცუდად გახდომები, გულის წასვლები და რამე, მაგრამ მერე გამოვისყიდე დანაშაული. ელისო".

„ბოროტული საქციელი დეიდაჩემის მოგონილია — ჩემი დეიდაშვილების სიმწრით მოყვანილი პლანი ძროხას რომ აჭამა. მეზობელს ქათამი დაუკლა, მერე აჭამა და უთხრა, — შეგვარგოს შენი ქათამი ღმერთმაო".

„ბოროტ საქციელზე ჩემი დედამთილი გამახსენდა. ჩემი მოყვანის დღიდანვე მითხრა, თუ როგორ ოცნებობდა მაღალ, ლამაზ, ქერათმიან და ცისფერთვალება რძალზე. ბოლოს ოჯახიც დამინგრია. ანიკო".

„ბოროტი საქციელი ჩაიდინა ჩემმა მეგობარმა: ჩემი სოფლელი ბიჭი მიყვარდა და დღესაც მიყვარს. ჩემმა მეგობარმა მითხრა, — დედისერთა რომ არის, გათავხედებულია და სახლში ყველაფერს ამტვრევსო. ეს სულ გულში მქონდა და მეშინოდა. ჩვენ დავშორდით. მას მერე 25 წელი გავიდა და მე ახლაც მიყვარხარ, ა..ი ემიგრანტი ქალი".

„ეჰ, ბოროტი? ჩემმა დაქალმა მკითხა, გალაკტიონები სადაურები არიანო? მეც დიდი ამბით ვუპასუხე, იმერეთიდან-მეთქი. კინაღამ სიცილით გაიგუდა, გალაკტიონი სახელიაო. ვთხოვე, არ თქვა არავისთან-მეთქი, მან კი რადიოში გამომაცხადა".

## ყველაფერზე, თემის გარდა

### „ლიაი-ლიაი"

„ერთი ჩემი მეგრელი მეგობარი ჩავიდა თბილისში, შევიდა მაღაზიაში და „ლაი-ლაი" ბარათის ყიდვა უნდოდა, მაგრამ ყველას მოგეხსენებათ მეგრელთა „ლ"-ს ამბავი. გამყიდველი ლამაზი, ახალგაზრდა გოგო იყო და ჩემმა მეგობარმა გაპრანჭვა გადაწყვიტა. ამიტომ, კილოს დაფარვის მიზნით, უთხრა: „მონო" მინდა, ოღონდ მეორენაირიო. — როგორ თუ მეორენაირიო? — აი, მეორე რომ არის, არ იცი? — მეორე როგორიო? — დაიბნა გამყიდველი. ჩემი მეგობარი გამწარდა: როგორი და ამ მეგრელ კაცს „ლიაი-ლიაი" რომ არ მათქმევინო, ისე ვერ მომცემ ბარათსო? სანთელი".

### შეხვედრა „ნაბეღლავთან"

„ნენაია-ნენა, რა დეინახა ჩემმა ორვე თვალმა აი? აგერ, ბიო, შუაგულ ათენში „ნაბეღლავიც" კი ჩამოსულა და რო დევინახე, გავქანდი. ვიღამ დამაკავა?! რო მოვკიდე ბოთლას ხელი და ისთე მოვუალერსე, ისთე მივეფერე, ისთე ჩევიკარი გულში და ისთე ჩავკოცნე და ჩავკოცნეეე... ძაან მომნატრებია, ხომ იცი შენ. გედეირია გამყიდველი, ვინცხაა აგი გააბდლებული, თლათ არ გააბლდაო? ჰოდა, როცხა მევიფიქრე, აგი ნაფერები და ნაკოცნები წყალი მევიყუდე და დავლიეეე. რაია, ბიო, აგი? დამლიეო? კიღამ არ დამარჩო სოდამ? აია, ბიძიელა, „ნაბეღლავი"? თუ „ნაბეღლავის" პროვოკაციაა" აგი! ნენაია, ნენაა, სა მეიძია ამ წყალმა სოდაი? ჰეჰ, ამაზეც უმოქმედია რაცხა „გადაკეთება" რო ქვია, იმას. რას აკეთებს აი სააკაშვილია თუ ვინცხა. ამ უწყინარ წყალსაც კი შეცვლია გემო და „ხასიათი". იიი, მაცოდინა მაინც, ამფერია იქინე, იმ ჩემს ნაბეღლავში? გედევირიე, ნენაია, პირდაპირ, მარა გავუხვიე აზრები სხვაგან, ვინაა ჩემი პატრონი ამ შუაგულ ათენში-თქვა, სანამდიღა ვიყო აქანაი, გააბდლებულ-გადარეულითქვა და წამევეთრიე სახლში. თან ვფიქრულობდი, რომ გავაბდლდე, ქე გამომაგდებს ბებიელე კარში და დავრჩები უმუშევარი-მეთქი. მაინც რა ვართ აი გურულები, ااااა?"

### ბუნჩულა ბიჭი და შეყვარებული გოგო

„ერთ ლამაზ სოფელში ერთი პატარა სკოლა იყო. ამ სკოლაში უთვალავი ბავშვი სწავლობდა. მათ შორის იყო ისიც — პატარა, ბუნჩულა ბიჭი, რომელიც განუწყვეტლივ თვალებს აფახულებდა. მის კლასში ერთი პატარა, ლურჯთვალა გოგონა სწავლობდა. უყვარდათ გოგოსა და ბიჭს ერთმანეთი ფარულად, ისე ჩუმად, რომ საკუთარ თავსაც არ უმხელდნენ. წლები გადიოდა, გრძნობა კი გაუმხელელი რჩებოდა... ერთ დღესაც გოგონამ იფიქრა, რომ მისი თვალებფახულა უფლისწული მას დად აღიქვამდა და საკუთარ თავს მასზე ფიქრი აუკრძალა. ბიჭიც ზუსტად ასევე ფიქრობდა და საბოლოოდ, ერთმანეთზე შეყვარებული პატარები უნებურად, განუყრელ მეგობრებად იქცნენ. ერთ დღესაც, ბავშვურად, დაუფიქრებლად ხელები გაიჭრეს, სისხლი შეურიეს ერთმანეთს და და-ძმად გაფიცვის რიტუალიც შესრულდა... წლები გადიოდა, გრძნობა კი უფრო და უფრო დაუძლეველი ხდებოდა. ჰოდა, ერთ დღესაც იფეთქა ბიჭის გულიდან სიყვარულმა და გოგოს, წლობით დატყვევებული გრძნობის შესახებ გაუმხილა. გოგომ უთვალავ რამეზე იფიქრა და საბოლოოდ, ხელი ჰკრა ადამიანს, ვის სიყვარულზე ოცნებაშიც ღამეები უთენებია. ბიჭმა ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და გადაწყვიტა, სამშობლოსთვის მიეძღვნა თავი. 4-წლიან კონტრაქტს ხელი მოაწერა და ჯარში წავიდა. თან, გოგოს დაუბარა, ჯარში იმ იმედით მივდივარ, რომ იქ ვინმეს შემოვაკვდები და მოვისვენებო. წელინადზე მეტი ისე გავიდა, რომ ერთმანეთი არ უნახავთ. მერე ბედმა ისევ შეახვედრა ერთმანეთს. ახლა უკვე გოგო სთხოვდა ბიჭს სიყვარულს, ბიჭი კი ერთად ყოფნაზე უარს ამბობდა მიუხედავად იმისა, რომ მის გულში იმაზე უფრო მწვავედ ბობოქრობდა სიყვარულის ცეცხლი, ვიდრე ადრე... ასეა ახლაც. სევდიანი ზღაპრის გაგრძელებას თანდათან მოგწერთ. ჰო, მართლა, მე ახალი მგზავნელი ვარ, რკინის ლედი".

### ტვინი

„ერთხელ ჩემი დაქალი დედამ ბაზარში ძროხის ტვინის საყიდლად გაგზავნა. ის მივიდა და ხორცის გამყიდველს შეეკითხა: — ტვინი გაქვთო? გამყიდველმა ღიმილით უპასუხა: — ეჰ, შვილო, ტვინი რომ მქონდეს, აქ კი არ ვიდგებოდიო. ტოპოლინა".

### „რექსონა"

„ანტიპერსპირანტები ახალი გამოსული იყო. ჰოდა, გაიგო ბებიაჩემმა ამის შესახებ და იყიდა „რექსონა". მისმა დამ კი არ იცოდა, როგორ გამოეყენებინა. ერთხელ ბებო სამსახურში წავიდა, მისი და კი ჩვენთან მოდიოდა სტუმრად. გამოიპრანჭა და გადაწყვიტა, „რექსონა" წაესვა, მაგრამ სად? ჰოდა, მოვიდა ბებიკო ჩვენთან და მის ტანსაცმელს რაღაც ლაქები ჰქონდა. დეიდაჩემმა ჰკითხა: — „რა გისვია, დეიდ?" — მან კი უპასუხა: — ანტიპერსპირანტი გამოვიყენეო. თურმე, ბებიკოს „რექსონა" ტანსაცმლის გარედან წაუსვამს".

### ქუთეისური

„კაი ხალხს სიცოცხლე, სიმონ! აქანე მე რომ ვხედავ ქუთეისლების გზავნილებს, მიკვირს, რატომ არ ლაპარიკობენ სუფთა ქუთეისურათ? რაია, სიმონ, მე თუ ვლაპარიკობ, „გრეხია" თუ? ვარ ახლა თბი-

## „20-სანტიმეტრიანი სიყვარული“

„ჩემი დეიდაშვილი 9 წლისაა. ამას წინათ სკოლიდან დაბრუნებულმა ჩანთა რომ გახსნა, შიგ ასეთი სასიყვარულო წერილი იპოვა: „წინ, ჩემო გრძელთმიანო ანგელოზო, ძალიან მომწონს შენი ლურჯი თვალები და 20-სანტიმეტრიანი სახაზავი. შენი კლასელი, თაზო“. ნიკოლი“.

ლისში და დევიტანჯე ქალი, ამფერი არაფერი გამიგია, ჯერ რა სიცხეა, ღამე ფანჯარაზე თუ არ დავჯექი, გევიგუდები, ჰაერის უქონლობის გამო. მერე, ე მეტროა თუ რაცხაა, რა რჯულის ხალხი ამოდის, ვერ გეიგებ. კურსელებმა მითხრეს, შენ რომ იცი, ისე არ დეიწყო „გლახავიო“ (ვერ გევიგე, რატოა „გლახავი“, მეტროს ხელი თუ დოუქნიე გასაჩერებლად და ვაგონიდან ჩასულმა, დაქალს თუ უთხარი, შენი აღებულია, არ გედეიხადო-თქვა). ჰოდა, აგერ ახლა ვკითხულობდი „გზას“ და ვერ გავძელი, რომ არ მემეწერა. დამიბეჭდე, რაია, ნუ დამწყვიტავ გულს და ქუთეისში რომ ჩამოხვალ, მე ვიცი შენი პატივისცემა. ქე მიცნობენ ახლა საახლობლოში, მარა მაინც მივაწერ... ასინეთა“.

## ბეჰემოთები

„ჩემს ძმას ძაან სქელი ამხანაგი გოგო ჰყავდა. კარში გვერდულად შედიოდა, მაგრამ ხმა ჰქონდაააა... ჰოდა, მაგან და მისმა ბიძაშვილმა, რომელიც სისქით არანაკლებია, ბიჭები გაიცნეს ტელეფონით და შეხვედრა დათქვეს ქუთაისის ცენტრალურ პარკში, შადრევანთან. გოგონების ლოდინში დაქანცულ ბიჭებს თავს ორი „ბეჰემოთი“ წამოადგა და გაეცნო. იქ ამბავი იყო!.. ბიჭები წინ გარბოდნენ, „ბეჰემოთები“ მისდევდნენ. უკარება“.

## შეყვარებული წყვილი

„17 წლის რომ ვიყავი, ინგლისში წავედი 6 თვით სასწავლებლად. იქ ერთ ოჯახში ვიყავი და ყველას ძალიან მივეჩვიე. ისინიც ოჯახის წევრად მიმიჩნევდნენ. ერთხელ, მათ მეზობლად ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გადმოვიდა საცხოვრებლად. 1 კვირაში წვეულება გამართეს და ახლო მეზობლები დაპატიჟეს გასაცნობად, მათ შორის — მეც. ყველა აღნიშნავდა, რომ ულამაზესი წყვილი იყო და იმასაც ამბობდნენ, ერთმანეთი საოცრად უყვართო. ამ კაცმა ცოლის სადღეგრძელო ულამაზესი სიტყვებით თქვა, ბოლოს კი დააყოლა: ჩემს მეუღლეს 1 კვირაში დაბადების დღე აქვს და არ ვიცი, რა ვაჩუქოო. ზოგმა რა უთხრა და ზოგმა — რა. მე კი ვთქვი (რა მალაპარაკებდა?!), — საკუთარი მანქანა აჩუქეთ-მეთქი. ცოლს ჩემი წინადადება ძალიან მოეწონა, ნიკმა კი (ქმარმა) თქვა, — ჯენიმ კარგად ტარება არ იცის და მანქანას ვერ ვუყიდიო. ჯენიმ ალერსიანად უპასუხა, — მერე რა, ძვირფასო, მიყიდე და ვისწავლიო. ნიკი უარზე იყო. ჰოდა, ჯენიმ დიდ ბროლის ვაზას წამოავლო ხელი და ნიკს ფეხებთან დაულეწა. მერე თეთრი მარმარილოს ქანდაკებას გამოუყვანა წირვა. თან ნიკს ეკითხებოდა, — ხომ მიყიდიო? ბოლოს, დიდ, ანტიკვარულ ბოკალებს რომ მიადგა, ნიკმა უთხრა, — კი, შეიძლება გიყიდო კიდეცო. ესეც იდეალური წყვილიი! ენი“.

## ქუდის ქურდი

„ერთი ჩემი ნაცნობი რუსეთში სწავლობს. ერთხელ ჩამოვიდა და მოდური ქუდი ეხურა. ბებიამისმა ჰკითხა, — სა იყო შვილო, მაგიო? — სა და, რომ იცოდე, მაგ ქუდი „გუჩისაოო“. — მერე, ბებია, რომ გამოართვი და წამოი აქანე, აღარ უნდა დაუბრუნოო?.. აბეზარა“.

## ტოფუნა

„ერთ ბიჭს ტოფუნას ეძახიან. დავინტერესდი, რატომ შეარქვეს ეს სახელი და მისი ამბავიც გავიგე. ნუ, ეს ბიჭი თბილისური ვოიაჟის მერე, „გასვეტებული“ დაბრუნდა სოფელში. სულ „ტო“-ებით ლაპარაკობდა თურმე. ჰოდა, ერთხელ ნეხვში ჩაუდგამს ფეხი და გაოცებულს წამოუძახია: — ვა, ტო, ფუნა?! იმის მერე სოფელში ტოფუნას ეძახიან. გაკოცეთ ყველას. ჩუპი“.

## ნატვრა

„საავადმყოფოში რომ ვიწექი, პურის ქარხნიდან მოწამლული მუშები მოიყვანეს. ქარხნის დირექტორმა ცხელ-ცხელი პურები მოუტანა მედპერსონალს. ერთმა სანიტარმა, რომელსაც ბადურაში ცხელი პურები ეწყო, ალალად თქვა: — ნეტავ, ხვალ ხორცკომბინატიდან მოიყვანდნენ ვინმესო!.. ოლეგარიო“.

*„გზავნილების“ მომდევნო ნომრისთვის არაფრით შეგზღუდავთ — თავისუფალ თემას ვაცხადებ. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com. მიამბეთ ნებისმიერი საინტერესო ამბავი (უმჯობესია, სახალისო). „მოკლე ჩართვის“ კითხვა კი ასეთია — როგორ მოსაწვევს გავუგზავნიდი პრეზიდენტს, ჩემთან დასასვენებლად რომ ჩამოსულიყო? ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.*

## შეწყვეტილი ზღაპარი

„გამარჯობა მარი, ზღაპარი უნდა გიამბო: ერთი წლის წინ, ერთმა მთიულმა კაცმა თქვენი ჟურნალის მეშვეობით ერთი კარგი გოგო გაიცნო. იყო მიწერ-მოწერა მესიჯებით, მაგრამ ვინაიდან ის კაცი შორს ცხოვრობდა, სხვა ქვეყანაში, ვერ მოახერხეს შეხვედრა. მერე გოგოს უბედურება შეემთხვა, ახლობელი ადამიანი დაკარგა. თითქმის იმავე დროს კაცსაც ცუდი ამბავი დაემართა: უცხო მხარეში არავინ ჰყავდა გულშემატკივარი და ცუდი ადამიანების გამოისობით, ერთ ცუდ ადგილას ამოყო თავი. კაცს გოგო ძალიან ენატრებოდა, მაგრამ ყველა კოორდინატი, რომელიც გოგოსთან აკავშირებდა, დაკარგა. მერე კაცი გათავისუფლდა და ისევ იმ ქვეყანაში დარჩა. ცოტა მოლინარდა კიდეც ყოველთვის იმ გოგოზე ფიქრობდა და სხვა გამოსავალი რომ ვერ მონახა, მესიჯი გაგზავნა ისევ იმ ჟურნალში... აი, აქ წყდება ეს ზღაპარი. მარი, თუ მოიხმარები, იქნებ ერთად დავამთავროთ. ც. მთიული“.



# მხოლოდ 18 წლის გოგონებისთვის!

## ძეცნიერება სამყაროს ამოწყობის შესახებ

**ძვირფასო გოგონა, ჩვენ მიერ მოცემული რჩევები გასწავლის... უჰ, უკაცრავად, კი არ გასწავლის (შენ ხომ ასეთი ჭკვიანი და ყველაფრის მცოდნე ხარ), დაგეხმარება სამყაროს უკეთ შეცნობაში.**

18 წლის ასაკში, რა თქმა უნდა, უკვე იცი — სამყაროს მრავალმილიონიანი წლის განმავლობაში არსებობა მხოლოდ და მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპი იყო საიმისოდ, რომ შენ დაბადებულიყავი. ახლა ეს სამყარო შენია! შენია ეს „საცოდავი" პლანეტა, რომლისთვისაც შენ ძალზე მშვენიერი ხარ და — ეს სამყაროც, რომელიც შენს ლამაზ ფეხებქვეშაა გაგებული და მზადაა შენი გულის მოსაგებად.

სამყარო ისეთივე მარტივია, როგორიც მაღაზიაში სიგარეტის შეძენა. ისეთივე უბრალოა, როგორიც შენი დაქალების კაბები და ისეთივე უწესრიგო და უგემოვნო, როგორიც — შენი მეგობრების ვარცხნილობა. სამყაროში ცხოვრობ შენ და დანარჩენი ადამიანები.

ადამიანები იყოფიან:

ა) ქალები;

ბ) მამაკაცები.

როგორც წესი, ქალები უფრო ჭკვიანები და ამტანები არიან, ვიდრე მამაკაცები. ეს საყოველთაოდ ცნობილია. თუ ვინმეს ამ თემაზე კამათის სურვილი გაუჩნდება, წავიდეს, იმშობიაროს და მერე იკამათოს.

სამყაროში ქალები იყოფიან:

ა) შენ;

ბ) უშნოები;

გ) უშნო, უგემოვნო, „სტერვა" და თავზე დიდი წარმოდგენის მქონენი.

უშნო ქალები კიდევ რამდენიმე ქვეჯგუფად იყოფიან: მეგობრები, უცნობები და შოუბიზნესის წარმომადგენლები (მოდელები და ვიღაც-ვიღაცები, „მსუქანა ჯენიფერ ლოპესები" და „ბებერი ანჯელინა ჯოლები"). მეგობრები — ეს ის უშნო ქალები არიან, ვინც იციან, რომ შენ ასეთი ლამაზი და ჭკვიანი ხარ; უცნობები კი — ის უშნო ქალები, ვინც თავს ისე იჭერენ, ვითომ ვერ გამჩნევენ, სინამდვილეში კი შურით სკდებიან; ვარსკვლავები — ულამაზო ქალები, რომლებიც არაფერს წარმოადგენენ და გაუგებარია, რატომაა მათ გარშემო ასეთი ხმაური ატეხილი. უშნო ქალების — ვარსკვლავების არსებობა იმაზე მეტყველებს, რომ მასმედიის წარმომადგენლები გაუნათლებლები არიან, რადგან ულამაზო ქალებს გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე შენ.

თავის თავზე დიდი წარმოდგენის მქონე უშნო ქალები დანარჩენი უშნოებისგან იმით განსხვავდებიან, რომ ფიქრობენ, შენზე ლამაზები და ჭკვიანები არიან... დანარჩენებს ეს სასაცილოდ არ ჰყოფნით. ერთი სიტყვით, ქალებზე ლაპარაკს თავი დავანებოთ (ღირდეს მაინც, ამდენ ყურადღებად) და მამაკაცებზე გადავიდეთ.

არსებობენ 2 სახის მამაკაცები — ისინი, ვინც შენს სიმპათიას იმსახურებენ და დანარჩენი უბედური არსებები. ამ 2 სახეობას ერთი რამ აერთიანებს — ყველას შენ უყვარხარ და შენ ამაში დარწმუნებული ხარ.

თუ მამაკაცი გეტყვის: „დილა მშვიდობისა", მას შენთან სექსი უნდა.

თუ მამაკაცი გეუბნება: „პატრულის თანამშრომელი, ესა და ეს, გთხოვთ, წარმოადგინოთ მართვის მოწმობა", — ის მზადაა, მთელი თავისი „შინაგანი ორგანო" გაყიდოს, ოღონდ შენ ჩაგეხუტოს.

თუ მამაკაცი (რომელიც გაუგებრობის გამო შენი უფროსი აღმოჩნდა) გიყვირის შეუსრულებელი სამუშაოს გამო, სამსახურიდან გათავისუფლებს და გეუბნება, რომ იმ ტერიტორიაზე კვლავ გამოჩენის შემთხვევაში, მოგკლავს — ის შურს იძიებს შენზე, რადგან მისი ყოველდღიური „დილა მშვიდობისას" მიუხედავად, არ დანებდი.

თუ რაღაც მომენტში შენიშნავ, რომ არც ერთი მამაკაცი ვნებიანი მზერით არ გიყურებს და გამოლაპარაკებას არ ცდილობს, ნებისმიერ მათგანს ჰკითხე, რა დროა. ნებისმიერ პასუხს მოუსმინე და უთხარი, რომ მისნაირი სექსუალურად „აზაბოჩენი" კაცებისგან დაიღალე.

თუ გარშემო არც ერთი მამაკაცი არ არის, მაშინ „სკაიპში" უცნობი მამაკაცი მოძებნე, მიესალმე და ნებისმიერი პასუხის მიღების შემთხვევაში მოუყევი, რას ფიქრობ მანიაკების შესახებ. თუ გინდა, მხოლოდ მიესალმე და აღარაფერი მისწერო. იყოს და იტანჯოს, საზიზღარი მანიაკი!

მამაკაცებს შორის გამონაკლისებიც არიან. მაგალითად, ჯონი დეპი. ის ისეთი საყვარელია, ამ მანიაკებს კი არ ჰგავს... ყველამ, თვით ჯონი დეპმაც კი იცის, რომ თუ შეგვხდება, გაგაღმერთებს და სამუდამოდ შენთან დარჩება.

არსებობს კიდევ რამდენიმე ჭეშმარიტება:

ა) შენ ყოველთვის ყველაფერი ყველაზე უკეთ იცი და ვინც შენთან შეკამათებას გაბედავს, ნამდვილი დეგენერატია!

ბ) ბავშვობაში ძალიან ცელქი იყავი.

გ) ამ ქვეყანაში ცხოვრება არ გსურს, რადგან ბევრი შურიანი და ბოროტი ადამიანია. მალე ჯონი დეპი მოვა და იმ ქვეყანაში წაგიყვანს, სადაც მხოლოდ კარგი ადამიანები ცხოვრობენ.

დ) ყველაზე მაგარი მუსიკალური გემოვნება გაქვს. შენს ფლეიერში ჩაწერილია რობი უილიამსი, დიჯეი ტესტო და რამშტეინი, ლექს-სენი და ქრისტინე იმედაძე. ეს ძალიან მოდურია და ვინც ასე არ ფიქრობს, ნამდვილი სოფლელია.

ე) ყველა მიმტანი სულელია. სთხოვ, რომ რაიმე გემრიელი მოგიტანონ და ალუბლის წვენი მოაქვთ. მათ არ იციან, რომ ყველაზე გემრიელი ნაყინია. არა უშავს, აი, მოვა ჯონი დეპი და...

ვ) როცა დასასვენებლად ზღვაზე მიდიხარ და შენს მაგარ საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი ირუჯები, პლაჟზე „დაყრილი" მამაკაცები ფეხზე ვერ დგებიან, რადგან ცოლებიც გვერდით ჰყავთ. არადა, ყველა მხოლოდ შენ გიყურებს, აღფრთოვანებული.

ზ) თუ სადმე სროლის ხმას გაიგონებ, ეს იმას ნიშნავს, რომ შენი გულისთვის ჩხუბობენ და მამაკაცებმა ერთმანეთი დახოცეს.

აი, ეს არის ის, რაც სამყაროს შესახებ გვინდოდა, გვეთქვა...

**ყარგად დააკვირდით ფოტოს რამდენიმე წუთის განმავლობაში და შემდეგ, რაც შეიძლება სწრაფად, ხმამაღლა გაეცი პასუხები დასმულ კითხვებს. შედეგით არა მარტო კმაყოფილი, არამედ გაოცებული დარჩები.**

1. რას უდრის 2+3?
2. რას უდრის 100:5?
3. დაასახელე ქართველი ისტორიული პიროვნება.
4. დაასახელე შინაური ფრინველი.
5. დაასახელე ხილი.
6. დაასახელე სახის რომელიმე ორგანო.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, შენ კითხვებზე ასეთი პასუხი გაეცი:

1. 5
2. 20
3. გიორგი სააკაძე.
4. ქათამი.
5. ვაშლი.
6. ცხვირი.

თუ ასე არ არის, მაშინ შენ ადამიანების იმ 2%-ს მიეკუთვნები, რომლებიც „სხვანაირად“, „არასტანდარტულად“ აზროვნებენ. ადამიანების 98% ამ ტესტს ზუსტად იმ პასუხებს სცემს, რომელიც მე შემოგთავაზე. თუ არ გჯერა, შენს ახლობლებზე შეამოწმე. მაგრამ... მიუხედავად იმისა, რომ „არასტანდარტულად“ აზროვნებ, მაინც გაგიჩნდა კითხვა: რა შუაშია აქ სურათი? არაფერ შუაშია, უბრალოდ, საზაფხულო განწყობისთვის შემოგთავაზე!

**იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.**

**ყურადღება!**

**გთხოვთ, ნუ ეცდებით საყვარლისა თუ სექსუალური პარტნიორის მოძებნას ამ რუბრიკის მეშვეობით. ამ რუბრიკაში მხოლოდ დაოჯახების მსურველთა განცხადებები გამოქვეყნდება.**

## ქალები



1. ვარ 27 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცს. ვარ თბილი და ყურადღებიანი.

2. ვარ მაღალი, ლამაზი. თავს არ ვიქებ. ქებას ნახვა სჯობია. მინდა, ოჯახის შექმნა. 180 სმ სიმაღლის ვარ. მატერიალურად უზრუნველყოფილი მამაკაცი გამომეხმაუროს. კაიფისთვის ნუ შეწუხდებით.

3. მყავს 36 წლის მეგობარი გოგო, ძალიან საყვარელი, საკმაოდ განათლებული, დასაქმებული. გთხოვთ, გამოეხმაუროთ, მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით.

4. სხვათა შორის, ეს ჩემი საყვარელი ჟურნალია და პირველი მესიჯია, თქვენთან. მიყვარხარ, მარი. ვეხმაურები 26-ე მესიჯის ავტორს, რადგან მეც ასეთივე მეგობარი მჭირდება. ნინი.

5. ვეხმაურები „გზა“ №28, მე-13 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი. გმადლობთ. ნიკო, გელოდებით.

6. ვეხმაურები „გზა“ №28, მე-13 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი. გმადლობთ, ნიკო.

7. ვარ 21 წლის, 168 სმ სიმაღლის, სუსტი, ნორმალური გარეგნობის გოგონა. გამომეხმაუროს 30 წლამდე ასაკის, სიმპათიური მამაკაცი.

8. ვარ 26 წლის, „რუსული აღნაგობის“. თუ სურვილი გაქვთ, დამიკავშირდით. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ.

9. ვარ მწვანეთვალება, გძელთმიანი, 24 წლის, თბილი და მოსიყვარულე გოგო. შემიძლია ნამდვილი სიყვარული. გამომეხმაუროს 25-35 წლის მამაკაცი. მაია.

10. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 48 წლამდე ასაკის მამაკაცს. ვარ 39 წლის, გასათხოვარი, კარგი წარსულით, სამსახურით და ბინით. ვარ იმერელი.

11. ვარ 36 წლის, ჩვეულებრივი გარეგნობის ქალიშვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ მამაკაცს. დანარჩენი — პირადად.

12. ვარ 25 წლის, განათხოვარი, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანი. მსურს გავიცნო სერიოზული, საქმიანი მამაკაცი.

13. ვარ 36 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, გაუთხოვარი, წმინდა წარსულით, სულით წმინდა ქალბატონი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, სულით წმინდა ადამიანს.

14. გავიცნობ 50-55 წლამდე ასაკის მამაკაცს, თბილსა და ყურადღებიანს. მსურს შევქმნა წყნარი და ლამაზი ოჯახი.

## მამაკაცები



15. მინდა ცოლის მოყვანა და აქედან წასვლა, საერთოდ. იმ ქალმა დამიმესიჯოს, ვინც რეალურად შემხვდება. ასაკს აზრი არ აქვს. მთავარია, რეალური შეხვედრა.

16. ვარ მაღალი, სიმპათიური, განქორწინებული მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს სერიოზული, დასაქმებული მანდილოსანი. გასართობად ნუ შემაწუხებთ.

17. ვარ 17 წლის. 180 სმ სიმაღლის. მინდა გავიცნო 24-30 წლის გოგონა, ოჯახის შექმნის მიზნით, რა თქმა უნდა, ბინიანი. ვისაც სურვილი აქვს, გამომეხმაუროს. მათ შორის პუტკუნებიც!

*შემოქმედების წყაროს მშვენიერად ყოველ ლოდი.*

18. ვისაც უნდა ოჯახის შექმნა, ამ ნომერზე დამიმესიჯოს. გია.

19. გამომეხმაუროს 30-ე ნომრის მე-3 მესიჯის ავტორი. მეგრელი ზურა.

20. თუ შეგიძლიათ, 30-ე ნომრიდან მე-4 მესიჯის ავტორთან დამაკავშიროთ, ძალიან დიდი მადლობელი დაგრჩებით.

21. ვარ სამეგრელოდან, 37 წლის, ქორწინებაში არ ვარ ნამყოფი, საკმაოდ სიმპათიური, ბუნებით მშვიდი და ერთგული. მინდა კეთილი, თბილი, სუფთა წარსულის მქონე მანდილოსანთან ოჯახის შექმნა.

22. გავიცნობდი მხოლოდ პარიჟანკას.

23. გავიცნობ 25 წლამდე გოგოს, აუცილებლად ლამაზს და პატიოსანს, ვინც არ ეძებს გათხოვებას ფულსა და მანქანაზე და უნდა წესიერი ოჯახის შექმნა. ვარ 184/84.27.

24. ვარ 22 წლის, შავგვრემანი ბიჭი, 176/68, დასაქმებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 22 წლამდე ასაკის, თბილისელ გოგოს.

## ვაძლევ



25. 1989 წელს, წაღვერში, ბანაკში იყო ხაშურელი ბიჭი. მას არ ჰყავდა დედა. ძალიან შემიყვარა, დედის ნაჩუქარ სამკაულსაც კი მჩუქნიდა. მას ხვიჩა ერქვა. იქნებ ვახსოვარ?

## ვეძებ



• შენ ბავშვი ხარ, გაიზრდები, სურვილები აგიხდება. დღეს გიყვარვარ ხვალ კი, კარგო, შენი გული გასხვისდება.

• თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე უკვე მეცინება ამ კამათზე. გასაყოფი რა გაქვთ ნეტავ? თუმცა... არა! იჩხუბეთ, ასე უფრო საინტერესოა, ძვლივს გამოცოცხლდა აქაურობა. :-)ეგოისტკა.

• ორი ყვავილი, ორი სიცოცხლე, ღმერთო მიცოცხლე ჩემი სიცოცხლე. შენი ტუჩები ჩემთვის ხატია, ხათის კოცნა კი ჩემი ვალია. კამელია, მე უფრო მიყვარხარ, სიცოცხლევ. გრუზინკა.

• ლექსებს შენ წერო? აბა, გალაკტიონი მკვდარია, ის რომ წერდეს. :) გოგა, თელაველი ხარ? კამელია, შექებისთვის მადლობა. ჩორი, უსაყვარლესი ხარ. ლიმონ, მიყვარხარ! მის რეალი.

• ლიმონა, ფრიად განათლებულ დედიკოს არც შვილი ჰყავს დაუნი. აი, მაგ ჭორის მომწოდებელი კი მართლა პლაგიატია. ერთხელ ვუთხარი, ცანცარა გოგოები რომ მოვიშორო, დედას ვალაპარაკებ-მეთქი. ვინც გამლანძღა, ვერავინ დაასაბუთა, რა დავაშავე. ბინძურ ჭორიკანებთან ბრძოლის უფლებას თავს არ მივცემ. მიზანს მიაღწიეთ! გემშვიდობებით, pk! განძის მაძიებელი.

• ამერიკანკა ნონა, როგორა ხარ? შენი იუბილე მოდის, ნონ, გაკოცეე... საქართველო არ დაივიწყო!!! პრივეტები პაკოს! მაი.

• ვიღაცებს ზედმეტები მოსდით. ტვინი თქვენ გაქვთ სარემონტო, მის რეალს კი არა. ლიკა, გულზე არ მოიხვედრო ვიღაცების ნაბოდვარი. მაგარი იყო შენი მესიჯები. გოგა.

• ადიდასი ვიცანიოო... პრინცესას მესიჯზე მაგრად ვიცინე, 9717 რომ მოიკითხა. პრინცესები კახეთშიც არიან. პრინცო, სად „წადი“? დამიმესიჯე. გაკოცე ოჩენოვოო! კახელო-616.

• ლიმონ, დაიკო, ცდები, თუ გგონია, რომ მაგ მიკერძოებულმა საბრალდებო სიტყვამ ღირსება შეგმატა. კოლორიტს როგორ უწოდებ მას, ვინც ქართულ სიტყვას ამახინჯებს (მაგ: ინტრიგნული)? ზოგიერთი დილეტანტისგან განსხვავებით, განძის მაძიებელს სხვა მგზავნელებისთვის არ უთხოვია, დამიცავითო. მიაჩნდა, რომ დასაცავი არაფერი ჰქონდა ჩადენილი. ქვებს კი უცოდველები ისვრიან.

• რა საინტერესოა, რაღა ახლა გამოჩნდით პირანია, მის ამბიცია... აქამდე სად იყავით? თუ მის რეალის თათხვით გინდათ, რეიტინგი აიმაღლოთ? მეტი ვერაფერი მოიფიქრეთ? კასი.

• ჯეჯეს იუმორით მოხიბლული კახელო-616 ვარ, შენი გაცნობა მინდა, თუ „ნო პრობლემ“. მოკითხვა მის რეალს, ლიმონას, კიკოს, აპოლონს, სალომეს, გუ-ათენს, ზურას, ბუბას.

• დავაფასებდი ყველაფერს არა ღირებულების, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა გააჩნია მას! ვიძინებდი ცოტას, ვიოცნებებდი მეტს! ღმერთო, თუ გული მექნებოდა, მთელ ჩემს სიძულვილს სიტყვებით გადავიტანდი ყინულზე და დაველოდებოდი მზის ამოსვლას! დაუკვირდით! ღმერთო ჩემო, მე რომ სულ მოკლე სიცოცხლე მქონოდა, არ გავიყვანდი არც ერთ დღეს ისე, რომ ხალხისთვის არ მეთქვა, თუ როგორ მიყვარს! დავარწმუნებდი ყოველ ქალსა თუ კაცს, რომ თითოეული მათგანი ჩემთვის განსაკუთრებულია და ვიცხოვრებდი სიყვარულზე შეყვარებული... ადამიანებს დავუმტკიცებდი, თუ რაოდენ ცდებიან, ფიქრობენ რა, რომ შეყვარება აღარ ძალუძთ, როდესაც ბერდებიან. ისინი მაშინ ბერდებიან, როდესაც კარგავენ შეყვარების უნარს. ყოველთვის თქვი ის, რასაც გრძნობ და აკეთე ის, რასაც ფიქრობ! რომ ვიცოდე, რომ ეს ჩვენი უკანასკნელი წუთებია, გეტყოდი: მიყვარხარ! თითქოს არ ვიყო დარწმუნებული, რომ შენ ეს უკვე იცი, ხვალინდელი დღე არავის აქვს გარანტირებული. ახალგაზრდას თუ მოხუცს, შეიძლება დღეს უკანასკნელად ხედავ. ამიტომ ნუღარ დაელოდები მეტს, იცხოვრე დღევანდელი დღით, რამეთუ არ იცი, ხვალინდელი დღე იქნება თუ არა! მერე ნამდვილად დაგწყდება გული... აჩვენე შენს მეგობრებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თითოეული მათგანი შენთვის! გაბრიელ გარსია მარკესი. კარგად გაიაზრეთ ეს ყოველივე და ნუღარ გააგრძელებთ ამ უაზრო ჩხუბს... ცუდად ნუ გამიგებთ, უბრალოდ, უკვე მეტისმეტია, ამდენი ლანძღვა. დამიბრუნეთ ჩემი საყვარელი ჟურნალიიიიი!!! :(( მეგობრული და სიყვარულით სავსეეეეე!!! :( დამიბრუნეთ! მე ის ძალიან მენატრება... :(( პატარა მავნე.

• მაესტრო, განძის მაძიებელო, აბეზარავ, დიდი მადლობა, მოლოცვისთვის. გრუზინკა, დეიდიკო, გმადლობ, ახლა ჩემ გვერდით რომ ხარ. მიყვარხარ! ლუნა.

• ძალიან ლამაზია სურამი, ლუნა მართლა ანგელოზია, მისი ოჯახის წევრები კი

ბრილიანტი და მე გამიმართლა. ჭირიან ზაზას კი მადლობა, დახმარებისთვის. გრუზინკა.

• ჯეჯე, შენს დაბრუნებას გაუმარჯოოოს! :)) მაზოხისტკა, გენაცვალე! ისა და, ბაო, შენ რომ ჩემი ცხოვრება ხარ, იცოდი? :) მიყვარხარ, გარეკვგაჭედვამდე. :) პატარა მავნე.

• შენ გეუბნები, კავალ, რა გინდა პარიჟანკასგან? ან კიდევ ვის გულისხმობ, მისნაირებში? დაგიშავა რამე პარიჟანკამ? ზედმეტების გარეშე მიპასუხე. აქ აგრესიით ნუ მოხვალ.

• ჯავრი არ ვჭამო მტრისაო, ამბობ. მეც გეტყვი: იყავ კეთილი სტუმარი ჩვენი და გიმეგობრებთ. მტრის დახვედრაც ვიცით და მოყვრის დაფასებაც. შენ მიმართ ნათქვამი ეს სიტყვა სხვამაც სწორად გაიგოს და ნაცვლად სიძულვილისა, სიყვარული ვთესოთ, ერთმანეთს სიყვარულში გავეჯიბროთ და არა — მტრობაში. შეწირული.

• 9717, აპოლონი, მის რეალი, კახელი სალომე, ბალი, კახელო616 და სხვა ყველა მგზავნელი მაგარია. მის რეალ, მაგარი ხარ. გაიხარე! იარმორკელი.

• კახელო616, სანამ კუსავით ფეხს გამოყოფ, „ინტრიგნულების“ და „თელავის სიამაყის“ დასაცავად და მე მახსენებ, კბილები „ლაკალუტით“ გამოიხეხე, შე მართლა შხამიანო.

• მის რეალ, რად მალავ, რომ „ბალი“ შენი დაა? გოგა, რეზერვისტი, მიხო და კასი რაღა შენი გაჭირვების დროს იღებენ სტარტს? ნუ გვაბოლებ და გეყოფა, გაჭედვა. მის ამბიცია.

• უცნობო, სიამოვნებით გაგიცნობ. როგორ უნდა დაგიკავშირდე? არც ერთ მგზავნელს არ ვიცნობ. ჩემი ნომერი რომ გაგეგო, კარგი იქნებოდა. ნიკი მაინც მიგეწერა?! გაკოცე, ცირა.

• შენ სხვა ხარ, შენი დარდი ვინ არის? შენ ზღვა ხარ, შენ ხარ მდინარე, იასამანი სულია ჩემი, შენ ხარ სული ჩემი, იასამანი. იასამანი.

• განძის მაძიებელო, მე, შენ და გრუზინკამ რომ ვიცით, ე, იმას გილოცავთ. გაფასებთ და მაგრად გვიყვარხარ. გკოცნით, შენი დაიკო ლუნა და გრუზინკა.

• კამელია, გაიხარე, ძვირფასო. დიდხანს უნდა იცოცხლო. იმედია, გაგიცნობ ოდესმე. ლორელაი, ვჭამოთ, მა რაა! მავნე, დედი, მიყვარხარ. მაფიოზ, შენი ნომერი მეც რომ მინდა? ბაო-ბაო.

• ბოხო, ღმერთი სამობითაა და კიდევ გთხოვ, როგორმე დამიკავშირდი. ნიკოლს და მაესტროს დიდი მადლობა, ასეთი კარგები რომ ხართ. 9717-ს: შენი ნიკი დაიბრუნე, გთხოვ. გრუზინკა.

• ჯეჯე, შენს გზავნილზე გამეღიმა კი არა, მაგრად ვიცინე. ასეთი ორიგინალური ადამიანი რომ ხარ, იმიტომ მომწონხარ. განძის მაძიებელო, გმადლობ, შენც გაიხარე. იასამანი.

• უსამართლობამ პიკს მიაღწია, სევდა აქციეთ ჩემი მხლებელი და ვუშვებ ფარდას და ვხურავ კარებს, დღეიდან, განძის მაძიებელი! მარი, მიყვარხარ და მაპატიე.

• როგორ ხართ? მე კარგად. ახლა ქობულეთში ვარ. მინდა ყველა დიტო ლაგვილავას (ვარსკვლავების აკადემიის გამარჯვებულის) ფანს ვუთხრა: თუ გინდათ, მისი ნახვა, აქ ჩამოდით.

• ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ჯესიკა ალბას, ოღონდ არ დამიწყოს მერე: მაისურზე გრძელი თმა საიდანო? პომადა ვიღამ მოგაცხოო? შენ რა, მღალატობ, დათოო?

• გაუმარჯოს „გზას“. მე კასი ვარ. მინდა მის რეალის გაცნობა. ესპანეთის და კასილასის ფანი ვარ მეც. უმაგრესი ხარ და იმედი მაქვს, ვიმეგობრებთ. მის ამბიცია კი წყნარად, o.k?

• როგორ ხართ, ხალხო? ზოგი მიდის, ზოგი ჩხუბობს და იბუტება. რა გაქვთ სადავო და საჩხუბარი, ქართველებო? არ გმოძღვრავთ, უბრალოდ, დაფიქრდით, გთხოვთ. გკოცნით და გეხუტებით. ცირა.

• პრივეტები, როგორ ხართ, სიხარულებო? აი, მეც დავბრუნდი და აწი სულ თქვენთან ვეგდები. არ გამეცნობა ვინმე? განძის მაძიებელო, გაკოცე! მპა! მპა! crazy girl.

• თავად მეგრელი ვარ. ცნობილი მგზავნელი არ ვარ, მაგრამ ხშირად ვკითხულობ „გზას“. რას გადაეკიდეთ მის რეალს? რა თქვენი საქმეა, რას დაწერს? მე მის იუმორს ვაფასებ. დათო.

• თელავის კოლორიტია, ეთამაშება რითმებსა, მის რეალ, შენსას მიაქექ, ყურს ნუ ათხოვებ, გიჟებსა. დაიოკეთ ეგ ბოღმა და შეეშვით მის რეალს, უსაყვარლესია. რომანტიკოსი გ.ს.

• იარმორკელ, ახალი ხარ? გაიხარე, მაგრად წერ. პარიჟანკა, დაბრუნდი, რაა. მის რეალ, რა უნდათ შენგან? გაატარე, რა! მაგარი იყო „ხვლიკური“ და „რუმიანა“, მაგრად ვიცინე.

• ლორელაი, სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის ყველანი კარგები ხართ. განსაკუთრებით, შენ. კავალა, გატყობ, მეგობრის სითბო გაკლია. იქნებ დავმეგობრდეთ? დამიკავშირდი. მგზავრი.

• ნინი, თქვენი ამბავი ერთ ადამიანს მაგონებს, რომელიც 10 თვის წინ გავიცანი. შემთხვევით ის ნინი ხომ არ ხართ? თუ ის ხართ, შემეხმიანეთ, გელოდებით. მგზავრი.

• ლუნა, ათენი 23, სად დამეკარგეთ? ბაოს მოკითხვა. კოკო.

• მის რეალ, ვენაცვალე მარის, შენი დოსიე რომ გააიასნა. რაო, ლიმონა მოგვინდაო დამცველადო? მერეო, ლიმონამ არ იცისო, რომ მიამიტ მგზავნელებს იყენებო? ეს კახელო616 ვინღაა? ლიმონ, არც გაიასნებული ქურდობა გიხდება, არც მოსამართლის მანტია. მაგდენმა პადხალიმურმა სამადლობელმა არ დაგითროთ მის რეალი. ჩვენც გვადღეგრძელეთ, სასმელს ვიტანთ!

• მორჩილ უმრავლესობას ლიდერად მის რეალი მოევლინა და „ინტრიგნული“ მოწოდებებით საღად მოაზროვნე უმცირესობას შეუტიეს. ეეჰ, ლიმონ, შენც, ბრუტუს? მაგარი ანტისანიტარიაა!



*ბუზისგან სჭილო შიმ შექმნა, მასზე დაჭიმნიგა სასამართლა.*

• მოხუცო, რომ გთხოვო, არ დაბრუნდები? დაბრუნდი, რაა? ქეთუსია.

• გაიხარე, იასამანო, სპასიბა მოკითხვისთვის. ეე, კრისტალივით ბიჭი კი ვარ, მაგრამ ახლა ჩეხური ლუდი რომაა „კრისტალი“, იმას მეტ პატივს სცემენ, ვიდრე ჩემს იუმორს.

• მოკითხვა ჩემგანაც, იასამანო. ასევე მოვიკითხავ მანაველსაც. როგორ ხარ, მანაველო, ხომ კარგად? მართალია, პურმარილი დაგვიძველდა, მაგრამ ეგ არაფერი, მთავარია, ღვინო არ დაგვიძმარდეს, მიმიხედე. ასევე მოკითხვა ყველა ჯიგარ „გზაელს“, მარიამის თამადობით. ყველას გაგვიმარჯოს, გვესვას, გვეჭამოს და ერთმანეთი არ დაგვეჭამოს. ჯეჯე.

• ხალხო, განძის მაძიებელზე ვაბოდებ, მაგრად მევასება. :)ბავშვებო, ძაან საყვარლები ხართ. კანიბალკა, ლეო და განძის მაძიებელო, უმაგრესები ხართ. scorpion girl.

• დათუნია მიმართავს დედალ დათუნიას: იქნებ, უკეთესიც არის, რომ არ მიცნობ? რადგან უფრო დაიტანჯებოდი. p.s. მარ, თუ არ დაბეჭდო, შენ დაგიპადიეზდოს ნაღდმა დათვმა.

• გამაოცეთ, ხალხო, ასეთ თბილ მოლოცვებს არ ველოდი. უდიდესი მადლობა ყველას! მონარქო, შენც გილოცავ, მთელი გულით და ზღვა ბედნიერებას გისურვებ. მაესტრო, გმადლობთ. მიყვარხართ.

• რა გვისურვე, რას გვერჩოდი, ჩემო კარგო კავალაო? შიშისაგან მგონი უკვე, ძვლებში გამატარანაო. თელავსენაკს რომ გვიბომბავ, პუტინმა დაგავალაო? ერენიტა.

• ლუნა, ლექსისთვის მადლობა. მიყვარხარ, ჩემო ფერიავ. ჩემთვის მოლოცვის სურვილმა შენც წერა დაგაწყებინა? მიყვარხარ, ჩემო პოეტუნა გოგოვ, გაიხარე, მადლობა. გკოცნი.

• „მობილიზაცია“ და „გზავნილები“, 4-ევერ! I love „გზა“. მგზავნელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! მიყვარხართ ყველა. მარი, 4-ევერ! avrillavigne.

• რიჟა დაითირეს, გლდანში ჰყავთ. ამდენ უსამართლობას როგორ უნდა გაუძლოს ადამიანმა? დე, მენატრები. კოსა მაბრაზებს. დამირეკე რა, გატოსე.

• აგნესა, რამაზა, მუშთა, ჯაგარ ჯაგარიჩ, ჯიბე, ქავთარაძე, ვიტალი ჩოჩიევო, რიზა, სიკვდილა, რობერტა, სტურუა, თემო (აგნესა) მენატრებით. თამო.

• აგნეს, ყოველთვის მეუბნებოდი, მეშინია, არ დაგავიწყდეო და პირველი შენ დამივიწყე. ღმერთმა ხელი მოგიმართოს. შენი სონა.

• გრუზინკას, ოლეგარიოს, ნიკოლს, შეწირულს, მონარქს, მაესტროს, ლუნას უღრმესი მადლობა. 131-131-ო, მიყვარხარ. იასამანო, კიდევ ერთი კოცნა ჩემგან. მიყვარხართ!

• პირველად ვწერ, სურვილი კი მქონდა, მაგრამ რატომღაც უკან ვიხევდი. ვიცი, რომ ვერავინ დამეხმარება. დაიკო საბერძნეთში წავიდა, ბავშვი და დედა ჩემთან დატოვა.

• რაც მინდოდა, უკვე ყველაფერი ვთქვი. ასე რომ, აწი წერეთ და იკითხეთ, თქვენი მესიჯები ანუ მაგთის რეკლამასავით, ილაპარაკეთ, რამდენიც გინდათ. გასკდით გულზე, აესე! კავალა.

• გიო, ძალიან გთხოვ, გამაგებინე რამე, ის ნომერი, რომელზეც შენ დამირეკე, მე მაქვს. მენატრები და ვდარდობ შენზე, ჩემო საძაგელო. ლიას ვწერდი ხშირად და არაფერი იცოდა მანაც შენზე. ძალიან დარდობენ. თუ ჩემზე რამე გაინტერესებს, ლიამ ყველაფერი იცის და გიამბობს. რად ხარ ასეთი უღმერთო? არც მშობელი დედა და და გეცოდება. ჩემზე არ ვამბობ არაფერს, მე განა ვინ ვარ, მათთან შედარებით? რომ იცოდე, როგორ მენატრები ან როგორ ვდარდობდი შენზე, ალბათ შეგრცხვებოდა მაინც, რომ დღემდე ასე დაიკარგე. ეს სიყვარული არაა გიგლა, უღმერთო, უგულო გიგლა. შენი სულელი ნატო.

• გამარჯობა, ჩემო კარგო მარი, როგორ ხართ? მე სოფელში ვარ და თხილს ვკრეფ. მოვიკითხავ ყველა მგზავნელს. გაიხარეთ, გერასიმე.

• ვარდენ, გამოჩნდი? შენი პლუს-მინუსი მესიჯები აკლდა „გზას“. ეს კვირა ძალიან კარგად გავატარეთ ათენელმა მგზავნელებმა ზღვაზე. ერთმა გოგომ რა კარგად იყვინთავა ზღვაში... კაი იყო, მარილიანი წყლის ყლაპვა? ასეც მოგიხდება... გუ-ათენი.

• ბუბა, ბრატ, სად წახვედი? როგორ გამეპარე ბრატ, „იასუ“ მაინც გეთქვა. რა ხდება, ხომ ყველაფერი კარგადაა? გფარავდეს ღმერთი. ათენი-23.

• გენაცვალე მარი, ასეთი სამართლიანი რომ ხარ! არ გვარჩევ სიძველე-სიახლის მიხედვით და არც მესიჯების სიხშირე წყვეტს მათი გამოქვეყნების ბედს. უზომოდ თუ არ მიყვარხარ, იმდენი მაინც შემიძლია, შენი ნიჭი და პროფესიონალიზმი დავაფასო. მარ-ათენი.

## ინტერვიუ



• ზურა, მენატრები. ხომ არ დაგავიწყდი? თამო.

• ანტონ, მიყვარხარ. ვიცი, ძნელია ცოლ-შვილისგან შორს ყოფნა, მაგრამ დრო გავა, დაგვიბრუნდები და ჩვენთან იქნები სამუდამოდ. გთხოვ, ჩემი გჯეროდეს. მიყვარხარ. ნინო.

• მიშო, მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად. მენატრები ძალიან, ძალიან. გკოცნი ბევრს.

• ოთო, მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად. ჩემი ცხოვრება და ოცნება ხარ. მარი.

• კობა კობეშავიძეს: ჩემო ლამაზო ბიჭუნა, ძალიან მაგრად მიყვარხარ, ჩემს პატარა გულში მიყვარხარ, ჩემი სიცოცხლე ხარ და ჩემი ცხოვრება. ძალიან მენატრები. თამუნა.

• საძაგელო, კვირას ჩაგეხუტები. გპირდები, მალე შენი ვიქნები. სიხარულო, მენატრები. თავნება.

თუ გარშემო ყველა სიფიქრეა, შენ ცენტრალური სიფიქრე ყოფილხარ.

# ამბავი



• ქობულეთის სოფელ, ლეღვაში, ლალი ბერიანიძეს, 22 ივლისს დაბადების დღეს ვულოცავთ, და და დისშვილი, ბელა და ზაზა, რუსთავიდან.

• ჩემს გიჟ დაიკოს, ლალი ბერიანიძეს 22 ივლისს დაბადების დღეს ვულოცავ. გაიხარე და გამრავლდი, ძალიან მიყვარხარ.

• ქეთი წულაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ქეთი, ჯანმთელობა, ბედნიერება და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. შენი დაიკო.

• დაბადების დღეს გილოცავ, ლალი, გაიხარე მეგობარო, ჯიგარი ხარ! რას გისურვებ? ყოველივე საუკეთესოს. **p.s.** თამადობას რომ მტენი, მჩაგრავ, არა? დათო.

• ჩემო ძვირფასო მეგობარო მაიკო, მინდა, მარტყოფიდან მოგილოცო დაბადების დღე, 25 ივლისი და გისურვო ბედნიერება და ჯანმრთელობა, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. იცოცხლე დიდხანს, შენი ცხოვრების ყოველი დღე ყოფილიყოს ღვთის მადლით გაბრწყინებული და შენი ბედის ვარსკვლავს სულ ებრწყინოს ცის კამარაზე!

• ციკო, გილოცავთ მოგვიანებით დაბადების დღეს, 29 ივლისს! დაესწარი მრავალს, ბედნიერი და გახარებული. გვინდა, რომ ყოველთვის ბედნიერს გხედავდეთ. მშობლები, და-ძმა.

• საყვარელო კამელია, დაგვიანებით გილოცავ დაბადების დღეს, სიხარულს, სიყვარულს და დიდ ბედნიერებას გისურვებ, ცხოვრებაში. უფალი გფარავდეს მუდამ. იასამანი.

• ბაო, „დაბდღეს" გილოცავ, მრავალს დაესწარი. გისურვებ წარმატებებს პირადში. ღმერთი გფარავდეს. კოკო.

• დათო ლომაურს ვულოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს საყვარელ ოჯახთან და ჩვენთან ერთად. შენ წლები ვერაფერს დაგაკლებს.

• ათენში, კობა ხარაბაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 16 აგვისტოს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მეუღლით; შვილებისა და პატარა შვილიშვილის, ნინის კარგად ყოფნას. ღმერთმა გამრავლოს, ძამი. გფარავდეს უფალი. მზია ხარაბაძე. ძაკო მამასახლისი.

• თელავში, ქეთი ამონაშვილს დაბადების დღეს ულოცავს მონატრებული ბებია. გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას. ღმერთი იყოს შენი და შენი ოჯახის მფარველი.

• ციური მხეიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 11 აგვისტოს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, უფლის წყალობას, საყვარელ მეუღლესთან, შვილებთან, სიძეებთან და შვილიშვილთან ერთად. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. მზია ხარაბაძე.

• და-ძმას, ნათია მამასახლისს და ალეკო მამასახლისს ვულოცავთ 8 და 19 აგვისტოს, დაბადების დღეს. უფლის მადლი და ძალა გფარავდეთ. გისურვებთ სიხარულს და ბედნიერ მომავალს. მზია და ძაკო მამასახლისი.

• ჩემო ხათუნა, შვილო, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ სიყვარულს, სიხარულს და კარგად ყოფნას, შენს საყვარელ მეუღლესთან, ლაშასთან ერთად. დალოცვილი იყავით, უფლისგან. შენი დედიკო, მზია.

• ბაღდათში, თამუნა ჭუმბურიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 1 აგვისტოს. ყოველი დღე სიხარულით და სიყვარულით გამთბარი გაგითენოს ღმერთმა. გამრავლდი და იდღეგრძელე. მზია და ძაკო, დიდი სიყვარულით.

• ირაკლი გოგიტაძეს მამიდა ულოცავს დაბადების დღეს, 7 აგვისტოს. დაესწარი მრავალს, ღმერთი იყოს შენი მფრველი მუდამ, ჩემო ჭკვიანო და ლამაზო ბიჭო. გისურვებ ყოველივე კარგს, შენს დაიკოსთან და მშობლებთან ერთად. მაია.

• ბაღდათში, ჩემს ძამიკოს, მურმან გოცირიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 1-ელ აგვისტოს. გისურვებ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს, ცოლ-შვილთან და შვილიშვილთან ერთად. ღმერთი იყოს შენი ოჯახის მფარველი. შენი დაიკონა, მარინულა.

• საბერძნეთში მყოფ ნატო კირთაძეს დაბადების დღეს, 4 აგვისტოს ვულოცავ. ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს და სიყვარულს, შვილთან და დედმამიშვილთან ერთად. ნათია.

• 25 ივლისს, დაბადების დღეს ვულოცავ მახო მახარაძეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას. გაიხარე, ძმაკაც, მალე ჩამოდი, გელოდები.

• მონატრებულო და უსაყვარლესო დედიკო, გილოცავ დაბადების დღეს, ღმერთმა გამძლეობა და სიმშვიდე მოგცეს. როგორ მინდა, ჩაგეხუტო. შენი ხათუნა.

## ყურადღება!

„მობილიზაციაში" ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის" ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა" №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

# ვიფიქროთ ერთად

## 1 აგვისტო

### ემანსიპაციის დღე იამაიკაზე

ბევრმა იამაიკელმა დღემდე არ იცის, რას ნიშნავს „ემანსიპაცია“. სინამდვილეში, ის რაიმეზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლება, შეზღუდვების მოხსნა და უფლებების გათანაბრებაა. 160 წელზე მეტხანს ცდილობდნენ იამაიკელები, რომ მონათმფლობელობა მოესპოთ და დამოუკიდებლობისთვის მიეღწიათ. 1834 წელს, როგორც იქნა, ყველა მონა გაათავისუფლეს, ემანსიპაციის დღე კი ოფიციალურ დღესასწაულად 1962 წლიდან გამოცხადდა. ეცადეთ, ეს მნიშვნელოვანი თარიღი არ გამოგრჩეთ და ღირსეულად აღნიშნოთ.

## 6 აგვისტო



### საერთაშორისო დღე — „ეძიმეგი მშვიდობისთვის“

ეს დღესასწაული ექიმების ძალისხმევით, 1945 წლის 6 აგვისტოს, ხიროსიმის დაბომბვის დღეს დაარსდა და სამყაროს სიმბოლურად ამ არაადამიანურ ტრაგედიას ახსენებს. ექიმთა მსოფლიო ასოციაციამ გადაწყვიტა, რომ ექიმებს ამ დღეს არ დაესვენათ და მთელი დატვირთვით ემუშავათ. ქართველ ექიმებს ვულოცავ ამ დღესასწაულს და თქვენ კი თუ დღეს ექიმთან უფასო ვიზიტით მიხვალთ, მას პროფესიული დღესასწაულის ღირსეულად აღნიშვნის საშუალებას მისცემთ.

## 11 აგვისტო

### ზიმბაბვეს ნაციონალური გმირის დღე

ყველა ქვეყანას თავისი გმირები ჰყავს და ერთი, განსაკუთრებული დღე აქვს, როდესაც ქვეყანა და ხალხი მათ პატივს მიაგებს. ასეთ დღედ ზიმბაბვეში 11 აგვისტო მიიჩნევა. რა ვქნათ ჩვენ, ქართველებმა? ჩვენც ხომ გვყავს როგორც ისტორიული, ასევე ჩვენი დროის გმირები? რა უნდა ვქნათ და ამ დღეს „გმირულად დაცემული“ ოპოზიციის საფლეგრძელო უნდა დავლიოთ და როგორც ზიმბაბვეში, მათ სახელზე, თხა უნდა დავკლათ.

# 12 აგვისტო

## ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

ეს დღესასწაული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინადადებით, 1999 წელს დაარსდა. ვის-ვის და, თუ არა ახალგაზრდებს, ნამდვილად სჭირდებათ საკუთარი დღესასწაული. სტატისტიკის მიხედვით, უმუშევრობის 35% სწორედ მათზე მოდის. ეს კი უზარმაზარი ციფრია, თუ გავითვალისწინებთ, რომ 18-25 წლის ახალგაზრდების რიცხვი მსოფლიოში 3 მილიარდია. სტატისტიკა იმასაც ამბობს, რომ მათ შორის 1 მილიარდი სიღატაკეში ცხოვრობს. ქართველ ახალგაზრდებს ვულოცავ „პროფესიულ" დღესასწაულს და ვუსურვებ, რომ იმ 1 მილიარდში არ მოხვედრილიყვნენ.



# 13 აგვისტო

## ცაციების დღე

თანამედროვე სამყარო იმ ადამიანებისთვისაა შექმნილი, ვინც ყველაფერს მარჯვენა ხელით აკეთებს, რადგან ცაციები დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 10%-ს შეადგენენ. ახლა სკოლებში ცაცია ბავშვებს ხელებში ალარ ურტყამენ და მათ საკუთარი დღესასწაულიც კი აქვთ. პირველად ეს დღე 1992 წლის 13 აგვისტოს აღნიშნეს, რომლის ინიციატორებიც ბრიტანელი ცაციები იყვნენ. ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ ფიზიკაში, სადენში დამუხტული ნაწილაკების მოძრაობის მიმართულებას მარჯვენა ხელის წესით ადგენენ, საავტომობილო ტრასაზე მოძრაობის წესებში არსებობს მარჯვენა მხრიდან დაბრკოლების წესი... ნეტავ, ამ შემთხვევაში როგორ იქცევიან ცაციები? მაშინაც მარჯვენის მაგივრად მარცხენას იყენებენ? ზოგიერთ ქვეყანაში ცაციებს ეჭვის თვალით უყურებდნენ და მათ სასამართლოში ჩვენების მიცემაც კი ეკრძალებოდათ. მაშ, გაუმარჯოს იმ ადამიანებს, ვინც ყველაფერს მარცხენა ხელით აკეთებს.

# 25 აგვისტო



## ბრაზილიელი ჯარისკაცის დღე

არა, ამ ბრაზილიაში რომ კარგ სერიალებს იღებდნენ, ვიცოდი, ისიც ვიცოდი, რომ შესაძლებელია, იქ, ბებია რომ გგონია, შენი და აღმოჩნდეს ან შვილი გყავდეს და ორსულობაც არ გახსოვდეს, მაგრამ ჯარისკაცებიც თუ ჰყავდათ და მით უმეტეს მარშალი — ლუის აღვესუ დე ლიმა ე სილვა დუქუე დე სახიასი და მისი სახელობის დღესასწაულიც თუ ჰქონდათ, ეს ნამდვილად არ ვიცოდი და მიმაჩნია, რომ ამ დღის აღნიშვნა ნამდვილად ღირს!

ამას წინათ, საპატრულო პოლიციის თანამშრომელი, 022-ზე მომუშავე ოპერატორი გოგონა გავიცანი, რომელსაც ვთხოვე, კურიოზული გამოძახებების შესახებ მოეყოლა. რესპონდენტმა ინკოგნიტოდ დარჩენის პირობა ჩამომართვა და აი, რა მიამბო:

# რისთვის იძახებენ ჯაბრუნს საქარიშვილიში?



- ერთმა ასაკოვანმა ქალმა იმის გამო დარეკა, რომ თურმე მობილურ ტელეფონში დეპოზიტზე თანხა გაუთავდა და „მონო“ სჭირდებოდა.
- 80 წლის ქალბატონი შეგვეხმიანა და გვთხოვა, სათვალის პოვნაში დავხმარებოდით.
- 35 წლის მამაკაცმა დარეკა და აღელვებული ხმით გვთხოვა, რომ მისი სახლიდან სიდედრი გაგვეგდო, რომელიც მთელი 18 დღე მასთან სტუმრად იმყოფებოდა.
- ახალგაზრდა ქალი შეგვეხმიანა და თავის საყვარელს უჩივლა: თურმე ის ტელევიზორის პულტს არ აძლევდა, ქალს კი სერიალის ყურება სურდა.
- გვიან ღამით მამაკაცმა დარეკა. ის ცოლს უჩიოდა, რომ ვახშამი არ დაახვედრა: იმის ნაცვლად, რომ დამაპუროს, სარკესთან ზის და სახეზე ნიღაბს ისვამს, მე კი თევზის კონსერვი მომიგდო, რომელიც გუშინ გავხსენი და ცუდი გემო ჰქონდაო, — ღამის ტიროდა საწყალი.
- 44 წლის ქალბატონმა, ქმარს, ცოლქმრული *მოვალეობის* შეუსრულებლობის გამო უჩივლა.
- ასაკოვანმა ქალბატონმა შეშფოთებული ხმით გვთხოვა დახმარება. როცა საქმის ვითარება ვიკითხეთ, აღმოჩნდა, რომ თაგვს მისი წამალი გადაუყლაპავს.
- 50 წლის მამაკაცს კოშმარი დასიზმრებია და შეშინებულმა დაგვირეკა, — მიშველეთო.
- ნასვამმა მამაკაცმა „პახმელიიდან“ გამოსასვლელად, ლუდის მიტანა გვთხოვა.
- ხანში შესულმა მამაკაცმა გვაცნობა, რომ მისი სახლის თავზე მნათი, უძრავი ობიექტი „ეკიდა“, რომლის სინათლეც თვალს სჭრიდა. საპატრულო ჯგუფი სასწრაფოდ გავიდა მინიშნებულ *მისამართზე* და აღმოჩნდა, რომ „მნათი და უძრავი ობიექტი“ მთვარე ყოფილა.
- ახალგაზრდა გოგონამ შველა გვთხოვა. თურმე, მის საყვარელს ზაზუნა წვიმაში გარეთ გაუგდია.
- ქალბატონმა გვაუწყა, რომ მის სახლში კატა შეიპარა და არ იცოდა, მისთვის რა მოეხერხებინა.
- 38 წლის მამაკაცმა დარეკა და გვითხრა, რომ გაძარცვეს. ადგილზე მისულმა საპატრულო ჯგუფმა, დაზარალებულის დაკითხვისას აღმოაჩინა, რომ ქურდებმა ყვავილის 6 ქოთანი მოიპარეს, რომელშიც პლანი იყო დათესილი. რა თქმა უნდა, დაზარალებული დააპატიმრეს. სხვათა შორის, მსგავსი შემთხვევები თურმე უცხოეთშიც მომხდარა: მარიხუანის მომხმარებელ მამაკაცს დილერისთვის უჩივლია. მან საჩივარში აღნიშნა, რომ თაღლითობის მსხვერპლი გახდა, რადგან უხარისხო პროდუქცია მიჰყიდეს და ვერ დაბოლდა. ასვე უცხოეთში 53 წლის ქალბატონს პოლიცია იმის გამო გამოუძახებია, რომ უხარისხო ჰეროინი შეუძენია და ნარკოდილერის დაკავებას მოითხოვდა. მან პოლიციის თანამშრომლებს თვითონ უჩვენა სამზარეულოს მაგიდაზე დაყრილი ნარკოტიკი.
- ერთმა მოხუცმა კაცმა სისხლი გაგვიშრო — 2 დღის განმავლობაში 200-ჯერ დარეკა, და როგორც თვითონ აღნიშნა — მოწყენილობის გამო. საპატრულო ბრიგადა მასთან სახლში მივიდა, მაგრამ მოხუცმა კარი არ გაუღო. ვიდრე პოლიციის თანამშრომლები მის კარზე აკაკუნებდნენ, მან ჩვენთან 30-ჯერ მოასწრო. დარეკვა. ბოლოს გვითხრა, ტელევიზორი გამიფუჭდა და ვეღარ ვერთობი, თქვენთან დარეკვას გულს ვაყოლებო. ჩვენი ერთ-ერთი თანამშრომლის მეგობარი ტელევიზორის ხელოსანი აღმოჩნდა და მოხუცს ტელევიზორი უფასოდ შეუკეთა. ჩვენს დავისვენეთ და მანაც.

დასაწყისი იხ. „გზა“ №23-30

# ᲨᲔᲣᲩᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲜᲐ

## დაბრუნება

ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

ᲘᲜᲒᲐ ᲧᲐᲧᲔᲚᲘ

### ახლებურად გათენებული დილა

კარზე მორიდებული კაკუნი გაისმა.

— „გასპაჟა“ ანა, გოგონა ტირის და ვერ ვაჩერებ. ალბათ, ცუდი სიზმარი ნახა! — მომესმა დამტვრეული რუსულით ნათქვამი.

ანა უცებ წამოხტა და საძინებლად გადაკეთებულ ოთახში შევარდა. მეც უკან მივყევი. გოგონამ ანას დანახვისთანავე ტირილი შეწყვიტა, გაღიმება სცადა, ქალს გულში ჩაეკრა და ფრანგულად, სვენებ-სვენებით დაიწყო ლაპარაკი... ანა უსმენდა და უცებ, ცრემლები წამოსცვივდა. ცოტა ხნის მერე მითხრა:

— სიზმარში უნახავს, რომ სადღაც მივდიოდი და მას ჟანეტთან დიდი ხნით ვტოვებდი. კი დავპირებივარ, რომ მალე დავბრუნდებოდი, მაგრამ არ დაიჯერა: დათო მამაც ეგრე დამპირდა, მაგრამ დიდი ხნით წავიდა და არ მინდა, შენც ანგელოზად იქცეო!..

როცა ჟანეტმა ანა-მარიას ტანსაცმელი მოიტანა, ანამ თავი გადააქნია:

— ეგ არა, ახალი ტანსაცმელი ჩააცვი. სადაც წავალ, ყველგან წავიყვან. მინდა, დარწმუნდეს, რომ მის გარეშე დიდხანს გაძლება არც მე შემიძლია...

— დაიღლება, შენ ხომ უამრავი საქმე გაქვს! — ვცადე გაპროტესტება.

— დაიღალოს და სხვა დროს თავად მითხრას, რომ შინ ყოფნა ურჩევნია...

მეც მაგვიანდებოდა. ნაჩქარევად ვისაუზმეთ და შინიდან გამოსულებმა სხვადასხვა მიმართულებით ავიღეთ გეზი.

დღემ უცებ გაირბინა. ჩანთაში მობილური აწკრიალდა. ანა მირეკავდა:

— სადა ხარ, სტუმრები გვყავს ვახშმად და უშენოდ სუფრასთან არ ვსხდებითო!..

სტუმარი კი, არც მეტი, არც — ნაკლები, უკრაინიდან ახალჩამოსული ნიკა ვაწაძე აღმოჩნდა, რომელიც ანას თავის მეგობართან და ბიზნესპარტნიორთან ერთად ეწვია... ნიკას ჩემი დანახვა აშკარად არ ესიამოვნა და ამის დაფარვა არც უცდია:

— თქვენ ხომ გამოგონილ პერსონაჟებზე არ წერდით!.. როცა ანას დღიურების გამოქვეყნება გადაწყვიტეთ, არ გიფიქრიათ, რომ შიშველი სიმართლით, სულ მცირე, უხერხულ მდგომარეობაში მაინც ჩაგვაყენებდით?!.

— მაგაზე ხომ ვილაპარაკეთ! — შეაწყვეტინა ანამ. — ყველაფერი ჩემი ნებართვით და სურვილით მოხდა. არ შემეძლო, ყველასთან ცალ-ცალკე მემართლებინა თავი. ბოლოს და ბოლოს, არც მისმენდით და დარწმუნებული იყავით, რომ ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც თქვენ გსურდათ: შენ შენი ანა გინდოდა, გიგის — თავისი, მე კი ერთი ვარ... შეუძლებელი იყო, არ დამეწერა შენზე, გიგიზე და ყველა იმ ადამიანზე, ვისზეც ჩემს დღიურებში ვლაპარაკობ... თქვენ გარეშე რგოლი არ შეიკვრებოდა და ვერც თქვენ მიხვდებოდით, ვინ ვარ სინამდვილეში.

— შენ გგონია, ახლა უკვე გავიგე, ვინ ხარ და რა გინდა? — საკმაოდ ხმამაღლა და უხეშად იკითხა ნიკამ.

— რა მოგივიდა? — საყვედური გაურია კითხვაში მამაკაცმა, რომელიც თემოდ გაგვეცნო. — ხომ ვილაპარაკეთ და დამეთანხმე, რომ ამაში არაფერია საგანგაშო.

— ჰო, არაფერი... თუ არაფრად ჩავაგდებთ იმ ანონიმურ სატელეფონო ზარებს და მუქარას, რომლითაც ვიღაცები თავს მაბეზრებდნენ. ანა, მე შენ მართლა მიყვარხარ და არ მინდა, დაგკარგო, მაგრამ აღარც ის ვიცი, იმ სიმართლის შემდეგ, რაც ჟურნალში წავიკითხე, როგორ შევძლო შენ გვერდით ცხოვრება...

— მე ადრეც გითხარი და კიდევ გიმეორებ — გათხოვებას, ისიც შენზე, არ ვაპირებ. რომც მეფიქრა, ტყუილზე მაინც ვერ ავაგებდი ჩვენს ურთიერთობებს ანუ შენ უნდა გცოდნოდა ის, რამაც ასე გაგაოგნა...

— შეიძლება, ის გითხრათ, რასაც ვფიქრობ? — ნებართვა ითხოვა თემომ. — ცალ-ცალკე ორივე მართალი ხართ. ანა, არ გეწყინოს, მაგრამ ნიკას ადგილას მეც მსგავსი რეაქცია მექნებოდა, რადგან შენ მას აშკარად უღალატე და თანაც, არაერთგზის. მაგრამ ის, რაც მოხდა, ნიკას სისუსტის ბრალიცაა. მან შენთან მიმართებაში ბევრჯერ დაუშვა შეცდომა და ამიტომაც გახდნენ შენთვის ასეთი აქტუალურები ნაძირალა გიგი თეთრაძე და ის არსაიდან მოსული, უცნაური კაციც, რომელიც ასევე უცნაურად გაქრა შენი ცხოვრებიდან. მე ხომ ვიცი, რამდენი ქალი ოცნებობს ნიკას მსგავს კაცზე და ის მართლაც, საოცნებო მამაკაცია თავისი სითბოთი, სიყვარულის უნარით, საიმედოობით. შენ კი სწორედ ამ თვისებების გამო უარყავი...

— იცი, ნიკას ფონზე, საკუთარ არასრულფასოვნებას განსაკუთრებული სიმძაფრით ვგრძნობდი და ზოგჯერ თავი უკანასკნელი კახპაც მეგონა.. სხვათა შორის, ისიც მიფიქრია, რომ არანორმალური ვიყავი, შეშლილი... — ანა წამიერად შეჩერდა. მერე ნიკას მიუახლოვდა და წინ დაუდგა, თავი ააწევინა, თვალებში ჩახედა: — ვიცი, გტკივა, მაგრამ ტყუილი სალბუნად ვერ დაგედება. მეც მიყვარხარ, მეშინია და არ მინდა შენი დაკარგვა, მაგრამ ილუზიებში ვერ ვიცხოვრებ, შენთან ოჯახს ვერ შევქმნი. სხვათა შორის, არც სხვა კაცი მჭირდება... ახლა შენი გადასაწყვეტია, ხელს მკრავ და სამუდამოდ წახვალ ჩემი ცხოვრებიდან, თუ შეძლებ და ისეთს მიმიღებ,

როგორიც ვარ?..

ნიკამ ანას ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა, სახე მის თმაში ჩამალა:

— მშვენივრად იცი, რომ უშენობა არ შემიძლია!..

— რაღაც ზედმეტად სენტიმენტალური გავხდი. იმდენი ცრემლი, რაც ამ რამდენიმე თვეში დავღვარე, მთელი ცხოვრების მანძილზე არ დამიღვრია!.. — თქვა ანამ და ცრემლები წამოსცვივდა. თითქოს, საკუთარ თავზე გაბრაზდა, მაგრამ ცოტა ხანში თავი მოთოკა და საზეიმო, იდუმალი ხმით გამოაცხადა: — ახლა კი ჩემი დაპირებული სიურპრიზი!

გამახსენდა, რომ ნიკამ ანა-მარიას საქართველოში ჩამოყვანის შესახებ ჯერ არაფერი იცოდა...

ბავშვმა მართლაც, არნახული ეფექტი მოახდინა არა მხოლოდ გაოგნებულ ნიკაზე, არამედ თემოზეც: გოგონას ეფერებოდნენ და გაოგნებულები ისმენდნენ მისი და ანას დედაშვილობის მართლაც ზღაპრულ ამბავს...

ვახშამი გვიანობამდე გაგრძელდა. ნიკამ თითქოს, ბავშვის ხათრით, ანას ბევრი რამ შეუნდო. ჰოდა, მით უფრო გასაოცარია, რომ ანას დღიურის გამოქვეყნება არ მაპატია და ისე წავიდა, არც კი დამემშვიდობა — თვალი ამარიდა და მაგრძნობინა, რომ ჩემთან ურთიერთობის არავითარი სურვილი აღარ ჰქონდა... მე ხომ დავიბენი და ანაც არანაკლებ დაბნეული, თავისებურად დათრგუნვილიც კი მომეჩვენა. როცა მარტონი დავრჩით, დაეჭვებულმა ვკითხე:

— იქნებ, არ ღირს ყოველივე იმის გამოქვეყნება, რაც მომიყევი? ასე შესაძლოა, კიდევ ახალი მტრები გავიჩინოთ. ბოლოს და ბოლოს, თუკი ნიკამ ვერ გაპატია სიმართლის აღიარება, რა გარანტია გაქვს, რომ სხვები გაგიგებენ?

— მე არასდროს ვაკეთებდი რაღაცას მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცებისთვის სიამოვნება მიმენიჭებინა და ამას არც ახლა ვაპირებ... რასაც საჭიროდ მიიჩნევ, ის დაწერე. მით უმეტეს, რომ მკითხველსაც დავპირდით გულახდილობას და ჭის წინაშე ვალში ვართ. ჟურნალისტი ვარ და კარგად ვიცი, მათ განწილებას რა შეიძლება მოჰყვეს...

დაბოლოს, მინდა გითხრათ, რომ ანა ახლა ბიზნესლედია და საიმედო მფარველის წყალობით ადვილად ვერავინ წამოჰკრავს ხელს, ვერც შანტაჟს გაუბედავს ვინმე. ის საქართველოს დატოვებას არ აპირებს და იმედი აქვს, ამას ვერც ვერავინ აიძულებს...

*დასასრული*



**„შეურიგებელი ანას“ დაბეჭდვის შემდეგ უამრავი გამოხმაურება მივიღეთ, მესიჯებით თუ სატელეფონო ზარებით, რის გამოც შეუძლებელია, მადლობა არ ვუთხრათ მკითხველს, რადგან თქვენი ყურადღება და შეფასებაა ჩვენი საქმიანობის ხარისხისა თუ მნიშვნელობის განსაზღვრის მთავარი კრიტერიუმი. ასობით შეკითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. ამიტომ, მხოლოდ ისეთები შევარჩიეთ, რომლებშიც ბევრი თქვენგანის ნააზრევია გადმოცემული. თქვენს კითხვებზე პასუხების გაცემისას, ჩემი მეგობრები დამეხმარებიან: ᲐᲜᲐ ᲫᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ-ᲡᲐᲛᲣᲨᲘᲐ, ვისმა ცხოვრებამაც ასე დაგაინტერესათ და ᲮᲐᲢᲘᲐ ᲮᲝᲕᲔᲠᲘᲙᲘ — ფსიქოლოგი, რომელიც კერძო პრაქტიკას ეწევა და ადამიანებს არწმუნებს, — გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს...**

# „ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲖᲚᲐ�პᲐᲠᲨᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ“

## „ᲒᲐᲛᲐᲪᲐᲜᲘᲗ, ᲠᲐ, ᲐᲜᲐ... ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲤᲣᲚᲘ ᲛᲐᲚᲚᲘᲐ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ!..“

### ᲘᲜᲒᲐ ᲧᲐᲧᲔᲚᲘ

*„მშურს ანასი, რომ შეძლო და არავის მისცა საკუთარ ცხოვრებაში ჩარევის უფლება. მე კი მხოლოდ იმიტომ, რომ მშობლების მშვიდი ცხოვრება არ დამერღვია, საყვარელი მამაკაცისგან ჩასახული ბავშვი მოვიშორე... ნიკას ცოლი რომ ჰყავდა, თავიდანვე ვიცოდი. მას ჩემთვის არაფერი დაუძალებია, მათ შორის, აბორტის გაკეთებაც... ვერ ვიტყვი, რომ ცოლი არ უყვარდა, მაგრამ მეც საოცრად ბედნიერი ვიყავი მის გვერდით. არ ვიცი, როგორ გაგრძელდებოდა ჩვენი ურთიერთობა, ნიკას რომ ეცოცხლა: ის 2 წლის წინ, ავარიაში დაიღუპა. შევშინდი და მისი შვილი მოვიშორე. ჩემმა მშობლებმა არც იციან, ფეხმძიმედ თუ ვიყავი და ამიტომაც, მათთვის დღემდე იდეალური შვილი გახლავართ. ისინი ვერც კი ხვდებიან, როგორი უბედური ვარ... მშურს ანასი, საყვარელი მამაკაცის შვილს, მიუხედავად იმისა — ის მისი სისხლი და ხორცი არ არის, ასე რომ ჰპატრონობს. ანას ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ, მე კი სიკვდილზე ფიქრის გარდა აღარაფერი დამრჩენია... ლიკა, იმერეთიდან, 23 წლის“.*

**ᲮᲐᲢᲘᲐ ᲮᲝᲕᲔᲠᲘᲙᲘ:**

— ის, რაც შენ შეგემთხვა, მძიმე სტრესია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — სიკვდილზე ფიქრის საბაბი. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, ბავშვი გაგეჩინა, მით უმეტეს, თუ ის მართლა ორმხრივი სიყვარულის ნაყოფი იყო. ქართველ საზოგადოებას ძნელია, ანგარიში არ გაუწიო. ბევრი გესროდა ლაფს და ტალახის გუნდას, მაგრამ დრო რომ გადის, ყველა ყველაფერს ივიწყებს (ხალხი იჭორავებს და გაჩერდება), ადამიანი კი მარტო რჩება თავის ბედნიერებასთან თუ უბედურებასთან. ამიტომ, ყველას ვურჩევ, კრიტიკულ მომენტში სხვებზე კი არა, საკუთარ თავსა და მომავალზე იფიქრონ. ისიც მართალია, რომ ადამიანი სხვის კი არა, სამწუხაროდ, მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე სწავლობს და შენც აღარ დაუშვებ შეცდომას ადვილად. 23 წელი მშვენიერი ასაკია, იფიქრე სიყვარულზე და აუცილებლად დაიბრუნებ ბედნიერებას!..

**ᲐᲜᲐ ᲫᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ:**

— თუ ჩემი თავგადასავლის პირველ ნაწილს ყურადღებით კითხულობდი, გახსოვს ალბათ, რომ ოპერაციის შემდეგ საკუთარი შვილის გაჩენის საშუალება წამერთვა. ანა-მარია ჩემთვის ნამდვილი ღვთის საჩუქარია. შვილი ისეთი ბედნიერება ყოფილა, საკუთარ უბედურებასაც რომ გავიწყებს. გეყოლება შვილები და მერწმუნე, ისევ დაიწყებ სიცოცხლეზე ფიქრს, ყოველ წუთს და საათს ჩაებღაუჭები; ღმერთს პატიებას სთხოვ, რომ სიკვდილზე ფიქრი დაუშვი. ერთ დროს შენზე ბევრად უბედური ვიყავი, მაგრამ ახლა მჯერა, რომ ბედნიერება ყველასთვისაა, ოღონდ გამბედაობა უნდა გეყოს და მის მოსაპოვებლად, თამამად უნდა იბრძოლო! წარმატებებს გისურვებ!

*„აღფრთოვანებული ვარ ანას მტკიცე ხასიათითა და ვაჟკაცური ბუნებით. ის ნამდვილად იმსახურებს ბედნიერებას და მჯერა — ცხოვრების დანგრევის უფლებას არავის მისცემს. ძია დათას კი მადლობას ვუხდი ჭეშმარიტი სიყვარულისა და თანადგომისთვის. წუთითაც არ შეეპაროს ეჭვი იმაში, რომ სწორად მოიქცა! სოფო, ქუთაისიდან“.*

**ᲐᲜᲐ:**

— გმადლობთ, ჩემო კარგო! მამაჩემიც მეც ვამაყობ. ის რომ არა, შეიძლება, სიცოცხლე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დამემთავრებინა. ასეთ ახლობლებზე მხოლოდ ოცნება შეიძლება და მადლობა ღმერთს, რომ ასეთი ბედნიერება მე მხვდა წილად!..

*„შეიძლება, ვცდები, მაგრამ მგონი, ანა „გზავნილების“ ანარქიაა, რომელსაც დიდ პატივს ვცემ. ასეა? ნ.ტ.გ.“*

**ᲘᲜᲒᲐ ᲧᲐᲧᲔᲚᲘ:**

**— ანას „გზავნილებთან“ ნამდვილად არაფერი აქვს საერთო. ის კი, რომ მისმა ამბავმა სხვა გაგახსენა, გასაკვირი არაა: ბევრ ადამიანს აქვს მსგავსი ტკივილიც და სიხარულიც...**

*„ანა ძალიან მაგარი ადამიანია. მეც ანანა ვარ და ზოგჯერ, როცა მასზე ვკითხულობდი, ვგრძნობდი, რომ ხასიათით ძალიან ვგავარ... სიამოვნებით გავხდებოდი მისი უმცროსი მეგობარი“.*

**ᲐᲜᲐ:**

— შეიძლება, ოდესმე შევხვდეთ კიდე-

ვაც. შენს ტელეფონის ნომერსაც ჩავინიშნავ ისევე, როგორც სხვებისას, ვინც ჩემთან მეგობრობის სურვილი გამოთქვა, მაგრამ თუ ვერ დაგირეკეთ, არ გეწყინოთ — საბედნიეროდ, თქვენ ასობით ხართ, მე — ერთი. ჩემი ცხოვრების გადამწყვეტ მომენტში გამოცხადებული თანადგომისთვის კი ყოველთვის მადლობელი ვიქნები!..

*„მე ოთარი ვარ, კაცაძე. ყურადღებით წავიკითხე ანას ამბავი, მაგრამ ყველაფერი ტყუილი მგონია“.*

**ინგა:**

**— ნება თქვენია. მე მხოლოდ ერთ ცნობილ ფრაზას გაგახსენებთ: თუ გინდა, გჯეროდეს, უნდა დაიჯერო! იმისთვისაც მადლობა, რომ ჩვენს ნამუშევარს კითხულობ!..**

*„ანას ამბავს ინტერესით ვკითხულობ და მგონია, დათო ცოცხალია... მინდა, ყველაფერი ისე დამთავრდეს, როგორც ზღაპარში ხდება. თქვენი ერთგული მკითხველი, პია“.*

**ანა:**

— გმადლობთ, მეგობარო! სამწუხაროდ, ცხოვრება არაა ზღაპარი და ხშირად, რეალობაც სასტიკია. მიუხედავად ყველაფრისა, ცხოვრება მაინც მშვენიერია!..

**ხატია:**

— მსგავსი სახის უამრავი გამოხმაურებაა. წესით, ისეთი პიროვნების მხარეზე, როგორიც დათო იყო (დაქირავებული მკვლელი), საზოგადოება კეთილგანწყობილი არ უნდა იყოს, მაგრამ როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში რომანტიზმი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ კრიმინალიც კი დაჩრდილა და უკანა პლანზე გადასწია, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ადამიანებში სიყვარულის დეფიციტია და რაც ჩვენი ყოფის ყველაზე სამწუხარო რეალობაა: ყველაზე დიდი გრძნობით შექმნილი ოჯახიც კი დროთა განმავლობაში „ჩვეულებრივი“ და პროზაული ხდება. არავინ იცის, როგორ აეწყობოდა ანასა და დათოს ურთიერთობა, დათო რომ არ მომკვდარიყო...

**ანა:**

— ჩვენი ერთად ყოფნის პერიოდი იმდენად ხანმოკლე და უჩვეულო იყო, მართლაც, რომანტიზმის მეტი არაფერი შემორჩენია ჩემს მეხსიერებას. რომ შეიძლებოდეს, დათოს საკუთარ სიცოცხლეს გავუყოფდი, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ მასთან ურთიერთობა ადვილი არც ყოფილა და არც იქნებოდა!..

*„ყველაზე მეტად ის მაინტერესებს, ანამარია როგორ გრძნობს თავს საქართველოში? ნუტი, 13 წლის“.*

**ანა:**

— სიმართლე გითხრა, ცოტა მოიწყინა. განსაკუთრებით, იმ ბავშვების გარეშე უჭირს, ვისთან ერთადაც საფრანგეთში იზრდებოდა. გაიღვიძებს თუ არა, მაშინვე სიზმრებს მიყვება, რომელშიც ყველაფერი საფრანგეთთანაა დაკავშირებული. ისე, ძალიან დაკავებულიცაა: ყოველდღე ქართული ენის გაკვეთილზე დადის და ახლა, მშობლიური ენა არა მხოლოდ ესმის, არამედ ქართულად ლაპარაკობს კიდეც. სექტემბერში ბაღში წავა და იმედია, ახალი მეგობრები გაახალისებენ...

*„ანას მეზობელ კორპუსში ვცხოვრობ: ის — ხუთ ნომერში, მე — შვიდში... ულამაზესი ქალია, მაგრამ ადვილად არავის ეკონტაქტება. ჩვენი უბნელი ბიჭები მისით აღფრთოვანებულები ვართ, შეყვარებულებიც, მაგრამ... მე მხოლოდ 21 წლის ვარ. მისი ტოლიც რომ ვიყო, დედაჩემი თავს მოიკლავს და მის სიახლოვეს არ გამაკარებს... მოკლედ, რამდენადაც კაცებს გვიყვარს, იმავე დოზით სძულთ ქალებს, არადა, არავის არაფერს უშავებს — შვილიც არ „წაურთმევია“ რომელიმესთვის, თორემ სხვისი უხეირო ქმრები რაში სჭირდება?.. გივიკო“.*

**ანა:**

— გივიკომ გამამხიარულა... კარგი ბიჭი ჩანხარ და შემიძლია, მეგობრობა შემოგთავაზო. როცა ქუჩაში დამინახავ, გამაჩერე, მე კი ტელეფონის ნომრით „გიცნობ“... უკარება ნამდვილად არა ვარ, მაგრამ ზედმეტი ყურადღება მაღიზიანებს, მით უმეტეს, უტიფარი მზერა და უხამსი კომპლიმენტები!..

*„ანას დღიურებს ვკითხულობ „გზაში“. მაგარი ქალია. მე გათხოვილი ვარ და ჩემს ოჯახში ძალიან ბედნიერიც... ანას ცხოვრება წასაკითხად კარგია, მაგრამ ცხოვრებაში ასეთ სტრესს ბევრი ვერ გაუძლებდა. ღმერთი შეეწიოს! მისი გულშემატკივარი ვარ!.. „Сухумски““.*

**ანა:**

— გმადლობთ, მეგობარო, მხარდაჭერისა და კეთილი სურვილებისთვის. მართალი ხარ, რაც მე გადავიტანე, მძიმე სტრესია და ღმერთმა ნუ ქნას, ყველას მსგავსი გზის გავლა უხდებოდეს ბედნიერებამდე მისასვლელად. მე შენი წყნარი ბედნიერების „მშურს“. ნეტავ, მეც ჩვეულებრივი ქალივით მეცხოვრა...

*„ათენიდან გეხმიანებით. ძალიან მეშინია და ვნერვიულობ ანაზე, ანა-მარიაზე — ამ ქალბატონს გულახდილობისთვის კიდევ რაიმე ცუდი არ შეემთხვას. ძალიან გთხოვთ, გაფრთხილდით! ანას დედად შევეფერები. გკოცნით და ღვთისმშობელი იყოს თქვენი მფარველი! ერთგული მკითხველი — დეიდა იზო“.*

**ინგა:**

**— გმადლობთ, ქალბატონო იზო! ალბათ, ზედმეტი გულახდილობა მართლაც საშიშია, მაგრამ ანას სურდა, ბოლომდე ეთქვა სათქმელი. ღმერთი გფარავდეთ, უცხო მიწაზე!..**

„ჩემს ქმარს შემთხვევით შემოაკვდა თავისი თანატოლი და 14 წელი მიუსაჯეს. მაშინ ორი თვის დაქორწინებულები ვიყავით... უკვე 2 წელი გავიდა. მე მშობლებთან დავბრუნდი და ქმარი მემუქრება, რომ მომკლავს, თუ მის ღალატს გავიფიქრებ. არც მიღალატია, მაგრამ ისე ცუდად მექცევა, თავი შემაძულა თავისი მუქარით, შანტაჟით... ანასი მხოლოდ ის მშურს, რომ დათო „დროზე მოკვდა“... ნია, 19 წლის“.

**ხატია:**

— ამბობ, კაცი შემთხვევით შემოაკვდაო, არადა, მისი საქციელიდან გამომდინარე, სხვაგვარად ჩანს: რადგან მოკვლით გემუქრება, ე.ი. ძალადობისკენ აქვს მიდრეკილება... გირჩევ, საკუთარ ცხოვრებას მიხედო და ცოცხლად არ დაიმარხო თავი იმ კაცის გამო, რომელსაც არა მგონია, უყვარდე და შენი პატივისცემა შეეძლოს...

**ანა:**

— ეს ის შემთხვევაა, როცა არ ვიცი, რა გითხრა. ცუდად გავხდი, შენი მესიჯი რომ წავიკითხე!

*„გამაცანით, რა, ანა — ზუსტად ასეთი ქალი მჭირდება ცხოვრების ასაწყობად. ვაღიარებ, მისმა მატერიალურმა შესაძლებლობამ მთლად „გადამრია“ — სწორედ ფული მაკლია სრულყოფილებისთვის!.. ვატო, კახეთი, 34 წლის“.*

**ანა:**

— ეჰ, ვატო, ვატო! იმედია, ხუმრობ!..

**ინგა:**

**— მსგავსი მესიჯიც საკმაოდ მივიღეთ და მსგავსი პრეცედენტი მომავალშიც რომ არ გამეორდეს, გეტყვით, რომ ანა კაცებს „არ ყიდულობს“... არც სხვა ნორმალური ქალი, სხვათა შორის!..**

*„მე მგონი, ვიცნობ ანას... შენ ის ლამაზი გოგო არ ხარ, დიტო ქ-ვა რომ სცემე?“*

**ანა:**

— საიდან გაიხსენე ეგ ძველი ამბავი ან რატომ არ გაამხილე, ვინ ხარ? მას შემდეგ დიტო აღარც მინახავს და თუ ახლა ისიც კითხულობს ჩემს ამბავს, მიხვდება, რისთვისაც ვცემე. მრცხვენია აღიარება, მაგრამ წარსულში მართლა აუტანელი ვიყავი...

*„ანა, მე პატიმარი მიყვარს. ის ბიჭი მკვლელობისთვის იხდის სასჯელს. ტელეფონით გავიცანი. ერთი შეხედვით, ცუდი პიროვნება არ ჩანს. ვენდო? ჰო, ციხიდან 8 წლის შემდეგ გამოვა. ანუკი, 16 წლის“.*

**ხატია:**

— იმედია, 8 წელიწადში შენც შეიცვლები და ბევრი სხვა რამეც... შენც და სხვა გოგონებსაც გირჩევთ, ტელეფონით გაცნობილებზე (გინდ პატიმარი იყოს და გინდ, სხვა ვინმე) დიდ იმედებს ნუ დაამყარებთ... მესმის, რომ თქვენს ასაკში დიდია სიყვარულის და რომანტიზმის მოთხოვნილება, მაგრამ მაინც — ოცნებებითა და ფანტაზიებით ნუ დაინგრევთ ცხოვრებას...

**ანა:**

— 16 წლის ასაკში, პირადად მე, აზრადაც არ მომივიდოდა პატიმრის შეყვარება და მით უმეტეს, 8 წელიწადი ლოდინი. უცნაური ბავშვები ხართ...

*„ინგა, მეც მინდა ჩემს ცხოვრებაზე გიამბო, რომ მერე ჟურნალში გამოაქვეყნო... კატო, 29 წლის“.*

**ინგა:**

**— გულახდილობის სურვილი სხვებსაც გაუჩნდათ, ნდობისთვის მადლობელი ვარ. შეძლებისდაგვარად, ყველას მოგისმენთ, ოღონდ ვერ დაგპირდებით, რომ ჟურნალში თითოეული თქვენგანის ამბავს გამოვაქვეყნებთ. ამისთვის მართლაც, რაღაც უჩვეულო უნდა მოხდეს თქვენს ცხოვრებაში...**

P.S. *ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99).71.89.39.*

■

# ორიეროის ხიმინი



დასაწყისი „გზა“ №24-30

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

თაკოს ეჩვენებოდა, თითქოს ირაკლი შფოთავდა, როცა მას ვერ ხედავდა. გოგონას ეს სიამოვნებას ჰგვრიდა და რამდენჯერმე განგებ აარიდა თავი მის სიახლოვეს ყოფნას. ერთხელ ოთახში გამოიკეტა და ძილი „გამოაცხო“, მეორედ, ვითომ წიგნის კითხვამ გაიტაცა... გარკვეული დროის შემდეგ, დაბლა რომ ჩამოვიდოდა, დაკვირვებით შეათვალიერებდა მამაკაცს და კმაყოფილების ღიმილი გადაეფინებოდა სახეზე — ირაკლის აშკარად ეტყობოდა აღელვება. თუმცა ასეთი ხრიკი იშვიათად გასდიოდა, რადგან მორიელი დაჟინებით მოითხოვდა, გოგონა გამუდმებით მის გვერდით ყოფილიყო.

ვერაფერი დიასახლისი იყო, მაგრამ რაღაც-რაღაცების მომზადება ეხერხებოდა. ირაკლიც ეხმარებოდა, მას მეტი გამოცდილება ჰქონდა, ამდენი წელია, მარტო ცხოვრობდა და ძალაუნებურად უწევდა კიდეც კერძების მომზადება. თაკოც ნელ-ნელა სწავლობდა იმას, რაც თავად არ იცოდა.

საღამო ხანს ტეფტელი მოამზადა, ტომატის სოუსში. მერე პირად მცველს დაუძახა და გემრიელად შეექცნენ. თაკოს მოსწონდა ეს პროცესი. ამ მომენტს ისე ელოდებოდა, როგორც პაემანს. ყველაზე საინტერესო, ვახშმის შემდეგ იწყებოდა. ირაკლის თითქმის მთელი ღამე არ ეძინა, ხან შემოვლას აწარმოებდა, ხანაც აივანზე იჯდა და ღამის თბილისს გადაჰყურებდა. თაკოსაც მეტი რა უნდოდა, გვერდით მიუჯდებოდა და ათასნაირი სისულელით უჭედავდა ყურებს. იმ საღამოსაც იგივე გამეორდა. ამჯერად გოგონამ თავის ესკიზებზე ჩამოაგდო ლაპარაკი. ირაკლის ამ საქმის არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ხედავდა, რომ თაკოს მისი აზრი აინტერესებდა, ამიტომაც ძალაუნებურად ჩაება საუბარში. ხელოვნებაში ნაკლებად ერკვეოდა, მაგრამ ამავდროულად, უხაროდა, თაკო აზრს რომ ეკითხებოდა.

— აბა, ამაზე რას მეტყვი? მითხარი, რა არ მოგწონს? — თაკომ ესკიზი წინ დაუდო და ეშმაკურად ახედა.

— ჩემი აზრით, ცოტა პიჟონურია, — თქვა ირაკლიმ, ნახატი გულდასმით რომ შეათვალიერა, თან შეიშმუშნა, უხერხულობას გრძნობდა იმაზე მსჯელობისას, რაზეც წარმოდგენა არ ჰქონდა.

— თამამად, თამამად, ნუ გერიდება, მამაკაცის აზრს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მისი ხედვა უფრო გასათვალისწინებელია, ვიდრე ქალების, — გაამხნევა თაკომ, — გეთანხმები... რასაც შენ ამბობ, სრული სიმართლეა, მაგრამ არსებობს მაღალი მოდა და არსებობს პრაქტიკული მოდა. მაღალ მოდას ფუნქციური დატვირთვა არ გააჩნია, ეს უფრო პოეტური ბოდვაა, ფანტაზიები, აღმაფრენა, შემოქმედება. იგი სილამაზისთვის იქმნება და არა ყოველდღიური ცხოვრებისთვის.

ირაკლი მიხვდა, რომ გოგონა მართალი იყო, დაეთანხმა კიდეც, მაგრამ მორიგი ესკიზის გარჩევისას მაინც თავისებური კრიტიკა გამოუვიდა.

თაკო აკისკისდა და პირად მცველს სულ გამოუსწორებელი პრაქტიკოსი ეძახა.

ჰო, ირაკლი გამოუსწორებელი იყო. ძნელად თუ შეაცვლევინებდი აზრს, ძალიან ძნელად. ასეთ რამეებში მხოლოდ გიგას უჯერებდა, უჯერებდა იმიტომ, რომ მას თვალდახუჭული ენდობოდა.

მერე თაკო დასაძინებლად წავიდა...

ამ ბოლო დროს იგი ძილში ხშირად ტიროდა. წუხელ ღამეც ტიროდა, ახლაც ესმის მისი ტირილი...

როგორ უნდოდა, ამ დროს შესულიყო მასთან, მოჰფერებოდა, თმაზე ხელი გადაესვა, დაემშვიდებინა, მაგრამ... ვერ ბედავდა.

მოეჩვენა, რომ ამ ღამეს გოგონა განსაკუთრებით მწარედ ქვითინებდა. სიტყვებიც კი გაარჩია — დედას ეძახდა.

ვერ მოითმინა. შეეცოდა ბავშვი. მძიმედ წამოდგა და მის ოთახს მიაშურა. ფრთხილად შეაღო საძინებლის კარი. საწოლს მიუახლოვდა. გოგონა ძილში რაღაცას ბოდავდა და ყრუ ხმით ტიროდა.

ირაკლიმ საათს დახედა. ათ წუთს, მხოლოდ ათ წუთს გაჩერდება და მერე თავის ადგილს დაუბრუნდება. მეტი არც ერთი წუთი! გააფრთხილა თავისი თავი... თუმცა მანამდე, ათი წუთი აქვს...

ფრთხილად მიუწვა ზურგშექცევით მძინარეს და წელზე ხელი გადასდო, ტუჩები ყურთან მიუტანა და ჩასჩურჩულა:

— არ იტირო, პატარავ. დედა აქ არ არის, მაგრამ მე ვარ შენ გვერდით, ყოველთვის ვიქნები. მე დაგიცავ ყველა უბედურებისგან, გპირდები... გჯეროდეს ამის...

მოულოდნელად გოგონა გადმობრუნდა და მთელი სხეულით მიეკრა. იმას, რაც იმ წუთებში ირაკლიმ განიცადა, ტკბილი ტანჯვა ერქვა. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ეს პატარა მისთვის ყველაზე სასურველი არსება იყო დედამიწის ზურგზე. აზრი არ ჰქონდა თავის მოტყუებას.

თაკომ მოულოდნელად თვალები გაახილა.

— ირაკლი, შენ ხარ?

— ჰო, მე ვარ.

თვალცრემლიანმა კიდევ უფრო ახლოს მიიწია მისკენ.

— ვტიროდი, არა?

— ჰო.

— და შენ პირველად არ მოდიხარ ჩემთან ასეთ დროს...

— მეორედ.

მისი ხელი თაკოს სხეულზე დარჩა.

— მაპატიე, განგებ არაფერი მიქნია, პატარავ...

— არ გინდა, მე ვიცი... — არ მინდა, იფიქრო, რომ...

— არაფერს ვფიქრობ, პრინცესა. შენ ტიროდი, მე დასამშვიდებლად მოვედი — სულ ეს არის.

— რომ იცოდე, რა კარგი ხარ, — ამოიოხრა გოგონამ და ჩაეხუტა.

რის ფასად უჯდებოდა ირაკლის ეს მომენტი, მხოლოდ მან უწყოდა. პასუხი არ გაუცია, თმაზე მიეფერა მხოლოდ... და საათის ციფერბლატს გახედა. შეპირებული ათი წუთიდან სამიღა დარჩენილიყო.

სამი წუთი, მხოლოდ სამი... როგორმე გაუძლებს...

თაკოს კი... მისდა გასაოცრად, ისევ ჩაეძინა. დარჩენილი სამი წუთიც მიიწურა. გარხევის შეეშინდა, არ უნდოდა, გოგონა გაეღვიძებინა.

იმწუთას თავი მამად წარმოიდგინა, რომელსაც ერთადერთი და საყვარელი ქალიშვილი ეხუტებოდა, რომელიც სიბნელემ და ცუდმა სიზმარმა შეაშინა...

ფრთხილად აიღო ხელი და წამოდგა...

და სახლის შესამოწმებლად წავიდა.

და რის ფასად უჯდებოდა ეს ყოველივე, მხოლოდ მან უწყოდა...

მეორე საღამოს ირაკლი ცუდ ხასიათზე დადგა. გიგამ დაურეკა და უთხრა, შენი დაცვის ობიექტის მეგობარი შინ გავუშვით, რადგან საკმარისი სამხილი არ გაგვაჩნდა მის დასაპატიმრებლადო. სწორედ ამან დააყენა ცუდ გუნებაზე. ვაითუ, ისევ დაიწყოს გოგონასთან დარეკვა. ვაითუ, კვლავ შეეცადოს, თავგზა აუბნიოს ბავშვს... ვინ იცის, რა აქვს ჩაფიქრებული, იქნებ მართლაც ბიძის დადგმული სცენარით მოქმედებს? იქნებ თაკოს მოკვლა უნდა? არ არის გამორიცხული, მის შეკვეთას ასრულებდეს. თაკო ჯერ ბავშვია, იმ ბიჭს არ გაუჭირდება, თბილი სიტყვებით თავბრუ დაახვიოს და სახლიდან გაიტყუოს. არა, რა თქმა უნდა, ირაკლი ყველანაირად ეცდება, თავიდან აიცილოს ასეთი უსიამოვნებები, ასეთ რამეს წამითაც არ დაუშვებს, მაგრამ ხომ ხდება... ისიც ადამიანია, მასაც აქვს ადამიანური სისუსტეები. ხომ შეიძლება, ჩაეძინოს ან გასული იყოს იმ მომენტში დაცვის ზონიდან... არა, ამას არ დაუშვებს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ბავშვი მას აბარია და ამისთვის ფულს უხდიან, მეორეც...

ნუთუ მართლა? ნუთუ შეყვარებულია და ეჭვიანობს? ასე უცებ? ჯერ თვეც არ გასულა, რაც გაიცნო. ასე მოკლე დროში ასეთ პატარა გოგოს არ შეეძლო მისი მოხიბვლა... მერედა, ვისი? უკარება, შეუვალი ირაკლი მეუნარგიასი, რომლის გულის მონადირება ნანას მერე ვერც ერთმა ქალმა ვერ შეძლო? რა ემართება?

ავღანეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ტკივილი ტკივილზე ემატებოდა. ყოველდღე წვეთ-წვეთად გროვდებოდა და იზრდებოდა, როგორც ავთვისებიანი სიმსივნე. პირველად ნანას საქციელმა მოუღო ბოლო. მასთან განშორების მერე ხანგრძლივი პაუზა გამოუვიდა. თითქოს იყო ხანმოკლე რომანები, ყოველ შემთხვევაში, მცდელობები, მაგრამ ვერავინ იგუა, ნანა ვერც ერთმა ვერ დაავიწყა. ირაკლი გაურბოდა ურთიერთობებს. მას უკვე დაავიწყდა, რა უნდოდათ მათ, ქალებს, რას ითხოვდნენ მისგან. მათ არ მოსწონდათ, როცა ირაკლი მათ მიმართ უხეში იყო. არც ის მოსწონდათ, როცა ზედმეტად რბილი ხდებოდა. მათ გარეშე ბევრად უკეთ გრძნობდა თავს, ბევრად თავისუფლად, უფრო უადვილდებოდა ცხოვრება.

ბოლმისგან დიდი ხანია, დაიცალა, მაგრამ ტკივილისგან — ჯერაც ვერა, ის დარჩა. ავღანეთში გადატანილ უბედურებას ქალებთან წარუმატებლობა დაემატა. ომში მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა — ოღონდ ახლა გადარჩეს, ოღონდ დაბრუნდეს და სიკვდილამდე ბედნიერი და გახარებული იქნებოდა!

არადა, დღემდე არ იცის, რას ნიშნავს, იყოს ბედნიერი და გახარებული. ძალიან უნდოდა, ოჯახი ჰქონდა. კარგი, ლამაზი ოჯახი, ბავშვებით და მოსიყვარულე ცოლით... მაგრამ არ გამოვიდა. ამ დროს, არ იყო პრეტენზიული. ზედმეტ ზრუნვას არ მოითხოვდა, პირიქით — ეს თრგუნავდა, მაგრამ მთლად ამის გარეშეც არ შეეძლო, მისი ნაკლებობაც აღიზიანებდა. ხოლო ნორმალური „დოზა“ არა და არ ეღირსა...

ყურადღება სხვა რამეზე რომ გადაეტანა, ერთხანს კვლავ წყალბურთს დაუბრუნდა, მალე ისიც მოჰბეზრდა და დაცვის სამსახურში დაიწყო მუშაობა. მოსწონდა პირადი მცველის პროფესია, დიდი გამოცდილება დაუგროვდა. ნამდვილი პროფესიონალი გახდა. თითქოს თავიდან აეწყო ცხოვრება, ფულიც გაუჩნდა, სახლიც მოაწყო და თვალებშიც გამოიხედა. მერე ამასაც შეეშვა და ხანგრძლივი შვებულება გამოუწერა საკუთარ თავს...

მას შემდეგ ბევრი რამ ისწავლა. საკუთარი თავის შეცოდებაც და საკუთარი სულის დაცვაც — სიყვარულისგან, ახალი ტკივილებისგან. ქალებს მხოლოდ გართობის მიზნით ხვდებოდა. მხოლოდ ასეთი ქალების ესმოდა. არასდროს განსჯიდა მათ, არც ეცოდებოდა, არც ჰყვარობდა. ის მხოლოდ იყენებდა მათ ისევე, როგორც ისინი იყენებდნენ მას — რამდენსაც გასცემდა, იმდენსვე იღებდა.

და საბოლოოდ, მივიდა დასკვნამდე — როცა არ გიყვარს, ბევრად ადვილია ყველაფერი...

და პირად ბედნიერებაზე უარი თქვა. ასე იცხოვრა ორმოც წლამდე... გიოსა და გურამის გამოჩენამდე... ეყო, რაც გამოიარა... რაც ომში გამოცადა. არ სჭირდება ახლის დამატება.

მაგრამ უკვე გვიან იყო, უკვე დაემატა...

სრულიად უადგილოდ, ჰორიზონტზე თაკო გამოჩნდა. ამას კი ნამდვილად არ მოელოდა, ვერც წარმოიდგენდა...

გოგონამ, როგორც ჩანს, ისეთი მიიღო, როგორიც არის. ის არ მოითხოვდა მისგან შეუძლებელს, იმას, რისი გაკეთებაც მამაკაცს არ შეეძლო. არასდროს დაინტერესებულა იმით, რამდენს გამოიმუშავებდა ირაკლი, მდიდარი იყო თუ ღარიბი, არ თაკილობდა მასთან ურთიერთობას, არ აძალებდა, მოქცეულიყო ან ჩაეცვა ისე, როგორც მას არ სურდა...

ამით ის გამოირჩეოდა სხვა ქალებისგან, ეს პატარა, პირზე რძეშეუმშრალი ბავშვი...

მაგრამ უყვარდა კი ირაკლის? ზუსტად არ იცოდა. მაინცდამაინც არ იყო იმაში გარკვეული, რა ეტაპზე არქმევენ ურთიერთობას სიყვარულს. თუმცა ერთი რამ დანამდვილებით იცოდა — არასდროს დაჰპირდებოდა ადამიანს იმას, რისი მიცემაც არ შეეძლო.

თაკო... ის საშიში ცდუნება იყო... ის ცდუნება, რომ თურმე შესაძლებელი ყოფილა ქალსა და მამაკაცს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება. მის გვერდით ყოფნისას მიხვდა, რომ გოგონას სჭირდებოდა იგი, მისი ზრუნვა, მისი ყურადღება და სითბო, დაცვა, ბოლოს და ბოლოს... თაკო იღებდა ამ ყოველივეს და მასაც, ირაკლისაც, რა თქმა უნდა... ეს უკვე საჭიროზე მეტიც იყო მორიელისთვის, ეს თითქმის ბედნიერება იყო... ალბათ ამიტომაც გახდა გოგონა მისთვის ძალიან მშობლიური, ახლობელი და... სასურველი. იქნებ ეს სწორედ ის შემთხვევაა, რასაც სიყვარულს უწოდებენ? იქნებ საკუთარ თავს მაინც გამოუტყდეს, რომ შეყვარე-

ბულია? ჰოდა, აჰა, გამოუტყდა კიდეც, აღიარა, თქვა...

საათს დახედა, ორი გამხდარიყო... სადღაც ჭრიჭინების გულის გამაწვრილებელი ჭრიჭინი ისმოდა...

მოხდეს, რაც მოსახდენია... ახლავე შევა მასთან...

მტკიცე ნაბიჯებით გაიარა დერეფანი და თაკოს საძინებლის კარი თამამად შეაღო.

თაკომ ცალი თვალი გაახილა და უდარდელად გახედა. „გაივლის, გამოივლის და ისევ წავა“, — გაიფიქრა და თვალი კვლავ დახუჭა.

მამაკაცი მიუახლოვდა, ერთხანს იდგა ასე გარინდებული, მერე კი ფრთხილად მიუწვა გვერდით. თაკოს სუნთქვა შეეკრა. გადასაფარებლიდან ხელი გამოყო და პირად მცველს მკერდზე დაადო. ირაკლიმ ხელი დაუჭირა, ტუჩებთან მიიტანა და ნაზად აკოცა. გოგონა გაშეშდა. რას ნიშნავს ეს? — ეკითხებოდა საკუთარ თავს.

ირაკლიმ მკერდში ჩაუყო ხელი, მოეფერა. სითბო იგრძნო, იმაზე მეტი, ვიდრე ელოდა... მამაკაცის ხელისგული წამით შეყოვნდა, თითქოს მის გულთან ხელის გათბობა უნდაო, თან გამალებით ფიქრობდა — „ახლა რა გავაკეთო? გავაგრძელო? შევჩერდე?“ თაკო გაუნძრევლად იწვა, მხოლოდ მკვრივი მკერდი მღელვარედ აუდ-ჩაუდიოდა, როგორც ზღვის ტალღა.

რამდენიმე წამის განმავლობაში ორივე დუმდა და ორივე გაუნძრევლად იწვა. არც ერთი მათგანი არ ირხეოდა, ვერც ერთი ვერ ხვდებოდა მეორის აზრს, სურვილი კი ორივეს უზომოდ წვავდა. ორი ერთიანად დაძაბული სხეული თითქოს წაქცეულ ქანდაკებად იქცა...

როგორც იქნა, ხელისგულმა იწყო გამოცოცხლება, თითქოს სული შთაბერესო. თაკოს ცხელ კანზე დაიწყო სრიალი. გოგონას სული შეუგუბდა. არა, ეს შეუძლებელია, ეს ყველაფერი ეჩვენება მხოლოდ.

— ირაკლი... — ჩურჩულით თქვა.

— ჰო, — ჩურჩულითვე უპასუხა ვნებამორეულმა.

— მთვრალი ხარ?

— არა.

— ეს შენ ხარ?

— მგონი, კი.

რადგან მთვრალი არ არის, ესე იგი...

თაკომ ინფორმაცია მსწრაფლ გადახარშა გონებაში... და გადაწყვიტა, დახმარებოდა მამაკაცს.

— მაკოცე, გთხოვ...

მას თხოვნა არ სჭირდებოდა. ფრთხილად აკოცა ყელზე, მკერდზე...

ძლიერი ხელებით ეფერებოდა და გრძნობდა, როგორ ეძახდა ქალის სხეული. მერე წამოიწია და თვალებში შეხედა. დაიხარა, კიდევ... კიდევ... უფრო ახლოს... თაკო თვალს არ აშორებდა, ისე ელოდებოდა.

ირაკლი ფრთხილად შეეხო მისი ტუჩის კუთხეს, თითქოს ამოწმებდა, ჰქონდა თუ არა ამის უფლება, თითქოს თანხმობას ელოდა. თაკომ ვერ მოითმინა და ტუჩებზე დააკვდა.

ეს თანხმობას ნიშნავდა. მან სწორად გაიგო.

პირადი მცველი თავბრუდამხვევი სისწრაფით უკოცნიდა სახეს თავის „პატარას“. თაკომ თავი უკან გადასწია, რომ მამაკაცისთვის უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო მისი კოცნა.

მან ყველაფერი სწორად გაიგო.

აცახცახებული ხელით ნელა გახადა პიჟამა, თვითონაც გაიხადა და როცა ქალის შიშველ სხეულს შიშველი შეეხო, იგრძნო, როგორ ელოდა ეს ცხელი სხეული მის ალერსს. იგი თრთოდა, კანკალებდა, სიამოვნებისაგან კანი ერთიანად დაეხორკლა...

თაკოს სიზმარში ეგონა თავი... ირაკლისაც. ადრე, სხვა ქალებთან ყოფნისას, პირველ რიგში, საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობდა, თავისი სურვილის დაკმაყოფილებაზე. ახლა კი მისთვის მთავარი და უპირველესი მიზანი ამ პატარა პრინცესასთვის სიამოვნების მინიჭება იყო. უცნაური, აქამდე განუცდელი შეგრძნება სდევდა თან. არა, სექსი სულაც არ უნდოდა. უმაგისოდაც იოლად შეძლებდა გასვლას, რადგან ეს ალერსი სიამოვნებდა ყველაზე მეტად, მოფერების პროცესი ანიჭებდა ღვთაებრივ ნეტარებას. იგი თითქოს წყლის ძლიერი ნაკადივით მოედინებოდა და სიცხისგან გათანგულს ნებიერად არწყულებდა.

მამაკაცი ხარბად ისრუტავდა ქალის სხეულის სურნელს, სისხლის დუღილს გრძნობდა ძარღვებში, მთელი არსებით მისცემოდა სიამოვნებას, კოცნიდა ყველგან, სადაც მოესურვებოდა... ადგილს არ უტოვებდა უკოცნელს... თაკო ხანდახან ჩუმად ამოიკვნესებდა, მისი სხეული ვნებიანად იხლართებოდა მის მკლავებში, მის მკერდში...

ყველაფერი ეს ისეთი მომეტებული და მოულოდნელი იყო, ირაკლი წამით ჩაფიქრდა — შეძლებს კი გოგონას მოლოდინის გამართლებას?.. მოიცა, მორიელო, გონს მოდი! — ფიქრებში შეუძახა თავს...

ცოტა ხნით ზურგზე გადაწვა, გულისცემა რომ დაეწყნარებინა, ოდნავ მაინც მოეთქვა სული... ვერც კი წარმოიდგენდა, ამხელა გრძნობა თუ გააჩნდა. არ ელოდა, ასე თავდავიწყებით თუ გადაეშვებოდა ვნების მორევში. მოძალებულმა ვნებამ ყველა ზღუდე გაარღვია, ყველა ბარიერი გადალახა... სადღაც გაქრა მორიელის თავდაჭერილობა, სიმშვიდე, სიფრთხილე... მისი ამაყი „მე“ ხუხულასავით დაინგრა და უფსკრულში გადაეშვა, რათა წვრილ ნამსხვრევებად დაშლილიყო, ხოლო შემდეგ ისევ გამთლიანებულიყო და სხვა მამაკაცად გადაქცეულიყო — უფრო ძლიერად, უფრო მოსიყვარულედ, უფრო ბედნიერად...

ყველაფერს შეუსრულებს, რასაც მოსთხოვს. თუ უნდა, მუხლებზე დაუჩოქებს, თუ უნდა, ყოველდღე თვითონ გაამზადებს სადილს, უმღერებს, ზღაპრებს მოუყვება, ფრაკის ჩაცმა რომ სთხოვოს, იმასაც ჩაიცვამს. საალერსო სიტყვების კორიანტელი რომ მოსთხოვოს, იმასაც იპოვის... მისთვის ყველაფერს გააკეთებს, მისთვის ყველაფერზე თანახმაა... მის გამო ყველაფერზე წავა... სიცოცხლეს ხომ უყოყმანოდ გაწირავს, ახლა იგი ყველაფერზე თანახმაა... თანახმაა, გახდეს ისეთი, როგორიც მას სურს... მას, თაკოს...

მაგრამ ის არ მოსთხოვს არაფერ იმას, რაც ჩამოთვალა. არასდროს მოსთხოვს... იმიტომ, რომ უპრეტენზიოა... იმიტომ, რომ ბავშვია... იმიტომ, რომ... ის ბევრად უმცროსია მასზე...

ის მხოლოდ ელოდა... ელოდა, როდის გააგრძელებდა მამაკაცი მის ალერსს. კითხვებს არ სვამდა, მხოლოდ ელოდა. თითქოს იცოდა, როგორ ებრძოდა პირადი მცველი უცნაურ, გამოუცდელ გრძნობებს.

პაუზა კი იწელებოდა...

— ირაკლი...

მან თავი მძიმედ მიაბრუნა, ის ტკივილს გრძნობდა ამ აზრებისგან.

— ირაკლი, მე... შენ...

თაკო დაიბნა და დადუმდა, თუმცა მალევე მოეგო გონს. ხელები კისერზე მოხვია და ყელზე დაეკონა.

— დარჩი ჩემთან, სიხარულო... მომეფერე, მე შენ მჭირდები... მინდა, ძალიან მინდა შენთან... ახლავე, ამწუთას, ამ ღამეს... არ მინდა არაფრის ახსნა, არ მჭირდება შენი თავის მართლება, უბრალოდ, მინდა, რომ შენც გიყვარდე. ცოტათი მაინც, ძალიან ცოტათი. მე ესეც მყოფნის. დაივიწყე ასა-

კი... შენიც, ჩემიც... მე ქალი ვარ, პირველ რიგში, შენ — მამაკაცი... და ესაა მთავარი. უშენოდ დავიღუპები, ირაკლი...

და ირაკლი უცებ მიხვდა, რომ თაკო, ეს პატარა გოგონა, მართალი იყო.

სიყვარულმა ხომ არ იცის დრო, სივრცე, ასაკი, ზომა, წონა... სირცხვილი და სინანული...

სიყვარულს ყველაფრის უფლება აქვს. ის ყველაზე ურცხვი გრძნობაა ყველა გრძნობას შორის, ის ყველაზე თავნებაა... და ყველაზე საჭირო და სასურველი...

— მოდი ჩემთან, პატარავ, — დაიჩურჩულა მან და ხელები მოხვია.

თაკო ჩაესვენა მის მკლავებში...

თაკო ჩაიკარგა მის მკლავებში.

და ირაკლიც ჩაიკარგა მასთან ერთად.

ისინი ორივენი ჩაიკარგნენ უსაზღვრო ალერსის ლაბირინთებში, ამოუცნობ ვნებათაღელვაში, სადაც ერთად დახეტიალებდნენ, როგორც ბავშვები, ხელიხელჩაკიდებულნი და დაბნეულნი, ათასნაირი ლამპიონით გაჩირაღდნებული ატრაქციონების პარკში...

...შუქი ჩაქრა... ატრაქციონი ჩაბნელდა... პარკი დაიხურა...

ძალაგამოცლილი ირაკლი ზურგზე გაწვა. აჰა, მორჩა... მან შეასრულა თავისი მოვალეობა, ითამაშა თავისი როლი. მოიქცა კი სწორად? ალბათ — არა და ამას ვერასდროს აპატიებს თავის თავს...

აი, გათენდება და ხვალ ისეთივე ირაკლი გახდება, როგორიც აქამდე იყო. ეს არასდროს განმეორდება. მას არ ჰქონდა ამის უფლება, მით უმეტეს — შეყვარების. ეს დიდი შეცდომაა მისი მხრიდან.

მოულოდნელად მკვეთრი მოძრაობით წამოჯდა საწოლზე.

— რა დაგემართა, ირაკლი?

არ იცოდა, რა ეპასუხა. უნდოდა, ამდგარიყო და წასულიყო, მაგრამ არ უნდოდა, თაკოსთვის ეწყენინებინა. ამიტომ კვლავ დაწვა, ჩუმად, გაუნძრევლად. ვერ ხვდებოდა, რა ეთქვა, რა მოემოქმედებინა.

— არ მეტყვი, რა გჭირს? — ჩაეძია თაკო.

— კარგი, გეტყვი, — ამოთქვა რამდენიმე წუთის შემდეგ, — ეს უსინდისობა იყო ჩემი მხრიდან...

გაუჭირდა ამ სიტყვების წარმოთქმა, მაგრამ მაინც თქვა...

თაკოს პასუხი არ გაუცია. ირაკლიმ გააგრძელა.

— შენ კარგი გოგო ხარ, არაჩვეულებრივად კარგი, ძალიან მომწონხარ, თავს დიდებულად ვგრძნობ შენ გვერდით, მაგრამ... არ მინდა, მოგატყუო... ეს სიყვარული არ არის.

გოგონა შეირხა... მერე ძალიან ნელა წამოიწია, გვერდულად მოტრიალდა და მამაკაცს თვალებში ჩააშტერდა.

— საუკეთესო დრო იყო აღიარებისთვის... ვერაფერს იტყვი... მე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრა, ირაკლი. მე შენ სიგიჟემდე მიყვარხარ და უსაშველოდ მჭირდები, — იგი ერთხანს გაჩუმდა და მერე მშვიდად გააგრძელა, — ახლა, როგორც გინდა, ისე მოიქეცი. შეგიძლია წახვიდე, მე გაგიგებ.

ამის მაგივრად მორიელი მისკენ შებრუნდა, ხელები მოხვია და საწოლზე წამოაწვინა...

ისევ აბდღვრიალდა შუქი... ისევ აციმციმდნენ ლამპიონები... ისევ ახმაურდნენ თავბრუდამხვევი ატრაქციონები...

მამაკაცს კვლავ უყვარდა გოგონა...

დიდხანს და ნაზად...

ისე, როგორც შეეძლო... როგორც საჭირო იყო...

უყვარდა ისე, როგორც შეიძლება უყვარდეთ ქალი...

— ირაკლი, — დაიჩურჩულა თაკომ, — შენ რომ იცოდე...

მაგრამ მას არ უნდოდა არაფრის ცოდნა. მამაკაცმა ქალის სიტყვები კოცნით ჩაახშო... ალერსით აავსო... მოფერებით დაახრჩო...

მერე თქვა, შემოვლის დროაო და ადგა...

და წავიდა... მისი პირადი მცველი...

მამაკაცი, რომელსაც ბრმად ენდობოდა...

ბედნიერებისგან სახეგაბრწყინებული თაკო ბალიშს ჩაეხუტა და ღრმა ძილს მისცა თავი.

ეზოდან შემოსულმა, პირველი სართული დაიარა და მეორეზე ავიდა. უხმაუროდ მიუახლოვდა თაკოს საძინებლის კარს. სიჩუმე იყო. ძალიანაც კარგი. მართალია, ეს სიჩუმე ხელს უშლიდა ირაკლის, კიდევ ერთხელ შესულიყო მის ოთახში, მაგრამ ამწუთას ასე ჯობდა...

ირაკლის ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, თუ ორივე ოთახს მასპინძელივით თავისად დაიგულებდა და უკითხავად შეძლებდა იქ შესვლას, მთელი სახლის პატრონის როლში აღმოჩნდებოდა. ეს კი არ იქნებოდა მართებული... რას იფიქრებს გურამი? ჩემი არყოფნით ისარგებლა და ჩემს შვილს და ქონებას ერთიანად დაეპატრონაო? არა, ასე არ შეიძლება. მას თავისი კლიენტი არ უნდა შეუყვარდეს, ეს აკრძალულია, ეს წესი არ არის. ამისთვის დაისჯება...

ნეტავ, შეეძლოს, ყოველდღე თავისი სახლიდან იაროს... ნეტავ, დღისით მაინც არ იყოს თაკოზე თავდასხმის საშიშროება, მაგრამ, ვაი, რომ ასე არ არის. არადა, ასე რომ ყოფილიყო, მარისაც მეტ ყურადღებას მიაქცევდა. ვინ იცის, როგორ იქცევა მის არყოფნაში, ზედმეტად ბევრი თავისუფლება აქვს მინიჭებული. ცოტას მაინც გააკონტროლებდა... თუმცა, მარი არასდროს იღებს მის შენიშვნებს. „ჯერ საკუთარი შვილები გააჩინე და მერე მე მასწავლე ჭკუა!“ — გაახსენდა პირად მცველს დისშვილის გაღიზიანებული რეპლიკა... არადა, მარი მართალი იყო. დროა, საკუთარი ჰყავდეს, დიდი ხანია, დროა... ამისთვის კი ცოლის შერთვაა აუცილებელი, დაქორწინება... ამ აზრმა გუნება გაუფუჭა. ვერც კი შეამჩნია, როგორ მიეჭყლიტა შუბლით დერეფნის ფანჯრის მინას, ღამის სიბნელეს თვალებმიშტერებული.

რას ნიშნავს დაქორწინება? ვისზე უნდა დაქორწინდეს? ადრე ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდა, ახლა — მით უმეტეს... ახლა თაკოთია მოწამლული, მაგრამ ესმის, რომ არ შეუძლია მის გვერდით იყოს, ისინი შესაფერისები არ არიან ერთმანეთისთვის... მაგრამ... აწი მთელი ცხოვრება დაიწყებს მისნაირის ძებნას, თაკოსნაირის — თავისი ურთიერთგამომრიცხავი დადებითი და უარყოფითი თვისებების ერთობლიობით. მასში დელიკატურობა, სიკეთე, უკმეხობა გასაოცრად იყო შერწყმული ნატიფ სულთან, შინაგან სიძლიერესთან, სიმამაცესთან... მკვეთრად გამოხატული ხასიათი ჰქონდა, დამოუკიდებელი იყო, ინდივიდუალური — ქალი თავისი სამყაროთი, თავისი საქმითა და მრავალფეროვანი ცხოვრებით... თავისი მიზნებითა და სწრაფვით...

აი, ირაკლის კი არ გააჩნდა თავისი სამყარო. და არც ის იცოდა, რა დანიშნულება ჰქონდა მის არსებობას, რა მისია დააკისრა განგებამ, რისთვის მოევლინა დედამიწას. არც ოჯახი ჰქონდა, არც შვილები ჰყავდა. ამქვეყნად არაფერი გააჩნდა... როგორც ღატაკს. სამსახური ჰქონდა ერთადერთი. თუ ამას სამსახური ჰქვია! გამუდმებით სიკვდილის შიში! გამუდმებით სხვისი დაცვა. რა რჯიდა, რატომ მიუბრუნდა ძველ პროფესიას? ნუთუ ესეც ბედისწერა იყო? როდის უნდა მოიცალოს პირადი ცხოვრებისთვის? ჰმ, რა გვიან გაახსენდა პირადი ცხოვრება...

გააჟრჟოლა. უსიამოვნო ფიქრების თავიდან მოშორება გადაწყვიტა. შუბლი მინას მოაცილა, სამზარეულოში უხმაუროდ ჩავიდა და ყავის მოდუღებას შეუდგა...

მერე ფინჯნით ხელში კიდევ ერთხელ დაიარა სახლი. იცოდა, ზედმეტი იყო ხელმეორე შემოვლა, მაგრამ დრო გაჰყავდა, უნდოდა, რაღაცით დაკავებულიყო, რადგან მაღლა ასვლას გაურბოდა, ფეხები არ ემორჩილებოდა, თავისით მიემართებოდა თაკოს საძინებლისკენ.

იქ შესვლის უფლება კი არ ჰქონდა... ყველაფერი გააფუჭა და გამოსწორებას ახლა ცდილობდა...

არა, არა და არა! ამას მეტჯერ აღარ გაიმეორებს.

დიდხანს ებრძოდა თავს... სიმწრის ოფლმა დაასხა. ეს რა გამოცდა მოუწყო ბედისწერამ, ეს რა დღეში ჩააგდო... რა ქნას, თუ თაკოსთან უნდა? რატომ უნდა ასე ძლიერად?

იმიტომ, რომ...

იმიტომ, რომ შეყვარებულია... აი, რატომ. ყველაფერი დღესავით ნათელია! მაინც არ შევა. მას აქვს ამის ნებისყოფა!

...ისე გათენდა, ირაკლი არ შესულა მასთან...

...იგი დილის რიჟრაჟს თავის ოთახში შეხვდა...

თვალებში აცრემლებულ ძილგატეხილ ჭინკებთან ერთად.

მკლავზე სურვილით მოცახცახე მორიელის სვირინგთან ერთად...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ეროვნების საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. რომელი ფირმის სიგარეტის კოლოფს ამშვენებს იულიუს კეისრის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „ვენი, ვიდი, ვიცი“ (მივედი, ვნახე, დავამარცხე)?
2. რა არის კრიჟი?
3. რა ჰქვია ქართულად ბაკენბარდებს?
4. მეტეხის ეკლესია თბილისში რომელი მეფის ზეობის დროს აშენდა?
5. დაასახელეთ ანტიკური ქალაქი, რომლის ნახევრად დანგრეულ ამფითეატრშიც გადაიღეს „პინქ ფლოიდის“ ფილმი-კონცერტი — „ექო“.
6. რატომ აქვთ ლონდონურ ტაქსებს, ე.წ. კებებს ამაღლებული სახურავი?
7. „სილამაზესა და ბედნიერებას ძალიან ბევრი ... ჰყავს“, — ამბობდა ვიქტორ ჰიუგო. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა.
8. ვინ იყო ვიკონტ დე ბრაჟელონის მამა?
9. 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ამერიკის რომელმა შტატმა ითამაშა გადამწყვეტი როლი?
10. ინდოელი მოგოლი შაჰის, ჯაჰანის მეუღლე მეთოთხმეტე შვილის მშობიარობას გადაჰყვა. რა ააგო დამწუხრებულმა შაჰმა გარდაცვლილი მეუღლისადმი უდიდესი სიყვარულის ნიშნად?
11. ლუდვიგ შპორი პირველი ადამიანი იყო, ვინც ორკესტრის დირიჟორობისას პირველად გამოიყენა... რა?
12. „ლიტერატურა ხალხის ჭკუა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია. მეც იმიტომ ასე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბღაჯნის, აღარა ბღაჯნოს, რადგან იგინი თავის ბღაჯნითა ამდაბლებენ ჩვენს ენას. ამას ვითხოვთ ხალხის სახელითა და ხალხისვე სახელის დაცვისათვის“. ვის ეკუთვნის ეს სტრიქონები?
13. პირველად სად და როდის დაპატენტეს ელვაშესაკრავი?
14. რა არის წილჩაოტი?
15. იბერიელი კელტების მიერ მოპოვებული რკინის ზოდები ფოლადისა და რკინის ნარევისაგან შედგებოდა. რა გზით აცალკევებდნენ ფოლადსა და რკინას?

# ანეკდოტები

***

— მამა, ძველი ბერძნები გამარჯვების სიმბოლოდ ქალებს რატომ ხატავდნენ?

— მოიყვან ცოლს და გაიგებ.

***

— რა განსხვავებაა დირექტორსა და ქმარს შორის?
— დირექტორი იცნობს თავის მოადგილეს, ქმარი კი არა.

***

მივლინებიდან დაბრუნებულ ბუხუტის ცოლის ხმა შემოესმა:
— ძვირფასო, ახლა ჩემი ქმარი რომ შემოვიდეს, რას უზამ?
— ნეკნებს დავამტვრევ და თავ-ყბას დავულეწავ!
— არ შემოვალ და რა ფეხებს მომჭამ? — ჩაიბურტყუნა ბუხუტიმ.

***

ქალი დაქალს შესჩივის:
— ჩემი ქმარი წესრიგს ვერაფრით მივაჩვიე.
— რას გულისხმობ?
— საფულეს ყოველთვის სხვადასხვა ადგილას ინახავს.

***

შვილის მომლოდინე მშობლებმა დეპეშა მიიღეს: „მატარებელზე დავაგვიანე. ხვალ, ამავე დროს გამოვალ“.

— აი, სულელი, — ამბობს მამა, — ამავე დროს თუ გამოვა, ისევ დაიგვიანებს...

***

— ჩემი ქმარი მეზღვაურია და თერთმეტი თვე ზღვაშია, ერთი თვე — სახლში.
— წარმომიდგენია, როგორ წვალობთ.
— არც ისე. ქმარი ნახევარ შვებულებას მშობლებთან ატარებს.

***

მთვრალი მიხო მღვდელს დაეჯახა. მღვდელმა ალმაცერად გადახედა:
— ასე მგონია, შვილო ჩემო, მე და შენ სამოთხეში ვერ შევხვდებით.
— ასეთი რა ცოდვა გაქვთ, მამაო?

***

წესიერ და პატიოსან ოჯახში აღზრდილ გოგონას ღამე შინ არ გაუთევია, სახლში დილით დაბრუნდა. მშობლები ეკითხებიან:
— სად იყავი და რას აკეთებდი მთელი ღამე?
— დანამდვილებით არ ვიცი, ამას რა ჰქვია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ დღეიდან, ეს ჩემი ჰობი იქნება.

***

— ჭიჭიკია, რატომ მოაჭერი ძაღლს კუდი?
— სიდედრის სტუმრობისას კუდს სიხარულით აქიცინებდა და იმიტომ.

***

მძარცველი ოსს აყაჩაღებს:



— ჩქარა, ფული!

— სენი წირიმე, მე ვიცი სამბო, ძიუდო, აიკიდო, კუნფუ, კარატე და კიდევ ბევრი, ძალიან საშიში სიტყვა.

***

ველისციხის რადიო გადმოსცემს: „ჩვენებიანთ ნიკამა, თედომა და მიტომა მეზობელი რაიონის სოფლები ვირებით შემოიარეს, რითაც დაამტკიცდეს, რომ ვირი სატრანსპორტო საშუალებაც ყოფილა“.

***

მივლინებიდან დაბრუნებულმა ჭიჭიკიამ კარადაში შიშველი ბიჭიკია აღმოაჩინა:

— აქ რას აკეთებ?

— ტრამვაის ველოდები.

— რა სისულელეს ამბობ?

— აბა, რა სისულელეს მეკითხები?

***

მიტო მიხოს შესჩივის:

— სიდედრის საფლავის გაკეთება 1.500 დოლარი დამიჯდა.

— ეჰ, მაგისთანა კარგი საქმისთვის ფულს არც მე დავიშურებდი.

***

ცოლ-ქმარი თეატრშია. ქალი ქმარს ეუბნება:

— შეხედე, მეექვსე რიგში კაცს სძინავს!

— მერე, მაგის გულისთვის გამაღვიძე?!

***

კახელმა, მეგრელმა, გურულმა და იმერელმა ქეიფი გადაწყვიტეს.

— წავალ, ხაშლამას მოვიტან! — თქვა კახელმა.

— მე — ღომსა და სულგუნს! — თქვა მეგრელმა.

— მე არაყს დავამატებ! — თქვა გურულმა.

— მე კი ჩემს ძმას მოვიყვან. იმისთანა ანეკდოტებს ჰყვება, თითებს ჩაიკვნეტ! — თქვა იმერელმა.

***

დილით მიხო ისეთი დარდიანი სახით გამოდის ბირჟაზე, მის შემხედვარეს გული მოგიკვდება. მიტო ეკითხება:

— ცუდი ხომ არაფერი მოხდა, მიხო?

— ჩემი ცოლი ერთი თვით სიდედრთან მიდის.

— მერე, რა სახე ჩამოგტირის, პირიქით, უნდა გიხაროდეს!..

— ვიცი, მაგრამ ჩემმა ცოლმა გახარებული რომ დამინახოს, აღარ წავა.

***

ექიმის კაბინეტში მოხუცი კაცი შევიდა.

— ექიმო, ახალგაზრდობაში ყველანაირი ქალები მყავდა...

— გასაგებია, მაგრამ მე ვენერიულ დაავადებებს არ ვმკურნალობ.

— არა ექიმო, თქვენ მე ვერ გამიგეთ, ქალებთან დროს ტარება, ყველაზე მეტად ძვირად ღირებულ, სპორტულ მანქანებში მიყვარდა. თითქმის ყველანაირი მანქანა მოვსიჯე: „ალფა რომეო“, „პორშე“, „იაგუარი“...

— აა, მივხვდი, ამის გამო ახლა რადიკულიტი ან ართროზი გაწუხებთ?

— არაფერი მაგის მსგავსი, ექიმო.

— აბა, რისთვის მოხვედით?

— ერთი-ორი დღით თქვენს „ფერარის“ ხომ ვერ მათხოვებდით?!

# ჯონჯის საფარჩიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

## (პასუხები)

1. „მალბოროს“.
2. კათოლიკური ჯვარი.
3. ქილვაშები.
4. დიმიტრი თავდადებულის დროს.
5. პომპეი.
6. მასში ჩაჯდომისას ჯენტლმენს ცილინდრის მოხდა რომ არ დასჭირდეს.
7. „მტერი“.
8. ათოსი.
9. ფლორიდის შტატმა.
10. ტავზმაჰალი.
11. სადირიჟორო ჯოხი.
12. ილია ჭავჭავაძეს.
13. ჩიკაგოში, 1892 წელს.
14. „წილჩაოტი“ და „ჯიბლიბო“ სინონიმებია (ჯიბლიბო — წამწამთა ძირების ჩირქოვანი ანთებაა).
15. ზოდებს მიწაში მარხავდნენ, სადაც რკინას უანგი ჭამდა და იშლებოდა. შედეგად, რჩებოდა ფოლადი, რომლისგანაც კელტები იარაღს ჭედავდნენ.

# ძვირფასო მკითხველებო!

*ეს ფოტო მკითხველმა, ზურა ხურციძემ გამოგვიგზავნა და დაასათაურა: „ოთიკო და მისი ურჩი მოსწავლე“*

*შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.*

## ფოტოალბომი

# ულალატე მას ისე, რომ...

**გრძნობები ქორწინების შემდეგ არ ცივდება, უბრალოდ, ტემპერატურა ნორმალური ხდება. იყავი რეალისტი და საყვარელი მეუღლისგან ნუ მოითხოვ, რომ იგი მუდამ ანთებული იყოს დაუოკებელი ემოციებით, თორემ... გადაიწვება. თუმცა, იოლი როდია, მისგან უყურადღებობას, გულგრილობას გრძნობდე და თავი ისე დაიჭირო, თითქოს არაფერი ხდება. ზოგჯერ, მისმა ინდიფერენტულობამ და შენმა სურვილმა — ძველებურად ერთადერთი და განუმეორებელი იყო შენი რჩეულისთვის, შეიძლება ღალატიც კი გაფიქრებინოს. არ გირჩევთ, ღალატი შვებას ვერ მოგიტანს — პირიქით, უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდები და შესაძლებელია, ეს ნაბიჯი მთელი ცხოვრების მანძილზე სანანებელი გაგიხდეს. ეცადე, მოიფიქრო უფრო დახვეწილი და მოქმედი მექანიზმი, რათა იგი ძილბურანიდან გამოიყვანო. გამოიყენე ეჭვის ჯანსაღი ფორმა — აიძულე ქმარი, იეჭვიანოს უსაფუძვლოდ — ანუ „ულალატე“ მას ისე, რომ.... არ ულალატო.**

• მას დიდი ხანია, არ უჩუქებია შენთვის „მილიონი ალისფერი ვარდი“, მაგრამ პრაქტიკული საოჯახო ნივთების შეძენა არ ავიწყდება... შენთან საუბრისას ძალზე „იღლება“ და ხშირად გიწევს მისი ზურგის ცქერა. „ნუთუ აღარ ვუყვარვარ?, უფრო, ალბათ შემეჩვია, ე.ი. დროა შევაფუცხუნო“, — ფიქრობ შენ.

• ის ვერ გხედავს, უფრო სწორად, ვერ გამჩნევს. შენ მისთვის უკვე — არა საჩუქარი, არამედ ყოველდღიური ცხოვრების დეტალი ხარ. ის დამოუკიდებლად ვერ პოულობს ოთახის ჩუსტებს, მაგრამ ჩუსტების მოსაძებნად, შენი პოვნა არ უჭირს... მაშ ასე: შეცვალე დღის განრიგი! ხშირად ისეირნე, ესტუმრე მეგობრებს, ნათესავებს, შეყოვნდი სამსახურში ან ადრე წამოდი, ოღონდ არა — საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად: შეიარე სალონში, მაღაზიებში, ჩაეწერე სპორტულ სექციაში, იარე საცურაო აუზზე... როცა გკითხავს, — „სად იყავი აქამდე?“ — სიმართლე უთხარი, ოღონდ ისე, რომ შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ატყუებ. ე.ი. მოიქეცი ისე, რომ ქმარმა „ყურები დაცქვიტოს“ და ყურადღება გაორმაგოს.

• ის შენ არ გისმენს, როცა რაიმის მოყოლას ცდილობ და მომაბეზრებლად აწკაპუნებს კომპიუტერის კლავიატურას... არ გისვამს შეკითხვებს და არ სურს საინტერესო დეტალების გაცნობა. იმოქმედე ანალოგიურად. ნუ დაურეკავ სამსახურში. არ დაინტერესდე, რომელ საათზე მოვა შინ. თუკი ათასში ერთხელ, ლაპარაკის საღერღელი აეშლება და მეგობრებისგან მოსმენილი უკბილო ანეკდოტების მოყოლას დაიწყებს, გააწყვეტინე მოკლე, თანაც არაადეკვატური ფრაზებით. მაგალითად: „ხომ გენიალურია ჯონი დეპი?!“ — და საერთოდ, თავი დაბნეულად მოაჩვენე. შაქრის მაგივრად, ყავაში „შემთხვევით“ მარილი ჩაუყარე და მერე მოუბოდიშე. შემდეგ სახე აარიდე და ღიღინი წამოიწყე. ძალზეც ნუ გადაამლაშებ. ამ თამაშის საბოლოო მიზანი ისაა, რომ მას ეჭვი შეეპაროს შენს ჩვეულ ხელგარჯილობაში. შეწყვიტე მასთან ყოველდღიური პატაკების ჩაბარება ბავშვების ყოფაქცევაზე, ბაზრის ფასებზე, ვინაიდან ეს იმას მიანიშნებს, რომ კვლავ ყველაფერი რიგზეა. დარწმუნებული იყავი, ასეთი ცვლილების შემდეგ, იგი შესამჩნევად გაღიზიანდება და შესაძლოა, საგონებელშიც კი ჩავარდეს.

• ის მოსაწყენად დუმს შენთან. სამაგიეროდ, სხვაგან კომპანიის სული და გული. იმოქმედე იმავე მეთოდით: იკისკისე, იხუმრე — მის მეგობრებთან, მშობლებთან, ნათესავებთან სტუმრად ყოფნის დროს თუ დაქალებთან ტელეფონით საუბრისას. მასთან განმარტოებული კი საეჭვოდ დადუმდი. მამაკაცისთვის ეს სერიოზული გამოცდაა — „სხვებთან ასე თუ მხიარულობს, ჩემთან რა ენა უვარდება? იქნებ, ისინი უფრო საინტერესოდ ეჩვენებიან, ვიდრე მე?“ — ეს კითხვები მას უსათუოდ ააფორიაქებს.

• შენს მცდელობას, საყვარელი მეუღლე გამოაფხიზლო, აუცილებლად სჭირდება „ვიზუალური შეტევის“ გამოყენებაც. სამსახურში წასვლისას ჩაიცვი უფრო გამომწვევად, ვიდრე უწინ. ახლომდებარე მაღაზიაში გასვლის დროსაც კი არ დაივიწყო მაკიაჟი. მამაკაცები, როგორც წესი, ვერ ამჩნევენ ცოლების ჩაცმულობის დეტალებს, მაგრამ მათი საერთო აზრი მხედველობით ფოკუსირდება. შეგიძლია, ექსტრავაგანტური თეთრეულიც შეიძინო. მას აზრადაც არ მოუვა, თუ ეს ყველაფერი მისთვის კეთდება და თავისთავად გაუჩნდება კითხვა — „ვისთვის იპრანჭება ასე, ამდენი ხნის თანაცხოვრების შემდეგ?“

*როგორ არის საქმე? უკვე გხვდება სამსახურიდან გამოსულს, როგორც უწინ? გეპატიჟება თეატრსა და რესტორანში? განაახლა სპორტული დატვირთვები? პირის ყოველდღიურად გაპარსვა და ფორმაში ყოფნა მოუნდა? ძალიან კარგი, ე.ი. შენმა ტაქტიკამ შედეგი გამოიღო. ახლა უკვე საკმარისია. შეიბრალე იგი!* ■

## ვისკის გამაგრილებელი კოქტეილი

**მასალად საჭიროა:**

1 კუბურა ყინული, 1,5 ჩ/ჭ ვისკი, 1 წილი ლიმონის წვენი, 1 წილი შაქრის სიროფი, სპირალურად დაჭრილი ლიმონის კანი.

ათქვიფეთ ლიმონის წვენი და ვისკი ყინულთან ერთად. ჩაასხით ფართო ჭიქაში. გააფორმეთ ჩხირზე წამოცმული ლიმონის კანით. ■

# როგორ გავითეთროთ კბილები



**ადამიანის შეგრძნება და განწყობილება ბევრადაა დამოკიდებული მისი კბილების მდგომარეობაზე. მოხუციც კი, თუ მას მაგარი, ჯანსაღი და თეთრი კბილები აქვს, თავს მხნედ და ახალგაზრდულად გრძნობს. დღეს უამრავი კბილის პასტა არსებობს, მაგრამ საინტერესოა, როგორ ისუფთავებდნენ მათ გარეშე კბილებს ჩვენი წინაპრები?**

● კბილების გაწმენდის გავრცელებული საშუალება ძველ რუსეთში არყის ხის ნახშირის ფხვნილი იყო. ამ ფხვნილით კბილების გახეხვის შემდეგ, პირში წყალს საგულდაგულოდ ივლებდნენ;

● სასარგებლოდ მიიჩნეოდა წიწვოვანი მცენარეების — ფიჭვის, ნაძვისა და ა.შ. საღეჭი ფისი. ფისს შემოდგომაზე იმარაგებდნენ და ნაჭრის ან ხის ქერქის კოლოფებით ინახავდნენ;

● კბილების გასაწმენდად წიწვოვანი ხის ტოტიც გამოდგება. ტოტს კანს აცლიან, შემდეგ ერთი მხრიდან რაიმე მძიმე საგნით კარგად ჩეჩქვავენ და ფუნჯს ამსგავსებენ (მისი დაღეჭვაც შეიძლება). ასეთმა „ფუნჯმა“ თავისუფლად შეიძლება შეცვალოს ჯაგრისიც და პასტაც.

● კბილების გასათეთრებლად სხვა მრავალი ხერხიც არსებობდა. ბევრ ეთნოგრაფს აოცებდა აფრიკელი ტომის — ბერგდამების — კბილების თვალისმომჭრელი სიქათქათე. როგორც აღმოჩნდა, ისინი გამუდმებით ღეჭავდნენ ტყავის პატარა ნაჭერს... ქვემოთ მოყვანილი ხერხი კი სუსტი ნერვების პატრონთ არ გამოადგებათ: თურმე ესპანელები პირის ღრუს გამოსარეცხად და კბილების გასაწმენდად, შარდს იყენებდნენ.

● კბილებს ჩაიც ძალიან უხდება. ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ეს სასმელი კბილის მინანქარს სხვადასხვა დაზიანებისგან იცავს. მსგავსი ქმედების უნარი აქვს ყურძნისა და ალუბლის წვენს, რძეს, ყავასა და სხვადასხვა სახის ყველს. ■

# როგორ გაგიწმინდოთ სახე მარილით

ბევრი ჰოლივუდელი ვარსკვლავი თურმე შინ გაკეთებულ პილინგს ანიჭებს უპირატესობას და ირწმუნება, რომ ეს საუკეთესო საშუალებაა კანის გასაწმენდად და „გასაპრიალებლად“.

√ რეცეპტი საკმაოდ მარტივია: 0,5 ჩ/ჭ ზეითუნის ზეთს შეურიეთ 2 ჩ/ჭ ზღვის (ან სუფრის) მარილი და ნამიან კანზე წაისვით (პროცედურამდე მიიღეთ შხაპი და არ შეიმშრალოთ).

√ არსებობს კიდევ ერთი, არანაკლებპოპულარული მეთოდი: სუფთა კანზე თხლად წაისვით თაფლი (ცხადია, თუ ამ პროდუქტს მიმართ ალერგიული არ ხართ) და თითის წვერებით მსუბუქი მასაჟი იკეთეთ მანამ, ვიდრე მასა არ გასქელდება. ამ უმარტივესი პროცედურის შედეგად, კანი მკვდარი უჯრედებისა და მავნე ნივთიერებებისგან გათავისუფლდება. ჩამობანის შემდეგ ლოსიონი წაისვით. სხვათა შორის, ლოსიონიც თავად შეგიძლიათ დაამზადოთ: 2 ჩ/ჭ წვრილად დაჭრილ ჭინჭრის ფოთლებს დაასხით მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი და გადაწურეთ. ეს ნაყენი აგრეთვე რეკომენდებულია სახის კანის გასაწმენდად და კომპრესისათვის. ხსნარში დაასველეთ ორ ან სამ ფენად დაკეცილი დოლბანდის ხელსახოცი და 5-10 წუთით დაიფინეთ შუბლზე, ლოყებსა და ნიკაპზე. ■


 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ. ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. რეიტინგი | 1.00 | 26.0 |
| 2. გზა | 0.80 | 20.8 |
| 3. Женский журнал | 11.65 | 69.7 |
| 4. Женское здоровье | 7.00 | 41.8 |
| 5. Сандра | 4.00 | 24.0 |
| 6. Все для женщины | 0.80 | 19.9 |
| 7. Гламур | 7.20 | 43.2 |

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
საგენტო
ელვა

ქ. თბილისი
ოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com



*რუბრიკა მოამზადა*
*ეკა გუნთაიშვილმა*



# დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №15-30

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

გვიდოს სწრაფად გადაუარა ხმალში გამოცდისას განცდილმა წყენამ. თავადაც აღიარა მუროჩის უპირატესობა და მასთან დამეგობრება სცადა. ამას ხელს მათი ასაკიც უწყობდა. ორივე მეთექვსმეტე წელიწადში იყო გადამდგარი. თანაც ორივეს ესმოდა ბერძნული. ვენეციელი თავისუფლად ლაპარაკობდა ბერძნულად, მუროჩი — ნაკლებად, მაგრამ ესეც საკმარისი იყო იმისთვის, რომ ფხოველსა და ვენეციელს ერთმანეთისთვის გაეგოთ.

გვიდო დაუზარებლად უამბობდა მშობლიურ ვენეციაზე, მის არხებზე, გონდოლებზე, სწრაფ და ბრძოლისას საშიშ გალერებზე, ვენეციის გემის მისადგომებთან რომ ირწეოდნენ, გენუელებთან მომხდარ შეტაკებებზე, რომლებშიც მისი წინაპრებიც მონაწილეობდნენ, თავის ძმებსა და სან მიქელეს სასაფლაოზე დაკრძალულ დედაზე. უამბობდა და თავადაც ეკითხებოდა საქართველოსა და ფხოვის შესახებ. მუროჩიც უყვებოდა ბერდიაზე, უშიშაზე, მკაცრ ფხოველებზე, რომელთათვისაც სიცილიც კი საძრახის საქციელად მიიჩნეოდა, პირქუშ და ბრძოლისას შეუდრეკელ არაგველებზე, მყინვარწვერებზე, ჭიუხებზე, ლაღად მონავარდე ჯიხვებზე, აქაფებულ, სწრაფ მდინარეებზე, წითელწინწკლება კალმახზე, ბალღობისას რომ იჭერდნენ ის და უშიშა მორევებში და დიდო-ძურძუკებთან მომხდარ ომებზე. ომისა და ბრძოლის ამბები გამორჩევით იზიდავდა გვიდოს. თავად ომში ერთხელაც არ იყო ნამყოფი, მაგრამ იცოდა, რომ შორეული მოგზაურობა ხმალთა კვეთის გარეშე არ ჩაივლიდა და წინასწარ სურდა, მომზადება იმ შერკინებებისთვის.

საუბრების გარდა, მუროჩი ბევრ დროს უთმობდა ვენეციელის ფარიკაობაში წვრთნას. გვიდო დაუზარელი და ნიჭიერი შეგირდი აღმოჩნდა. ყურადღებით უსმენდა მუროჩის და ბრძოლის ფხოვურ წესებს სწავლობდა. მოგვიანებით თანატოლებმა წესად გაიხადეს ქალაქში გასვლაც. დილით ერთად მიჰყვებოდნენ გუელმოსა და ჰასანს ქარვასლაში. გვიდო მამისგან სწავლობდა ვაჭრობის ავან-ჩავანს. როგორც წესი, უფროსი ბლანკო შუადღეს კეტავდა თავის საწყობს და ჰასანთან ერთად შინ ბრუნდებოდა. ახალგაზრდები კი ქალაქში რჩებოდნენ.

თავიდან ჰასანი ამის წინააღმდეგი იყო. ეშინოდა, რაიმე შემთხვევითობას მისი ქართველობა და ქრისტიანობა არ გაემჟღავნებინა, მაგრამ გუელმომ მაინც დაითანხმა. მალე შორ გზას უნდა გასდგომოდნენ. გვიდოს კი აქამდე არასოდეს ჰქონია საქმე სპარსელებთან და მუსლიმანებთან. იგივე ითქმოდა მუროჩიზეც. ის მარტო ომში შეხვედროდა სელჩუკებს და ყოველ მათგანს მოსისხლე მტრად მიიჩნევდა. გუელმოს კი სურდა, რომ მისი შვილიც და მუროჩიც ახლოს გასცნობოდნენ სპარსელებს და უცხოტომელებთან ურთიერთობას შესჩვეოდნენ.

ჰასანი დიდხანს ყოყმანობდა. ბოლოს მაინც დათანხმდა გუელმოს. რაზე უნდა მიეტანათ ეჭვი სპარსელებს, ვენეციურად გამოწყობილი და ბერძნულად მოლაპარაკე ჭაბუკებთან შეხვედრისას? ეს იმდენად არ აფიქრებდა. მხოლოდ მუროჩის ფიცხი ხასიათი აშინებდა. რა მოხდებოდა, თუ რომელიმე სპარსი ან სელჩუკი დაუფიქრებელი საქციელით გაანაწყენებდა? ასეთ ვინმეს კი აუცილებლად გადააწყდებოდა ბაღდადის ქუჩა-შუკებში.

ათმა დღემ მშვიდად ჩაიარა. გუელმომ სარფიანად გაყიდა ვენეციური ბროლი, ბეწვეული, ჩრდილოეთის ქარვა, ტოლედოს ხანჯლები და შეიძინა ბაღდადური საქონელი, რომლის ჩატანასაც ჩინეთში აპირებდა. მის შენაძენში მთავარი ადგილი არაბული ცხენების რემას ეკავა. გასაოცარი სანახავი იყვნენ უდაბნოს მკვიდრი ბედაურები. ყველა თოვლივით თეთრი იყო, თვალებბრიალა და ფიცხი. დიდხანს არჩევდნენ ამ ცხენებს გუელმო და ჰასანი. ზოგი თეთრ ტანზე გამორეული შავი წვრილი კოპლების გამო დაიწუნეს, ზოგს მოკლე ფაფარი აღმოაჩნდა, ზოგს — ვიწრო ფლოქვები. საბოლოოდ, გუელმომ და ჰასანმა მაინც მოუყარეს თავი თექვსმეტ ფაშატს და ოთხ საუკეთესო ულაყს. ახლა ეს ცხენები ჰასანის საჯინიბოში ელოდნენ ხომალდზე გადაყვანას.

ჰინდუსტანში გემით გამგზავრების აზრი გუელმოს ეკუთვნოდა. ეს ჯერ ვენეციიდან გამომგზავრებისას ჰქონდა გადაწყვეტილი. ძველად მას და ჰასანს ყოველთვის ხმელეთით მიჰყავდათ ქარავანი, მაგრამ მაშინ სავაჭროდ მიემგზავრებოდნენ და სხვადასხვა ქალაქის ბაზრებზე ჩერდებოდნენ. ახლა კი გუელმოს სხვა მიზანი ჰქონდა. სპარსული ბაზრები აღარ აინტერესებდა. საქონელი, რომელიც ჩინეთს უნდა ჩაეტანა, უნდა ეყიდა. ერთადერთი, რისი დამატებაც ჰქონდა გადაწყვეტილი, ბაჰრეინის ვარდისფერი მარგალიტი იყო. ის ჰინდუსტანში, მითხაპურის მხარეში მოიპოვებოდა. იქამდე ჩასასვლელი ყველაზე მოკლე გზა კი ზღვაზე გადიოდა. ჰინდუსტანში გასამგზავრებლად, ზღვამდე მისვლაც არ სჭირდებოდათ. ხომალდი მდინარე ტიგროსს გაუყვებოდა, რომელიც შუაზე კვეთდა ბაღდადს. ჩავიდოდა ბასრაში და იქიდან ღია ზღვაში გაცურავდა. ამ გზით უფრო მალე ჩააღწევდნენ ბაჰრეინის კუნძულებამდე, ვიდრე ხმელეთით. თანაც გუელმო და გვიდო ხომ ვენეციელები იყვნენ და ისევე, როგორც ყველა ვენეციელს, ზღვაზე მოგზაურობა ერჩივნათ, უდაბნოს მტვრის ყლაპვას.

საჭირო გემის მოძებნა არ გასჭირვებიათ. ბაღდადის გემმისადგომთან უამრავი დიდი თუ მცირე ხომალდი იდგა. იქ იყო სავაჭრო და საბრძოლო ხომალდები; იყო ისეთებიც, რომლებსაც ტვირთის ზიდვაც შეეძლო და მეკობრეთა მოგერიებაც, მაგრამ ჰასანმა შედარებით მცირე, ორანძიანი გემი შეარჩია. ხომალდს სხვებთან შედარებით ნაკლები ტვირთის წაღება შეეძლო და ბრძოლისთვისაც გამოუსადეგარი იყო, მაგრამ იმ გემს ალ კაისი მეთაურობდა, ბაღდადში ყველაზე გაბედული და გამოცდილი ზღვაოსანი.

გუელმო და ჰასანი მუხლჩაუხრელად დასტრიალებდნენ ხომალდს. ეს სახუმარო საქმე არ იყო. წინ ელოდა შორი გზაც და ბობოქარი ზღვაც, რომელზეც ხშირად დათარეშობდნენ მეკობრენი.

ბაღდადიდან გამგზავრებამდე ორიოდ დღე რჩებოდა, როცა მუროჩის ფიცხმა ხასიათმა კინაღამ ყველაფერი ჩაშალა.

ჰასანისა და ვენეციელთა გამგზავრების შესახებ მთელი ბაღდადისთვის

იყო ცნობილი. ჰასანს კი ყველა კარგად იცნობდა. ამიტომაც გემმისადგომთან მდგარ ხომალდთან ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. ჰასანისა და გუელმოს მოსანახულებლად მოდიოდნენ ვაჭრები, დუქანთა და ქარვასლათა მეპატრონეები. მათგან ბევრს თავად ჰქონდა მონახულებული შორეული ქვეყნები. ზოგი დახმარებას სთავაზობდა სამგზავროდ გამზადებულთ, ზოგი რჩევებს აძლევდა, ზოგს არ სჯეროდა, რომ ჩინეთამდე ჩაღწევას შეძლებდნენ და მგზავრობაზე ხელის აღებას ურჩევდა მათ.

საღამოვდებოდა. ჰასანმა და გუელმომ ბოლო დავალება მისცეს მეზღვაურებს და შინ წავიდნენ. გვიდომ და მუროჩიმ კი გემმისადგომის გასწვრივ გაშენებულ სახელოსნოებს მიაშურეს. ვენეციელმა კარგად იცოდა ზღვის ავანჩავანი. თავად ყველანაირად მომზადებული იყო ზღვაზე მოგზაურობისთვის, მაგრამ იგივე არ ითქმოდა მუროჩიზე. ის ცხოვრებაში პირველად ხედავდა ზღვასა და ხომალდებს და არც საზღვაო მოგზაურობისა გაეგებოდა რამე და არც შესაფერისი სამოსი ჰქონდა. ეს არ გამოეპარა ყურადღებიან ვენეციელს და ახალი მეგობრისთვის გემმისადგომის სახელოსნოში წყალგაუმტარი ლაბადა შეუკვეთა. ლაბადა იმ საღამოსთვის უნდა ყოფილიყო მზად.

გვიდომ საკუთარი ხელით მოარგო სამოსი მუროჩის. მიაბრუნ-მოაბრუნა. მერე კი უთხრა: გაიარგამოიარე და თავად თქვი, მოგწონს თუ — არაო.

მუროჩი ასეც მოიქცა. მხრები შეათამაშა. რამდენჯერმე გადაიხარა აქეთ-იქით. ლაბადა თავისუფლად ადგა. არც მოძრაობისას ზღუდავდა და მთელ ტანსაც უფარავდა. ასეთი სამოსი მართლაც საიმედოდ დაიცავდა წვიმისა და ზღვის სუსხიანი ქარისგან.

შინ ნაცნობი შუკებით ბრუნდებოდნენ. ერთი მოსახვევი მოიტოვეს უკან, მეორე... მესამეს მიაღწიეს და ამ დროს...

მოსახვევს სამი მხედარი გამოსცდა. სელჩუკი მეომრები იყვნენ. ჯაჭვის პერანგები ეცვათ. წელზე ხმლები და მოკაუჭებული სატევრები ეკიდათ.

გვიდო და მუროჩი შეჩვეულები იყვნენ სელჩუკ და ბედუინ მეომრებთან შეხვედრას. ისინი მრავლად ირეოდნენ ხალიფის სასახლესთან და ბაღდადის ქუჩებში. ასეთი შეხვედრებისას ვენეციელი და ფხოველი ყოველთვის ერთნაირად იქცეოდნენ — მხარს აუქცევდნენ მეომრებს და გზას აგრძელებდნენ. მშვიდად ეჭირათ თავი სელჩუკებსაც. ტანსაცმელი და იარაღი მიახვედრებდა, რომ ახალგაზრდები ქრისტიანები იყვნენ. ისიც იცოდნენ, რომ ხალიფის მკაცრი სასჯელი ჰქონდა დაწესებული ვენეციელთა შევიწროებისთვის.

მაგრამ ამჯერად, სელჩუკები მშვიდობიანად ჩავლას არ აპირებდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა მოულოდნელად მოსხლიტა ცხენი, ახალგაზრდებს გზა გადაუჭრა და მუროჩის დაჟინებული ჩააცქერდა სახეში.

ფხოველს თვალის ერთი შევლება ეყო ჟღალწვერა ახმახის ამოსაცნობად: მის წინაშე მისი დამატყვევებელი და მთელი უბედურების მიზეზი — სელჩუკი ასისთავი აჰმედი იდგა.

— შენ ხარ?! — აჰმედმა გაოცებით შეათვალიერა ვენეციელთა ყაიდაზე გამოწყობილი მუროჩი. — ჰასანი ყოველთვის მაკვირვებდა, მაგრამ მართლა არ ველოდი, თუ ტყვეს ბაღდადის ქუჩებში წანწალის უფლებას მოგცემდა!.. ეს ვინღაა?.. — გახედა გვიდოს. — ეგეც ქართველი მონაა?!

— გაგვეცალე! — ავად შეუღრინა მუროჩიმ და ცხენს დეზი ჰკრა.

მაგრამ აჰმედმა წასვლის საშუალება არ მისცა. ცხენს აღვირში სტაცა ხელი და ბრაზით იყვირა:

— ალაჰს ვფიცავ, ვერსადაც ვერ წახვალ! ხელჯოხიანებს (*წესრიგის დამცველები. — ავტ.*) გადავცემ თქვენს თავს და მერე ბაღდადის ვალიმ (*ხელჯოხიანთა რაზმების ხელმძღვანელი. — ავტ.*) გაარკვიოს, რისთვის დაძრწიხართ ქუჩა-ქუჩა. იქნებ ფრანკთა მსტოვრებიც ხართ და ჰასანი გმფარველობთ?!

— უკან დაიხიე, ურჯულო ძაღლო! — შმაგად შესძახა მუროჩიმ.

— ძაღლოო?! — აჰმედმა სატევარზე გაივლო მარჯვენა და გამეტებით შემოუქნია.

დარტყმამ მიზანს ვერ მიაღწია. მუროჩი ელვის სისწრაფით გადაიხარა გვერდზე და სელჩუკს საფეთქელში ღაჭია (სათითე — ფხოვური იარაღი. წარმოადგენს ბეჭდის მსგავს რგოლს, რომელზეც მიდუღებულია, წამახული ფხა. ხშირ შემთხვევაში, ფხოველები თითზე, ხელისგულისკენ ფხის შებრუნებით ატარებდნენ. ეფექტური იარაღია მოულოდნელი თავდასხმისთვის. გამოცდილ მებრძოლს ერთი დარტყმით შეეძლო მოწინააღმდეგის მოკვლა ან მძიმედ დაჭრა) შემოჰკრა.

აჰმედმა დაიგმინა, სატევარი ხელიდან გაუვარდა, მერე კი თავადაც ბრაგვანით დაასკდა მიწას. ამის დანახვაზე აჰმედის მხლებელი ერთ-ერთი სელჩუკი ხმალშემართული გამოქანდა მუროჩისკენ. მაშინ ბრძოლაში გუელმოც ჩაერთო. ცხენი შეაბრუნა და სელჩუკს მუროჩისგან ნასწავლი ილეთით დაუქნია ხმალი. ტოლედოს ნაჭედმა ფოლადმა აბრეშუმივით გაფხრიწა ჯაჭვის პერანგი და სელჩუკს მხარი ჩაუჩეხა.

როგორც კი მხარმოჩეხილი მეომარი მიწაზე დაეხეთქა, მესამე სელჩუკმა ცხენი შეაბრუნა და კივილით მიიმალა მოსახვევში...

ჰასანს ცუდად ენიშნა მის სასახლესთან ვალის ხელჯოხიანთა გამოჩენა. ისინი თავხედურად იქცეოდნენ. მის ღულამებს იარაღი აჰყარეს და ხმაურით შემოიჭრნენ სასახლეში.

— ვის უბედავთ?! — ჰასანი ხმალშემართული შეეგება დაუპატიჟებელ სტუმრებს.

— ხმალი ჩააგე, ალი ჰასან!.. — ბღვერით უთხრა ხელჯოხიანთა მეთაურმა. — ხმალიც ჩააგე და ის ქრისტიანები გადმოგვეცი, რომლებიც შენს სასახლეს აფარებენ თავს!

— რა უფლებით მთხოვ სტუმართა გადმოცემას?!

— ბაღდადის ვალის ბრძანებით!.. შენი სტუმარი ქრისტიანები საპატიმროში უნდა მივიყვანო და ყადს (*მოსამართლე. — ავტ.*) გადავცე! — ცივად მოსხიპა ხელჯოხიანთა მეთაურმა.

— ხალიფის ბრძანება არ გსმენია?! — გაუკვირდა ჰასანს. — იფრთხილე, ათისთავო. უმიზეზოდ ვენეციელთა დაპატიმრებისთვის, თავად არ მოხვდე საპყრობილეში!

— უმიზეზოდ?! — ხმას აუწია ხელჯოხიანმა. — მართლმორწმუნე მუსლიმანების დახოცვა საკმარისი მიზეზი არ არის?

— ცდები... ჩემი სტუმრები პატიოსანი ვაჭრები არიან და არა — მკვლელები!

— მაგას ვალი გაარკვევს!

— ვის მკვლელობაში ადანაშაულებთ ჩემს სტუმრებს? — ჰკითხა ჰასანმა.

— სელჩუკი ასისთავი აჰმედი და მისი ერთი მეომარი აჩეხეს.

— აჰმედი?! — ჰასანი უმალ მიხვდა, ვისი მოკლულიც უნდა ყოფილიყო სელჩუკი.

— ჩამაბარე ქრისტიანები, თორემ ალაჰს ვფიცავ, შენც მათთან ერთად მოხვდები საპყრობილეში! — მუქარით თქვა ხელჯოხიანმა.

— ცდები, ათისთავო. ჩემს სახლში მარტო ერთი ვენეციელია. კიდევ ორი ქრისტიანი სტუმარი მყავს, მაგრამ ისინი შინ არ არიან, — უპასუხა ჰასანმა.

ხელჯოხიანმა უნდოდ გახედა. მერე კი თავის ხალხს უბრძანა: სასახლე გაჩხრიკეთ და ყველა საეჭვო აქ მომგვარეთო!

ვალის სასახლესთან უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. ბაღდადი ჭორის მოყვარულთა ქალაქი იყო. ახალი ამბები სწრაფად ვრცელდებოდა და უკვე ბევრმა ბაღდადელმა იცოდა, გემმისადგომთან მომხდარი შეტაკების შესახებ, რომელსაც სელჩუკი ასისთავი და მისი ერთი მეომარი შეეწირნენ. სასახლესთან ბევრი სელჩუკიც მისულიყო. ისინი გაშმაგებულები იქნევდნენ შუბებს და წესრიგის დამცველებისგან ქრისტიანების გადმოცემას მოითხოვდნენ, მაგრამ ხელჯოხიანები მედგრად იცავდნენ საპყრობილის შესასვლელს და ჯიუტ სელჩუკებს ხელჯოხების ცემით ერეკებოდნენ უკან.

გუელმოს გამოჩენამ კიდევ უფრო გააშმაგა სელჩუკები. ისინი გაბმული ყვირილით გამოქანდნენ ვენეციელისა და ჰასანისკენ, მაგრამ ხელჯოხიანებმა აქაც იმარჯვეს. სელჩუკებს უკან დაახევინეს და გუელმო და ჰასანი ვალის სასახლეში შეიყვანეს.

ბაღდადის ვალი, ალ ჯალადინი ჰასანის დიდი ხნის ნაცნობი იყო, მაგრამ არც კი უცდია ბრაზის დაოკება და თავიდანვე აგრძნობინა, რომ შეწყალების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

— კრაზანათა ბუდედ გიქცევია შენი სასახლე, ალი ჰასან. მუსლიმანთა მოსისხლე მტრების მფარველობას არავინ შეგარჩენს. რატომ გაუწიე წინააღმდეგობა ხელჯოხიანებს. ხომ იცოდი, რომ ჩემს ბრძანებას ასრულებდნენ! — გააფთრებულმა იყვირა ვალიმ.

— ნუ ცხარობ, ჯალადინ. ბაღდადს კანონები აქვს. მე მჯერა ჩემი სტუმრების და ისიც ვიცი, რომ უმართებულოს არაფერს ჩაიდენდნენ. მშვიდად გავარკვიოთ, რა მოხდა და თუ ისინი მტყუანები აღმოჩნდებიან, დასაჯეთ, — უპასუხა ჰასანმა.

— ორი მუსლიმანის მკვლელებს ვერ შევიწყალებ. სელჩუკები იმუქრებიან, რომ თუ ჩვენ არ დავსჯით ქრისტიანებს, თავად გააკეთებენ ამას!

— უდანაშაულო ხალხის დასჯას აპირებ?! — ბრაზით ჰკითხა ჰასანმა.

— მე უკვე გითხარი, რაც ჩაიდინეს შენმა სტუმრებმა, მაგრამ ახლა მაგაშიც არაა საქმე. ქრისტიანებს აღარაფერი ეშველებათ, მაგრამ მე არ მინდა, რომ მათთან ერთად შენც დაისაჯო!

— მეე?! — გაუკვირდა ჰასანს. — რისთვის უნდა დავისაჯო, ჯალადინ? იქნებ ხალიფის ბრძანების შესრულებისთვის?! ეგ ქრისტიანები ვენეციელი ვაჭრები არიან და მარტო ჩემი მასპინძლობით კი არა, ხალიფის მფარველობითაც სარგებლობენ!

— ჩვენ კი ეჭვი გვაქვს, რომ ეგ ვენეციელები ფრანკთა მსტოვრები არიან. ცეცხლს ნუ ეთამაშები, ჰასან. დათმე ქრისტიანები და ალაჰს ვფიცავ, რომ შენ არაფერი დაგიშავდება!

— გუელმო მსტოვარი არ არის. ბლანკო ცნობილი და პატიოსანი გვარია. ამას ყველა დაგიდასტურებს! — შეეკამათა ჰასანი.

ჯალადინმა ბრაზით გახედა. მერე წინ გადაიხარა და ცივად გამოსცრა:

— ცნობილი კაცი ხარ. დიდი გავლენაც გქონდა ხალიფის სასახლეში, მაგრამ ის დრო წარსულს ჩაჰბარდა. ქრისტიანების გამო სელჩუკებს არავინ გაანაწყენებს. ახლა ხალიფის ხათრით იკავებენ თავს. სჯერათ, რომ მაინც გადავცემ ქრისტიანებს, მაგრამ უარი რომ მიიღონ, ძალით მიაღწევენ საწადელს. საპყრობილეში შემოიჭრებიან და ქრისტიანებთან ერთად, შენც ჩაგქოლავენ!..

— მე მაინც დავიცავ იმ ხალხს. ალი ჰასანს არ სჩვევია მეგობრების გაჭირვებაში მიტოვება!

— ქრისტიანის სისხლის ყივილს ვხედავ შენში. შენ ხომ დაბადებით მუსლიმანი არ ხარ! — მზერა გაეყინა ჯალადინს. — იქნებ ფრანკებს მიეყიდე და შენც ჯაშუში ხარ?!

ჰასანს არაფერი უთქვამს. დამცინავი მზერა ესროლა ვალის. მერე შებრუნდა, სწრაფად გადაკვეთა დარბაზი, სასახლიდან გავიდა, ხელჯოხიანების მწკრივი გაარღვია და გარს შემომდგარ სელჩუკებს შეუძახა:

— რისთვის მოსულხართ აქ, თურქნო?!

— თანამოძმეთა სისხლის აღება გვწყურია. დათმე ქრისტიანები, თორემ შენს სასახლეს ნაცარტუტად ვაქცევთ და შენც არ დაგინდობთ! — იგრიალეს სელჩუკებმა.

— ქრისტიანთა სისხლი თუ გწყურიათ, იერუსალიმს წადით და ფრანკებს ეომეთ!

— ფრანკები მეომრები არიან და ბრძოლის ველზე დავღვრით მათ სისხლს. ეგ ვენეციელები კი ბაღდადში ქურდულად შემოპარული მკვლელები და ჯაშუშები არიან!..

— მაშინ მე ხალიფის სასამართლოს მოვითხოვ! — მთელი ხმით იყვირა ჰასანმა. — სასამართლომ გადაწყვიტოს, მკვლელები არიან ვენეციელები თუ ვაჭრები!

— დაე, იყოს ასე. ჩვენ თანახმა ვართ, — ერთხმად იგრიალეს სელჩუკებმა, — ხალიფის სასამართლომ გაარჩიოს მტყუან-მართალი!

ჯალადინი ისე ჩქარობდა სელჩუკთა დაშოშმინებას, რომ სასამართლო მეორე დღესვე დანიშნა. ერთ მხარეს აჰმედის ოჯახის წევრები და სელჩუკი მეომრები წარმოადგენდნენ, მეორე მხარეს კი — ჰასანი და ვენეციელ ვაჭართა ამქარი. იმ დღეს ცნობისმოყვარეც ბევრი მიადგა სასამართლოს, მაგრამ ვალის ბრძანებით, ხელჯოხიანებმა არავინ შეუშვეს მთავარ დარბაზში და ცნობისმოყვარეებს მოედანზე დარჩენა უბრძანეს.

ბაღდადის მთავარმა ყადიმ სასამართლო, ბრძოლისას გადარჩენილი სელჩუკის დაკითხვით დაიწყო, მაგრამ მან უფრო მეტ გაუგებრობაში ჩააგდო მსაჯულები. სელჩუკმა თავადაც არაფერი იცოდა შეტაკების მიზეზზე. მისი თქმით, იმ დღეს აჰმედი ახალი ცხენის საყიდლად მიდიოდა. გზად ორ ახალგაზრდა ვენეციელს გადაეყარნენ. ისინი მშვიდად მოდიოდნენ. უეცრად აჰმედმა გზა გადაუჭრა და ერთ-ერთი მათგანის ცხენს სადავეში სტაცა ხელი. ვენეციელმა რაღაც უთხრა: აჰმედმა იფეთქა და სატევარი შემოუქნია. ვენეციელმა დარტყმა აირიდა და თავად შემოჰკრა. რით დაჰკრა ვენეციელმა, სელჩუკს არ დაუნახავს. შეიძლება — მუშტით, შეიძლება — რაიმე იარაღით, მაგრამ ის დარტყმა საბედისწერო აღმოჩნდა. აჰმედი საფეთქელგაჩეხილი გადმოეშვა ცხენიდან და მიწამდე სული არ დაჰყოლია. ამის დანახვაზე აჰმედის მეორე მეომარმა ხმალი იშიშვლა და ვენეციელებს შეუტია. მაშინ მეორე ვენეციელმაც გამოიღო ხელი და ხმლის ერთი დაკვრით დაანარცხა აჰმედის მეომარი. როგორც კი მხარჩაჩეხილი დაეცა, სელჩუკმა პირი იბრუნა და მაშველის მოსახმობად გაიქცა. უკან დაბრუნებულს, შეტაკების ადგილზე, ბაღდადის ვალის ხელჯოხიანები დახვდნენ. ისინი აჰმედისა და მისი მეომრის ცხედრებს დაჰყურებდნენ. მათი მკვლელები კი სხვა ხელჯოხიანებს საპყრობილეში წაეყვანათ.

— გამოდის, რომ ჩხუბი აჰმედმა დაიწყო, — თქვა ყადმა, როგორც კი სელჩუკმა თხრობა დაამთავრა.

— ტყუილს არ ვიტყვი. ასე იყო. ვენეციელები მშვიდად მიუყვებოდნენ თავიანთ გზას. აჰმედმა გზა გადაუჭრა და მერე სატევარიც მოუღერა, — დაუდასტურა სელჩუკმა.

— ვენეციელებს შენი მოკვლაც ხომ არ უცდიათ? — განაგრძო ყადმა.

— არა... ჩემს ამხანაგსაც არ მოკლავდნენ. იმან თვითონ მოუქნია ხმალი, თორემ ეგენი ისევ მშვიდად იდგნენ.

— ამათგან რომელმა მოკლა აჰმედი?

— ამან მოკლა, — მურაჩიზე მიანიშნა სელჩუკმა, მერე კი გვიდოზე გა-

დაიტანა მზერა, — ამან კი — ჩემი ამხანაგი.

— ეს კაცი ხომ არ ყოფილა ვენეციელებთან ერთად? — გუელმოზე მიუთითა ყადიმ.

სელჩუკმა ყურადღებით შეათვალიერა ვენეციელი ვაჭარი და მერე უპასუხა:

— არა.

— მაშინ, რა მიზეზით დააპატიმრე ეს კაცი? — ახლა ვალის მიუბრუნდა ყადი.

— დავა რომ აჰმედის მიზეზით მოხდა, ჩვენც ვიცით, მაგრამ აჰმედი დინჯი და ცხოვრების მცოდნე კაცი იყო. გზად შემხვედრ ვენეციელებს უმიზეზოდ არ შეაჩერებდა. ჩანს, რაღაც იცოდა მათ შესახებ. იგივე იციან ვენეციელებმაც და ვიდრე ყველაფერს არ გავარკვევთ, ვენეციელები საპყრობილეში დარჩებიან, — უპასუხა ვალიმ.

ყადი რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ამ დროს, დარბაზში ვიღაცის ხმა გაისმა.

— ეგ ყველაფერი ტყუილია!..

ვალიმ სწრაფი მზერა მოავლო დარბაზში მყოფთ და იკითხა:

— ვინ თქვა ეს?

— მე ვთქვი, — სახენაიარევი სელჩუკი წინ წამოიწია და მურაჩისკენ გაიშვირა ხელი, — სხვებზე ვერაფერს ვიტყვი, ეგ კი ვენეციელი არ არის... გურჯია!..

— გურჯი?! — გაიკვირვა ვალიმ. — საიდან იცი, რომ ვენეციელი არ არის?

— ეგ კაცი აჰმედმა გურჯისტანის ომში დაატყვევა. დაჭრილი იყო. არ გვეგონა, თუ გადარჩებოდა, მაგრამ კატის სული სდგმია. ცოცხალი გადარჩა. აჰმედს იმედი ჰქონდა, რომ გამოსასყიდს მიიღებდა ან გაყიდდა, მაგრამ არც ერთი გამოვიდა და არც — მეორე. შეუპოვარი გურჯია, დაუმორჩილებელი. ავაზასავით გვიბრიალებდა თვალებს... ანისი გამოვლილი გვქონდა, როცა გაგვექცა. ჩვენ ვერც კი შევნიშნეთ, მაგრამ გაქცეული, ალი ჰასანს გადააწყდა, რომელსაც მგლის ხროვა დასხმოდა თავს. არ ვიცი, რატომ გამოიდო თავი მაგ გურჯმა. შეეძლო, მხარი აექცია ჰასანისთვის და გზა გაეგრძელებინა, მაგრამ ასე არ მოიქცა. მგლის ხროვას შეუტია და ჰასანი გადაარჩინა. მგლებთან ბრძოლისას თავადაც დაშავდა. აჰმედს მაგის მოკვლა სურდა, მაგრამ ახლა ჰასანმა გამოიდო თავი და გურჯი გამოისყიდა. ასეთია მისი ამბავი. სულეიმანის ბეჭედზე დავიფიცებ, რომ ეგ კაცი გურჯია და არა — ვენეციელი და აჰმედზე დატყვევებისთვის იძია შური!.. სხვა მიზეზი მაგ მკვლელობას არ ჰქონია!..

ყადიმ ჭაღარა წვერი თითებით „ჩამოიფოცხა“ და ჰასანს ჰკითხა: მართალს ამბობს ეს კაცი თუ — არაო?

— ალაჰს ვფიცავ, მისი ნათქვამი ყოველი სიტყვა სიმართლეა. ეგ კაცი გურჯია, — დაუდასტურა ჰასანმა.

— მერე... როგორ მიეცი ტყვე ქრისტიანს ბაღდადში იარაღით ხელში წანწალის უფლება?! — ხმა გაიმკაცრა ყადმა.

— ის ტყვე არ არის. მე აჰმედისგან გამოვისყიდე და თავისუფლება დავუბრუნე. ალაჰს ვფიცავ, მას ისევე შეუძლია ბაღდადში იარაღით ყოფნა, როგორც მე და მაგ სელჩუკს!

— რას ამბობ, ჰასან?! — ბრაზი მოერია ყადს. — ურჯულო გურჯი მუსლიმანის თანატოლი ვერასოდეს იქნება! გურჯმა სიკვდილს გადაგარჩინა და შენც თავისუფლების დაბრუნებით გადაგიხდია სამაგიერო. ეგ შენი საქმეა. ტყვეც შენი იყო და მისი სიცოცხლეცა და თავისუფლებაც შენ გეკუთვნოდა, მაგრამ ქალაქში იარაღით ხელში მისი გაშვებით, ხალიფის კანონი დაარღვიე.

— დიდება ალაჰს, ეგ აზრი რომ მომივლინა. ეგ გურჯი რომ არა, ხალიფის ერთი მტრით მეტი ეყოლებოდა!

— რას ამბობ? — დაიბნა ყადი.

— მოიწვიე ხალიფის მცველთა ათისთავი ისმაილი და ის გეტყვის, როდის და სად შემხვდა მაგ გურჯთან ერთად! ან თავად ვალიმ თქვას, რისთვისაც ვამბობ ამას.

— რისი თქმა უნდა ჰასანს? — ვალის მიუბრუნდა ყადი.

— სამი დღის წინ, ხალიფის მცველებმა სასახლესთან მთაში მცხოვრები ბერები შენიშნეს, მაგრამ მათი დაჭერა ვერ მოასწრეს. ბერები გაიქცნენ და ვინ იცის, იქნებ მიმალულიყვნენ კიდეც, ჰასანი და მისი სტუმრები რომ არა. ერთი მულიდი, პირადად ჰასანმა მოკლა.

— ბარაქალა ჰასანს! ნებისმიერი მართლმორწმუნე ასეც მოიქცეოდა, მაგრამ რა შუაშია გურჯი? — იკითხა ყადმა.

— გურჯს არაფერი გაეგება არაბული ენისა და ვერც მიხვდა, რას ამბობდა ხალიფის მცველთა ათისთავი ისმაილი. თანაც მე წინ მივდიოდი. ბერი მე გადამაწყდა და ჩემგან მიიღო სიკვდილი, მაგრამ მე ვიცი, რომც ვერ გავმკლავებოდი, ის მაინც არ მისცემდა გაქცევის საშუალებას...

— რატომ?.. გგონია, ძალიან უყვარს ხალიფი და სძულს მისი მტრები?.. ასე რომ ყოფილიყო, ხალიფის ერთგულ ქვეშევრდომს არ მოკლავდა! — შენიშნა ყადმა.

— არ ვიტყვი ტყუილს. ეს კაცი ხალიფის ქვეშევრდომად არ მიიჩნევს თავს და არც მის გამო გამოიდებდა თავს, მაგრამ ის ჩემი ერთგულია. ჩემთვის მაშინ დაღვარა სისხლი, როცა მტრად მივაჩნდი და ახლაც დაღვრის. ისიც იცოდე, ყადი, რომ ამ კაცმა კარგად უწყის, რაა ერთგულება და თავდადებაც შეუძლია!

— კარგი. მივხვდი, რომ მართლაც შენი ერთგულია, მაგრამ ამით რა ხალიფის და ბაღდადს?!

— შენ თვითონ თქვი, — გაეცინა ჰასანს, — განა შენთვის ცოტაა, რომ ჩემი ერთგულია?! ყველა ჩემი ერთგული, თავისთავად უერთგულებს ბაღდადსაც. ვინმე გაბედავს იმის თქმას, რომ ალი ჰასანს ოდესმე უღალატია ბაღდადისა და მისი ხალიფისთვის?!

— მაგაში ვერავინ დაგადანაშაულებს, მაგრამ ახლა მაგ გურჯს ვასამართლებთ და არა — შენ, — თქვა ყადმა, — მან კი მართლმორწმუნე მუსლიმანი მოკლა.

— მაშინ კიდევ ერთი სიტყვა მათქმევინე, — სთხოვა ჰასანმა.

— თქვი, — ნება დართო ყადიმ.

— ეს ლაპარაკი არაფრის მომცემია. აჰმედმა გურჯს შეაკლა თავი, თორემ მის ადგილას მართლმორწმუნე მუსლიმანი რომ ყოფილიყო, დავა სასამართლომდეც არ მივიდოდა. განა, ბაღდადში ვინმეს აუკრძალავს მომხდურის მოგერიება?.. მე იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ ამის გარეშეც გეტყვით, რაც მოხდა... აჰმედსა და მის ტყვე გურჯს ანისში შევხვდი. აჰმედი უკვე მიმხვდარი იყო, რომ გურჯს ვერ გაყიდდა. ორიოდ დირჰემად მთავაზობდა მის ყიდვას. უარი ვუთხარი. ტყვე არ მჭირდებოდა, თანაც — ასეთი შეუპოვარი და დაუმორჩილებელი. მერე რაც მოხდა, უკვე ითქვა. გარდა ერთისა... ეს გურჯი აჰმედმა ხუთას დირჰემად დამითმო!..

დარბაზს გაოცების ჩურჩულმა გადაურბინა. იქ მყოფთათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ამ ფასად ოთხი,

ხუთი ან ექვსი ტყვის ყიდვაც კი შეიძლებოდა.

— აჰმედს ჯერაც ვერ მოენელებინა ჩემი უარი და ასე გადამიხადა სამაგიერო, — განაგრძო ჰასანმა, — იცოდა, რომ სიცოცხლის გადარჩენისთვის, გურჯს საკადრისს მივაგებდი და ფასიც დიდი დაადო, მაგრამ აჰმედი მარტო ჩემზე არ იყო განაწყენებული. ჩემზე მეტად გურჯმა გააშმაგა. როგორ არ სცადა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო მისი მოდრეკა. ეს ვერ მოინელა აჰმედმა და როცა ბაღდადის ქუჩაში ცხენზე ამხედრებული, ჩინებულად გამოწყობილი და შეიარაღებული იხილა, ბრაზმორეული წაეტანა სატევარს!.. ცოტა ხნის წინ, აქ ითქვა, რომ აჰმედი დინჯი და ცხოვრების მცოდნე კაცი იყო... მე კი გეტყვით, რომ მასავით ბრიყვს არასოდეს შევხვედრივარ. თავად მიამბო, როგორ შეიპყრო ეს გურჯი. იმ შეტაკებას მისი სამი მეომარი შეეწირა. თანაც ისინი ცხენებზე ისხდნენ, გურჯი კი ფეხდაფეხ იბრძოდა. მერე ვნახეთ, როგორ იბრძოლა მგლის ხროვასთან. იარით დასუსტებულმა და ხელებშებორკილმა, შვიდი თუ რვა მგელი მოკლა!.. და ასეთ კაცს „დინჯი და ცხოვრების მცოდნე“ აჰმედი სატევრით მიუხტა!.. არ მიკვირს, რომ დაიღუპა. ცოცხალი რომ გადარჩენილიყო, ის გამაოცებდა!.. ამით კი იმის თქმა მინდა, რომ აჰმედის სიკვდილის მიზეზი, მისივე სიბრიყვეა და არა ამ გურჯის ბოროტი განზრახვა. იმ დღემდე, გურჯი ჩემთან ერთად და უჩემოდაც ბევრჯერ გასულა ბაღდადის ქუჩებში. გზად სელჩუკსაც შეხვედრია, სპარსსაც და ბედუინსაც, მაგრამ არავის დასხმია თავს. აჰმედსაც არაფერს დაუშავებდა, რომ არა მისი ფიცხი და ბრიყვი ბუნება. მაშ, რისთვის გინდათ მისი სიკვდილით დასჯა?.. იმ ფრანკებად ხომ არ იქეცით, რომლებიც აცხადებენ: ურჯულოს მოკვლა ცოდვა არ არის და მისი სისხლის დაღვრისთვის საიქიოში მოგეზღვებათო?! დღეს ძალა და სამართალი თქვენს ხელშია, მაგრამ მე ასე იოლად არ დაგითმობთ მის თავს. მაგ გურჯს დიდი ხნის წინ შეეძლო შინ დაბრუნება. მე ვპირდებოდი ცხენსაც, იარაღსაც, საგზალსაც და ფულსაც, მაგრამ ის მაინც დარჩა. თავისი ვალის მოსახდელად დარჩა. ჩემს და ესე იგი, ბაღდადელთა სტუმარმასპინძლობის წესებს ენდო და დარჩა და ვაგლახ, თქვენ, ბაღდადელებო, რომ მარტო რჯულის გამო გამოგაქვთ მისთვის სასიკვდილო განაჩენი. დაე, იყოს ასე. მაგ კაცს სიკვდილით ვერ დააშინებთ, მაგრამ იცოდეთ, მასთან ერთად, ჩემი მოკვლაც მოგიწევთ. ვისაც არ სჯერა, ახლავ შეუძლია გამომცადოს!.. — რისხვით დაამთავრა ჰასანმა და ხმლის ვადაზე ჩამოდო მარჯვენა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



# 21 წლის მეიგავე
## გაჯდაცვლილი ჯლასიკოსი მგონათ...

*„ლაქაზ და კოხტა ეზოში ტატვრის ხე აქოსოლიყო, ბაჭია იქ ოკნენობდა, ალიისი გაქოსოლიყო“...*

**მსახიობი ბაჭიას პროტოტიპი თავად ნიკა წულუკიძე გახლავთ. ის ერთადერთი აბიტურიენტი იყო, რომელმაც თეატრალურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდაზე არა კრილოვის, არამედ საკუთარი იგავ-არაკი წაიკითხა. ერთადერთია არა მარტო აბიტურიენტებს შორის, არამედ ქვეყნის მასშტაბით: საქართველოში მეორე მეიგავე უბრალოდ, არ არსებობს. 21 წლის 60-მდე იგავ-არაკის ავტორს, უკვე 3 წიგნი აქვს გამოცემული. ძალები პროზასა და პოეზიაში არასოდეს მოუსინჯავს. მიაჩნია, რომ საქართველოში მწერლობა უდიდესი პასუხისმგებლობაა. „თეატრალურ სარდაფში“ ის გოჩა კაპანაძის რამდენიმე სპექტაკლში თამაშობს. მეიგავეობაც თეატრში მოხვედრის სურვილმა დააწყებინა.**

### მაია ღუღუნიშვილი

— მოგეხსენებათ, მისაღებ გამოცდებზე ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იგავ-არაკის მხატვრული წაკითხვაა. სულ მესმოდა — ამდენი წელია, თეატრალური ინსტიტუტი არსებობს და ყველა აბიტურიენტი, აკაკი წერეთლის მიერ ნათარგმნ კრილოვის იგავ-არაკებს კითხულობსო. სხვა გარითმული ქართული იგავ-არაკი არ გაგვაჩნია, ამიტომ გადავწყვიტე, ბედი მეცადა ამ ჟანრში. როდესაც თეატრალურში გამოცდების ჩასაბარებლად ვემზადებოდი, პირველი იგავ-არაკი საკუთარ თავზე დავწერე და „მეოცნებე ბაჭია“ დავარქვი: ბაჭია მსახიობობაზე ოცნებობს და თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება სურს... მომდევნო წელს მთხოვეს, დამეწერა იგავ-არაკი აბიტურიენტისთვის, რომელიც ასევე თეატრალურში აბარებდა. ასე „ჩქმეტა-ჩქმეტითა და პწკენით“ მაქციეს მეიგავედ (*იცინის*).

**— მიმღებ კომისიაზე როგორი შთაბეჭდილება მოახდინა შენმა იგავ-არაკებმა?**

— მოკვდნენ სიცილით. თეატრალურ ინსტიტუტში რომ ჩავირიცხე, ეს ალბათ, სწორედ იგავ-არაკების წყალობაა. შარშან 600-ზე მეტი აბიტურიენტი აბარებდა თეატრალურში, ნახევარზე მეტს ჩემი იგავ-არაკები წაუკითხავს. ერთ-ერთ წელს, სანამ გამოცდები დაიწყებოდა, კონსულტაციაში ვმონაწილეობდი. აბიტურიენტი შემოვიდა, კომისიის წევრებმა ჰკითხეს, — ვის იგავ-არაკს წაგვიკითხავო? მან უპასუხა, — ნიკა წულუკიძისო. — იცნობო? — რომ ჰკითხეს, უპასუხია: — აბა, როგორ უნდა ვიცნობდე? ის ხომ კარგა ხნის გარდაცვლილიაო. ვერ წარმოუდგენიათ, რომ იგავ-არაკების ავტორი შეიძლება, ახალგაზრდა იყოს. საქართველოში არავინ

*ჯემალ ღაღანიძესა და გურამ საღარაძესთან ერთად*

წერს იგავებს. ერთადერთი გენიოსი ამ საქმეში სულხან-საბა იყო, რომელიც პროზაულ იგავ-არაკებს წერდა. მე გარითმულ იგავ-არაკებს ვწერ. რა თქმა უნდა, ამ გენიოსს თავს არც შევადარებ...

**— როგორ აფასებენ შენს შემოქმედებას გარშემო?**

— როგორც ყველას ოჯახის წევრებს, ჩემებსაც მიაჩნიათ, რომ გენიოსი ვარ (*იცინის*)... თუმცა ჩემთვის პროფესიონალების აზრია ძალზე მნიშვნელოვანი. როდესაც ისინი ჩემს იგავ-არაკებს გაეცნენ და შემიქეს, უბედნიერესი ვიყავი. ჩემი იგავების მიხედვით, პირველი სპექტაკლი უნარშეზღუდულმა ბავშვებმა წარმოადგინეს. მთელ სპექტაკლს აცრემლებული ვადევნებდი თვალს. ძალიან ამაღელვებელი სანახაობა იყო.

**— შენი იგავ-არაკების პერსონაჟები ცოტა ხნის წინ გააცოცხლეს „თავისუფალი თეატრის“ სცენაზე და მას საზოგადოების დიდი მოწონებაც ხვდა...**

— ნებისმიერი ავტორისთვის უდიდესი ბედნიერებაა, როდესაც საკუთარ ნაწარმოებს სცენაზე გაცოცხლებულს იხილავს, ამიტომ 26 ივნისი ჩემთვის უბედნიერესი დღე იყო. იმდენად მოვიხიბლე ამ ნიჭიერი ადამიანების ნამუშევრით, რომ ემოციებისგან დიდხანს ვერ დავიცალე. იგავ-არაკების გასცენურება თიკო კორძაძის იდეა იყო. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ავთო ვარსიმაშვილსა და თიკოს თანადგომისათვის. ასევე დიდი დახმარება გამიწია სტუდენტურმა თვითმმართველობამ. იმედი მაქვს, ეს სპექტაკლი რეპერტუარში ჩაიწერება და არ მოკვდება. სპექტაკლზე მუშაობისას, რომელიც სულ რამდენიმე დღეში მომზადდა, არ შემიშვეს. არ მეგონა, ამ ჟანრის ნაწარმოების ასე კარგად წარმოჩენა თუ შეიძლებოდა.

**— რა წარმოადგენს შენთვის, იგავ-არაკის წერისას, შთაგონების წყაროს?**

— რაც მაწუხებს, იმაზე ვწერ. სულ ვამბობ, ჩემს იგავ-არაკებში რა პრობლემებიც არის, ისინი რომ გადაიჭრება, ამის შემდეგ არც ერთს აღარ დავწერ-მეთქი. რაღაცამ უნდა შეგაწუხოს, რომ დაწერო, აქ მუზა არაფერ შუაშია. ქალს იგავ-არაკს ხომ არ მიუძღვნი?! ის რომ ძროხას შეადარო, ხომ გაგიჟდება (*იცინის*)!.. იგავ-არაკის დაწერა ძალიან რთული პროცესია. ჯერ ამბავი უნდა გამოიგონო, მერე გადაიტანო ცხოველებზე, შექმნა სიუჟეტი და შემდეგ გარითმო. დიდ შრომასა და დროს მოითხოვს. ერთი იგავ-არაკის დაწერას მთელ თვეს ვანდომებ. ქუჩაში რომ დავდივარ, ადამიანებს სხვადასხვა ცხოველს ვამსგავსებ. ასე მგონია, ტყეში ვარ და ცხოველებს ვხვდები... ვცდილობ, ჩემი იგავ-არაკები ალეგორიული და ქვეტექსტების შემცველი უფრო იყოს, ვიდრე კარგად გარითმული. როდესაც სხვა ნაწარმოებებს ვკითხულობ, თითოეულ გმირს, ჩემდა უნებურად, ცხოველებს ვამსგავსებ. ძალიან ხშირად ვკითხულობ სულხან-საბა ორბელიანს. ეზოპე, კრილოვი, ლაფონტენი — უდიდესი მეიგავეები იყვნენ, მაგრამ მიმაჩნია, რომ სულხან-საბა მათზე გაცილებით მაღლა დგას. მასთან იმდენი სიბრძნეა, არ შეიძლება, ბევრი ცოდნა არ შეგძინოს.

**— თეატრალურში თავდაპირველად, სამსახიობოზე ჩაგიბარებია. რატომ გადაიფიქრე ამ პროფესიის დაუფლება?**

— მივხვდი, რომ მსახიობობა ჩემი საქმე არ იყო. ჩემი პედაგოგი, ცნობილი თეატრმცოდნე, ბატონი ვასილ კიკნაძეა, რომელმაც ამ პროფესიას

მაზიარა და ბევრი რამ მასწავლა. მსახიობობა — ჩემი ჰობია; — თეატრალური კრიტიკა — პროფესია; ხოლო მეიგავეობა — გატაცება, რომელმაც მართლა გამიტაცა. მართალია, შეიძლება, წელიწადში რამდენიმე იგავ-არაკი დავწერო, მაგრამ მე ამით ვსაზრდოობ. საქართველოში პოეტობა ძალიან ძნელია. გალაკტიონისა და რუსთაველის სამშობლოში ლექსის წერა იოლი საქმე არ არის. თუმცა ქართველები ბუნებით პოეტები ვართ, ყველა თამადა ლექსით იწყებს და ამთავრებს სუფრას.

**— იგავ-არაკის მთავარი არსი ის არის, რომ ალეგორიული ფორმით, ადამიანებს მისი შეცდომები დაანახვო. თუ ხვდებიან ადამიანები, შენი გმირების პროტოტიპები რომ არიან?**

— ალბათ ეს ხშირად ხდება. მაგრამ პირადად ჩემთვის, არავის არაფერი უთქვამს. შესაძლებელია, ნებისმიერმა ადამიანმა საკუთარ თავს მიამსგავსოს ჩემი იგავის გმირი. თუკი ადამიანები ამ იგავების შინაარსს ჩასწვდებიან და მათი თვისებების გამოსწორებას შეეცდებიან, ვფიქრობ, ჩემი მისია შესრულებული იქნება.

**— როგორც ვიცი, მალე კიდევ ერთ წიგნს გამოსცემ, ოღონდ — არა იგავ-არაკების კრებულს...**

— მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინ გოჩა კაპანაძემ რუსთაველის თეატრში სპექტაკლი — „მოხუცი ჯამბაზები“ დადგა, რომელშიც ქართული სცენის კორიფეები მონაწილეობენ. როგორც თეატრმცოდნე, მე ყველა რეპეტიციას ვესწრებოდი, რომელიც ფირზეც აღვბეჭდე. უდიდესი ბედნიერებაა, როდესაც ყოველდღე რამდენიმე საათის განმავლობაში, ისეთი რანგის შემოქმედებს ხვდები, როგორებიც არიან — მედეა ჩახავა, კახი კავსაძე, გურამ საღარაძე, ზინა კვერენჩხილაძე, ჯემალ ღაღანიძე და სხვები. შემოდგომაზე წიგნს გამოვცემ, სადაც ამ რეპეტიციებზე მიღებული ჩემი შთაბეჭდილებებია გადმოცემული. ჩვენ კარგად ვიცით, თუ როგორი არტისტები არიან ეს ადამიანები, მაგრამ არ ვიცით, როგორები არიან ისინი სცენის მიღმა, რაოდენ საოცარია სპექტაკლისთვის მზადების პროცესი, რომელსაც ისინი გადიან. ამ ყველაფერზე მოგითხრობთ ჩემს წიგნში. მის გამოცემაში კი ბატონი გიგა ლორთქიფანიძე და მისი მეუღლე ქეთევან კიკნაძე მეხმარებიან. დიდი მადლობა მათ ამისთვის! ვფიქრობ, საინტერესო ნაშრომი გამოგვივა. ■

# აიშვარია რაი

## „დაუვიწყარი ტურნე“ დაიწყო

**ბოლივუდის კაშკაშა ვარსკვლავი აიშვარია რაი ოჯახთან ერთად მსოფლიო ტურნეში მოგზაურობს, რომელსაც The Unforgetable Tour („დაუვიწყარი ტურნე“) ეწოდება. ამ ტურნეში მილიონობით დოლარი ჩაიდო. შოუ, რომელშიც ყველა ცეკვავს და მღერის, მართლაც რომ დაუვიწყარი იქნება! ცნობილი ინდოელი მსახიობი ქმართან — აბხიშეკ ბაჩანთან და მამამთილთან ერთად 5 კონტინენტზე იმოგზაურებს. გასტროლები 18 ივლისს ტორონტოში (კანადა) გრანდიოზული კონცერტით დაიწყო. კანადის შემდეგ აიშვარია კიდევ 27 ქვეყანას ესტუმრება, მათ შორის — დიდ ბრიტანეთსა და ნიდერლანდებს, ქუვეითსა და სინგაპურს...**

*ტურნეს ხელმძღვანელი — ამიტაბხ ბაჩანი (აბხიშეკის მამა) სამართლიანად მიაჩნიათ ინდოეთის უდიდეს მსახიობად. ამიტაბხ ბაჩანის 40-წლიანი კინოკარიერის მანძილზე მისი ფილმების შემოსავალმა 450 მილიონი დოლარი შეადგინა. აიშვარიას მეუღლე აბხიშეკი — დიდი ინდოელი მსახიობის უმცროსი ვაჟი, თავადაც მსახიობია. დიადი მამის ჩრდილიდან თავის დასაღწევად აბხიშეკ ბაჩანს უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა, მაგრამ დასახულ მიზანს მაინც მიაღწია. უმშვენიერესი აიშვარია ვარსკვლავური ოჯახის ღირსეული რძალია. 1994 წელს რაიმ სილამაზის კონკურსში „მის მსოფლიო“ გაიმარჯვა და უმალ სახელი გაითქვა. დღეს იაშვარია ბევრად უფრო პოპულარულია, ვიდრე — მისი ქმარი და სახელოვანი მამამთილი.*

*რუს ჟურნალისტს აიშვარია რაი კანში, მდიდრული სასტუმროს Martines ტერასაზე შეხვდა. მსახიობმა ინტერვიუზე 10 წუთით*

*დაიგვიანა და ამის გამო მოიბოდიშა: „დაგვიანება არ მიყვარს. ეს თვისება დედისგან გამომყვა — იგი მუდამ ჩამჩიჩინებდა, რომ გოგონასთვის პუნქტუალურობა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც განათლება და დახვეწილი მანერები“. აიშვარია ჩინებულად ფლობს ინგლისურ ენას და იმდენად სწრაფად მეტყველებს, რომ უნებურად ინტერნეტში ამოკითხული მისი ბიოგრაფიიდან ერთი ნაწყვეტი გაგახსენდებათ. მასში ნათქვამია: „რაის ბავშვობიდან უყვარდა ლაპარაკი და სკოლაში ყველაზე ენაჭარტალა ბავშვად მიიჩნეოდა“. მისთვის ძალზე შეურაცხმყოფელია საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, რომ მსახიობი ქალები გონებაშეზღუდული, უზომოდ ამბიციური ლამაზმანები არიან. „მოხარული ვარ, რომ შესანიშნავი განათლება მივიღე. ადრე არქიტექტორობაზე ვოცნებობდი. სამოდელო ბიზნესში კი მხოლოდ ცნობისმოყვარეობისა და ხელფასის გამო აღმოვჩნდი“.*

*აიშვარიამ ჟურნალისტთან შესახვედრად სასტუმრო Martinez შემთხვევით როდი შეარჩია: კანის ფესტივალის მიმდინარეობის დროს ამ სასტუმროში კოსმეტიკური ფირმის L`Oreal მთავარი ოფისია განთავსებული, რაი კი L`Oreal-ის სახეა! მსახიობს კანთან მრავალი სასიამოვნო მოგონება აკავშირებს. 2003 წელს იგი ფესტივალის ჟიურის წევრადაც კი მიიწვიეს. „ამ შემოთავაზებამ იმდენად შემძრა, რომ პირველ წუთებში მეტყველების უნარი წამერთვა,“ — იხსენებს აიშვარია და ახალგამოწურულ ფორთოხლის წვენს ურევს. „ჩემს სამშობლოში მანგო უფრო უყვართ. მას ხილის მეფედ მიიჩნევენ... ინდოეთი ძალიან მენატრება და გული მწყდება, რომ სამშობლოში იშვიათად ვარ“.*

*აიშვარიას სამუშაო გრაფიკი გადაღებებით, ინტერვიუებითა და ფოტოსესიებითაა დატვირთული. ამ რიტმში 1994 წლიდან ცხოვრობს, როდესაც პრესტიჟული კონკურსის Miss World ფინალში თავზე გვირგვინი დაადგეს და პლანეტის ულამაზესი გოგონას ტიტული მიანიჭეს. ზუსტად 10 წლის შემდეგ ჟურნალმა Time მშვენიერი ინდოელი ქალი „მსოფლიოში 100 ყველზე გავლენიანი ადამიანის“ სიაში შეიყვანა და ცხადი გახდა, რომ რაი უბრალოდ ბოლივუდის დედოფალი კი არა, დედამიწაზე ყველაზე ცნობილი ინდოელი ქალი იყო! უკანასკნელ წლებში აიშვარია მშობლიური ბოლივუდის ფილმებში იშვიათად თამაშობს და უფრო მეტად ამერიკული და ბრიტანული ფილმებით არის დაკავებული. ინგლისურად უფრო ხშირად მეტყველებს, ვიდრე მშობლიურ ჰინდის ენაზე. ასე მოხდა ახლაც, როდესაც ბლოკბასტერში „ვარდისფერი ავაზა-2“ მიიწვიეს. სურათს მაყურებელი 2009 წლის თებერვალში იხილავს...*

*საკუთარი წარმატებების შესახებ მშვიდად, მოკრძალებით ლაპარაკობს და დარწმუნებულია, რომ მისი კარიერა მხოლოდ ახლა იწყება. ერთადერთი გამარჯვება, რომლის გამოც მის მომნუსხველ მოლურჯო-მომწვანო თვალებში სიამაყის ცეცხლი კიაფობს — ინდოელ მსახიობ აბხიშეკ ბაჩანთან ქორწინებაა. წყვილი გასულ წელს შეუღლდა. „ეს რაღაც სიგიჟე იყო, ვეღარაფერს ვასწრებდი. ჩვეულებრივი ინდოელი გოგონას გადმოსახედიდან თუ ვიმსჯელებთ, ჩემი ქორწილი უბრალოდ ჩავაფლავე“...*

**— რას ნიშნავს ჩაფლავება, ნუთუ ქორწილში დაიგვიანე?**

— ჩვენთან, ინდოეთში, ქორწილი გოგონას ცხოვრების უმნიშვნელოვანესი დღეა. ადათის თანახმად, ქალიშვილი ამ დღისთვის მზადებას 3,5 თვით ადრე იწყებს. ამ დროს ოჯახი მისთვის სილამაზის ნიღბებს და საქორწილო სამოსს ამზადებს. პატარძალს უგემრიელესი, სასარგებლო საკვებით კვებავენ. ქალიშვილს სასიძოს პირისპირ ღირსეულად წარსადგენად ამზადებენ. მე კი ძალზე ჩვეულებრივი პატარძალი ვიყავი... ინდოეთში ქორწილამდე ერთი კვირით ადრე ჩავედი და თავზარდაცემულმა დედას შევთავაზე, რომ მთელ კურსს დაჩქარებული ტემპით გავივლიდი!..

**— გთხოვ, სილამაზის ნიღბების შესახებ დაწვრილებით გვიამბე.**

— ეს ტრადიცია უფროა, ვიდრე აუცი-

ლებლობა. დედა სპეციალურ ნიღბებს მიმზადებდა, რომელსაც თაფლს, ნუშის ზეთსა და ბანანს უმატებდა. ამ ნიღბის გაკეთების შემდეგ თავი პრინცესა გგონია! და ტრადიციის მთელი არსიც ამ შეგრძნებაშია.

**— წარმოიდგინე, რომ ერთი კვირით უკაცრიელ კუნძულზე დაგასახლონ და ერთადერთი კოსმეტიკური კრემის წაღების უფლება მოგცენ. რომელ კრემს აირჩევდი?**

— ღმერთმა არ ქნას! (*იცინის*) რა თქმა უნად, ჩემს საყვარელი L`Oreal-ს წავიღებდი. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ამ კომპანიაში ვმუშაობ! უბრალოდ, კარგად ვიცი, თუ როგორ სერიოზულად ეკიდებიან ისინი თავიანთ საქმეს. ეს ხომ ჭეშმარიტი „სილამაზის მაგიაა!“ ალბათ დღის დამატენიანებელ კრემს Derma Genese შევარჩევდი, მაგრამ გული კი დამწყდებოდა, რომ მატონიზებელი სითხის წაღებას ვერ შევძლებდი — მე ხომ გამწმენდი საშუალებების ფანატიკოსი ვარ.

**— რას ფიქრობ, რომ „მის მსოფლიოსა“ და „მის სამყაროს“ მსგავს კონკურსებს მხოლოდ კოსმეტიკური ბაზრის გაფართოების მცდელობად აფასებენ, განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ინდოეთი, რუსეთი და ჩინეთი? სკეპტიკოსთა აზრით, შემთხვევითი როდია, რომ ბოლო წლებში ამ კონკურსებში აზიის ქვეყნების წარმომადგენლები იმარჯვებენ...**

— 1994 წელს ჩემმა გამარჯვებამ ჩემი თანამემამულეების ფსიქოლოგიაზე, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია: „თუ მსოფლიოს ულამაზეს გოგონად ინდოელი აღიარეს, ესე იგი, მეც შევძლებ გამარჯვებას“, — ეს პრინციპი მართლაც მუშაობს, მაგრამ იმის მტკიცება, რომ ჩემი ან რუსი გოგონების წარმატება მხოლოდ მასშტაბური პიარსვლაა და სხვა არაფერი, არასერიოზულია! უნდა იცოდე, თუ როგორია კონკურსის ორგანიზება და რა სიმკაცრეა! ჩემთვის ეს ყოველივე საოცარი სტრესი იყო!

**— ვფიქრობ, კონკურსში გამარჯვების შემდგომ ყველაფერი გაა-**



**კეთე იმისათვის, რომ პოდიუმზე არ გევლო და კინოში გეთამაშა. მოდელის პროფესია არ მოგწონს?**

— სამოდელო ბიზნესში სტუდენტობის დროს ვმუშაობდი, მაგრამ ეს საქმე ჩემი ცხოვრების მიზანი არ იყო. მსახიობობაზე კი დიდი ხანია, ვოცნებობდი. საქმე ის არ არის, მომწონს თუ არა მომწონს პოდიუმზე სიარული, უბრალოდ სხვათა განაცდები, რეჟისორებთან ურთიერთობა და როლის მომზადების ფსიქოლოგია უფრო მაინტერესებს. ფეშენინდუსტრიაში კი ეს ყველაფერი არავის სჭირდება...

**— შენ ხომ სამსახიობო ოსტატობა არასდროს გისწავლია?**

— დიახ, განათლებით არქიტექტორი ვარ. გეთანხმები, სამსახიობო ოსტატობის კურსის გავლა ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა, მაგრამ ამის დრო არასდროს მქონდა.

**— უამრავ ანეკდოტს ჰყვებიან, რომ ბოლივუდში ფილმებს ერთ კვირაში იღებენ...**

— ამას ყველა ფილმზე ვერ იტყვი! თავადაც კარგად ვხვდებოდი, რომ ერთდროულად შვიდ ფილმზე მუშაობა, როგორც ამას პროდიუსერები მთავაზობდნენ, მეტისმეტი იყო, მაგრამ პირველ წლებში არავინ მიცნობდა. მერე რა, რომ კონკურსში გავიმარჯვე? ეს ამბავი კინობიზნესში არავის აინტერესებს! ამიტომ, საშინელი გრაფიკით მუშაობას დავთანხმდი და შესაბამისად, როლებიც უღიმღამო გამომდიოდა... მახსოვს, ერთხელ ჩემი კერპი — რობერტ დე ნირო გამაცნეს, რომელმაც სხვათა შორის მკითხა, „როდის გექნება თავისუფალი დრო, რომ ვიმუშაოთო“? მაშინ მივხვდი, რომ ჩემი სამუშაო გრაფიკი ერთი წლით წინასწარ გაწერილი მქონდა! აი ასე ვუთხარი უარი რობერტ დე ნიროს (*იცინის*).

**— როგორი მამაკაცები მოგწონს? უკვე ჩამოყალიბებული სტერეოტიპის მიხედვით, ინდოეთს უამრავი ლამაზი ქალი ჰყავს, მაგრამ მამაკაცების სილამაზე კი...**

— მე მამაკაცური კაცები მომწონს. ტყუილად გგონია, რომ კაცები არ გვივარგა. ინდოეთში ბევრი სიმპათიური ბიჭი ცხოვრობს, მაგრამ ჰოლივუდში, რა თქმა უნდა, უფრო მეტნი არიან... სხვათა შორის, ძალიან მომწონს რუსი მსახიობები. ბავშვობაში უამრავი საბჭოთა ფილმი მინახავს.

**— ჩვენ კი ინდური — „დისკოს მოცეკვავე“, „ავარა“...**

— ვიცი, ვიცი, ჩვენი მშობლები და პედაგოგები ხშირად იხსენებენ, რომ საბჭოთა კავშირში ინდური ფილმები ძალიან უყვარდათ და თითოეულ ფილმს 5-6-ჯერ უყურებდნენ! ეს ამბავი ძალზე მსიამოვნებს, რადგან ინდური კინოს მიმართ მსოფლიოში ძირითადად უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ.

**— ალბათ დამეთანხმები, რომ კატასტროფაა, როდესაც ყველა ფილმი ჰეფი-ენდით მთავრდება.**

— ინდოეთში ბევრი კარგი, ლამაზი ფილმია. შესაძლოა, ბედნიერი დასასრული მართლაც მეტისმეტად გვიყვარს, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ ინდოეთში ხალხს მძიმე ცხოვრება აქვს და მათ ზეიმი ენატრებათ. ეს დაახლოებით იგივეა, რაც ვახშამი: ცხარე და მწარე საკვების შემდეგ დესერტი რომ გინდა...

**— ვახშამზე გამახსენდა — რამდენიმე წლის წინ ტელეარხ-**

**ისთვის MTV მიცემულ ინტერვიუში სხვათა შორის თქვი, რომ ინდოეთში მეტისმეტად გამხდარი მოდელები გულზე არ გეხატებათ. ახლაც ასეა?**

— რა თქმა უნდა. ზოგიერთ ინდოელ მამაკაცს ჩემს დანახვაზე ერთადერთი სურვილი უჩნდება — კარგად გამომკვებოს! მეორე მხრივ, ბოლო ათწლეულში ახალგაზრდებს მამებისგან განსხვავებული იდეალები ჩამოუყალიბდათ. მაგრამ მეტისმეტად გამხდარი ქალები ნამდვილად არ მოსწონთ და ეს აზრი მუდამ მამშვიდებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახლში გემრიელ ვახშამს გეახლებით (*იცინის*). ■

## ადამიანი-გამოცანა მეტმენის წინააღმდეგ

ფილმში „მუქი რაინდი“ კომისარ გოდონის როლის შემსრულებელმა გერი ოლდმანმა განაცხადა, რომ კრისტოფერ ნოლანის ახალი ფრანშიზის მესამე ფილმში ბეტმენის ახალ მოწინააღმდეგედ, შესაძლოა, ედვარდ ნიგმა — ადამიანი-გამოცანა მოგვევლინოს. თავდაპირველი სცენარის მიხედვით, მესამე ფილმში ადამიანი-ღამურა „მუქი რაინდის“ მთავარ ბოროტმოქმედ ჯოკერს უნდა შეეჯბმოდა, მაგრამ ჯოკერის როლის შემსრულებელი ავსტრალიელი მსახიობი ჰიტ ლეჯერი 2008 წლის იანვარში მოულოდნელად გარდაიცვალა. ჯერჯერობით უცნობია, ვიხილავთ თუ არა ჯოკერს და აარონ ეკხარტის ორსახოვან პერსონაჟს („მუქი რაინდი“) ნოლის ახალ ფილმში. მკითხველს შევახსენებთ, რომ ჯოელ შუმახერის სურათში „ბეტმენი სამუდამოდ“ (1995) ადამიანი-გამოცანის როლი ჯიმ კერიმ ითამაშა. ფრენსის მილერის კომიქსის მიხედვით გადაღებულ სურათში — „მუქი რაინდი“ კი ბეტმენის როლი კრისტიან ბეილმა განასახიერა. კრისტოფერ ნელის სურათში მონაწილეობენ მსახიობები: მეგი გილენჰაალი, მაიკლ კეინი, აარონ ეკხარტი და მორგან ფრიმენი. ფილმი ამერიკის კინოეკრანებზე 2008 წლის 18 ივლისს გამოვა. ■

## ორლანდო ბლუმისა და მირანდა კერის სიყვარულის კუნძული

ორლანდო ბლუმმა და მირანდა კერმა რამდენიც არ უნდა იუარონ და მათ შორის არსებულ ურთიერთობას უბრალო მეგობრობა უწოდონ, მაინც აღარავინ უჯერებს და ყველა მშვენივრად ხვდება, რომ ეს მართლაც ჭეშმარიტი სიყვარულია!!!

Victoria`s Secret-ის 25 წლის მოდელმა Gran Canaria Moda Calida-ს ჩვენების დასრულების შემდეგ ძალების აღსადგენად კანარის კუნძულების ერთ-ერთ ყველაზე ფეშენებელურ კურორტს მიაშურა. მარტო დასვენება, რა თქმა უნდა, არც კი უფიქრია. კომპანიონობა ბოიფრენდმა გაუწია. 31 წლის ორლანდო ბლუმი კანარის კუნძულებზე ამერიკიდან სპეციალურად ჩაფრინდა, რათა რამდენიმე დღე საყვარელ ქალთან ერთად ყოფილიყო. ორლანდომ ახალ ფილმზე New York, I Love You მუშაობა დაასრულა და დამსახურებული დასვენება გადაწყვიტა. თავისთავად ცხადია, რომ წყვილი კანარის კუნძულების საუკეთესო ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ლუქსში დაბინავდა. შეყვარებულები ჩვეულებრივი საკურორტო განრიგით ცხოვრობდნენ: სეირნობდნენ, აუზში დაცურავდნენ და მზეზე ირუჯებოდნენ. ■

*რუბრიკა მოამზადა* **ნატო მანჯავიძემ**



# მცირელიტრაჟიანი ამერიკა

ბენზინის ფასის ზრდამ ამერიკელთა ყოველდღიურ ცხოვრებასა და ჩვევებზეც საგრძნობი გავლენა მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ათწლეულის მანძილზე შეერთებული შტატები დიდი მანძილებისა და მძლავრი ავტომობილების ქვეყანა იყო, სადღეისოდ ცნობილი ანდაზა — ინგლისში სამასი წელი ახლახანაა, ამერიკაში კი სამასი მილი — აქვეო, — ნელ-ნელა აქტუალობას კარგავს.

ავტომანქანების მოხმარების რეჟიმის კორექტირება პირველ რიგში, იმ სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლებს მოუხდათ, რომლებსაც დამატებითი დაფინანსების იმედი არ აქვთ. ყოველ საპოლიციო უბანს, სახანძრო სადგურსა თუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას სათბობზე გამოყოფილი თანხა მთელი დადგენილი პერიოდის განმავლობაში უნდა ეყოს, ამიტომაცაა, რომ ათასნაირ ხრიკსა და ეშმაკობაზე წასვლა უწევს. მაგალითად, ზოგიერთი შტატის პოლიცია იძულებული გახდა, ისეთ პოპულარულ ფანდზეც კი ეთქვა უარი, რომელსაც წესრიგის დამცველნი წვრილმანი დანაშაულის რაოდენობის შემცირების მიზნით, კარგა ხნის მანძილზე აქტიურად მიმართავდნენ. კერძოდ, პოლიციელები შინ საპატრულო მანქანით ბრუნდებოდნენ და მას საკუთარ კვარტალში აჩერებდნენ. ეს მოსახლეობაში იმის შეგრძნებას უწყობდა ხელს, რომ კვარტალში პოლიცია იმყოფებოდა და, სტატისტიკის თანახმად, საკმაოდ ეფექტური შედეგიც მოჰქონდა. ახლა ოჰაიოსა და ტეხასის შტატების ქალაქებში საგრძნობლად შემცირდა იმ საპოლიციო ავტომობილების რაო-

დენობა, რომელთა მეშვეობითაც უშუალოდ უბნის პატრულირება ხორციელდება. პოლიციელებს ზოგიერთი რაიონის ფეხით შემოვლაც კი უწევთ, რაც ცხადია, გამოძახებაზე მისვლას აყოვნებს. პენსილვანიასა და აიოვაში ველოსიპედებით პატრულირება აღდგა, ცხენოსან პოლიციელთა რაოდენობამ კი ნიუ-იორკსა და ვაშინგტონშიც კი საგრძნობლად იმატა: ცხენი ხომ ავტომობილზე ეკოლოგიურიცაა და უფრო იაფიც ჯდება.

უფრო რთულად აქვთ საქმე მეხანძრეებს, განსაკუთრებით — კალიფორნიელებს, რადგან ამ შტატში ტყის ხანძრების ჩაქრობა ჩვეულებრივზე ძვირი ჯდება. დაბოლოს, სკოლებიც გულმოდგინედ ეძებენ დიზელის საწვავის ეკონომიის გზებსა და საშუალებებს. სასწავლო დაწესებულებები ისე ცვლიან სასკოლო ავტობუსების მარშრუტებს, რომ ზოგიერთ მოსწავლეს ახალი სასწავლო წლიდან გაჩერებამდე, ფეხით ბევრად მეტი მანძილის გავლა მოუწევს.

კიდევ უფრო რთულად აქვთ საქმე ზრდასრულ ამერიკელებს, რომლებსაც დამატებითი ხარჯებისთვის თავის არიდება ძალიან გაუჭირდებათ. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ამერიკული ასოციაციის ცნობების თანახმად, მიმდინარე წლის განმავლობაში საზოგადოებრივი ტრანსპორტი აშკარად გადაიტვირთა. რაც უფრო მაღლა იწევს საწვავის ფასი, მით მეტი ამერიკელი ტოვებს საკუთარ ავტომობილს ფარეხში და სამსახურამდე ელექტრომატარებლით, ავტობუსით ან მეტროთი მიდის. ისე, გარეუბნებში მცხოვრებთა შორის, ადრეც პოპულარული იყო ე.წ. car pools — როცა, სათბობის ეკონომიის მიზნით, მეზობლები სამსახურში წასასვლელად, ერთმანეთის ავტომობილებს რიგრიგობით იყენებდნენ. მაგრამ ამერიკაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელი ისეა მოწყობილი, რომ სამსახურში ავტომობილის გარეშე მისვლა ყველას როდი შეუძლია. ამიტომაც მოქალაქეთა ნაწილს ალბათ, სახლთან ახლოს მდებარე სამსახურის მოძებნა მოუწევს. ექსპერტები დასაქმების ახალი ფორმის აყვავებასაც ვარაუდობენ, რომელიც სპეციალისტებს შინიდან გაუსვლელად, ინტერნეტის მეშვეობით მუშაობის საშუალებას მისცემს. სერიოზულად განიხილება დისტანციური სწავლების პერსპექტივაც.

სათბობის ეკონომიას კერძო კომპანიებიც შეძლებისდაგვარად ცდილობენ. ამ მხრივ ყველაზე რთულ სიტუაციაში ტაქსის მძღოლები არიან, რადგან მათი შემოსავალი ფასების ზრდის კვალდაკვალ მცირდება. სავაჭრო დაწესებულებები საქონლის შინ უფასოდ მიტანის პრაქტიკას აუქმებენ, მსხვილი კორპორაციები კი თუ ამას დიდი აუცილებლობა არ მოითხოვს, თანამშრომლებს მივლინებაში აღარ გზავნიან (ფასები ხომ ავიასათბობსა და შესაბამისად, ავიაბილეთებზეც გაიზარდა), ხოლო სპორტულ ავტომობილებზე მოთხოვნის შემცირებამ მათ გამყიდველებს ფასების შემცირება აიძულა. სამაგიეროდ, ჰიბრიდული ავტომანქანების მწარმოებლებს გაუმართლათ, რადგან ასეთ მანქანებზე მოთხოვნა დღითი დღე იზრდება და შესაბამისად, მათ შემოსავალსაც ზრდის.

ბუნებრივია, ქვეყანაში სათბობის მაღალი ფასებით სარგებლის მიღების არაერთი სხვა მსურველიც გამოჩნდა. მაგალითად, ფლორიდაში ლატარიის ორგანიზატორები ერთ-ერთ პრიზად, ერთგულ მოთამაშეებს სიცოცხლის ბოლომდე ბენზინით უზრუნველყოფას დაჰპირდნენ. არანაკლებ იეშმაკეს ნევადელმა საროსკიპოების მეპატრონეებმაც, რომლებმაც სარფიან კლიენტებს ბონუსის სახით, ბენზინის ბარათები შესთავაზეს.

1973 და 1979 წლებში, ნავთობზე ფასის ნახტომისებური ზრდის შემდეგ, ამერიკელებს დიდ ავტომობილებზე დამატებითი გადასახადების დაწესებასა და საზოგადოებაში შექმნილ პანიკურ განწყობილებასთან შეხება უკვე ჰქონდათ. ასე რომ, ამჟამად მათ ბენზინის მაღალ ფასთან შეგუებაც ნაკლებად გაუჭირდებათ.

## გამოძიების ფედერალური ბიურო აშშ-ის საფინანსო სისტემით დაინტერესდა

ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიურო ახლახან გაკოტრებულ ბანკ IndyMac-ში სავარაუდო აფერის გამოძიებას შეუდგა. გაზეთ The Guardian-ის მონაცემებით, ეჭვი დაბალშემოსავლიან და ცუდი საკრედიტო ისტორიის მქონე მსესხებლებზე გაცემულმა კრედიტებმა გამოიწვია.

ბანკი სპეციალიზდებოდა ე.წ. Alt-A იპოთეკურ კრედიტებზე, რომლის დროსაც მსესხებლებს შემოსავლების შესახებ ცნობების წარდგენა არ სჭირდებათ. IndyMac უკვე 21-ე ორგანიზაციაა, რომლის საქმიანობითაც გამოძიების ფედერალური ბიურო დაინტერესდა.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის საფინანსო სისტემის მთელი ისტორიის მანძილზე, იპოთეკური ბანკ IndyMac-ის ფინანსური კრახი, 1984 წელს ბანკ Continental Illinois-ის გაკოტრების შემდეგ, მასშტაბებით მეორეა. ამჟამად, IndyMac-ის მეანაბრეები, რომელთაც თავიანთი ანაბრები დაზღვეული არა აქვთ, მილიარდ დოლარზე მეტი თანხის დაკარგვის რისკის წინაშე დგანან, დანარჩენებს კი ფედერალური სადაზღვევო პროგრამის თანახმად, დანაზოგის დაკარგვის შემთხვევაში 100 ათას დოლარს აუნაზღაურებენ.

*რუბრიკა მოამზადა* **რუსუდან ლებანიძემ**

# მხატვრული მინის ხელოვნებით შექმნილი ინციმური ეპოქა

**მხატვრულ მინას თანამედროვე დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მას იყენებენ ვიტრაჟების, მოზაიკების, არქიტექტურული დეტალების, დეკორატიული კომპოზიციების, მცირე ზომის ქანდაკებების და ა.შ. დასამზადებლად. სამწუხაროდ, საქართველოში ხელოვნების ამ დარგს ნაკლები ყურადღება ექცევა, რადგან ჩვენთან მხატვრული მინისთვის გამოსადეგი მასალის შოვნა და მისი დამუშავება ფაქტობრივად, შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, არსებობენ ისეთი გამონაკლისებიც, რომლებსაც სწორედაც რომ სირთულეებთან ჭიდილი ხიბლავთ. ნანა გიგოლაშვილი დიდი ხანია, მხატვრულ მინაზე მუშაობს, აქვს თავისი პატარა საწარმო, სადაც მართლაც, ხელოვნების ნიმუშებს ქმნის.**

## ლიკა ქაჯაია

**— შენ ემსახურები ხელოვნების დარგს, რომელზეც ხშირად ამბობენ, — დაუფასებელიაო...**

— მთლად ასეც ვერ ვიტყოდი. ჩვენ უცხოელების მიერ დამზადებულ ნამუშევრებს ვაფასებთ, მაგრამ საკუთარს — ვერა. ამის მიზეზი კი მხოლოდ ისაა, რომ ხელოვანს ამ სფეროში მუშაობის შესაძლებლობა არ ეძლევა. საქართველოში იმ მასალის მოპოვება, რომლისგანაც რაღაც ღირებულის შექმნას შევძლებთ, ძალიან ძნელია.

**— ყველაზე მეტ სირთულეს როდის აწყდები — მასალის შოვნის პროცესში თუ მისი დამუშავებისას?**

— ძალიან მიჭირს კარგი მასალის შოვნა, რომელიც ძირითადად, საზღვარგარეთიდან შემოაქვთ. უდიდესი სურვილი მაქვს, რომ საქართველოში იოლად იშოვებოდეს ისეთი მინა (ე.წ. ფიუზინგის მინა), რომელსაც ჩემი პროფესიის ადამიანები დაამუშავებენ. თუ ოდესმე ამის საშუალება მოგვეცემა, მინისგან დამზადებული ნაკეთობების შექმნა უფრო ხელსაყრელ ფასად იქნება შესაძლებელი და მერწმუნეთ, ამ შემთხვევაში თქვენი ინტერიერი საოცრებათა სამყაროს დაემსგავსება.

**— როგორც ვიცი, მინისგან ძირითადად, კომპოზიციებს ქმნი. ალბათ, სანამ ეს კომპოზიციები დასრულებულ სახეს მიიღებს, ბევრი სირთულის გადალახვა გიწევს...**

— მინის დამუშავება რთულია, მაგრამ მიმაჩნია, რომ თუ ადამიანს თავისი საქმე უყვარს, ყველა სირთულეს ადვილად გადალახავს. მართალია, მუშაობის პროცესში საოცრად ვიღლები, მაგრამ ეს ამავდროულად, უდიდეს სიამოვნებასაც მანიჭებს.

**— შენს კომპოზიციებში საოცარი ფერებია...**

— მინა სპეციალური, ცივი დამუშავების საღებავებით იღებება ანუ მინაში იქმნება ფერწერული პანო.

**— ძნელია ფერების დასმა?**

— ეს მხატვრული მხარეა და მისი შესრულება რთული სულაც არ არის, მაგრამ თავად ფერადი მინები რომ იშოვებოდეს, მუშაობა უფრო იოლი იქნებოდა და შესაბამისად, ბევრად სერიოზულ კომპოზიციებს დავამზადებდი.

**— ძირითადად, რაზე მუშაობ?**

— მაქვს თევზების, ხეებისა და მარაოების სერია. ძალიან მინდა, პორტრეტები ვაკეთო, მაგრამ ჯერჯერობით, ამის შესაძლებლობა არ მაქვს. იმედია, მალე ამასაც შევძლებ.

**— მინისგან დამზადებული პორტრეტი რამდენად სრულყოფილი და ეფექტური გამოვა?**

— ის ნამდვილად ეფექტური იქნება. მინდა აღვნიშნო, რომ ხელოვანმა უნდა შეძლოს და შექმნას არა ჩვეულებრივი, არამედ მინაში დანახული პორტრეტი.

**— რას გულისხმობ?**

— მასში არა მარტო სახის ნაკვთები, არამედ იმ ადამიანის ხასიათიც უნდა გამოჩნდეს, რომლის პორტრეტსაც ქმნი.

**— ანუ გინდა, ადამიანს სულში ჩაუძვრე და გააშიშვლო?**

— ჰო, დაახლოებით ასეა. შენ ნაცნობი ადამიანის პორტრეტში დაინახავ იმას, რაზეც ადრე წარმოდგენაც კი არ გქონდა, რადგან ამ თვისებას საგულდაგულოდ მალავდა.

**— მერე, ადამიანი, რომლის პორტრეტსაც დაამზადებ, ამის გამომზეურების საშუალებას მოგცემს?**

— ის დარწმუნებული იქნება, რომ ხალხი ვერაფერს შეამჩნევს...

**— კარგი, მაგრამ შენი თვითმიზანი ის ხომ არაა, რომ ადამიანი შეარცხვინო?**

— არა, მაგრამ ადამიანი კარგი თვისების დაფარვას არასდროს შეეცდება. თუ რაღაცას მალავს, მერე კი ეს გამჟღავნდება და პიროვნებას საკუთარი თავის გამო შერცხვება, ეს ძალიან კარგი იქნება, რადგან შესაძლოა, მერე ამ ცუდი თვისების დაფარვაზე კი არა, საკუთარი თავის გაკეთილშობილებაზე იზრუნოს.

**— როგორც ვიცი, მხატვრულ მინაზე საქართველოში ძალიან ცოტა ადამიანი მუშაობს...**





— მართალი ხარ, ასეთები თითზე ჩამოსათვლელნი არიან.

**— რა არის ამის მიზეზი?**

— ისევ და ისევ მინის დეფიციტი. იცი, ფაქტობრივად, საქართველოში მინის წარმოება აღარ ხდება. არადა, ერთ დროს, ვენეციის მერე, ამ საქმეში პირველები ჩვენ ვიყავით.

**— ეი. შეიძლება ვთქვათ, რომ შენ საკმაოდ გაბედული ადამიანი ხარ, რადგან შეეჭიდე საქმეს, რომელსაც მიუხედავად სიყვარულისა, ბევრი შეეშვა.**

— პირველ რიგში, გეტყვი იმას, რომ მე არ მიყვარს იმის კეთება, რასაც სხვები აკეთებენ ანუ ცოტა არ იყოს, უცნაური ადამიანი ვარ. მე საყვარელ საქმეში თავი გამოვცადე და როცა ვნახე, რაღაც გამომდიოდა, აღარ შევეშვი. ყველა ხელოვანს (და არა მარტო მათ) უნდა, რომ ერთადერთი და განუმეორებელი იყოს, საკუთარი ხელწერა ჰქონდეს. ასე რომ არ იყოს, ისინი ღირებულს ვერაფერს შექმნიდნენ.

**— როცა სამხატვრო აკადემიაში აბარებდი, მაშინ თუ იცოდი, რომ მინაზე უნდა გემუშავა?**

— სიმართლე გითხრა, მაშინ ამაზე არც ვფიქრობდი.

**— აბა, რაზე ფიქრობდი?**

— (*იცინის*) ვინ იცის, რაზე ვფიქრობდი. უბრალოდ, ვიცოდი, რომ ხატვის გარეშე ვერ ვიცხოვრებდი და სამხატვრო აკადემიაში ამიტომაც ჩავაბარე, მერე კი შემთხვევით, მხატვრული მინის დიზაინის ფაკულტეტზე მოვხვდი. დროთა განმავლობაში მინაზე მუშაობამ ისე გამიტაცა, რომ მას ველარასდროს შეველევი. სხვათა შორის, ჩემს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს ყოფილ ლექტორს, ქალბატონ თამარ გრიგოლიას, რომელიც მეხმარებოდა იმაში, რომ კომპოზიციური ხედვა დამეხვეწა.

**— გარდა კომპოზიციებისა, კიდევ რას ამზადებ?**

— დეკორატიულ თეფშებს, პანოებს, ტიხრებს, ბრებს, შირმებს და ა.შ.

**— შენს ნამუშევრებზე საზოგადოების მოთხოვნილება რამდენად დიდია?**

— მოთხოვნილებადია იმდენად, რამდენადაც ახლა, მინა ძალიან აქტუალურია, მოდაშია. მართალია, ეს ძვირად ღირებული სიამოვნებაა, მაგრამ მერწმუნეთ, ამად ნამდვილად ღირს, რადგან მინისგან დამზადებული კომპოზიციებისა თუ ნივთების წყალობით, შენს სახლში თუ ოფისში იქმნება საოცრად ინტიმური გარემო.

**— ძირითადად, რაზეა მოთხოვნილება?**

— მოთხოვნილება თითქმის ყველაფერზეა, მაგრამ გარკვეულწილად, ეს კლიენტის ჯიბის სისქეზეცაა დამოკიდებული, თორემ ზოგიერთს — საშუალება რომ ჰქონდეს — იმდენად დახვეწილი გემოვნება აქვს, რომ კედლებსაც კი დეკორატიული მინისგან ააგებდა. ძირითადად, სუვენირებს ყიდულობენ.

**— როგორც ვიცი, საკუთარი პატარა საწარმო გაქვს...**

— მართალი ხარ, მაქვს პატარა საწარმო, სადაც კერამიკული ღუმელი დგას. სწორედ მასში ხდება მინის გალღობა და სასურველი ნივთების დამზადება. როგორც ვიცი, მსგავსი საწარმო საქართველოში არავის აქვს.

**— და ამიტომაც, სტუდენტები დამხარებისთვის შენ მოგმართავენ, არა?**

— ჰო, მათ სადიპლომო ნამუშევრის გაკეთებაში ვეხმარები. ამას წინათ დავეხმარე სტუდენტს და მასთან ერთად გავაკეთე კლიმტის „კოცნა“, რომელიც იმდენად ლამაზი და ეფექტური გამოვიდა, რომ ხელოვნებათმცოდნეები თუ ის ლექტორები, რომლებსაც ეს ნამუშევარი უნდა შეეფასებინათ, აღფრთოვანდნენ.

**— ბევრი ნამუშევარი დაგიგროვდა. გამოფენის მოწყობას არ აპირებ?**

— გამოფენის მოწყობას შემოდგომისთვის ვგეგმავ. მართლაც, ბევრი ნამუშევარი დამიგროვდა, მაგრამ ვფიქრობ, ეს არაა საკმარისი. მაქვს უამრავი იდეა და ვიმედოვნებ, ჩემი პირველი გამოფენისთვის ნაწილის განხორციელებას მაინც შევძლებ.

**— როგორ ფიქრობ, ეს გამოფენა პოპულარობის მილწევაში დაგეხმარება თუ...**

— სიმართლე გითხრა, ეს დიდად არ მაინტერესებს. უბრალოდ, მინდა, საკუთარი თავი გამოვცადო, ვნახო, როგორ შეაფასებს საზოგადოება ჩემს შემოქმედებას და მერე გადავწყვეტ, მაქვს თუ არა უფლება, საყვარელ საქმეს ვემსახურო. ჩემთვის ხალხის აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს.

**— თუ საზოგადოებამ ნამუშევრები დაგიწუნა, საყვარელ საქმეს შეეშვები?**

— შეიძლება, ბოლომდე მაინც ვერ შეველიო, მაგრამ ცოტა ხნით მაინც, რაიმის დამზადებისგან თავს შევიკავებ, მერე კი კარგად დავფიქრდები იმაზე, თუ რა დავაკელი ჩემს ქმნილებებს და მუშაობას უფრო მეტი მონდომებით განვაგრძობ ანუ ბედს კიდევ ერთხელ ვცდი.









**— ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეგაქეს, შეიძლება, გაზარმაცდე?**

— რა სისულელეა! პირიქით, საკუთარი თავის მიმართ მეტად მომთხოვნი გავხდები და შევეცდები, მომავალში საზოგადოებას თავი უფრო მოვაწონო. ■

# უმღიერესი ემიგრანტები

## ძმები ვარაზაშვილები — რკინიგზელები, მშენებლები, გამომცემლები, ჭეყნის მტრები“...

**უმდიდრეს ქართველთა შორის უნდა ვახსენოთ ძმები ვარაზაშვილები. მათ დიდი როლი შეასრულეს XX საუკუნის დასაწყისის ქართული საინჟინრო საქმის, მრეწველობისა და კულტურის განვითარებაში, აგრეთვე — ქველმოქმედებაში.**

**ქართველმა საზოგადოებამ ბოლო წლებამდე მათ შესახებ ფაქტობრივად, არაფერი იცოდა. 1988 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ სპარტაკ რეხვიაშვილის წერილს მოჰყვა ზურაბ გომურაშვილის, ივანე ჯავახიშვილის, ედიშერ გიორგაძის, მანანა ლილუაშვილის, ილია რურუას, ირინე მჭედლიძის პუბლიკაციები, თუმცა მათი ღვაწლი ჯერ ბოლომდე არ არის შესწავლილი.**

ივანე თეირანში, საკუთარ „როლს-როისთან“

**წერილი მეთერთმეტე.**
**წინამორბედი წერილები იხ. „გზა“ №16-30**

### რუსუდან დაუმვილი

ვარაზაშვილების მამა სოფრომი, პაპის, მარკოზ ვარაზაშვილის რჩევით, 16 წლის ასაკში რაჭის სოფელ მუხლიდან თბილისში ჩამოვიდა. ანჩისხატის ეკლესიის უბანში დასახლდა, მეპურეობას მიჰყო ხელი და რამდენიმე თონეც შეიძინა. მალე ამ საქმეში დიდ წარმატებას მიაღწია და, როგორც უპატიოსნესმა და ყველასათვის საყვარელმა პიროვნებამ, უსტაბაშობა და ორდენიც მიიღო. დაქორწინდა კახეთელიძის ქალზე და ქალ-ვაჟიც შეეძინა. მაგრამ მალე დაქვრივდა, შვილები სოფელში დაბრუნდნენ და სოფლის მეურნეობას მოჰკიდეს ხელი. მეორე ცოლისგან, მარიამ ჯანელიძისაგან 4 ვაჟი შეეძინა — ივანე, ისიდორე, ვასილი და გიორგი.

ივანე 1879 წელს დაიბადა. წარჩინებით დამთავრა თბილისის სარკინიგზო ტექნიკური სასწავლებელი, შემდეგ — პეტერბურგის საგზაო-სარკინიგზო ინსტიტუტი. დიპლომირებული სპეციალისტი საქართველოში დაბრუნდა და აქტიურ საქმიანობას მიჰყო ხელი. სრულიად ახალგაზრდა მონაწილეობდა ბაკურიანის რკინიგზის მშენებლობაში, რომლითაც დღესაც ვსარგებლობთ, ააშენა წალკის ხიდი.

მსოფლიო ომის დროს მან ინჟინერ-პოლკოვნიკის წოდება მიიღო და ჯულფა-ბაქოს და ერზრუმ-სარიყამიშის რკინიგზის მშენებლობას ხელმძღვანელობდა. მის გვერდით მუშაობდა მისი ძმა ისიდორეც.

ძმები სამრეწველო საქმიანობაშიც ჩაებნენ — 1917 წელს ხელი მოჰკიდეს ჭიათურის „შავი ქვის“ მრეწველობის განვითარებას. 1918 წელს დააარსეს „ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოება“ (Cemo), რათა მანგანუმის მოპოვება-დამუშავებაში დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ და ამ დარგში უცხოელთა ბატონობისგან დაეღწიათ თავი. შეადგინეს წესდება, გამგეობაში მიიწვიეს ცნობილი მოღვაწეები, თავმჯდომარედ კი — ნიკო ნიკოლაძე. სხვათა შორის, საზოგადოების მეპაიე იყო აკაკი წერეთელი, რომელიც პრესაში დიდ პოპულარიზაციას უწევდა Cemo-ს საქმიანობას. ეს საზოგადოება მალე ყველაზე მძლავრი ორგანიზაცია გახდა. მას ფილიალები ჰქონდა გერმანიაში, ინგლისში, თურქეთში, ამერიკაში, ყველგან ჰყავდა თავისი წარმომადგენლები. როცა ნიკოლაძე 1920 წელს საზოგადოების საქმეებზე საზღვარგარეთ გაემგზავრა, თავმჯდომარე ისიდორე ვარაზაშვილი გახდა. 1922 წელს საზოგადოების დავალებით, ძმებიც გაემგზავრნენ საზღვარგარეთ — გერმანიაში, სადაც მაშინ მათი უმცროსი ძმა გიორგი სწავლობდა სამთო ინსტიტუტში.

სოფრომ ვარაზაშვილის დიდი ოჯახი

ძირითადი საქმიანობის გარდა, ძმებმა გერმანიაში ქართული კულტურის პოპულარიზაციასაც მიჰყვეს ხელი. იმ დროს ბერლინში მოღვაწეობდა ქართველთა დიდი მეგობარი და მოამაგე — ქართველოლოგი რიჰარდ მეკელაინი. ძმებმა მას შესთავაზეს, საკუთარი სახსრებით ქართული წიგნის გამოსაშვებად გამომცემლობის დაარსება, რომლის რედაქტორიც მეკელაინი იქნებოდა. ეს აზრი უკვე მომწიფებული იყო ქართველთა შორის, ამიტომ საქმე სწრაფად წავიდა წინ და იმავე წელს ბერლინში დაარსდა Naher Osten („ახლო აღმოსავლეთი“), სადაც გამოიცა მეკელაინის გერმანული ენის სახელმძღვანელო, ქრესტომათიითა და ლექსიკონით. ეს იყო პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, რომელიც სამაგიდო წიგნად იქცა უცხოეთში გადახვეწილი თითოეული ქართველისთვის.

გამომცემლობის გარდა, ძმებმა ბერლინში დაარსეს „რუსთაველის საზოგადოება“, რომლის მიზანსაც უცხოეთში მცხოვრებ ხელმოკლე ქართველ სტუდენტთა მატერიალური დახმარება, წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების საშუალებით ქართულ-ევროპული კულტურული მემკვიდრეობის გაცვლა წარმოადგენდა. საზოგადოების თავმჯდომარე გახდა მეკელაინი, გამგეობის წევრები: ივანე და ისიდორე ვარაზაშვილები, ემიგრანტები — ბერლინის ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელი გრიგოლ დიასამიძე, მოსე შანიძე, იაკობ და კატო ხოჭოლავები, ელისაბედ მეკალაინი და სხვები; მდივნად გიორგი ვარაზაშვილი დაინიშნა. სხვათა შორის, როცა 1989 წელს საქართველოშიც დაარსდა

„რუსთაველის საზოგადოება“, საწევრო ბილეთები მის დამაარსებელ ვარაზაშვილებისა და მეკელაინის სახელზეც გამოწერეს.

ვარაზაშვილებს მრავალი სასიკეთო საქმე აქვთ გაკეთებული საქართველოშიც.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული წამოწყება, რომელიც მათ სახელთანაა დაკავშირებული, ნიკო ნიკოლაძის დახმარებით, ამხანაგობა „ქართული წიგნის“ დაარსება გახლდათ. იქ მუშაობდნენ ისეთი დიდი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ პავლე ინგოროყვა და სიმონ ყაუხჩიშვილი. ამხანაგობამ გამოსცა ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის ლექსების კრებულები, შალვა დადიანის რომანი „უბედური რუსი“, კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თარგმნილი უცხოელ კლასიკოსთა თხზულებები. ამ გამომცემლობის გვირგვინად კი ქართველი საზოგადოების დიდი ხნის ოცნება — ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა იქცა. ამ საშვილიშვილო წამოწყების გარდა, ვარაზაშვილები მატერიალურ დახმარებას უწევდნენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და გამოცემებს.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, ძმების დიპლომატიისა და კავშირების წყალობით, Cemo-სთვის ხელი არ უხლიათ და ძმებიც ძველებურად განაგრძობდნენ სამრეწველო და კულტურულ საქმიანობას. მარგანეცს საქართველოში დიდი ფული შემოჰქონდა. „ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე“ (НЭП) გადასვლის შემდეგ კი ჭიათურის მანგანუმის ხელში ჩაგდებას უცხოელები შეეცადნენ, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ამერიკელები, მათ შორის — შემდგომში აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში, ევერელ ჰარიმანი. 1925 წელს მოსკოვში სააქციო საზოგადოების წარმომადგენელსა და ჰარიმანს შორის ხელშეკრულების შემმუშავებელ კომისიაში ივანე ვარაზაშვილიც მონაწილეობდა, მაგრამ საწარმო საკონცესიოდ მაინც ჰარიმანს გადასცეს, რამაც დიდად ატკინა გული ძმებს, რადგან ამის შემდეგ მთელი შემოსავალი საქართველოდან გავიდოდა და უცხოეთის ბანკებს გაამდიდრებდა. Cemo-მ არსებობა შეწყვიტა, მისი საბოლოო ლიკვიდაცია კი 1928 წელს მოხდა, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ ჰარიმანთან გაფორმებული კონტრაქტი გააუქმა და მრეწველობას თვითონ დაეპატრონა. ბოლშევიკთა სარკაზმის უკიდურესი გამოვლინება კი ის გახლდათ, რომ ისიდორე ვარაზაშვილი ამ საწარმოს სალიკვიდაციო კომისიის წევრად და მთავრობის კონსულტანტად დანიშნეს.

მათი სისასტიკე და უმადურობა მალე ვარაზაშვილების დიდ და მდიდარ ოჯახსაც შეეხო. 20-იანი წლების ბოლოს ძმების გზები ცხოვრებამ იძულებით გაყარა. სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა მათი ბედიც და აღსასრულიც...

უფროსი ძმა ივანე დიდად განათლებული პიროვნება იყო, იცოდა რუსული, ფრანგული, გერმანული და სპარსული ენები. მის სტუმართმოყვარე ოჯახში ხშირად იყრიდნენ თავს ქართველი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები — პროფესორები: პეტრე მელიქიშვილი, თამარ აბაკელია, შალვა მიქელაძე, კომპოზიტორები: ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მომღერლები: ვანო სარაჯიშვილი, დები თარხნიშვილები, მწერლები: შალვა დადიანი, მიხეილ ჯავახიშვილი, იოსებ იმედაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და სხვები. ჰყავდა სტიპენდიანტები. მის სახლში წყდებოდა მრავალი საჭირბოროტო საკითხი — მაგალითად, 1925 წელს ტრანსკავკასიური საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის დროებითი ბიუროს ჩამოყალიბება, რომლის შემადგენლობაშიც ივანე ვარაზაშვილი და ნიკო ნიკოლაძე იყვნენ.

1928 წელს ივანე ვარაზაშვილი, შაჰის მიწვევითა და საბჭოთა კავშირის მთავრობის ნებართვით, სპარსეთს (1932 წლიდან — ირანი) გაემგზავრა. ის დიდი მონდომებით ჩაუდგა სათავეში სპარსეთში, ინდოეთის საზღვრამდე რკინიგზის გაყვანას. ამ ხაზზე გაშვებულ პირველ მატარებელში თვით რეზა შაჰი იჯდა, რომელიც დიდად აფასებდა ვარაზაშვილის საქმიანობას. საბჭოთა სახელმწიფო კი ამ პროექტის განსახორციელებლად, ივანეს წყალობით, დიდ თანხას იღებდა. პარალელურად, ივანე ფერეიდნელ ქართველთა ცხოვრებას ეცნობოდა. სამშობლოში დაბრუნება კი ვეღარ მოახერხა — საზღვრების ჩაკეტვისა და საბჭოთა კავშირში აგორებული რეპრესიების გამო, რომლებსაც მისი დიდი ოჯახის წევრებიც შეეწირნენ. იგი თეირანში დარჩა და ის ცოდნა და ენერგია, რომელიც მის სამშობლოს უნდა მოხმარებოდა, უცხოეთში დაიხარჯა. მისი ემიგრანტობა კი ძვირად დაუჯდა ოჯახს: როგორც „უცხოეთის აგენტი“, დააპატიმრეს და ციმბირში გაასახლეს მისი 18 წლის ქალიშვილი ფეფიკო, რომელიც წამებისას, ჯალათებს „შემოაკვდათ“; დაკარგულია მისი საფლავი. ოჯახის დანარჩენი წევრები — 30-იანი წლების რეპრესიებს კი გადაურჩნენ, მაგრამ 1951 წელს ივანეს ცოლი, ელისაბედ მიროტაძე და 3 ვაჟი ოჯახებიანად გადაასახლეს. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წელს, საბედნიეროდ, დაბრუნდნენ სამშობლოში, მაგრამ ცარიელი კედლებიღა შეხვდათ — მთელი მათი ქონება კონფისკაციის შემდეგ, ჩამორთმეული იყო.

ძმები ვარაზაშვილები

ავთო ვარაზი ფიროსმანის როლში

ივანემ შეიტყო, რომ მისი ოჯახი გადასახლებიდან დაბრუნდა და გახარებულმა, 1954 წელს საახალწლო მისალოცი გამოგზავნა, მაგრამ გადასახლებიდან დაბრუნებულები ისე შეაშინა ბარათმა, რომ არ მიიღეს და უკან დააბრუნეს. ივანემ იფიქრა, რომ მთელი ოჯახი გაუნადგურეს. ეს გახდა კიდეც მისი დალუპვის მიზეზი — 1955 წელს ის მოხუცებულთა თავშესაფარში გარდაიცვალა.

ამ ცოტა ხნის წინ, ირანში მოგზაურობის დროს ავთანდილ სვიმონიშვილმა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ეზოში დაკრძალული ივანეს საფლავი ფოტოზე აღბეჭდა და მის მემკვიდრეებს ჩამოუტანა. საბედნიეროდ, ივანეს შვილები გადარჩნენ და მისი 3 ვაჟის შთამომავლები გვარს აგრძელებენ.

ისიდორე ვარაზაშვილი ძმაზე 3 წლით უმცროსი იყო. 1901 წელს მანაც თბილისის სარკინიგზო ტექნიკუმი დაამთავრა. მუშაობდა ჭიათურის რკინიგზის სადგურის უფროსის თანაშემწედ. 1918 წელს ჩაება „ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების“ საქმიანობაში. 1920-1922 წლებში მისი თავმჯდომარე გახლდათ. 1922 წელს ჩრდილოეთ ამერიკის დამხმარე კომიტეტის რწმუნებულად დანიშნეს, რის გამოც ხშირად უხდებოდა ამერიკასა და სხვა ფილიალებში გამგზავრება. Cemo-ს საქმეების გარდა, სხვა საკითხებსაც აგვარებდა: ახალ ტექნოლოგიებს იძენდა და საქართველოში ჩამოჰქონდა. მაგალითად, უნივერსიტეტს უსასყიდლოდ გადასცა უცხოეთში ნაყიდი ლაბორატორიის მოწყობილობა და ხელსაწყოები. ისიდორე ვარაზაშვილი განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა ჭიათურაში. ქალაქის დრამატული საზოგადოების წევრი, სამეცნიერო და სალიტერატურო საზოგადოების გამგე და საპატიო თავმჯდომარე გახლდათ. იყო აგრეთვე ქართველ მხატვართა საზოგადოების გამგეობის წევრი. მეგობრობდა დავით კლდიაშვილთან, ივანე ჯავახიშვილთან, არჩილ ჯორჯაძესთან, რომელიც 1913 წელს — გარდაცვალების წინადღეს მოუნახულებია ბათუმში. როგორც პატრიოტი, ყურადღებას აქცევდა ისეთ წვრილმანებსაც კი, როგორიც იყო მრეწველთა საზოგადოების აქციების გარეგნული გაფორმება, რომელიც ძველი ქართული სიგელ-გუჯრების მიხედვით გაუფორმებია მხატვარ შალვა ქიქოძეს. სამწუხაროა, რომ ეს შესანიშნავი პიროვნება ქართველმა საზოგადოებამ ნაადრევად დაკარგა: ისიდორე 30-იანი წლების რეპრესიებს შეეწირა. 1935 წელს ციმბირში გადაასახლეს, იქვე გარდაიცვალა 1943 წელს და განსასვენებელი სადღაც, საერთო სასაფლაოზე

პოვა. რეპრესიები შეეხო მის ოჯახსაც. მისი ვაჟი სოფრომი (სოსიკო) ზესტაფონის ქარხანაში მუშაობდა. „ჩეკისტებმა“ ქარხანაში მიაკითხეს, მავნებლობაში დასდეს ბრალი და იქვე, გაუსამართლებლად დახვრიტეს. ის მაშინ 27 წლის იყო და ოჯახი არ ჰქონდა. მისი და — თამარი გადაასახლეს. მართალია, 10 წლის მერე დაბრუნდა, მაგრამ ისიც უშვილოდ გადაეგო და მათზე შეწყდა ისიდორე ვარაზაშვილის მემკვიდრეობა.

გამორჩეული პიროვნება გახლდათ ასევე, მესამე ძმა — ვასილიც. მან ხარკოვის უნივერსიტეტი დაამთავრა. იყო ქართული თეორიული მედიცინის ერთ-ერთი ფუძემდებელი, 100-ზე მეტი ნაშრომის ავტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. უყვარდა ფილოსოფია, ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა. ის მესამე იყო პავლოვის (1904 წელს), მეჩნიკოვის (1908 წელს) შემდეგ, ვინც ფიზიოლოგიის დარგში ნობელის პრემიაზე წარადგინეს 1939 წელს. მაგრამ ამ პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტიდან მოსულ წერილს მალე, „ჩეკადან“ ზარი მოჰყვა: ოჯახის განადგურებით დაემუქრნენ, თუკი პრემიის მისაღებად შვეიცარიაში წასვლას გაბედავდა. მანაც გვარი ვარაზად გადაიკეთა და საგულდაგულოდ დამალა წერილი, რომელიც ოჯახის წევრებმა მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ — 1969 წელს იპოვეს...

ვასილის შტოს მისი 3 ვაჟის — ლევანის, ვახტანგისა და ავთანდილის შთამომავლები აგრძელებენ. ჩვენი საზოგადოებისთვის მათგან ყველაზე კარგადაა ცნობილი მხატვარი, ნიკო ფიროსმანის როლის შემსრულებელი — ავთო ვარაზი...

მეოთხე ძმამ — გიორგიმ, რომელიც 1895 წელს დაიბადა, ბერლინის სამთო ინსტიტუტი დაამთავრა. დედმამიშვილების მსგავსად, ისიც კარგად ფლობდა ევროპულ ენებს. იყო მეკელაინის მეგობარი და თანაშემწე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლექციებს კითხულობდა. რეპრესიების გამო დედაქალაქს გაერიდა და სოხუმის უნივერსიტეტში განაგრძო მუშაობა. მისი ორი ქალიშვილი — ნინო და ეთერი რეპრესიებს გადაურჩნენ. ნინო ჰიდროტექნიკის სპეციალობის მქონე პირველი ქალია საქართველოში.

ვარაზაშვილების ოჯახის ისტორია კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რა შეუძლიათ ნიჭიერ და ქვეყნის მოყვარულ ადამიანებს, როგორი წრიდანაც უნდა იყვნენ ისინი გამოსული; რომ მიუხედავად დევნის, რეპრესიებისა და დამსახურების მიჩქმალვისა, არავის ღვაწლი არ იკარგება და მადლიერი შთამომავლობა ყოველთვის მიაგებს პატივს მათ სახელებს. ■

**ივანე ვარაზაშვილის საფლავი თეირანში**

# პიუროკრატია, „დეგინფექციის საკინისტრო“ და ვარსიმაშვილისეული „კავკასიური ცარცის წრე“

**მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ავთო ვარსიმაშვილი ფილმზე — „იდიოტოკრატია“ და სპექტაკლზე — „კავკასიური ცარცის წრე“ ერთდროულად მუშაობს. „იდიოტოკრატია“ უკვე მთელი სეზონია, თეატრის რეპერტუარშია და ისევე, როგორც ვარსიმაშვილის სხვა სენსაციურ სპექტაკლებს, მაყურებელი მასაც არ აკლია. თუ რატომ გადაწყვიტა რეჟისორმა ყველაზე ხმაურიანი სახელწოდების მქონე სპექტაკლის ეკრანზე გადატანა და ყველაზე პოპულარული სპექტაკლის სცენაზე დადგმა — ამის შესახებ თავადვე მოგვითხრობს.**

## მაია ღუღუნიშვილი

— მიუხედავად ცხელი ზაფხულისა, „თავისუფალ თეატრში“ დიდი შემოქმედებითი ორომტრიალია. მთავარი მიზეზი, რომლის გამოც თავის დროზე სპექტაკლი „იდიოტოკრატია“ დავდგი, იყო სურვილი, რომ ჩვენს რეპერტუარში ყოფილიყო სპექტაკლი, რომელიც მაყურებელს ბევრს აცინებდა. მოგეხსენებათ, საზოგადოებას უამრავი პრობლემა აწუხებდა, ქვეყანა ძალიან პოლიტიზებული გახდა, ყოველივე ასე შემდეგ გადავწყვიტე, ასეთი ჟანრის სპექტაკლი დამედგა, რადგან ჩემი რეპერტუარი ყოველთვის სოციალურ თემებს ეხებოდა. უფრო ფსიქოლოგიური თეატრის რეჟისორი ვარ. ეტყობა, მეც დავიღალე ასეთი სპექტაკლების დადგმით და მომინდა, მაყურებლისთვის ჩემეული იუმორი შემეთავაზებინა. თუმცა ბოლომდე ვერ შევძელი ეს, რადგან ბევრი პოლიტიკური და სოციალური თემა ამოტივტივდა. მაგრამ მთლიანობაში, ეს არის სიკეთით აღსავსე, ძალზე მხიარული სპექტაკლი, რომელსაც დადგმის დღიდან არ მოჰკლებია მაყურებელი. „იდიოტოკრატია“ 2007 წლის თებერვალში დაიდგა. მასში ერთ-ერთ მთავარ როლს ბრწყინვალედ ასრულებდა მიშა ჯოჯუა. სამწუხაროდ, მიშა ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. ავადმყოფობის პერიოდში მის როლს მსახიობი სანდრო მარგალიტაშვილი ასრულებდა, რომელმაც აგრეთვე კარგად გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას. მოგვიანებით კი გაჩნდა იდეა, ამ სპექტაკლის მიხედვით ფილმი გადაგვეღო.

**— ვინ არიან სიუჟეტის მთავარი გმირები?**

— ბიუროკრატიული აპარატია ნაჩვენები, რომელშიც კონკრეტული ადამიანები არ წარმოგვიდგენია. ზოგადადად, ბიუროკრატიას დავცინით, რომელიც ხშირად იდიოტოკრატიაში გადადის. ამიტომაც დავარქვით სპექტაკლს ეს სახელწოდება. მაშინ, როდესაც ქვეყანაში უამრავი პრობლემაა, ხელისუფლების წარმომადგენლები დაკავებული არიან იდიოტოკრატიით. ამაზეა სპექტაკლი. თუმცა ეს ყველაფერი კეთილად არის წარმოდგენილი, რომელშიც დავცინით არა კონკრეტულ ადამიანებს, არამედ ზოგადად, შექმნილ ვითარებას.

**— ფილმის გამოსვლის შემდეგ, სპექტაკლი ისევ დარჩება თეატრის რეპერტუარში?**

— აუცილებლად დარჩება რეპერტუარში და დარწმუნებული ვარ, მისი მაყურებელიც რიცხობრივად გაიზრდება. საქართველოში ეს პირველი შემთხვევაა,

როდესაც სპექტაკლი ეკრანზე გადადის, შემდეგ კვლავ ბრუნდება სცენაზე და სიცოცხლეს აგრძელებს. დასავლეთის ქვეყნებში კი მრავალი მაგალითი არსებობს იმისა, რომ გადაღებული სპექტაკლები ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს, მასზე დასწრების მსურველთა რიცხვი კი წარმოუდგენლად მატულობს, რადგან საზოგადოებას უჩნდება სურვილი, ფილმის გმირები სცენაზე ცოცხლად იხილოს.

**— ფილმს კინოფირზე იღებთ თუ ვიდეოზე?**

— ამ ფილმს ციფრული ტექნოლოგიით ვიღებთ. მისი ნახვა მაყურებელს მხოლოდ კინოთეატრებში შეეძლება, რადგან ის ტელეეკრანზე არ გავა.

**— იქნება თუ არა ფილმსა და სპექტაკლს შორის შინაარსობრივი სხვაობა?**

— ფილმი შინაარსობრივად გაცილებით მდიდარი იქნება, რადგანაც ბევრი პერსონაჟი დაემატა. ეს პერსონაჟები საკმაოდ აქტიურები არიან. მაგალითად, დაემატა ჟურნალისტი გოგო, რომელიც რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობების საკითხთან დაკავშირებით სპეციალურად ჩამოდის გერმანიიდან, რათა მინისტრისაგან ინტერვიუ აიღოს.

**— ის საგარეო საქმეთა მინისტრია?**

— არა. ჩვენ სპექტაკლში გამოგონილი სამინისტრო გვაქვს. ეს გახლავთ „დეზინფექციის სამინისტრო“. მოგეხსენებათ, ასეთი სამინისტრო არ არსებობს: თუ იდიოტოკრატიაზეა ლაპარაკი, ბოლომდე იდიოტოკრატია იყოს!.. როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენ კონკრეტულად, არავის ვეხებით. თუმცა სიუჟეტში ბევრი ადამიანი აღმოაჩენს საკუთარ „სტერეოტიპს“...

**— პირველი ქართული ტელესერიალის — „სახლი ძველ უბანში“ — შემდეგ ეს თქვენი პირველი კინონამუშევარი იქნება?**

— არა. კიდევ ერთი ფილმი მაქვს გადაღებული — „მერე რა, რომ სველია

სიუჟეტში ბევრი ადამიანი აღმოაჩენს საკუთარ „სტერეოტიპს“...

სველი იასამანი“, რომელიც ალბათ ბევრს არ უნახავს, რადგან მხოლოდ ერთხელ, ახალი წლის ღამეს იქნა ნაჩვენები ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში. მას შემდეგ 5 წელი გავიდა და შესაბამისად, ამ პერიოდში არაფერი გადამიღია.

**— როდის დასრულდება ფილმის გადაღება და როდის გეგმავთ მის პრემიერას?**

— გადაღებები ივლისის ბოლოს დასრულდება, შემდეგ მონტაჟს დავიწყებთ, რაც საკმაოდ ბევრ დროს მოითხოვს. ფილმის პრემიერას ალბათ ოქტომბრის ბოლოს შევთავაზებთ მაყურებელს. ფილმის ქრონომეტრაჟი თითქმის 2 საათი იქნება.

**— ფილმში იგივე მსახიობები იქნებიან, ვინც სპექტაკლში თამაშობენ?**

— დიახ. იგივე მსახიობები იქნებიან. გმირებთან და ეპიზოდებთან ერთად, სხვა მსახიობებიც დაემატებიან.

**— სექტემბერში თეატრის მაყურებელს კიდევ ერთ სენსაციურ პრემიერას შესთავაზებთ. რატომ გადაწყვიტეთ, ლეგენდად ქცეული „კავკასიური ცარცის წრის“ დადგმა და როგორი იქნება ამ სპექტაკლის თქვენეული ვერსია?**

— ჩემს სპექტაკლს საერთო არაფერი აქვს რობერტ სტურუას „კავკასიურთან“. არ ვეხები ლეგენდად ქცეულ, რუსთაველის თეატრის სპექტაკლს. მე ვიღებ ბერტოლტ ბრეხტის პიესას, რომელიც ძალზე პოპულარულია მთელ მსოფლიოში. ეს ჩვენი პრობლემაა: რადგან ერთხელ გენიალურად დაიდგა იგი, მისი მეორედ დადგმა ვეღარავინ გაბედა... პიესა გაცილებით აქტუალურია დღეს, ვიდრე 1974 წელს იყო — როდესაც ბატონმა რობერტ სტურუამ დადგა იგი. მე მიმაჩნია, რომ ეს სპექტაკლი გენიალური ნამუშევარია, მაგრამ ნუ ავურევთ სპექტაკლსა და პიესას ერთმანეთში, რადგან პიესა დამოუკიდებლად არსებობს და მისი დადგმის უფლება ყველას აქვს, ვისაც ეს მოუნდება. მე მომწონს ეს პიესა და მინდა, რომ ის ჩემს თეატრში დავდგა. მასში იმ შინაარსს ვხედავ, რომლის გადმოცემაც დღევანდელი მაყურებლისთვისაა საჭირო და რომელიც თავის დროზე, რობერტ სტურამ არ დაინახა, რადგან მაშინ ის პრობლემები არ იყო, რომლებიც დღეს წამოსწია ამ პიესამ. თანაც, მოქმედება XX საუკუნის 90-იან წლებში ხდება. მართალია, დრო ხმამაღლა არ ფიქსირდება, მაგრამ ეს, მოქმედებაში აისახება... ამ ბოლო დროს ხშირად მისვამენ ამ შეკითხვას, რაც მიმაჩნია, რომ არასწორი მიდგომის გამომხატველია. თუ ასე ვიმსჯელებთ, არც „ჰამლეტის“ და სხვა მრავალი სპექტაკლის დადგმის უფლება გვაქვს: ისინი ხომ არაერთხელ დაუდგამთ, თანაც — შესანიშნავად. ასევე ძალიან ბევრი ცნობილი პიესის მიხედვით ვეღარ უნდა დავდგათ სპექტაკლი.

**— ეს შეკითხვა იმიტომ დაგისვით, რომ ამას წინათ თავად ბატონმა რობერტმა მითხრა, რომ ამ სპექტაკლის დადგმა იმიტომ გადაგიწყვეტიათ, რომ თავის დროზე მან კარგად ვერ დადგა...**

— როგორც ჩანს, ბატონ რობერტს არასწორად გაუგია ჩემი დამოკიდებულე-

დავცინით არა კონკრეტულ ადამიანებს, არამედ ზოგადად, შექმნილ ვითარებას

ბა და მოტივი, თუ რატომ გადავწყვიტე ამ სპექტაკლის დადგმა. სტურუას, როგორც ყოველთვის, ჭორები მისდის და არა — ინფორმაციები...

**— ვინ ასრულებენ მთავარ როლებს თქვენს სპექტაკლში?**

— აზდაკის როლს ნიკო გომელაური თამაშობს, გრუშე ვაჩნაძეს — მარიშა კიტია. ამ გოგონამ ჩვენს თეატრში ითამაშა ანას როლი სპექტაკლში — „ანა ფრანკის დღიური“. ძალიან ნიჭიერი მსახიობია. ძირითადად, ჩვენი თეატრის მსახიობები არიან: კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, ჯაბა კილაძე, ქეთა ლორთქიფანიძე და სხვები.

**— უკვე დაწყებული გაქვთ რეპეტიციები? პრემიერას როდისთვის გეგმავთ?**

— სპექტაკლის პირველი მოქმედება თითქმის უკვე დადგმულია. ახალ სეზონს სექტემბრის დასაწყისში ამ სპექტაკლით გავხსნით.

**— როგორც ვიცი, ზაფხულში კინოგადაღებებისა და სპექტაკლის რეპეტიციებთან ერთად, ბევრი სხვა რამეც გაქვთ დაგეგმილი...**

— 2 აგვისტოს კოდორში ვითამაშებთ სპექტაკლს — „ღმერთო, დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები“. 15 აგვისტოდან დავიწყებთ საგასტროლო გამოსვლებს ურეკში, სადაც შესანიშნავი დარბაზი გაიხსნა. ეს გახლავთ საუკეთესო სათეატრო დარბაზი შავი ზღვისპირეთში, ის ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის ძმამ ადიკომ ააშენა. იქ ორ კვირას დავყოფთ. ოქტომბერში მესამედ წავალთ კაიროში, ნოემბერში კი — სირიაში, სადაც სპექტაკლებს ვითამაშებთ. ასეთი გახლავთ ჩვენი გეგმები. ■

# ყველა დროის ყველაზე უარესი გამოგონება

**საზოგადოებრივი აზრის ამასწინანდელ ბრიტანულ გამოკითხვაში, რომელიც ყველა დროის ყველაზე უარეს გამოგონებებს ეძღვნებოდა, მობილურმა ტელეფონმა ატომურ ენერგიასაც კი გაუსწრო და, იარაღის შემდეგ, მეორე „საპატიო“ ადგილი დაიკავა. შეიძლება იფიქროთ, რომ კონსერვატორი ბრიტანელები მობილური ტელეფონებისადმი განსაკუთრებულად ნეგატიური დამოკიდებულებით გამოირჩევიან, მაგრამ სხვა ქვეყნებშიც არანაკლებია იმათი რიცხვი, ვინც ტრანსპორტში, რესტორანსა თუ ტყის პირას მოსმენილ ხმამაღალ სატელეფონო საუბრებს წონასწორობიდან გამოჰყავს...**

მარტინ კუპერი

## მძიმე აპარატი

სამართლიანობისთვის, ისიც უნდა ითქვას, რომ მობილური ტელეფონის გამოგონებამ სამყარო ძალიან სწრაფად შეცვალა და კაცობრიობას შესამჩნევი სარგებლობაც მოუტანა. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მან ადამიანები სატელეფონო ჯიხურთან გაჭიმულ რიგში დგომისგან საბოლოოდ გაათავისუფლა და ნებისმიერი მათგანი (თუ, რაღა თქმა უნდა, ასეთი ტელეფონი აქვს) ყველგან და ყოველთვის მისაწვდომი გახადა. მაგრამ ამასთანავე, გარკვეული რისკისა და გვერდითი მოვლენების საფრთხის ქვეშ დაგვაყენა.

პირველი სერიული მობილური ტელეფონი 1983 წლის 13 ივნისს ამერიკის ბაზარზე გამოჩნდა. კომპანია „მოტოროლას“ მიერ გამოშვებული მოწყობილობა, რომელსაც Dynatac 800X ერქვა, თითქმის 800 გრამს იწონიდა და 33 სანტიმეტრი სიგრძე ჰქონდა. მოგვიანებით მას, ასეთი მოუხერხებელი ფორმის გამო, „ძვალი“ შეარქვეს. ბოროტი ენები კი იმასაც ირწუნებოდნენ, რომ თუ ასეთი ტელეფონი საკუთარ ბინაში იატაკზე დაგივარდებათ, დაცემის ხმას ორი სართულით დაბლაც გაიგონებენ. მიუხედავად ამისა, ამ ტელეფონით დარეკვა და ნახევარი საათის მანძილზე ლაპარაკი შეიძლებოდა, რის შემდეგაც აკუმულატორი უჯდებოდა. ისე კი ასეთი ტელეფონით დამყარებული ახალი, თავისუფალი ურთიერთობა არცთუ იაფი ჯდებოდა: მარტო აპარატი თითქმის 4.000 დოლარი ღირდა.

კაცმა რომ თქვას, მობილური ტელეფონი 1983 წელს კი არა, მთელი 10 წლით ადრე გამოიგონეს. კომპანია „მოტოროლას“ ინჟინერმა მარტინ კუპერმა თავდაპირველად ის საპოლიციო რადიოკავშირისთვის შეიმუშავა, რათა შერიფებს ყოველ ჯერზე, როცა მათ ცენტრი იძახებდა ანდა თავად სჭირდებოდათ რაიმე ინფორმაციის გადაცემა, მანქანასთან მირბენა არ დასჭირვებოდათ. კუპერის გამოგონების წყალობით, პოლიციელებს ტელეფონის თან ქონა შეეძლოთ, თუმცაღა თვით გადამცემი კვლავაც მანქანაში რჩებოდა. ოდნავ მოგვიანებით კი კუპერს ტელეფონისა და გადამცემის ერთ გადასატან მოწყობილობად ქცევის იდეაც მოუვიდა თავში. ლეგენდას თუ დავუჯერებთ, გამომგონებელმა და მისმა ჯგუფმა სწორედ ამის შემდეგ და სულ რაღაც 6 კვირაში უკვე პირველი ასეთი ნიმუშიც შექმნეს. 1973 წლის 13 აპრილს კი კუპერმა, მანჰეტენზე პირველმა, ქუჩიდან დაურეკა კონკურენტი ფირმა T&T-ის სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფის ხელმძღვანელს, რათა მისთვის ეს ამბავი „ეხარებინა“. მაგრამ ამის შემდეგაც კიდევ 10 წლის გასვლა გახდა საჭირო, რომ მობილური ტელეფონი ყველასთვის (ვისაც, რაღა თქმა უნდა, მისი ხარჯების გადახდა შეეძლო) ხელმისაწვდომი გამხდარიყო. ასეთი ხანგრძლივი პერიოდი ძირითადად, ფიჭური კავშირის ქსელის შექმნის აუცილებლობით და აგრეთვე, ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ლიცენზიებისა და ნებართვის საჭიროებით იყო განპირობებული.

პირველი მობილური ტელეფონის გაყიდვიდან სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ, ეს მოწყობილობა უკვე 300 ათასმა ამერიკელმა შეიძინა, სხვა ქვეყნებში მაშინ ამაზე ვერც კი იოცნებებდნენ. მაგალითად, გერმანიაში 1985 წელს უკვე არსებობდა პატარა ყუთის ფორმის ე.წ. პორტატული ტელეფონი, რომელთანაც ტელეფონის ყურმილი იყო მიერთებული და საკმაოდ გრძელი ანტენაც ერთვოდა. მაგრამ პირველი ნამდვილი მობილური ტელეფონი, რომელსაც Internacional 3200 ერქვა და 3.000 გერმანული მარკა ღირდა, იქაურ ბაზარზე მხოლოდ 1992 წლის ზაფხულში გამოჩნდა. ის სულ პირველ მოდელზე ოდნავ უფრო ნაკლებს — 500 გრამს იწონიდა და ამ ტელეფონით, პირველი ციფრული ქსელის D-Netc-ის მეშვეობით, მთელ ქვეყანაში შეიძლებოდა დარეკვა.

დღესდღეობით, მსოფლიოში 3,3 მილიარდი მობილური ტელეფონია. მობილური ქსელით სარგებლობა დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 80%-ისთვის და თანაც, თვით კილიმანჯაროს მწვერვალზეც კი სავსებით ხელმისაწვდომია. მოკლე დროში მობილურმა ტელეფონმა ბევრი ახალი რამ „ისწავლა“: მისი მეშვეობით, ინტერნეტში შესვლა, ფოტო და ვიდეოგადაღება, მუსიკის მოსმენა, ტელევიზორის ყურება ანდა „ესემესით“ სასიყვარულო ურთიერთობის გაბმაა შესაძლებელი. სულ ცოტა ხნის წინ ამერიკაში უახლესი iPhone-ის პრეზენტაცია შედგა. მისი სარეკლამო სლოგანია: „ორმაგი სიჩქარე ნახევარ ფასად“ და მას უფასო eBay და ავტომობილების სანავიგაციო სისტემა ახლავს.

## სქელტანიანი ინსტრუქცია

მობილური ტელეფონის გამომგონებელი, მარტინ კუპერი, რომელიც ახლა 79 წლისაა, დღევანდელ მოწყობილობებს მეტისმეტად რთულად მიიჩნევს. „ექსპლუატაციისთვის განკუთვნილი ინსტრუქცია მობილურ ტელეფონზე სქელი და მძიმეა“, — უკმაყ-



ოფილებას ვერ ფარავს კუპერი. პირველი მობილური ტელეფონის ფორმის შემქმნელი, რუდი კროლოპიც, კუპერივით, დღემდე საკუთარი შემოქმედების განსჯაშია. „ხანდახან, როცა აეროპორტში პირადი საუბრების მოსმენა მიწევს, შიშით ვფიქრობ: „ღმერთო ჩემო, ეს რა ჩავიდინეთ!..“ — წუხს იგი...

და მაინც, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკლი, რომელიც მობილურ ტელეფონსა და ზოგიერთ სხვა ტექნიკურ მოწყობილობას ახლავს თან, მისი „ჯაშუშობა“ წარმოადგენს...

## უფრსილდით მოღალატეს, რომელსაც ჯიბით დაატარებთ

მობილურმა ტელეფონმა ან ნოუტბუკმა, რომლებსაც ჩვენს საუკეთესო მეგობრებად მივიჩნევთ, შეიძლება, ის ინფორმაცია გასცენ, რომელიც მავანს ჩვენთვის თვალყურის დევნების საშუალებას მისცემს.

დღეს, პაროლების გახსნის, ფინანსური თაღლითობისა და ტერორიზმის ეპოქაში, ადამიანთა უმეტესობა ხვდება, რომ პირადი მონაცემების სრულიად უცნობი ადამიანებისთვის განდობა არ ღირს. მაგრამ უახლესი ტექნოლოგიების ბევრი ნაყოფი, რომელსაც გამუდმებით ჯიბით დავატარებთ, შეიძლება, სწორედაც რომ ამ მიზანს ემსახურებოდეს და ჩვენს მოქალაქეობაზე, ადგილმდებარეობაზე, ჩვენ მიერ გამოყენებულ პაროლებზე არსებულ ინფორმაციას შეუმჩნევლად გასცემდეს.

დღეს საკმაოდ იაფად შეიძლება ისეთი სისტემის ყიდვა, რომელიც ადამიანის ადგილმდებარეობის რამდენიმე მეტრის სიზუსტით განსაზღვრის საშუალებას მოგცემთ. გადამცემების ქსელში გაერთიანებით კი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ქალაქში გადაადგილებისთვის თვალყურის დევნებას შეძლებთ.

ყოველივე ზემოთ თქმული რომელიმე პარანოიდული ტრილერის სიუჟეტიდან ნასესხები ამბების ჩამონათვალი არ გეგონოთ. ჩვენს ადგილმდებარეობას თავისუფლად გასცემს მცირე სიმძლავრიანი რადიოსისტემა Bluetooth, რომლითაც თითქმის ყველა თანამედროვე მობილური ტელეფონია აღჭურვილი. ნოუტბუკებში ეს სისტემა ფაილების გასაცვლელად გამოიყენება. ბევრი ადამიანი ფაილების გაცვლა-გამოცვლისას საკუთარ სახელსაც მიუთითებს. შედით www. bluetoothracking.org-ზე და დაინახავთ, რომ სადღეისოდ, რეალური დროის რეჟიმში, ჰოლანდიის 7 რეგიონში თითქმის 100 ათასზე მეტი ადამიანის მონაცემების მიღებაა შესაძლებელი. მართალია, ამ საიტზე სრულად, სახელებსა და ტელეფონის ნომრებს ვერ ნახავთ, მაგრამ სხვა საიტები ალბათ, არც ამით იზღუდებიან. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც, როცა ადამიანი თავის ნამდვილ სახელსა და გვარს არ უთითებს, ჟინიანი მაძიებელი, მისი ფსევდონიმის გარკვევასა და Blouetooth-მიმღებების ქსელის მეშვეობით მისთვის თვალყურის დევნებას მაინც მოახერხებს.

ქალაქ ბატის უნივერსიტეტის ინფორმატიკის კათედრის თანამშრომელმა, იმონ ო'ნილმა, რომელიც სკანერების მეშვეობით ფეხით მოსიარულეთათვის თვალყურის დევნების მექანიზმში კარგად ერკვევა, დაადგინა, რომ 2006 წელს ამ ქალაქის ფეხით მოსიარულეთა 75% თავიანთ მობილურ ტელეფონებზე ჩართულ მდგომარეობაში მყოფი Bluetooth-გადამცემებით გადაადგილდებოდა. „მას შემდეგ ეს მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა და ამასწინანდელი გამოკვლევის დროს Bluetooth-გადამცემების ბევრად მეტი რაოდენობა დავაფიქსირეთ“, — ხაზს უსვამს ო'ნილი.

Bluetooth-ის გამორთვა ნებისმიერ ტელეფონში შეიძლება, მაგრამ თქვენი პირადი ინფორმაციის გადინება სხვა ტექნოლოგიებითაც მიიღწევა. მაგალითად, მომხმარებელთათვის თვალყურის დევნების შექმნილი, რადიოსიხშირული იდენტიფიკაციის სისტემით RFID, რომელსაც მოქმედების მცირე რადიუსი აქვს და საწყობებში ტვირთების, შინაური ფრინველებისა და ელექტრონული პასპორტებისთვის (რომელსაც დიდ ბრიტანეთში 2006 წლიდან გასცემენ) გასაკონტროლებლად იყენებენ.

ახლახან, გერმანელმა მკვლევრებმა იმის საჯარო დემონსტრირება მოახდინეს, თუ როგორ შეიძლება, ბოლო სერიის ელექტრონული პასპორტების შორიდან (მაგალითად, ტანსაცმლის ან ჩანთის ქსოვილის „გავლით“) სკანირება და ამ გზით ადამიანის მოქალაქეობის დადგენა.

რა თქმა უნდა, მსგავსი საშიშროების ძალიან გაზვიადებაც არ ღირს. და თუ ვიღაცას ქალაქში ტელეფონების გადაადგილებისთვის თვალის მიდევნება და ადამიანების ტალღაში, ვთქვათ, ბრიტანელების გამორჩევა შეუძლია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთი ტელეფონების მფლობელები უთუოდ დანაშაულს ემსხვერპლებიან. „სინამდვილეში, — ამბობს ო'ნილი, — ინფორმაციის ასეთმა გადინებამ შეიძლება, სარგებლობაც კი მოგვიტანოს. თუ საზოგადოებას ისეთ ხარისხიან სერვისს შევთავაზებთ, რომელსაც პირის ადგილმდებარეობის განსაზღვრის შესაძლებლობა დაედება საფუძვლად, ადამიანები ასეთი ტექნოლოგიებით, პირადი მონაცემების მცირე წილის გაცემის სანაცვლოდაც ისარგებლებენ. მაგალითად, წარმოიდგინეთ კაფე, რომელიც Bluetooth-ის მეშვეობით გამვლელებს ფასებზე შეღავათს ანდა ცისფერი ფირფიტის სახით ისეთ მოწყობილობას შესთავაზებს, რომელიც ტურისტებს მულტიმედიურ ინფორმაციას მიაწვდის“.

მეორე მხრივ, ასევე წარმოიდგინეთ, რომ სანამ თქვენ ქუჩაში არხეინად დასეირნობთ, ვიღაც, თქვენი თვალის გარსის სკანირებას ახდენს და ამის შემდეგ, სახელითაც მოგმართავთ...

დაბოლოს, კიდევ ერთი ცუდი ნიშანი: ინფორმაციის გავრცელების თავისუფლების საკითხებზე მომუშავე ბრიტანულმა კომისიამ დაადასტურა, რომ Bluetooth-შეტყობინებების დაუკითხავად გაგზავნა არსებული ანტისპამური კანონმდებლობით არ ისჯება. დიახ, Bluetooth ჯერჯერობით, ერთგული ძაღლივით, „ფეხებს გვილოკავს“, მაგრამ თუ ფრთხილად არ ვიქნებით, შეიძლება, მწარედაც „გვიკბინოს“... ■

*მოამზადა რუსუდან ლებანიძემ*

# ცეცხლოვანი ეტლით ზეცას ცოცხლად ატაცებული წინასწარმეტყველი

**2 აგვისტოს მართლმადიდებელი ეკლესია ელია (ილია) თეზბიტელს იხსენიებს. წმინდა ელია მოხსენებული იყო „ძველი აღთქმის“ უდიდეს წინასწარმეტყველთა შორის, რომელმაც სიცოცხლეში მრავალი სასწაული მოახდინა და ცოცხლად იქნა ატაცებული ზეცად. თავისი ხალენი, რომელიც ამ ქვეყნიდან განშორების ჟამს თავის მოწაფეს — ელისეს დაუტოვა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კუთვნილებაა. ეს უდიდესი სიწმინდე მცხეთაში — სვეტიცხოვლის ტაძარშია დაფლული.**

*მორენა მერკვილაძე*

ელია წინასწარმეტყველი, მოსესთან ერთად გამოცხადდა მაცხოვრის ფერისცვალების ჟამს თაბორის მთაზე, როგორც უპირატესი წინასწარმეტყველთა შორის. მართლმორწმუნე ქრისტიანები კვლავ ველოდებით ელია წინასწარმეტყველის გამოცხადებას. ეკლესიური სწავლებით, უფლის მეორედ მოსვლის წინ, ელია ენოქთან ერთად უნდა მოვიდეს, ანტიქრისტეს სამხილებლად.

ვიდრე წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამართული დღესასწაული — ელიაობა (ილიაობა) ქრისტიანულ შინაარსს შეიძენდა და წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელს დაუკავშირდებოდა, ჭექა-ქუხილის ქართულ წარმართულ ღვთაებას — ელიას უძღვნიდნენ, რომელიც ხალხის წარმოდგენით, ბრმა იყო და ზოგჯერ შეცდომით, სოფლებსა და ვენახებს დასეტყვავდა ხოლმე. სეტყვის ღრუბელს თოფის სროლითა და ზარების რეკვით ხვდებოდნენ. ფიქრობდნენ — ელია გაიგონებს, მიხვდება, რომ აქ სოფელია და გაგვეცლებაო. ელიაობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული წეს-ჩვეულებებით აღინიშნებოდა: მესხეთში ტაძარში აღნიშნავდნენ, იმერეთში მამაკაცები ტაძრის გარშემო ორსართულიან ფერხულს მართავდნენ, კახეთში ზეიმი ელიას მთაზე იმართებოდა, სამეგრელოში ოჯახის უფროსი მარანში ხორაგით სავსე ტაბლას დგამდა, სანთლებს ანთებდა და ღვთაებას ავდრის არიდებას შესთხოვდა... ზოგიერთ კუთხეში დღესაც იმართება ელიაობის დღესასწაული, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, უკვე ქრისტიანული დატვირთვის მატარებელია.

XIX საუკუნის ბოლოს ილია ჭავჭავაძემ — წმინდა ილია მართალმა საუცხოო ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი: ყოველწლიურად, 2 აგვისტოს თავისი მფარველი წმინდანის — ელია წინასწარმეტყველის ხსენების დღეს, საგურამოში დიდ დღესასწაულს — ილიაობას მართავდა. დღესასწაული დღესაც იმართება. 2 აგვისტოს საქართველოს სამოციქულო ეკლესია წმინდა ილია მართალსაც იხსენიებს. ამავე დღეს აღინიშნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ანგელოზის დღე.

...წმინდა ელია დაიბადა არაბეთის ქალაქ თეზბში, სწორედ აქედან მომდინარეობს მისი ზედწოდება — თეზბიტელი. იგი უბრალო, ღვთისმოშიში მშობლების შვილი გახლდათ. საეკლესიო გარდამოცემა გვაუწყებს, რომ როდესაც ელია ამ ქვეყანას მოევლინა, მამამისს ხილვა ჰქონია: ყრმას ნათლით შემოსილმა კაცმა მოაკითხა, ცეცხლოვან სახვევში გაახვია და ცეცხლის ალი აჭამა... შეშფოთებული მამა იერუსალიმში წავიდა და ხილვის შესახებ მღვდელმთავარს აუწყა. პასუხად მიიღო: ნუ გეშინია, როდესაც შენი შვილი ნათელში დამკვიდრდება, მისი სიტყვა მკაფიო იქნება და ისრაელს მახვილითა და ცეცხლით განსჯისო.

იმ პერიოდში, როდესაც ელია წინასწარმეტყველი მოღვაწეობდა, ისრაელთა სახელმწიფოს სათავეში მეშვიდე მეფე — აქაბი (ჩვ.წ.აღ-მდე IX საუკუნე) იდგა. მას ცოლად ჰყავდა იეზაბელი, რომელიც ფინიკიელთა ღმერთს — ბაალს სცემდა თაყვანს. მეუღლის ჩაგონებით, აქიბმა უარყო ჭეშმარიტი ღმერთი და ბაალის კერპს დაუწყო თაყვანისცემა. ისრაელშიც ბაალის კულტი დააწესა სახელმწიფო რელიგიად. დედოფალმა მეფე აქაბს სამარიაში ფინიკიელთა ღმერთთათვის საკურთხეველი და ტაძარიც ააშენებინა. იუდაიზმის მიმდევრები სასტიკად იდევნებოდნენ.

ერთ დღეს, ელიას უფალი გამოეცხადა და უბრძანა — აქაბის სამხილებლად წასულიყო. ელია ღვთის ბრძანებას დაემორჩილა, მეფის წინაშე წარდგა და კერპთაყვანისმცემლობაში ამხილა. თან უწინასწარმეტყველა — თუ ჭეშმარიტ სარწმუნოებას არ დაუბრუნდებოდნენ, ღმერთი ისრაელს გვალვითა და შიმშილით დასჯიდა: „ვფიცავ უფალს, ისრაელის ღმერთს, რომლის წინაშეც ვდგავარ, რომ არ იქნება ამ წლებში ცვარი და წვიმა, თუ არა ჩემი სიტყვებით“. ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ, ელია აქაბს განეშორა, მის რისხვას რომ გაჰქცეოდა, სამეფო დატოვა და ერთ უკაცრიელ ხევში დაბინავდა. ცხოვრობდა იორდანეს იქით, უდაბნოში, წყაროს პირას. საზრდელს დილა-საღამოს ყორანი უზიდავდა.

აღსრულდა ელიას წინასწარმეტყველება: რამდენიმე წელი ისრაელს არათუ წვიმა, არამედ დილის ნამიც კი არ ღირსებია. დაშრა ელია წინასწარმეტყველის ნაკადულიც. მას კვლავ გამოეცხადა უფალი და უბრძანა — ფინიკიელთა სოფელ სარეფთაში გადასულიყო. იქ ერთმა ქვრივმა დედაკაცმა შეიფარა, რომელსაც ელია, უფლის მითითებით მიადგა, რადგან იმ პერიოდში ისრაელში არ მოიძებნებოდა ისეთი ღვთისმოსავი ოჯახი, როგორიც ამ დედაკაცს ჰქონდა. ქალი და მისი ერთადერთი ვაჟი სიღარიბეში ცხოვრობდნენ, მათთან ელიას მისვლის ჟამს, მხოლოდ ერთი მუჭა ფქვილი და მცირე ოდენობით ერბო ჰქონდათ. წინასწარმეტყველის სიტყვის ძალით, ერბო და ფქვილი მრავლდებოდა. ასე გადაურჩნენ შიმშილობის ჟამს შიმშილით სიკვდილს. ერთხელ ქვრივი დედაკაცის შვილი ავად გახდა და გარდაიცვალა. უფალმა ელიას ლოცვა-ვედრება შეისმინა — სიცოცხლე დაუბრუნა მიცვალებულს. ახლა ვხედავ, რომ ღვ-

თის კაცი ხარო, — უთხრა გახარებულმა დედამ წინასწარმეტყველს.

სამი წლის შემდეგ ელია წინასწარმეტყველი კვლავ წარდგა აქაბის წინაშე. მეფემ მას ქვეყნის აოხრებაში დასდო ბრალი: „მე არ ამიოხრებია ისრაელი, შენ და მამაშენის სახლმა ააოხრეთ, რადგან დაივიწყეთ უფლის მცნებანი და ბაალების გზაზე წახვედით“, — მიუგო ელიამ. შემდეგ შესთავაზა: შეკრიბე ისრაელელები და კერპ ბაალის მსახურები კარმელიის მთაზე; მსხვერპლი შევწიროთ ბაალის კერპსაც და ჭეშმარიტ ღმერთსაც; თუ ბაალის კერპი თავის მსხვერპლზე ცეცხლს გარდამოავლენს, ხალხმა ბაალს სცეს თაყვანი, ხოლო თუ ცეცხლი ელიას მიერ უფლისადმი შეწირულ მსხვერპლზე გადმოვა, ეს ელიას ღმერთის ჭეშმარიტების ნიშანი იქნებაო. შუადღემდე ევედრებოდნენ ქურუმები ბაალს. ხან დაჩოქილი შესთხოვდნენ ზეციდან ცეცხლის გარდამოვლენას, ხან ყვირილით ურბენდნენ გარს სამსხვერპლოს, მაგრამ — ამაოდ. ნაშუადღევს ელიამ მოაწყო სამსხვერპლო, თორმეტი დიდი ქვისგან — ისრაელელების თორმეტ ტომთა რიცხვისამებრ. დააწყო ზედ შეშა და შესაწირავი ზვარაკი. სამსხვერპლოს გარშემო ორმო ამოაჭრევინა და წყლით აავსო. შემდეგ კი უფალს შეჰღაღადა: „უფალო ღმერთო! შეისმინე ჩემი! რათა გაგიგოს ამ ხალხმა, შენ ხარ უფალი ღმერთი!..“ მოულოდნელად ციდან ჩამოსულმა ცეცხლმა ზვარაკთან ერთად, სამსხვერპლო ქვებიც შთანთქა. ამის შემდეგ, ელია მთაზე ავიდა და ილოცა. ცა ღრუბლებით დაიფარა, ქარი ამოვარდა და ძლიერი წვიმა წამოვიდა. ასე დასრულდა გვალვიანი წლები.

ელიას მოწოდებით, ცრუღვთისმსახურნი ხალხმა სიკვდილით დასაჯა, როგორც ერის გამრყვნელნი. როდესაც ერთგული ქურუმების ამოწყვეტის შესახებ დედოფალმა იეზაბელმა შეიტყო, ელიას დასჯა გადაწყვიტა. წინასწარმეტყველი, იუდეის სამეფოში, ქალაქ ბერსაბეში გაიქცა. შემდეგ, უდაბნოში განმარტოვდა და უფალს ამა სოფლიდან გასვლა შესთხოვა. მას უფლის ანგელოზი გამოეცხადა, დაუპურა და ხანგრძლივი მგზავრობისთვის შეამზადა. ელია წინასწარმეტყველი უფლის ბრძანებას დაემორჩილა და ქორების მთისკენ გაემართა.

40 დღე-ღამე მოანდომა ადგილზე მისვლას. იქ გამოქვაბულში შეისვენა. უეცრად უფლის სიტყვები მოესმა და გამოქვაბულიდან გამოსვლა ებრძანა. ჯერ ქარბუქი ამოვარდა, მას მიწისძვრა და ცეცხლი მოჰყვა. გრილმა ნიავმა დაბერა და ამ ნიავში უფალი გაცხადდა. წინასწარმეტყველმა ღვთისმოშიშებით დაიფარა ხალენით სახე. აქვე უფლისგან დავალება მიიღო: აქაბის ტახტზე მისი მხედართმთავარი — იეჰუ ეკურთხებინა, თავის შემცვლელად კი ელისე აერჩია. ელიამ მხოლოდ ელისეს წინასწარმეტყველად არჩევა შეძლო, დანარჩენი ორი დავალების შესრულება თავის მოწაფეს — ელისე წინასწარმეტყველს უანდერძა.

...ელია წინასწარმეტყველს წინასწარ ეუწყა, რომ მისი ამა ქვეყნიდან გასვლის ჟამი მოახლოვდა. მას მარტო დარჩენა სურდა, მაგრამ ელისემ ამის ნება არ მისცა. ყველგან თან დაჰყვებოდა. ელიამ იერიქონი გაიარა და მდინარე იორდანეს მიადგა. წინასწარმეტყველმა თავისი ხალენი დაკეცა, დაჰკრა წყალს და მდინარე ორად გაიყო. ელისემ და ელიამ მშრალად მოახერხეს მეორე ნაპირზე გასვლა.

როდესაც იორდანე გადალახეს, ელიამ უთხრა მოწაფეს: „ითხოვე ჩემგან, რა გიყო შენ, სანამ ავმაღლდებოდე“. ელისემ იმ წინასწარმეტყველური ძალის მინიჭება ისურვა, რომლითაც წმინდა ელია იყო აღსავსე: „ძნელს მთხოვ, მაგრამ თუ დაინახავ ჩემს ატაცებას, გეყოს შენ ეგრე“, — მიუგო ელიამ. ამ სიტყვების დასრულების შემდეგ, ზეციდან ცეცხლის ეტლი დაეშვა, რომელშიც ცეცხლისავე ცხენები იყო შებმული; ელია ეტლზე ავიდა და ალმა ის ზეცისკენ აიტაცა. გაოგნებული ელისეს ფერხთით წინასწარმეტყველის ხალენი დაეცა.

როგორც მოგახსენეთ, ელია წინასწარმეტყველის ხალენი — ეს უდიდესი სიწმინდე — საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კუთვნილებაა. იგი სვეტიცხოვლის ტაძარშია დაფლული, სადაც, როგორც წმინდა ეკლესია გვასწავლის, უფლის მეორედ მოსვლამდე დარჩება. სიწმინდე საქართველოში სავარაუდოდ, ქრისტესშობამდე 600 წლით ადრე მოხვდა — პალესტინიდან ებრაელი ლტოლვილების იმ ნაკადმა წამოიღო, რომელიც მცხეთაში გამოერიდა ნაბუქოდონოსორის რისხვას. ■

*თემის დასაწყისი იხ. გვ. 16*

# „ზემო აფხაზეთი დაცულია ყოველგვარი პროვოკაციისაგან“

## ანუ ფესტივალი, შეჯიბრება, პოლიუმი კოდორში...

**საერთაშორისო თანამეგობრობის გააქტიურების მიუხედავად, სეპარატისტები ურყევად, ძველ პოზიციაზე დგანან: არც აფხაზეთის სტატუსის საკითხს განვიხილავთ და არც რაიმე მოლაპარაკებას დავთანხმდებით, სანამ ქართული პოლიციური ძალები კოდორის ხეობიდან არ გავლენო. არადა, ეს რომ მოხდეს, შესაძლოა, კოდორიც დავკარგოთ...**

**საინტერესოა, თუ რა განწყობილება სუფევს ზემო აფხაზეთში იმ პოტენციური საფრთხის პირობებში, რომელიც სეპარატისტებისა და მათი ძლიერი მფარველების მუქარების წყალობით არ ნელდება. ამის შესახებ „გზის“ ფურცლებზე უკვე ვწერდით: მოსახლეობა გვარწმუნებდა, რომ ის არც შიშს შეუპყრია და არც ჩვეულ საქმიანობაზე უთქვამს უარი. ამჯერად, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წევრს, განათლებისა და კულტურის მინისტრს, ალექსანდრე აპლაკოვს დავუკავშირდით.**

*ასმათ შამუგია*

**— ბატონო ალექსანდრე, რა ხდება ზემო აფხაზეთში? მოსახლეობა შეშინებული ხომ არ არის?**

— კოდორის ხეობაში არავითარი პანიკა და დაძაბულობა არ შეინიშნება. მოსახლეობა მედგრად დგას, მას არანაირი პროვოკაციის არ ეშინია, ვინაიდან ჩვეულებრივი შეთანხმების თანახმად, ხეობაში საქართველოს შინაგანი ჯარების ქვედანაყოფები არიან განლაგებულნი, რომლებიც ქართველებს იცავენ. მათ ძალიან კარგი და ცივილიზებული ურთიერთობა აქვთ მოსახლეობასთან. ასე რომ, ზემო აფხაზეთი დაცულია ყოველგვარი პროვოკაციისაგან. რა თქმა უნდა, რუსეთის ნეგატიური აქტიურობა ხეობის მისადგომებთან ძალიან ცუდია, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ხეობაში ცხოვრება ჩვეულებრივ რიტმში გრძელდება. ეს რეგიონი 2 წლის წინ, განუკითხაობასთან, კრიმინალების თარეშთან ასოცირდებოდა, სადაც რამდენიმე შეიარაღებული პიროვნება საკუთარ აზრებს ახვევდა თავს მოსახლეობას. მაგრამ სწორედ ჩვენი პრეზიდენტის მტკიცე პოზიციისა და აქ განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად, ზემო აფხაზეთი ამ კრიმინალებისაგან გათავისუფლდა. ამის შემდეგ აღმშენებლობის პროცესი დაიწყო, რომელშიც მთელი ქვეყანა აქტიურად ჩაერთო. ხეობაში 3 საშუალო და 6 დაწყებითი სკოლა მუშაობს, სადაც 334 მოზარდს 80-მდე პედაგოგი ასწავლის. ზემო აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, სკოლების შენობები გარემონტდა, ავარიულების ნაცვლად კი ახალი შენობები აიგო. გენწვისის სკოლის 150-მდე მოსწავლე, რომელთაც ავარიულ სკოლაში უწევდათ სწავლა, აჭარის მთავრობის მიერ აგებულ ახალ შენობაში გადავიდა; აჟარის საშუალო სკოლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაარემონტა, ჩხალთისა კი, რომლის ერთ ნაწილშიც აფხაზეთის მთავრობის სტრუქტურები განთავსდა — აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ; ომარიშარასა და პტიშში დაწყებითი სკოლები მუნიციპალური განვითარების ფონდმა ააგო. ხეობის სკოლებს ერთადგილიანი თანამედროვე მერხები და ყველა საჭირო სასკოლო ინვენტარი გადასცეს. განახლდა სასკოლო ბიბლიოთეკები; ინტენსიურად მიმდინარეობს სკოლების კომპიუტერიზაცია და წელს უკვე იგეგმება ინტერნეტიზაციაც; მოსწავლეებს აგრეთვე საჩუქრად გადაეცათ ახალი სასკოლო ფორმები. შეიძლება ითქვას, რომ განათლება ხეობაში დღეს უკვე თანამედროვე დონეზეა. ხორციელდება საგანმანათლებლო პროექტები, კონკურსები. სექტემბრიდან კიდევ რამდენიმეა დაგეგმილი. მინდა, განსაკუთრებულად აღვნიშნო, რომ წელს, წინა წლებთან შედარებით არნახულად აქტიურები იყვნენ დევნილი აბიტურიენტები: ერთიან ეროვნულ გამოცდებში გალის რაიონში მცხოვრები 300-მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა. პირველ გამოცდაზე აფხაზმა სეპარატისტებმა მათ ენგურის გადმოლახვისას პრობლემები შეუქმნეს. მაგრამ სეპარატისტებმა ბოლომდე მაინც ვერ გაბედეს ხელის შეშლა და გალელ აბიტურიენტებს საბოლოოდ, მიეცათ საშუალება, გადმოსულიყვნენ ზუგდიდში გამოცდების ჩასაბარებლად. მოგეხსენებათ, გალელი აბიტურიენტებისათვის შარშან ჩვენმა სამინისტრომ ზუგდიდში მოსამზადებელი ცენტრი გახსნა, ხოლო ნაწილისთვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით, თბილისში მოსამზადებელი ცენტრი იყო გახსნილი, სადაც სტიპენდიასაც უხდიდნენ მათ. ისინი საკმაოდ კარგად მოემზადნენ. ჩარიცხვის შემთხვევაში, როგორც შარშან, ასევე წელსაც, კონფლიქტური რეგიონის აბიტურიენტებისთვის სოციალური გრანტების გაცემაა გათვალისწინებული...

ალექსანდრე აპლაკოვი

კოდორის ხეობაში კულტურული ცხოვრებაც გამოცოცხლდა. გაიმართა მინისპექტაკლებისა და ფოლკლორის ფესტივალები. იხსნება პატრიოტთა ბანაკი. შარშან აქაურ ბანაკში 300-მა ახალგაზრდამ დაისვენა, წელს კი — 2000-მდე ადამიანის მიღებაა დაგეგმილი. ქართველებთან ერთად, აქ ჯანმრთელობას გაიკაჟებენ უკრაინელი მოსწავლეები და სტუდენტებიც. საგულისხმოა, რომ პატრიოტთა ბანაკში (ე.წ. სამხრეთ თავშესაფრის ყოფილ პანსიონატში) არაერთი საინტერესო ღონისძიება ტარდება. მოსწავლეები მონაწილეობენ სემინარებში, დისკუსიებში, სპორტის სხვადასხვა სახეობის შეჯიბრებებში. ახალგაზრდები განსაკუთრებით ინტერესდებიან მდინარეზე დაშვებით... სოფელ გენწვისში სამთო-სათხილამურო ბაზა გაიხსნა, ღია სპორტული მოედნები მოეწყო, არაერთი სერიოზული სპორტული ღონისძიება ჩატარდა: აფხაზეთის ღია პირველობა კიკბოქსინგში, აფხაზეთის თასის გათამაშება კარატეში, აგვისტოში კი ვაპირებთ, ჩავატაროთ საქართველოს ჩემპიონატი ჯუდოში. ამაში აქტიურად გვეხმარება საქართველოს ჯუდოს ფედერაცია და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი...

*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ეგიდით, 5 ივლისს ხელოვნების ფესტივალი დაიწყო. მის გახსნაში მონაწილეობდნენ: ესტრადის ცნობილი მსახიობი, ყველასთვის საყვარელი იუმორისტი ბიძინა მახარაძე, ანსამბლი „გვირილა“, ჯგუფი „დაბლოუ“. საგანგებოდ ამ ფესტივალისთვის აგებულ სცენაზე თეონა თავართქილაძემ მოდელების ჩვენება მოაწყო, შემდეგ კი დათო გომართელის კონცერტი გაიმართა. ზემო აფხაზეთში ხელოვნების ფესტივალი 5 სექტემბრამდე გაგრძელდება და მასში მონაწილეობას მიიღებენ: თეატრალური ჯგუფები, მომღერლები, სამოდელო სააგენტოები. ფესტივალის ფარგლებში კონცერტს გამართავს აგრეთვე, აფხაზეთის ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი, რომელიც ევროპული ტურნედან საქართველოში აგვისტოს ბოლოს დაბრუნდება.* ■

# ახალი სპორტპაკეტი BMW-ს კლიენტებისთვის

კომპანიამ — BMW — მეექვსე სერიის კუპესა და კაბრიოლეტებისთვის სპორტპაკეტი შეიმუშავა, რომელიც უახლოეს მომავალში ამ მოდელის ნებისმიერი მყიდველისთვის ხელმისაწვდომი იქნება. კომპლექტში შედის ახალი კაპოტი, რომელზეც კონცეპტ-ავტოს — GINA — და განახლებული BMW-ს მესამე სერიის სტილში, ორი დამატებითი შტამპი იქნება დატანებული. მანქანას 19-დუიმიან ბორბლების დისკებს (რომლებიც BMW Motosport-მა შეიმუშავა) დაუყენებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ მის სალონში ახალ საჭესა და ტყავგადაკრულ სპორტულ სავარძლებს დაამონტაჟებენ (ისევე, როგორც BMW-ს M-სერიის მანქანებზე). ■

# მანქანა იახტის ელემენტებით

კომპანია Volkswagen-მა და იახტების ცნობილმა მწარმოებელმა — North Sails — გერმანიაში თავიანთი პირველი ერთობლივი ნამუშევრის, არასაგზაო — Touareg-ის — სპეციალური ვერსია წარადგინეს. ამ მოდიფიკაციის ავტომობილის ერთადერთი ეგზემპლარია შექმნილი და საბაზო მანქანისგან ექსკლუზიური იახტის კაიუტის სტილში შესრულებული ახალი ინტერიერით გამოირჩევა. გარდა ამისა, მცირედ შეცვლილია ექსტერიერიც. ავტომობილი — North Sails — 19-დუიმიანი ბორბლების დისკებით, ნისლსაწინააღმდეგო ფარებითა და უკანა ხედვის სარკეებით გამოირჩევა. მისი სალონის ძირი ხითაა მოპირკეთებული, ხოლო სავარძლებზე Nappa-ს თეთრი ტყავია გადაკრული. მასში აგრეთვე, მოთავსებულია კომპასი და ბინოკლი. ასეთი ავტომობილის სერიული წარმოება არ იგეგმება. ■

# ფემინისტი მძღოლები ატლანტაში

აშშ-ის ქალაქ ატლანტის ხელისუფლებამ ადგილობრივი ფემინისტების მოთხოვნა გაითვალისწინა. ისინი მათთვის „შეურაცხმყოფელი“ საგზაო ნიშნების — „მამაკაცი სამუშაოზე“ (Men At Work) და „მუშაობენ მამაკაცები“ (Men Working), — უფრო ნეიტრალურით — „წინ მუშები არიან“ (Workers Ahead) ან უბრალოდ, „მუშები“ — შეცვლას მოითხოვდნენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ახალი საგზაო ნიშნების დასაყენებლად ქალაქის ბიუჯეტიდან 1.000 დოლარი გამოიყოფა. ადგილობრივი ჟურნალის — PING — რედაქტორის, სინტია გუდის განცხადებით, ატლანტის საგზაო დეპარტამენტის თანამშრომელთა უმრავლესობა ქალია. მათ საგზაო ნიშნების „ორიენტაციის“ გამო არაერთხელ გამოხატეს უკმაყოფილება. საგზაო ნიშნების შეცვლის მოთხოვნით გუდი მას შემდეგ გამოვიდა, რაც პოლიციამ მასზე, როგორც ერთ-ერთი ნიშნის დაზიანებაში ეჭვმიტანილზე, ყურადღება გაამახვილა. პოლიცია ეჭვობდა, რომ სწორედ მან მიაწერა საგზაო ნიშანს ასოები: WO, რათა ასეთი სიტყვები მიეღო: Women At Work (ქალები სამუშაოზე). ■


 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

| გამოცემის დასახელება | I ეტ. ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. МК-МОБИЛЬ | 1.70 | 20.3 |
| 2. АВТОМОБИЛИ | 8.40 | 50.4 |
| 3. АВТОСЕРВИС | 73.85 | 443.1 |
| 4. АВТОМАГАЗИН | 3.75 | 22.3 |
| 5. АВТОШКОЛА ПРОФИ | 63.70 | 191.0 |
| 6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ | 82.80 | 496.6 |
| 7. АВТОПАНОРАМА | 8.55 | 51.2 |

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასაბეჭდების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების საგენტო ELVA

ქ. თბილისი ოსლების ქ. № 49

ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.

ფაქსი: 38-26-74

E-mail: elva@kvirispalitra.com



1 სქელი მურაბა
2 კენკროვანი ხილი
3 ძვ. რწმენისური ოქროს ფული
4 ყვის მოსდუებელი ჭურჭელი
5 მიმატების შედეგად მიღებული რიცხვი
6 ამერიკის შტატი
7 მდინარის ქვიანი ნაპირი
8 ქართული ცეკვა
9 ფინელი ავტომრბოლელი
10 მუსლიმანთა მოსამართლე
11 მხარე საქართველოში
12 სესხად აღებული ფული
13 ფუტკრების ოჯახი
14 ყველაზე ნაკლები, უმცირესი
15 სინდისი
16 ზევსის ფარი
17 სხვადასხვაგვარი ჭია
18 ხემიანი მუს. საკრავი
19 იაზონის სატრფო
20 არყის გასაზავებელი უალკოჰოლო სასმელი
21 იაპონური ავტომობილი
22 მოზარდი
23 იტალიელი ფეხბურთელი
24 ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ვაჟი
25 დდუული ძლევამოსილი
26 ცხენების შეჯიბრება ჭენებაში
27 ისტ. შინაარსის ლექსი
28 მდიდრული ავარაკი
29 კომპოზიტორი ... მორიკონე
30 ესპანური ავიაკომპანია
31 დანის არამჭრელი მხარე
32 გადამდნარი კარაქი
33 საჰაერო ფლოტი
34 ქართველი მომღერალი ქალი
35 იტალიელი მომღერალი და მსახიობი
36 შენობის ქვედა ჰორიზონტალური ფენა
37 პატარა ქვა
38 მუს. ნოტი
39 ვრცელი ველები აშშ-ში
40 „რენოს“ მოდელი
41 ნაცვალსახელი
42 კურდღლის ნაშიერი
43 ქვეყანა აფრიკაში

**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. ანოფელესი; 2. მონტანა; 3. ფრეგატი; 4. სენეგალი; 5. ბიწი; 6. ინტერნეტი; 7. ლენა; 8. ტიბეტი; 9. ყბა; 10. ჯაგლაგი; 11. ლაიბნიცი; 12. ნუმიზმატი; 13. აბი; 14. ივრითი; 15. ავიაცია; 16. იორი; 17. მესი; 18. კორპი; 19. პარმეზანი; 20. ოლიფა; 21. ბაიტი; 22. ანოა; 23. ივ; 25. ესტონეთი; 25. ოიდიპოსი; 26. ცენტი; 27. პორტუ; 28. ოდა; 29. ოლიმპი; 30. ავი; 31. ტაქსა; 32. ეტნა; 33. უნიკუმი; 34. პაზოლინი; 35. პაუზა; 36. რახი; 37. რია; 38. ნასა; 39. მახათი; 40. ფურნე; 41. ხაო; 42. იმიჯი.

**სურათებზე:** ალიზე; უილ სმიტი.

# გადაიხდით თუ არა ვერცხლის ქორწილს?

**ჟურნალის წინა ნომერში შემოგთავაზეთ ტესტი, რომელიც მხოლოდ ქალებისთვის ანუ ცოლებისთვის იყო განკუთვნილი; ამჯერად გთავაზობთ ისეთსავე ტესტს მამაკაცებისთვის, უფრო სწორად კი ქმრებისთვის. ტესტის მეშვეობით გაარკვევთ, როგორი შანსები გაქვთ იმისათვის, რომ თქვენს ძვირფას მეორე ნახევართან ერთად იზეიმოთ ვერცხლის ქორწილი. ქვემოთ მოცემულ სიტუაციებზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემაა საჭირო.**

1. ცოლს მიაჩნია, რომ ჩემს სამსახურზე ვარ შეყვარებული და ჩვენ შორის არსებულ ურთიერთობას საკმარის დროსა და ყურადღებას არ ვუთმობ.
2. ცოლს არ მოსწონს, როცა დროს მეგობრებთან ვატარებ ან სპორტულ გადაცემას ვუყურებ ტელევიზორში.
3. ცოლი ხშირად ბრაზობს ჩემზე.
4. როგორც თავად ჩემი ცოლი ამბობს, ის როგორღაც ახერხებს ჩემი „ყმაწვილკაცური“ გამოხდომების ატანას.
5. ცოლი მიიჩნევს, რომ ჩვენ მოვალეობები თანაბრად გვაქვს გადანაწილებული.
6. ჩემს ცოლს ნერვები არ ეშლება, როცა ზოგჯერ ვინმესთან ურთიერთობისას არც ისე თავდაჯერებულად ვიქცევი და შესაბამისად, დიდად სახარბიელოდაც არ გამოვიყურები.
7. ცოლი ისე მექცევა, როგორც ერთგულ მეგობარსა და სატრფოს.
8. ისეთი საიდუმლოებებიც მაქვს, რომელთა შესახებაც ცოლმა რომ შეიტყოს, ალბათ არ მომიწონებს.
9. ცოლს მიაჩნია, რომ კარგი მამა ვარ.
10. ჩემს ამა თუ იმ ნაკლზე ცოლი ხშირად მითითებს ხოლმე.
11. ვგრძნობ, რომ ცოლის მოლოდინს ბოლომდე ვერ ვამართლებ.
12. მას სურს, რომ უფრო რომანტიკულად მოვექცე.
13. ვგონებ, რომ საბოლოო ჯამში, ცოლს ესმის ჩემი.
14. ხშირად ვფიქრობ, რომ ცოლი ჩემ მიმართ მეტისმეტად კრიტიკულადაა განწყობილი.
15. ჩემს ცოლს წინასწარ აწუხებს აზრები იმის თაობაზე, რომ შესაძლოა, ოდესმე მთლიანად მასზე აღმოვჩნდე დამოკიდებული.
16. ცოლი ისე მიქმნის ყველა პირობას და ისე ზრუნავს ჩემზე, რომ ჩემი მეორე ნახევრის ამპლუას ინარჩუნებს და ზედმიწევნით მზრუნველი „დედის“ როლში არ აღმოჩნდება ხოლმე.
17. ცოლს აკმაყოფილებს ჩემი გარეგნობა.
18. ჩვენ შორის არსებული ინტიმური ურთიერთობითაც კმაყოფილია.
19. ცოლი ნაკლებად ემოციურ ადამიანად მიმიჩნევს.
20. ცოლი თავის თანასწორად მიმიჩნევს.
21. მისი აზრით, ცოლქმრული ურთიერთობა მკაცრ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს;
22. ცოლს, ჩემთან დაკავშირებით, არანაირი ილუზიები არა აქვს, მას ისეთი ვუყვარვარ, როგორიც სინამდვილეში ვარ.
23. ცოლი სიამოვნებით იზიარებს ზოგიერთ ჩემს გატაცებას.
24. ზოგჯერ ის ჩემდამი მტრულ დამოკიდებულებას ავლენს — მას შეუძლია სხვების თანდასწრებით დამამცირ-ოს.
25. ცოლს ღრმად სწამს ჩემი.
26. ცოლს უყვარს ჩემი მეგობრები და მათ საზოგადოებაში მშვენივრად გრძნობს თავს;
27. ის იმ შემთხვევაშიც ეჭვიანობს, როცა ამის საფუძველი საერთოდ არ აქვს.
28. ცოლი გაგებით ეკიდება იმას, რომ ჩვენ შესაძლოა განსხვავებული მოსაზრება გვქონდეს ამა თუ იმ საკითხზე, თანაც ამას ისე ახერხებს, რომ თავი დამნაშავედ არ ვიგრძნო.
29. ჩემი მეგობრული და საქმიანი (და არა რომანტიკული) ურთიერთობები სხვა ქალებთან ჩემს ცოლს არ აშფოთებს.
30. მას საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს ჩემს მშობლებთან.

**დაანგარიშეთ ქულები: ყოველ დადებით პასუხში: 4, 5, 6, 7, 8, 97 13, 16, 17, 18, 20, 22, 23, 25, 26, 28, 29, 30 შეკითხვებზე დაიწერეთ 1 ქულა; ასევე ერთი ქულა დაიწერეთ უარყოფითი პასუხებისთვის: 1, 2, 3, 10, 11, 12, 14, 15, 19, 21, 24, 27 შეკითხვებზე.**

## ტესტის შედეგები

**26-30 ქულა:** თქვენ უბედნიერესი ადამიანი ხართ. ცოლს უყვარხართ და მოსწონხართ ისეთი, როგორიც ხართ. ასეთი უსაზღვრო და უანგარო სიყვარული ნამდვილად დასაფასებელია. აგრძნობინეთ ცოლს, რომ მისი სიყვარული და მხარდაჭერა ძალზე ძვირფასია თქვენთვის. მასთან ერთად არამცთუ ვერცხლის, არამედ ოქროს ქორწილის გადახდის პერსპექტივაც გაქვთ.

**21-25 ქულა:** ცოლის მხრიდან საოცარ მზრუნველობასა და ყურადღებას გრძნობთ. დაკმაყოფილდით იმით, რომ თქვენი ხასიათის უამრავ თავისებურებას ცოლი შემწყნარებლურად და გაგებით ეკიდება. იმ თვისებებზე კი, რომლებსაც ის გაგებით არ ეკიდება, ყურადღების გამახვილებას არ გირჩევთ... დააფასეთ, მას ხომ გულწრფელად უყვარხარათ და ესმის თქვენი.

**16-20 ქულა:** ცოლის მხრიდან თქვენდამი უნდობლობასა და კრიტიკულ დამოკიდებულებას აშკარად გრძნობთ. ამგვარმა დამოკიდებულებამ მუდმივი ხასიათი რომ არ მიიღოს, გირჩევთ, გულახდილად დაელაპარაკოთ ცოლს ამ პრობლემაზე და გაარკვიოთ მისი თქვენდამი უნდობლობის მიზეზი. მაგრამ მანამდე, სანამ ცოლს გადაჭარბებულ ეჭვიანობაში დასდებდეთ ბრალს, საკუთარ საქციელს ჩაუფიქრდით და დარწმუნდით, რომ მიუღებელსა და სამარცხვინოს არაფერს აკეთებთ.

**15 ქულაზე ნაკლები:** გამუდმებით ისეთი შეგრძნება გაქვთ, თითქოსდა ალყაში ხართ მოქცეული. ცოლის მხრიდან ვერც სიყვარულს გრძნობთ და ვერც გაგებას. საკუთარი ქორწინების გადასარჩენად დაუყოვნებლივ გადამჭრელ ზომებს უნდა მიმართოთ, თორემ მერე უკვე გვიან იქნება.

# ჰოროსკოპი

## (31 ივლისი - 6 აგვისტო)

### ვერძი:

ამ კვირას უფრო გააქტიურდებით, მეტად კონტაქტური იქნებით და გარშემო მყოფებს გონებამახვილობითაც გააკვირვებთ. ამასთან, გაუმჯობესდება თქვენი ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან.

### ხარი:

დროა იფიქროთ სახლის კეთილმოწყობაზე, მაგრამ შეეცადეთ, ფული უყაირათოდ არ დახარჯოთ. უსაფუძვლო რისკი გამართლებული არაა — ამან შეიძლება, თქვენი ჯანმრთელობა დააზიანოს.

### ტყუპი:

ამ კვირას თავს მხნედ იგრძნობთ, რაც საინტერესო შემოქმედებითი სამუშაოს შესრულებისა და დამატებითი შემოსავლის მიღებისაკენ გიბიძგებთ. თავი აარიდეთ საყვარელ ადამიანთან კონფლიქტს.

### ქიბრიტა:

არახელსაყრელი პერიოდია სასიყვარულო ურთიერთობების მოსაგვარებლად. გამოიჩინეთ მეტი მოთმინება, შეინარჩუნეთ სიმშვიდე და არ იეჭვიანოთ. კარგი იქნება, თუ მოგზაურობას დროებით გადადებთ.

### ლომი:

ამ პერიოდში ადვილად დაზოგავთ ენერგიასა და ფინანსებს. შესაძლოა, საყვარელმა ადამიანმა ხელი გთხოვოთ. კარგი იქნება, თუ უქმე დღეებს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად გაატარებთ.

### უბაგული:

დაუთმეთ დრო საყვარელ ადამიანებს, რათა მათგან პრეტენზიების მოსმენა არ მოგიხდეთ. ახალი ნაცნობობა ახალი იდეების ჩამოყალიბებაში დაგეხმარებათ. უქმე დღეები ბუნების წიაღში გაატარეთ.

### სასწორი:

სასიკეთოდ წარიმართება უცხოელებთან თანამშრომლობა. მიენდეთ ინტუიციას და თამამად იმოქმედეთ. საყვარელ ადამიანთან დროულად გაარკვიეთ პრობლემები და უსაფუძვლოდ ნუ იეჭვიანებთ.

### ბოსტანი:

კარგი დროა წვრილმანი პრობლემების მოსაგვარებლად. შეეცადეთ, საყვარელ ადამიანებს წვრილმანი გაუგებრობების გამო არ გაუბრაზდეთ. კარგია, თუ ამ კვირას სამოგზაუროდ წახვალთ.

### ღუბანელი:

თამამად შეუდექით გეგმების განხორციელებას. საუკეთესო დროა მგზავრობისა და მაღალ ინსტანციებში საქმეების მოსაგვარებლად. სასიყვარულო თავგადასავლები სჯობს, მომავლისთვის გადადოთ.

### ღრუბელი:

გამოიჩინეთ სიფრთხილე, რათა არ დაკარგოთ ის, რისი იმედიც გქონდათ. ძველ სიყვარულთან შეხვედრა შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს. კარგი დროა მოგზაურობისა და აქტიური დასვენებისთვის.

### ბეჩეული:

კარგი დროა ახალი საქმეების დასაწყებად. შეეცდებით, გარშემო მყოფებში ავტორიტეტი აიმაღლოთ. მიენდეთ ინტუიციას და თამამად იმოქმედეთ. უქმე დღეები ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

### თევზები:

გაუფრთხილდით ჯანმრთელობას! დაძაბულ სიტუაციებში მხოლოდ საკუთარ თავსა და ინტუიციას დაეყრდენით. კარგი იქნება, თუ საყვარელ ადამიანთან ერთად ბუნების წიაღში განმარტოვდებით.

## იაპონური სენსაცია სუდოკუ

### წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 5 | 6 | 4 | 8 | 7 | 3 | 9 | 1 |
| 4 | 1 | 3 | 6 | 2 | 9 | 5 | 7 | 8 |
| 7 | 8 | 9 | 5 | 1 | 3 | 2 | 6 | 4 |
| 3 | 6 | 4 | 9 | 5 | 8 | 1 | 2 | 7 |
| 1 | 9 | 7 | 2 | 3 | 4 | 6 | 8 | 5 |
| 5 | 2 | 8 | 7 | 6 | 1 | 4 | 3 | 9 |
| 6 | 3 | 1 | 8 | 9 | 5 | 7 | 4 | 2 |
| 9 | 4 | 2 | 1 | 7 | 6 | 8 | 5 | 3 |
| 8 | 7 | 5 | 3 | 4 | 2 | 9 | 1 | 6 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 8 | 3 | 2 | 9 | 5 | 4 | 7 | 6 |
| 5 | 9 | 7 | 8 | 4 | 6 | 2 | 3 | 1 |
| 6 | 2 | 4 | 1 | 3 | 7 | 8 | 9 | 5 |
| 9 | 6 | 1 | 5 | 2 | 8 | 7 | 4 | 3 |
| 8 | 3 | 2 | 7 | 1 | 4 | 5 | 6 | 9 |
| 4 | 7 | 5 | 3 | 6 | 9 | 1 | 2 | 8 |
| 3 | 4 | 8 | 9 | 7 | 1 | 6 | 5 | 2 |
| 2 | 1 | 6 | 4 | 5 | 3 | 9 | 8 | 7 |
| 7 | 5 | 9 | 6 | 8 | 2 | 3 | 1 | 4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 4 | 2 | 5 | 3 | 9 | 1 | 7 | 8 |
| 8 | 7 | 1 | 6 | 2 | 4 | 9 | 3 | 5 |
| 3 | 9 | 5 | 7 | 1 | 8 | 2 | 6 | 4 |
| 7 | 1 | 3 | 9 | 4 | 6 | 8 | 5 | 2 |
| 2 | 5 | 4 | 8 | 7 | 1 | 3 | 9 | 6 |
| 9 | 6 | 8 | 2 | 5 | 3 | 4 | 1 | 7 |
| 1 | 3 | 7 | 4 | 6 | 2 | 5 | 8 | 9 |
| 4 | 8 | 6 | 1 | 9 | 5 | 7 | 2 | 3 |
| 5 | 2 | 9 | 3 | 8 | 7 | 6 | 4 | 1 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | | 6 | | | 1 | 8 |
| | | 8 | | | 4 | | 2 | |
| | | 1 | | 3 | | | 4 | |
| 7 | | | 6 | | 1 | | | 2 |
| | 2 | | | 7 | | | 5 | |
| 5 | | | | 8 | | | | 4 |
| | 1 | | | 9 | | 4 | | |
| | 6 | | 5 | | | 2 | | |
| 8 | 4 | | | 2 | | | 9 | |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | | 9 | | | | 7 | |
| | | 8 | 7 | | | | 5 | |
| | | 6 | | 4 | | | | 1 |
| | | 9 | | | | 3 | | |
| 8 | | 5 | | 7 | | 6 | | 4 |
| | | 2 | | 3 | | 8 | | |
| 2 | | | | 1 | | 5 | | |
| | 6 | | | | 8 | 1 | | |
| | 8 | | | | 6 | | 4 | 2 |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | 2 | | | | 8 |
| | | | | 5 | | | | 4 |
| | | 4 | 3 | | | 6 | | |
| | 6 | | | 7 | | | 2 | |
| | | 8 | 9 | | | 3 | | |
| | 5 | | 6 | 3 | | | 4 | |
| | | 5 | | | 1 | 7 | | |
| 4 | | | | 8 | | | | |
| 2 | | | | 6 | | | 9 | |

# ფოტოკუიიოზები

# საბა SABA

## პირველი ელიტური სახლი ბურამიშვილზე

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ღიმაღლელი — M · · · · · · · · · · · · · · M — ბურამიშვილი

PASCHAI

ბინები 65 $m^2$ - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 $m^2$
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თვთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

ბურამიშვილის 78 (მეტრო "ბურამიშვილთან")

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში